

საქართველოს ბიბლიოთეკის ისტორიის დამფუძნებელი
საინფორმაციო მუდმივმოქმედი კომისია

მიტოპოლიტი ანანია ჯაფარიძე

კ ი ზ ი თ ნ |

თბილისი
2015

განსაკუთრებულია კირიონ I-ის დამსახურება ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე.

თუ არა მისი დაუვიწყარი ღვაწლი, ქართველი ერის ერთი ნაწილი არმენიზაციის ჭაობში გაქრებოდა ისევე, როგორც გაქრა და დავიწყებას მიეცა ალბანელი ერი, მის მიმართ განხორციელებული სომხური საეკლესიო პროზელიტიზმის შედეგად, რასაც კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი. ასეთივე ბედი ელოდა ჩვენი ერის მნიშვნელოვან ნაწილს, თუ არა **კირიონ დიდი კათალიკოსის** ღვაწლი, როცა მან არმენიზაციის გზაზე შემდგარ ქართველებს **გუგარქში** აღუდგინა ქართულენოვანი ლიტურგია, და უფრო მეტიც, მან დაიწყო პროცესი სომხურ-ქართული ეკლესიების ურთიერთდამოკიდებულებისა, რამაც, როგორც ითქვა, ასიმილაციისაგან იხსნა ქართველი ერის ერთი ნაწილი.

მისმა თავდადებას საოცარი შედეგი გამოიღო საქართველოს გარეთაც, კერძოდ კი, გამოაფხიზლა არმენიის ვრცელ ქვეყანაში მცხოვრები ქართველობა, ამის შედეგად მათ თავი დააღწიეს არმენიზაციის პროცესს, სრულად აღიდგინეს თავიანთი ქართულ-ეროვნული იდენტობა, და VIII-X საუკუნეებში, დაუბრუნდნენ ქართული ეკლესიის წიაღს.

მიტროპოლიტ ანანიას ამ წიგნში გამოყენებულია უკვე გამოქვეყნებული მასალებიც მისივე სხვა ნაშრომებიდან.

წიგნი განკუთვნილია ისტორიით დაინტერესებულთათვის.

შესავალი

საქართველოს ისტორია ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად დაწერილი. დასაწერია I ათასწლეულის ისტორია, განსაკუთრებით პერიპეტეები, რომელნიც გულმოდგინეთ ამოიშალა მატინანეთა ცნობებიდან. მისი ერთი დიდი მონაკვეთია ამბავი დიდი კათალიკოსისა კირიონ I-ისა.

მართალია მისი ღვანლის შესახებ ქართულ წყაროებში ცნობები თითქმის არ მოიპოვება, მაგრამ თავის ეპოქაში ის იმდენად დიდი მოღვაწე იყო, რომ მის შესახებ უწყვეტად წერდნენ გამოკვლევებსა და წიგნებს I ათასწლეულშივე ცნობილი უცხოელი მეცნიერები და მწიგნობრები, ერთი ასეთია, მაგალითად, უხტანესი, რომელმაც დიდტანიანი წიგნი მიუძღვნა კირიონის მიერ წამოწყებულ საეკლესიო განხეთქილებას ქართველთა და სომეხთა შორის, მას არსენ დიდი საფარელი კათალიკოსი და სხვა ძველი ეპოქის მეცნიერებიც ეხებიან, VI-VII საუკუნეთა, „ეპისტოლეთა წიგნში“ თავმოყრილი წყაროები კი შეიძლება ითქვას ღალადებენ კირიონის დიდებულების შესახებ.

განსაკუთრებულია კირიონის დამსახურება ქართველი ერისა და ეკლესიის წინაშე. თუ არა მისი, შეიძლება ითქვას, საღმრთო თავდადება და გაბედულება, ქართველი ერის ერთი დიდი ნაწილი ისევე გაქრებოდა, როგორც გაქრა და დავიწყებას მიეცა ალბანელი ერი და მისი შესანიშნავი კულტურა სომხური ეკლესიის მიერ მისი შთანთქმის შედეგად, რასაც კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი. მისი აღწერით, კირიონის ეპოქის, VII საუკუნის ალბანეთის ბოლო პატრიარქი, ქალკედონიტური აღმსარებლობის გამო ბიზანტიური ორიენტაციისა, სომხეთის პატრიარქმა არაბ დამყრობელთან დააბეზლა, არაბულ ჯვარს შეაპყრობინა და ბორკილდადებული დვინში დასჯევინა. 699 წლის სომხურმა საეკლესიო კრებამ, კალანკატუაცის ცნობით, ამის

შემდეგ გაუქმებულად გამოაცხადა ალბანეთის ეროვნული, ალბანურენოვანი ეკლესია. ალბანური წიგნები აიკრძალა, ალბანელი ქრისტიანები სომხური ეკლესიის მრევლად იქცა (როგორც ითქვა, ამას შესანიშნავად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი). საბოლოოდ, ალბანური ეროვნული ეკლესია და, მასთან ერთად, მისი ერიც გაქრა. ასეთივე ბედი ელოდა ჩვენი ერის მნიშვნელოვან ნაწილს, თუ არა **კირიონ დიდი კათალიკოსის** ღვაწლი, როცა მან ნაწილობრივ არმენიზებულ ქართველებს **გუგარქში** აღუდგინა ქართულენოვანი ლიტურგია, და უფრო მეტიც, მან დაიწყო პროცესი სომხურ-ქართული ეკლესიების ურთიერთდაშორებისა, რამაც, როგორც ითქვა, ასიმილაციისაგან იხსნა ქართველი ერი.

გუგარქი ვრცელი ქვეყანა იყო, თავისი მხარეებით, ქალაქებითა და სოფლებით, სომხური წყაროების ცნობებით, ის თბილისიდან ვიდრე ტაომდე და ჭოროხამდე ვრცელდებოდა. სამხრეთ საქართველოს ეს კუთხე უშუალოდ ემიჯნებოდა სპარსულ სომხეთს, რამაც დამპყრობლის ნებით აქაურ ქართველთა შორის, VI ს-ში, სომხურენოვანი ღვთისმსახურება დანერგა.

სომხურენოვნების დანერგვის ძირითადი მიზეზი მაინც, VI საუკუნეში სპარსეთის გაბატონების გამო ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა იყო. სპარსეთი იმ დროს თავს ძირითად მტრად ბიზანტიას მიიჩნევდა, ამიტომაც დაპყრობილ ქრისტიანთა შორის კრძალავდა ქალკედონიტურ, ანუ „ბიზანტიურ სარწმუნოებას“, ამავე დროს კი, ხელს უწყობდა არაქალკედონური ორიენტაციის ეკლესიებს, სირიულსა და სომხურს.

იმჟამად ქართველები მტკიცე ქალკედონიტები იყვნენ, ამიტომაც სპარსეთი ებრძოდა ქართულ ეკლესიას, შესაბამისად, საქართველოს დაპყრობილ ნაწილში, გუგარქში, სომხური ეკლესიების ინტერესებს აკმაყოფილებდა.

ამ დროისათვის, VI ს-ში, გუგარქში გავრცელდა სომხურ-ენოვანი ლიტურგია ანუ, როგორც ეპისტოლეთა წიგნი უწოდებს, „სომხურენოვნება“. სომხური ეკლესიის ეს უმსგავსო პროზელ-იტიზმი მოშალა კირიონ დიდმა, როგორც კი პოლიტიკური ვითარება გაუმჯობესდა. რამაც ძალზე აღაშფოთა სომხური საეკლესიო მხარე, მათ, ისიც კი იკადრეს, რომ ქართველ ერთან თავის ხალხს ურთიერთობა აუკრძალეს.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ვითარება კვლავ გაუარესდა, ბიზანტია ამ ფრონტზე სპარსეთმა დაამარცხა, შესაბამისად კირიონი იძულებული გახდა საკათალიკოსო ტახტი და სამშობლო დაეტოვებინა. კირიონის კვალი დაიკარგა. ზ. ალექსიძე ფიქრობს, რომ ის შეიძლება ბიზანტიამ აიყვანა უფრო დიდ, ალექსანდრიის პატრიარქის ტახტზე კიროსის სახელით. მაგრამ, ამით არ მთავრდება კირიონის დიდი ღვაწლის აღწერა, **მისმა თავდადებას საოცარი შედეგი გამოიღო, კერძოდ კი გამოაფხიზლა საქართველოს გარეთაც - არმენიის ვრცელ ქვეყანაში მცხოვრები ქართველობა, მათ, თითქმის არმენიზებულებმა, თანდათანობით აღიდგინეს თავიანთი ქართულ-ეროვნული იდენტობა და, ისინი შედგომში, ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ დაბრუნებოდნენ ეროვნული ანუ ქართული ეკლესიის წიაღს.**

სომხეთის ვრცელ არეალზე მცხოვრებმა ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ მხოლოდ ქალკედონიტური რწმენა დააკავშირებდა მშობელ მართლმადიდებლობის მოყვარე ქართველ ერთან, ამიტომაც ტაოსა, ბასიანსა, კარინსა, ვანანდსა და სხვა მხარეთა ივერები, ანუ ქართველები იმთავითვე, VI-VII სს-შიც, მტკიცედ იცავდნენ ქალკედონურ სარწმუნოებას.

არმენიის ქართველებმა სომხური ეკლესიის უღლისაგან გათავისუფლება საბოლოოდ შეძლეს 726 წლის მანასკერტის სომხური საეკლესიო კრების შემდეგ, რომელმაც სომხური ეკლესია საბოლოოდ აქცია მონოფიზიტურად. ამის შემდეგ, უკვე ღიად

და დაუფარავად სომხურ ეკლესიას ემიჯნებოდნენ სომხეთის ქართველები, რომელნიც, როგორც ვთქვით, ქალკედონიტობას მტკიცედ იცავდნენ.

კირიონის მიერ წამოწყებულმა, სომხურენოვანი წირვა-ლოცვისაგან გათავისუფლების მძლავრმა ხმამ, ექო და გამოძახილი ჰპოვა სომხეთის ქართველთა შორის. ამ ხმამ გააღვიძა იქამდე თითქოსდა ჩაძინებული სამხრეთ ტაოს, ბასიანის, ბაგრევანდის, შირაკის, კარინისა თუ ვანანდის ქართველობა, ისინი, ზოგნი ძალზე ღრმად არმენიზებულები, ნაწილი კი ნაკლებად, იბრუნებდნენ ქართულენოვან ღვთისმსახურებას, რამაც უფრო დიდი შედეგებიც გამოიღო – **ეროვნულად გამოღვიძებულმა, იდენტობა აღდგენილმა ქართველებმა ქართული სახელმწიფოებრიობაც კი აღიდგინეს, მათ X საუკუნეში შექმნეს ტაოს ვრცელი „ქართველთა სამეფო“ დავით კურაპალატის დროს.**

ტაოსა და მიმდებარე რეგიონების ქართველობა VI-VII საუკუნეებიდან იძულებული იყო სომხურენოვან მსახურებას შეჩვეოდა თავიანთ მშვენიერ ეკლესიებში.

ამ დროს მათი მდგომარეობა ნააგავდა შემდგომში, XIX საუკუნეში, საქართველოს ეკლესიებში შექმნილ მდგომარეობას, როცა რუსეთის იმპერიაში, რუსული ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი ქართველი მრევლი მართლმადიდებლობის სიყვარულის გამო იძულებული იყო შეგუებოდა თავიანთ ეკლესიებში რუსულენოვან მსახურებას, მსგავსადვე, სამხრეთ ტაოსა თუ ბასიანის ქართველობა VII საუკუნეებში ეგუებოდა თავიანთ ეკლესიებში სომხურენოვან მსახურებას, რადგანაც მათი ოლქები იმჟამად სომხეთში შედიოდა, იქ სომხური საეკლესიო იურისდიქცია ვრცელდებოდა, სომხური ეკლესია კი VII ს-ში ქალკედონიტური იყო, ტაოელ-ბასიანელი ქართველები კი, როგორც ითქვა, ქალკედონიტები იყვნენ, მაშასადამე მრევლი სომხური ეკლესიისა. მათ მხოლოდ 726 წლის მანასკერტის საეკლესიო

კრებამ მისცა საბაზი განშორებოდნენ სომხურ ეკლესიას. სომხური ეკლესიის ამ კრებამ სომხურ ეკლესიას საბოლოოდ დაუკანონა მონოფიზიტური მიმართულება.

ეს, 726 წლის მანასკერტის კრება, დიდი მოსაბრუნე იყო სომხეთისა და მისი ეკლესიის ისტორიისათვის. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა მას იქაურ ქართველთათვის.

ამასთან დაკავშირებით შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როცა VI საუკუნეში, 551 წელს, სომხეთის კათალიკოსმა ნერსე მიჯინმა სომხურ ეკლესიას პირველად ოფიციალურად მიაღებინა მონოფიზიტური აღმსარებლობა, ეს იმდენად დიდ მოვლენად ჩაითვალა, რომ ეს წელი საფუძვლად დაედო სომხურ წელთაღრიცხვას და სომხური ერის I წლად ჩაითვალა.

მართალია, მის შემდეგ, VII საუკუნეში, ბიზანტიური პოლიტიკური გავლენის შედეგად სომხურ ეკლესიაში ჩამოყალიბდა და მის სათავეშიც მივიდა ქალკედონიტური ფრთა, მაგრამ ამ დროსაც, ზოგადად, სომხური მონოფიზიტური მიმართულება მძლავრი ძალა იყო. მათ სწრაფადვე იმოქმედეს მათთვის სასურველი პოლიტიკური ვითარებით, როცა სომხეთი დათმო ბიზანტიამ არაბთა გაბატონებისას და, როგორც ითქვა, 726 წელს მანასკერტის საეკლესიო კრებას აღადგენინეს სომხეთის უკვე ეროვნული-მონოფიზიტური საეკლესიო მიმართულება, სომხური წელთაღრიცხვის 175-ე წელს.

ეს კრება, როგორც ითქვა, გაცილებით უფრო დიდი, ეპოქალური მოსაბრუნე იყო იმჟამად არმენიაში მცხოვრებ ქართველთათვის.

ისინი ქალკედონიტები იყვნენ და კატეგორიულად არ სურდათ ქალკედონიტობის დათმობა (ეს უკვე მათი იდენტიფიკაციის ნიშანიც იყო), მაშინ როცა მათი გარემო და საეკლესიო ცხოვრება მონოფიზიტურ პლატფორმას ითხოვდა.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანმა ვითარებამ, ცხადია, შეძრა მათი ოლქების – ტაოსა თუ ბასიანის სასულიერო წოდე-

ბა მრევლთან ერთად, რადგანაც აქ სასულიერო და საერო წოდება (დაბალი თუ მაღალი წოდება – აზნაურობა) ქართული იყო, აქაური ქართველი აზნაურები კი განსაკუთრებით იბრძოდნენ სომხური ეკლესიისაგან გასათავისუფლებლად ა. ლასტივერტეცის ცნობით (რაც სხვა თავშია აღწერილი). ცხადია, სომხური ეკლესიისაგან გათავისუფლება არ იყო ადვილი საქმე, თუ გავითვალისწინებთ მის მძლავრ იდეოლოგიას, რომელიც უკვე შემუშავებული ჰქონდათ სომეხ ღვთისმეტყველებს ალბანეთისა და ქართლის ეკლესიების თავისთავადობის აღკვეცისას VI-VII საუკუნეებში, ამიტომაც საფიქრელია, რომ **ტაო-ბასიანის ხალხის ბრძოლა სომხური ეკლესიისაგან გასათავისუფლებლად ნახევარი საუკუნე მანც გაგრძელდა და ჩანს დასრულდა დიდი ქართული საეკლესიო კრებით 780 წელს, რომელმაც დააკანონა აქაური ქართველობის სომხური ეკლესიისაგან გათავისუფლება. ეს იმდენად დიდ კრებად იქნა მიჩნეული, რომ მისი მოწვევის თარიღი ჩაითვალა ქართული წელთაღრიცხვის I წლად.**

თუ სომეხთათვის 551 წელი სომხური წელთაღრიცხვის დასაწყისია, ამ წელს სომხური ეკლესიის აღმსარებლობითი მიმართულების განსაზღვრის გამო, ასეთად ქართველებისათვის 781 წელი იქნა დადგენილი. ის აქაურთა და საერთოდ, ქართველთა ქალკედონიტობის უცვლელელობის, მართლმადიდებლობის ზემომის, ამ ოლქებში მისი საბოლოო გამარჯვების, ქართული წელთაღრიცხვის საწყისი წელია.

ჩანს, ასე იქნა მიღებული ქართული წელთაღრიცხვა.

(532-წლიანი დიდი ინდიქტიონის საფუძველს მზის 28-წლიანი და მთვარის 19-წლიანი ციკლები წარმოადგენს, ის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამ დააკანონა.

საერთოდ ქრისტიანულ ქვეყნებში მიღებული იყო წელთაღრიცხვის სამი სისტემა: „ქრისტესით“, „დასაბამიდან“ და „ქორონიკონით“. „ქრისტესით“ წელთაღრიცხვა – ამჟამად გამოიყენება

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ნელთაღრიცხვა ქორონიკონით, როგორც აღინიშნა, 532-წლიანი ციკლით ხდებოდა. საერთოდ, ქართული ქორონიკონის დასაწყისის თარიღად მიჩნეული იყო 780 წელი. 781 წელი არის პირველი წელი ქართული ქორონიკონის მე-13 მოქცევისა. ხოლო დასაბამი ამ მოქცევებისა ქართული ნელთაღრიცხვით (ათვლის წერტილი) არის 5604 წელი ქრისტემდე, ანუ „დაბადებიდან“ – ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე ქართული ნელთაღრიცხვა ითვლის აღნიშნულ 5604 წელს).

ამ კრების შედეგად სომხური ეკლესიისაგან გათავისუფლებულმა ტაო-ბასიანის ქართველობამ დიდი სულიერი და პოლიტიკური ძალა შეიძინა. ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო“.

ვინაობააღდგენილი ქართველების რიცხვი არმენიაში ისე დიდი იყო, რომ მათმა სამეფომ ანუ „ქართველთა სამეფომ“ ვანის ტბამდეც კი მიაღწია.

სამწუხაროდ, „ქართველთა სამეფო“ ბიზანტიამ და თურქ-სელჯუკებმა XI საუკუნეში მოსპეს, ამ მიწა-წყალზე ბიზანტიელთა მიერ დაარსებული ადმინისტრაციული ერთეული კი „იბერიის თემად“ იწოდდა, იქ ივერთა ანუ ქართველთა სიჭარბის გამო.

ისმის კითხვა, ქართველები როგორ მოხვდნენ საცხოვრებლად სომხეთში, ისინი იქ როდის ჩასახლდნენ?

პასუხისათვის ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობისაა **სტრაბონის** ცნობა, რომ ამ მიწა-წყლის მომცველი სომხეთის დიდი ოლქები პარიადრე, ხორძენა და გოგარენა თავდაპირველად დასახლებული იყო იბერებით, ამიტომაც ის იბერების მიწა-წყლად იწოდებოდა კიდევ, და მხოლოდ შემდეგში, ქრისტემობამდე II საუკუნეში არმენიის მეფეებმა იბერებს წაართვეს ეს ოლქები. **ქსენოფონტეს** ცნობითაც, აქ სომხების დასახლებამდეც ცხოვრობდნენ ტაოხები, ფასიანები, ქალდეები და სხვა ქართული ტომები, არსებობს სხვა წყაროებიც (აქ იბერთა ანუ ქართველთა ცხოვრების შესახებ), მაგალითად **კონსტანტინე**

პორფიროგენეტის ცნობით, არაქსი (ფაზისი) იბერთა და ბიზანტიელთა საზღვარი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პარიადრე, გოგარენა და ხორძენა არმენიის შემადგენლობაში შეიყვანეს, აქ საცხოვრებლად კვლავაც დარჩნენ მკვიდრი იბერები, რომელნიც, ცხადია, არმენიაში არმენიზაციის პროცესში მოექცნენ, მაგრამ მათ არაქსის ხეობის ჩრდილოეთით მაინც დიდხანს შეძლეს თავისი იბერიული ვინაობის შენარჩუნება (როგორც ითქვა, ამას უნდა მიუთითებდეს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობა, რომელიც არაქსის დასავლეთ სანაპიროს იბერიულს უწოდებს), ასევე, როგორც ითქვა, ისიც, რომ დამპყრობელმა ბიზანტიამ, ამ მხარეებს „იბერიის თემი“ უწოდა, მისი დედაქალაქები ანისი და თეოდოსიოპოლის-არზრუმი იყო.

როგორც ითქვა, VII-IX საუკუნეებში აქაური ქართველების ეროვნულ-ეკლესიური იდენტობის აღორძინებისათვის მათი დიდი წინაპრის, **კირიონის** ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

კიტიონ I

ქართლის (საქართველოს) კათალიკოსი დაახლოებით 599-614 წლებში

კირიონ I დაიბადა ჯავახეთის სოფელ სკუტრში.

ბავშვობიდანვე იზრდებოდა და განათლება მიიღო ტრაპეზუნტის მახლობელ კოლონიის პროვინციის ქალაქ ნიკოპოლისში. ამ რეგიონის ძირითად მოსახლეობას ბერძნებთან ერთად შეადგენდნენ მკვიდრი ქართველები – ლაზები, ქალები (ხალიბები) და სხვა ქართული ჯგუფები, ქართველთა მრავალრიცხოვნობის გამო, შემდგომში, ტრაპეზუნტის იმპერიის მეთაურს – „ივერთა ავტოკრატორს“ უწოდებდნენ („დიდი კომნიები“, მართმადიდებლური ენციკლოპედია, VII, გვ. 444. რუს. ენაზე).

ქართველები ასევე შეადგენდნენ ძირითად მოსახლეობას მეზობლად მდებარე ტაოს, ბასიანისა და სხვა რეგიონებისა არზრუმიდან ანისის მიმართულებით (ამიტომაც, შემდგომში ამ ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერიამ „იბერიის თემი“ ჩამოაყალიბა). ჩანს, ეთნიკურ ქართველთა სიჭარბის გამო, განათლების მიღების შემდეგ კირიონმა ინება ამ რეგიონში მოღვაწეობა, მან დაიკავა არმენიის აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის მთავარი „კათოლიკე“ მონასტრის წინამძღვრის ხარისხები, ამ უმაღლესი თანამდებობებით ის სომხური ეკლესიის ერთ-ერთი მეთაური იყო, იმჟამად ამ რეგიონის ქართველობა სომხური ეკლესიის მრევლად იყო გადაქცეული.

VI-VII საუკუნეებში, აღნიშნულ რეგიონებში (პონტო, იმიერტაო-ბასიანი, აირარატი), და საერთოდ მცხეთის საკათალიკოსოს გარეთ, უცხოეთში, მცხოვრები ქართული მრევლი გაყოფილი იყო ორ ნაწილად, ბერძნულ და სომხურ ეკლესიათა შორის. აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ამ ტერიტორიას (ლაზი-

კა-პარიადრეს, ხორძენას, გოგარენას) იბერთა უძველეს სა-
ცხოვრისად მოიხსენიებს.

იბერთა ამ ტერიტორიის შესახებ სტრაბონი წერს: „**მოგვი-
თხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვ-
და არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ
ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი
მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლო-
ბელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები. კერ-
ძოდ, იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე
და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და
მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენი-
ის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5).**

არტაქსია და ზარიადრი ქრისტეშობამდე 188 წელს მეფეე-
ბი გახდნენ და ბრძოლებით გააფართოვეს თავიანთი სამფლო-
ბელო, კერძოდ ხალიბების ჩამოაჭრეს კარენიტი – კარინის (კარ-
ნუ ქალაქის, ანუ არზრუმის) ოლქი, **იბერებისაგან მიიტაცეს**
პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე.

პარიადრეს ადგილსამყოფელი ცნობილია, ის ახლოს მდე-
ბარეობდა კოლონიას პროვინციასთან, სადაც აღიზარდა **კირი-
ონ I**, ხოლო ცნობას გოგარენეს ადგილსამყოფელის შესახებ
თვითონ იძლევა სტრაბონი.

გუგარქი, რომლის კათალიკოსი შემდგომში გახდა **კირი-
ონი**, და გოგარენე არ იყო ერთი და იგივე ქვეყანა, კერძოდ გუ-
გარქი სომხურ წყაროებში ზოგადად ერქვა აღმოსავლეთ საქარ-
თველოს, უფრო ხშირად კი ქვემო ქართლს, მტკვრის მარჯვენა
სანაპიროზე. გოგარენე, მისგან განსხვავებით, სტრაბონის ცნო-
ბით, მდებარეობდა არა მტკვრის მარჯვენა, არამედ მარცხენა
სანაპიროზე, ანუ მტკვრის იქით, „მეორე მხარეს“.

პარიადრესა და გოგარენეს შუა (ანუ პარიადრედან მტკვრამ-
დე), ხორძენე მდებარეობდა. ამ მიწაწყლის იბერიული მოსახ-

ლეობა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ VIII-IX სს-მდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა (იგულისხმება იმიერტაოს, ბასიანისა და აირარატის მკვიდრი იბერები ანუ ქართველები. **კირიონის** ეპოქაში VI-VII სს-ში მათი არმენიზაციის პროცესი გრძელდებოდა და ძირითადად ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული). ამ მიზეზის გამო ქართველები სომხური ეკლესიის წევრები და ზოგჯერ იერარქებიც იყვნენ. როგორც აღინიშნა, **კირიონიც** ქალაქ ნიკოპოლისიდან დვინში გადავიდა და თავისი დამსახურების შესაბამისად აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის კათოლიკე (მთავარი საკრებულო) ეკლესიის წინამძღვრის ხარისხით დაჯილდოვდა.

ამ რეგიონების ძირითადი მკვიდრი იბერიული მოსახლეობა (განსაკუთრებით ტაოსა და ბასიანში) იმთავითვე მიდრეკილი იყო „ბერძნულად“ მიჩნეულ ქალკედონიტობის მიმართ, თუმცა მათი ეს მიდრეკილება VI ს-ის ბოლომდე, ავანის ქალკედონიტ კათალიკოს იოანე კოგოვიტელამდე მკვეთრად გამოსატყული არ ყოფილა.

VI საუკუნის ბოლოს (აირარატსა და დვინში მოღვაწეობის მეხუთე წლისთავზე), თავისი გამორჩეულობის გამო **კირიონი** ქართლს დაუბრუნდა და იგი მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე აიყვანეს.

ივ. ჯავახიშვილი წერს: კირიონის დროს „ქართული ეკლესიის საზღვრები ვრცლად ყოფილა გადაჭიმული: დასავლეთ-სამხრეთით იგი კლარჯეთსაც მოიცავდა და საზღვრად აქ ტაოს საეპისკოპოზო ყოფილა, რომელიც ამ დროს სომხეთის ეკლესიას კუთვნებია (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 340).

დასავლეთის მიმართულებით ქართული ეკლესიის საზღვარი შავ ზღვამდე აღწევდა – „სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი წინანდელი წესის თანახმად, ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა არქიეპისკოპოზად იქმნა

ხელდასხმული. გუგარეთი ქართლის კათალიკოსის სამწყსოს ეკუთვნოდა. კირიონის მეგრელთა კათალიკოსადაც აღნიშვნის ცნობა იმის მომასწავებელია, რომ ქართლის, ანუ მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს უკვე დასავლეთ საქართველოშიც ჰქონდა ასპარეზი მოპოვებული და საკათალიკოსოს საზღვარი ღიხთ იმერეთშიც იყო გადაწეული. იმიერ-ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს უმზადებდა გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი“ (იქვე, გვ. 341-342).

იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი VI საუკუნის ბოლოს დაუსვამთ **„ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა კათალიკოსად, ისევე როგორც წინანდელი წესი მოითხოვდა“**. აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქცია, ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზე, არა მხოლოდ VI საუკუნეში, არამედ ადრეც, ე.ი. V საუკუნეში – „წინანდელი წესის თანახმად“.

ქართული ეკლესიის წიაღში მყოფ ეგრისში (დასავლეთ საქართველოში), მალევე, აფხაზეთის სამეფოს დაარსებისას, ჩამოყალიბდა საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ სამიტროპოლიტო ოლქი აფხაზეთის საკათალიკოსოს სახელწოდებით. ეს დაასტურა სახელმწიფო ხელისუფლებამ. წყარო წერს – **„ამან ბაგრატ 830 წ-ს განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“** (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 72).

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, V საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის საქართველოში 21 საეპისკოპოსო ყოფილა. **„ჯუანშერი ქართლის კათალიკოსის სამწყსოში ვახტანგ გორგასლის დროს შემდეგ საეპისკოპოზოებს იხსენიებს: მცხეთის საეპისკოპოზოს, კლარჯეთში ახიზისას, არტაანში ერუშეთისას, ჯავახეთში – წუნდისას, ქართლში ნიქოზისას, მანგლისისას, ბოლნისისას, კახეთ-ჰერეთში – რუსთავისას. ნინოწმინდისას, უჯარმისას, კარისას, ჭერემისას, ჩელთისას, ხორნაბუჯისას,**

აგარაკისას, ანუ ხუნანისას. ამგვარად, სულ თექვსმეტი საეპისკოპოზო გამოდის, მაგრამ ეს სია, ცხადია, სრული არ არის“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 339).

ივ. ჯავახიშვილი ამ სიას უმატებს ცურტავისა და სამეფო სახლის ეპისკოპოსებს, აგრეთვე რუისის ან ურბნისის, წილკნისა და სამთავისის საეპისკოპოსოებს. „...მაშინ 21 სამწყსო იქმნება და V ს-ის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის ეს რიცხვი დაახლოებით სწორი უნდა იყოს. უეჭველია V ს-ის დამღვეისათვის მეტიც უნდა ყოფილიყო. 506 წელს ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას საქართველოდან კათალიკოსიანად სულ 24 ეპისკოპოზი დასწრებია... რადგან შესაძლებელია, ამ კრებას ყველა ვერ დაესწრო, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ VI ს-ის დამდევს ქართული ეკლესია სულ ცოტა 24 საეპისკოპოზოს შეიცავდა. მართლაც, ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწის სიმეონ ბეთ-არშამელის (VI ს-ის დამდევს) სიტყვით, მის დროს ჰენოტიკონი შეიწყნარეს და მის აღსარებას მისდევდნენ ქართლის ეკლესიის 33 ეპისკოპოზი მეფითა და აზნაურებითურთ და სპარსეთის სომხეთის 32 ეპისკოპოზი და მარზპანი. მაშასადამე, VI ს-ის დამდევს აღმ. საქართველოში 33 ეპისკოპოზი ყოფილა“ (იქვე, გვ. 339-340).

„ქართული ეკლესიის შედგენილობის შემდეგი ცნობა VII ს-ის დამდევისაა, სახელდობრ, **607 წელს დაწერილ თავის მეორე საპასუხო ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათალიკოსი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სწერდა, ქართლის საკათალიკოსოში სულ 35 ეპისკოპოზი არისო.** ერთი საუკუნის განმავლობაში ქართულ ეკლესიას მოჰმატებია 2 საეპისკოპოზო. ეს გარემოება ქრისტიანობის წარმატებული წინსვლით უნდა აიხსნებოდეს...“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 341).

გამოკვლეულია, რომ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმ დროისათვის ტაოც შედიოდა, თუმცა ის სომხურ საეპისკოპო-

პოსოთა სიაშიცაა. შესაძლებელია, ტაო ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი შედიოდა ქართულ ეკლესიაში, ხოლო მეორე ნაწილი სომხურში.

VI და VII საუკუნეების, **კირიონის** ეპოქის, ქართული ეკლესიის ისტორია გადმოცემულია თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა“. ავტორობა მიეწერება IX ს-ის მოღვაწე არსენი მცხეთელ კათალიკოზს.

„განყოფა სომეხთა ქართლისაგან უეჭუელად აღწერე წიგნსა ამას შინა“, წერს ავტორი (ა. საფარელი, განყოფისათვის, გვ. 78).

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ავტორის იდეოლოგიურ პოზიციას – **არა ქართლი და ქართველები განშორდნენ სომეხს, არამედ პირიქით, სომეხები განშორდნენ ქართლს – მართლმადიდებლობას, არამართლმადიდებლები გახდნენ. საქართველო მართლმადიდებელი იყო და ისეთივე დარჩა,**

არსენი საფარელი წერს:

„სპარსთა მეფემ (იგულისხმება ხოსრო I) განუცხადა სომეხებს: „ერთი ორთაგან გამოირჩიეთ – ან მიიღეთ ასურელთა სარწმუნოება ანდა დატოვეთ თქვენი ქვეყანა. სომეხები ძლიერ შეწუხდნენ, მათ არც სარწმუნოების შეცვლა სურდათ და არც ქვეყნის დატოვება. ამ საქმის გადანწყვეტა მიანდეს წერსე კათალიკოსს (548-557), რომელსაც მიჯინი ერქვა. მოიწვიეს კრება ქალაქ დვინში 551 წ., მიიღეს ხაჩეცარი და განდგნენ მართალი (ბერძნული) და ჭეშმარიტი სარწმუნოებისგან. ამის გამო ისინი მონყვეტილ იქნენ წმიდა დიდებულ კათოლიკე და სამოციქულო მსოფლიო ეკლესიისგან. იქვე დვინს განაწესეს არაჯორი, და თქვეს – ეს არის პირველი დღე ჩვენი სარწმუნოებისაო (სომხური წელთაღრიცხვა იწყება დვინის ამ კრებით 551 წელს). სომხეთი განშორდა ბერძნულ სჯულსა და იერუსალიმს. ამის გამო ყოველი ქართლი და სომხეთის მეოთხედი განეყენენ სომეხთაგან მღვდლობის ხელდასხმას, ხოლო ჰერნი და სივნიელნი

ერთ პერიოდში განშორდნენ და შემდეგ კვლავ შეერივნენ (ყოველი ქართლი აქ ეწოდება ტაო-ბასიანსა და მიმდებარე რეგიონს, სომხეთის მეოთხედის ქვეშ იგულისხმება – აირარატი და მიმდებარე რეგიონები, რომლებიც მიდრეკილი იყვნენ ქალკედონიზმისადმი). ნერსე II კათალიკოზმა და აზნაურებმა ბრძანეს მეორე დიდი კრების ჩატარება დვინში – მეორე წელს (553-54 წლებში). **ამ კრებაზე შეაჩვენეს ქალკედონის კრება, უწოდეს ნესტორიანული, მიიღეს ერთბუნებიაზობა და ხორცითა და უკვდავი ბუნებით ქრისტე ჯვარცმულად იქადაგეს. განსაზღვრეს შეჩვენებით განდგომა მართალი სარწმუნოებისგან.** ამ კრებამ სომხური ეკლესია ჩამოაცილა ოთხ მსოფლიო საპატრიარქოს, ამით კი დაირღვა წმიდა გრიგოლ განმანათლებლის ანდერძი. ქართველმა კათალიკოსმა **კირიონ მცხეთელმა (591-615)** და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს კირიონ კათალიკოსმა, ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ქართველნი ამბობდნენ, რომ საბერძნეთიდან მოგვეცა ჩვენ სარწმუნოება, რომელიც თქვენ დაუტევეთ, აბდიშო ასურს და სხვა ბოროტ მწვალებლებს დაემორჩილენით. ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზლეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს რომაელთა სარწმუნოება აქვთო. დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც ისევე, როგორც ნერსე II-ის დროს. ამ დროს განდევნა **ქართლის კათალიკოსმა კირიონმა** მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. **თხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია,** ხოლო მან არ მისცა. და გადიდდა მათ

შორის ცილობა. აბრაამის შემდგომ დაჯდა კათალიკოსად კომიტასი (607-629), უფრო მეტად მოძულე ქალკედონის კრებისა. მისცა შვიდი საეპისკოპოსო ჰერთა კათალიკოსს და შეიერთა ის. მისცა ჯვრის ტარების პატივი სივნიეთის ეპისკოპოსს. ასეთი ხერხით მთელი სომხეთი გააერთიანა ქალკედონის კრების სანინალმდეგოდ. ათარგმნინა მონოფიზიტ და სხვა მწვალებელ ერესიარქთა წიგნები, გაავრცელა და ამ ტყუილით მთელი სომხეთის ქვეყანა დააჯერა. შეცვალა თავდაპირველი საეკლესიო წესები და კანონები, თვითონ კი ახალი მრუდენი შემოიღო. ამ დროს აიშალა ძველი და ახალი კი ვერ დაამტკიცეს (არ დაინერგა). ამის გამო დღემდე ყოველი კაცი სომხეთში თავის მიერ შექმნილ-გამოგონებულ საეკლესიო კანონებს იყენებს – წერდა ქართლის კათალიკოსი არსენ საფარელი.

VI და VII საუკუნეების, **კირიონის** ეპოქის, ქართული ეკლესიის ისტორია გადმოცემულია ასევე თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „ეპისტოლეთა წიგნი“. მასში შემონახულია კირიონ კათალიკოსის წერილები, რომელნიც მან საეკლესიო დავისას მიწერა სომხური ეკლესიის მეთაურებსა და სხვა პირებს, იქვეა პასუხები და მიმართვები. „წიგნი“ სომხურ ენაზეა შემონახული. ქართული დაკარგულია.

ეპისტოლეთა წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსე ცურტავის ეპისკოპოსს.

ცურტავი და მისი საეპარქიო ოლქი – გუგარქი (ქვემო ქართლი) მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა, აქ თავდაპირველადვე (IV-V სს-ში) ქართულ ენაზე მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა, რაც დასტურდება ბოლნისის სიონის ეკლესიის კედელზე ამოტვიფრული V საუკუნის ქართული წარწერითა და სხვა მსგავსი მასალებით.

VI საუკუნეში ქართული სახელმწიფოებრიობის რღვევამ, დამპყრობელი სპარსეთის მიერ ბიზანტიური მიმართულების,

ანუ ქალკედონიტური ქართული ეკლესიის დევნამ, ამავედროულად კი მის მიერვე ანტიბიზანტიური სარწმუნოებრივი მიმართულების მქონე სომხურ-მონოფიზიტური ეკლესიის გაძლიერებამ, ხელი შეუწყო სპარსეთის მოსაზღვრე ქართულ რეგიონებში (მათ შორის ცურტავში) „ქალკედონიტური“ (ამ შემთხვევაში ქართული) წირვა ლოცვის აკრძალვასა და მის ნაცვლად სომხურენოვანის შემოღებას. ცურტავის ეპარქიაში სომხურენოვანი ღვთისმსახურება პირველად წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში დანერგილა. ცურტავის საეპარქიო მმართველობა მონოფიზიტობის მხურვალე მხარდამჭერად იქცა, ამიტომაც, მოსე ცურტაველმა ეპისკოპოსმა მიატოვა თავისი ეპარქია, როცა შეიტყო კირიონის (ქართული ეკლესიის) მტკიცე ქალკედონიტობის შესახებ და თავი სომხეთს შეაფარა. ამ დევნის მიზეზად მოსეს მიაჩნია ის, რომ მან „ამხილა“ ქართლში არსებული სარწმუნოებრივი მიმართულება

ძალზე საყურადღებოა, რომ მოსემ ერთ რეგიონში (ცურტავში) „ამხილა“ ქალკედონიტობა და მას მყისიერად დაემუქრნენ სრულიად ქართლის მთავრები და ეპისკოპოსები, ამას თვითონვე აცხადებს – „...ხმა ავიმალლე, მტერი გავხდი კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე“ (ეპიტოლეთა წიგნი, გვ. 2). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ცურტავი ქართლის განუყოფელი ნაწილი იყო.

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოყვანილია ქართლიდან ლტოლვილი მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლე ცურტავის ეკლესიის „სომხურენოვანი“ თემისადმი, ის გმობს ქალკედონიტობას და აფრთხილებს თავის „სომხურენოვან“ მრევლს, ფრთხილად იყოს. „ქურდულად შემოაცოცეს და შემოიღეს მწვალებლობა...“ (გვ. 11) – წერს ის. „ან ესე ყოველი ვიციით რა, საყვარელნო, ვიაროთ სამეუფეო გზით, ნურც მარჯვნივ გადავუხვევთ და ნურც მარცხნივ“ (გვ. 12).

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოტანილია მეორე ეპისტოლე, სადაც მოსეს „ქართველთა ეპისკოპოსი“ ეწოდება (გვ. 15). (ამ ეპისტოლეს სრული სათაურია „მიზეზი ორბუნიანიანთა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“). ამ სათაურიდანაც ჩანს, რომ მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი არის **ეროვნებით ქართველთა** ეპისკოპოსი. მას უწოდებენ „მოსე ქართველთა მართლმადიდებელ ეპისკოპოსს“. ეპისტოლეთა წიგნში „მართმადიდებლად“ მონოფიზიტებს მოიხსენიებდნენ. მოსე „მართმადიდებელი“ ანუ მონოფიზიტია და არის ქართველთა ეპისკოპოსი. ამ ეპისტოლეს მიხედვითაც მოსეს ეპარქია ქართველებითაა დასახლებული.

აქედანაც ჩანს, რომ ცურტავის „სომხურენოვანი“ თემი ქართველების თემია, ოღონდ ამ ქართველებს სომხური ტიპიკონი აქვთ მიღებული, ისინი საეკლესიო დანიშნულებისთვის სომხურ წიგნებს ხმარობენ, ამიტომაც „სომხურენოვანი“ არიან. თვით სომხური ეკლესია მათ ქართველებად მიიჩნევს და არა სომხებად, ამიტომაც მათი ეპისკოპოსი მოსე „ქართველთა“ ეპისკოპოსია. ეს არის უეჭველი ფაქტი, დადასტურებული პირველხარისხოვან წყაროში – „ეპისტოლეთა წიგნში“, ამიტომაც ამ ფაქტის იგნორირება არ შეიძლება.

საბედნიეროდ, პოლიტიკური ვითარება VI-VII სს მიჯნაზე კავკასიაში შეიცვალა, აქ გამავალ საომარ ფრონტზე ბიზანტიამ შეძლო სპარსელებზე გამარჯვება და საზღვარი ამ ორ იმპერიას (ბიზანტიასა და სპარსეთს) შორის დაიდო თბილისთან ახლოს. ამ პოლიტიკური მომენტით მარჯვედ ისარგებლა კირიონმა და გუგარქ-ცურტავის მრევლს ეკლესიებში აღუდგინა ქართულენოვანი მსახურება. ამ მომენტმა კიდევ უფრო ალაშფოთა მეორე მხარე, რაც შემდეგმა ეპისტოლემ ასახა.

კირიონისადმი გაგზავნილ თავის ეპისტოლეში სომეხთა კათალიკოს აბრაამს სიკვდილზე უარესად მიაჩნია სომხურენო-

ვანი საეკლესიო მსახურების ნაცვლად ქართულენოვანი მსახურების დანერგვა ქვემო ქართლის ცენტრ ცურტავში. „...სომხური მსახურება წმიდა შუშანიკისგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ, ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე“ (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 67).

აქედანაც ჩანს, რომ ცურტავში სომხურენოვანი მსახურება ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ე. ი. IV ს-დან კი არ იყო დანერგული, არამედ V ს-ის ბოლოდან, ან VI ს-ის დასაწყისიდან, წმიდა შუშანიკის საფლავზე ეკლესიის აშენების შემდგომ. ყოველ შემთხვევაში ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურება წმიდა შუშანიკის დადგენილად ითვლებოდა. მაგრამ აბრაამის ეპისტოლე შეეხება არა მხოლოდ ცურტავის ეკლესიას, არამედ მთლიან ქართულ ეკლესიას. ქართულ ეკლესიას ის სომხურ ეკლესიაზე ხელშეკრულებით დაკავშირებულად მიიჩნევს. კირიონს ბრალად სდებს სპარსეთის მეფის კავადის დროს ამ ეკლესიათა შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევას. – „თუმცაღა მეფეთა მეფის კავადის წლებში კვლევა-ძიება იქმნა ჩვენს ქვეყანასა და რომაელთა შორის, რომელთაც ქალკედონის კრება... შეიწყნარეს, ჩვენი და თქვენი ქვეყნების მოძღვარნი და მთავარნი განემორჩენ მათთან ზიარებას, რაც ერთობის წიგნითაც არის დაცული ჩვენ შორის აქამომდე“ (გვ. 67).

კირიონთან ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ თავისი წარუმატებლობით იმედგაცრუებული აბრაამი საყოველთაო მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეს აგზავნის მთელ სომხეთში, რომელშიაც გადმოსცემს სარწმუნოების მონოფიზიტურ მრწამსს და გმობს ქალკედონიტობას. ქალკედონიტობა მთელ ქვეყანაზე გავრცელდაო, წერს ის, – „...მიაღწია ქართლს და ალბანეთს, რომელთაც მყრალი თესლი დიდებით შეიწყნარეს, თვის შორის დაამტკიცეს. კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსი განდევნა მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო ...წმიდა შუშანიკისგან

დადგენილი სომხური მსახურება, ჩვენს სანინაალმდეგოდ რომ ამხედრდა, შეცვალა, ამისათვის მივწერეთ...” (გვ. 120).

შემდეგ წერს „...ჩვენც ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში. არც მეგობრობაში, არც დედამძუძუობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომლითაც განთქმულია მცხეთის მიდამოები, არც მანგლისის ჯვარში, ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებითაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს, იგივე ბრძანება უცვლელად რჩება ალბანელთათვისაც...” (გვ. 122).

ასე დამთავრდა ქართული ეკლესიის თავდადებული ბრძოლა ქალკედონური სარწმუნოების დასაცავად სპარს დამპყრობთა ძალადობის პერიოდში. (როგორც აღინიშნა, სპარსელები მონოფიზიტობას ანტიბიზანტიურ სარწმუნოებად მიიჩნევდნენ და მტკიცედ უჭერდნენ მხარს). კირიონმა შეძლო იმ ეტაპზე ქართულენოვანი ტიპიკონი აღედგინა თავის ერთერთ ეპარქიაში – ცურტავსა და მის ოლქში.

XX საუკუნეში, საბჭოთა პერიოდში, ჩამოყალიბდა და გავრცელდა უმართებულო თვალსაზრისი, თითქოსდა კირიონმა ცურტაველ და საზღვრისპირეთში მცხოვრებ სომხებს ეკლესიებში ქართულენოვანი მსახურება დაუწერგა და ამით ისინი „გააქართველა“. ეს მოსაზრება წყაროების პირდაპირი ჩვენებით არ დასტურდება, პირიქით, როგორც ვაჩვენეთ **წყაროები მიუთითებს, რომ კირიონმა ცურტავის ეკლესიებში აღადგინა ქართულენოვანი მსახურება, რადგანაც სპარსთა იძულებით მის ნაცვლად ამ რეგიონში სომხურენოვანი მსახურება იყო დანერგილი,** თავდაპირველად წმ. შუშანიკის საფლავის ეკლესიაში შემოიღეს, შემდეგ კი სხვაგანაც. საფიქრებელია, რომ რადგანაც წმ. შუშანიკის საფლავს პოლიტიკურ-რელიგიური მნიშვნელობა მიენიჭა და მას მონოფიზიტობის ცენტრად აყალიბებდნენ, ამ-

იტომაც, ეს რომ არ მომხდარიყო, წმ. შუშანიკის გვამი თბილისში იქნა გადასვენებული, ქალკედონიტობის ცენტრში.

ქართიზაციის საბჭოური თეორიის სქემა არც ამ მიმართულებითაა მართებული.

VI-VII საუკუნეებში, სპარსთა მპყრობელობისას, შაჰები სომხურ ეკლესიას სახელმწიფოებრივ დონეზე უჭერდნენ მხარს, მათ მიერ დევნილ, ბიზანტიური ორიენტაციის **ქართულ ეკლესიას, პოლიტიკურად არახელსაყრელი გარემოში არ შეძლო სხვა, მითუმეტეს იმჟამად გამარჯვებულ-გაბატონებული სომხური ეკლესიის სამწყსოს მისაკუთრება**, თავის წიაღში შეეყვანა. პირიქით, იმჟამად არა სომეხთა „გაქართველების“, არამედ **ქართველთა არმენიზაციის პროცესი** იყო გაღრმავებული, მათ შორის ტაობასიანსა და ქვემო ქართლშიც. იმჟამინდელი შაჰი სპარსეთისა ხოსრო II ფარვიზი (გ. 628 წ.), განსაკუთრებით მფარველობდა სომხურ ეკლესიას, მან იერუსალიმისაკენ ლაშქრობისას მოინვია მთელი თავისი იმპერიის ქრისტიანულ ეკლესიათა ე.წ. „სპარსული კრება“ და დაავალდებულა ისინი მიეღოთ **„სომხური სარწმუნოება“** ანდა იმპერიის საზღვრები დაეტოვებინათ (მიტროპოლიტი ანანია, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. II, 2012, გვ. 126).

სპარს დიდებულთა ერთი გავლენიანი ნაწილიც კი უკმაყოფილო იყო და შეშფოთდა სომხურ ეკლესიასთან ხოსროს უკიდურესი დაახლოების გამო, ამიტომაც მათ ისარგებლეს ჰერაკლე კეისრის სპარსეთში შეჭრის მომენტიტ – ხოსრო II ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს 628 წელს, მაგრამ იქამდე, კირიონ I სასტიკად დაისაჯა სომხურ ეკლესიასთან დავისათვის, მას, როგორც ჩანს, **614 წლისათვის დაატოვებინეს საკათალიკოსო ტახტი**. კირიონი თავისი ბრძოლის დროს ეფუძნებოდა ერთი წმიდა მსოფლიო ეკლესიის ძალასა და ავტორიტეტს, ამის გამო მას უწყვეტი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა მსოფ-

ლიო საეკლესიო ცენტრებთან. მიმოწერა ჰქონია იერუსალიმისა და სხვა ეკლესიების მეთაურებთან, რომის პაპთან.

კირიონ I საქართველოს წმიდა ეკლესიის უდიდესი მოღვაწეა, თუ არა მისი თავდადება და თავშეწირული ბრძოლა ქალკედონიტობის დასაცავად, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ქართული მრევლის დიდი ნაწილი დაკარგავდა ეროვნულ იდენტობას და არმენიზდებოდა სომხურ ეკლესიაში ისევე, როგორც მოხდა არმენიზაცია ალბანური მოსახლეობისა VII-VIII საუკუნეებში, მას შემდეგ რაც ისინი სომხურ ეკლესიაში გაერთიანდნენ და მათ ალბანურ ეკლესია-მონასტრებში სომხურენოვანი ღვთისმსახურება დაინერგა.

ნაწილი I

წყალობები კიბიონის შესახებ

(არსენ საფარელი, „ეპისტოლეთა წიგნი“,
უხტანესი, მოვსეს კალანკატუაცი)

„ეპისტოლეთა წიგნი“ კიბიონის შესახებ

(„ეპისტოლეთა წიგნის“ სომხური ტექსტი ქართული
თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა
ზაზა ალექსიძემ. 1968 წ.)

კირიონ დიდი კათალიკოსის შესახებ უმთავრესი ცნობები ჩვენამდე სომხურ ენაზე მოღწეულ, VI-VII საუკუნეთა ე.წ. „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცული (ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც 1968). მასშია დღეს ჩვენთვის საოცარი და აღმაფრთოვანებელ წერილები (ეპისტოლეები) კირიონ კათალიკოსისა, რომელნიც მან სომხეთის კათალიკოსსა და სხვა მნიშვნელოვან პირებს მიწერა თავისი საკათალიკოსოს ერთ-ერთ ეპარქიაში (გუგარქში) ქართულენოვანი წირვა-ლოცვის აღდგენის გამო წინააღმდეგობის განწესას. აქვეა სომეხი კათალიკოსებისა და სხვა პირების წერილები, რომლებმაც სათავე დაუდეს ე.წ. „განყოფას ქართველთა და სომეხთა შორის“.

შინაარსი „ეპისტოლეთა წიგნისა“ ასეთია:

1. „ეპისტოლეთა წიგნში“ რიგით I ეპისტოლე:

„ეპისტოლეთა წიგნი“ იწყება ცურტავის ეპისკოპოს მოსეს ეპისტოლეთი ვრთანეს ქერდოლისადმი, რომელიც სომხეთის

კათალიკოსის ადგილის მცველი იყო. მოსე აცნობებს ვრთანესს, რომ ის სიყრმისას მისულა ცურტავის საეპისკოპოსოში, რომლის მონაფედაც ითვლებოდა. იქ ისწავლა ქართული და სომხური მწიგნობრობა, შემდეგ პიტიახმის კარის საყდრის მოძღვარი გახდა. შემდეგ მოსე აცნობებს – ახლავა მივხვდი, რომ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით „...ქართველთ მხოლოდ მწვანით შეფერილი ფოთლები ჰქონიათ“ (გვ. 2). ქართველებიო, წერს ის, იმ უნაყოფო და ხშირფოთლიან ლელვის ხეს ჰგვანან, რომელზედაც უფალმა ნაყოფი ვერ ჰპოვა ფოთლების გარდაო. „ასევე ესენი კაცთა მოსაწონებლად ცდილობდნენ მთელი მსახურება სრულად და სავსებით წარმოედგინათ. ხოლო როცა შევიტყვეთ ქალკედონის კრების ურიული განსაზღვრების განდიდება... ხმა ავიმალღეთ და მტერი გავხდით კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე...“ (გვ. 2). ახლა, რადგანაც სომხეთის საკათალიკოსო ტახტი თავისუფალია, თქვენ გაცნობებთ იმ (ე.ი. ქართველთა) ქვეყნის დაღუპვას. ამჟამად დევნილი, არაგანის მთის ძირას ერთ-ერთ მონასტერში ვიმყოფები. მე მივწერე ცურტავის ეკლესიის **სომხურენოვან** სამწყსოს, თქვენც ინებეთ და მისწერეთო.

მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლედან ნათლად ჩანს, რომ ის ცურტავს ქართველთა ქვეყნად მიიჩნევს, ცურტაველებს არ აცალკევებს ქართველებისგან, რომელთაც უნაყოფო ლელვის ხეს ადარებს. ცურტავის ეკლესიას წარმოადგენს მთლიანობაში ქართულ ეკლესიასთან, რომლის გარეგანი მხარე, მისი აზრით, მშვენიერია, ხოლო შინაგანად უნაყოფოა. გარდა ამისა, ქართველები ყოველგვარ საეკლესიო წესს მთელი სისავსით ადასრულებენ, მაგრამ ესეც კაცთა მოსაჩვენებლად არისო. მოსე სთხოვს ვრთანესს, როგორც აღვნიშნეთ, რომ მან წერილი მისწეროს ცურტავის სომხურენოვან სამწყსოს. ცურტავის სომხურენოვანი სამწყსო ეროვნებით სომხური რომ ყოფილიყო, მაშინ სრუ-

ლებით არ იქნებოდა საჭირო აღნიშვნა მათი სომხურენოვნებისა, პირდაპირ სთხოვდა, წერილი მისწერე ცურტაველ სომხებსო, მაგრამ წერილს სწერენ არა სომხებს, არამედ სომხურენოვან ქართველებს, ე.ი. სომხური საეკლესიო ენისა და ქართული დედაენის მქონე ქართველებს. თარგმანი „სომხურენოვანი“ მთლად ზუსტი არ არის. ძალზე ძნელია მისი ქართულად გადმოღება, აქ იგულისხმება სომხური მნიგნობრობის მქონე და ასევე სომხური მღვდელმსახურების მქონე ადგილობრივი ქართველობა. პირობითად შეიძლება „სომხურენოვანად“ ითარგმნოს შესაბამისი სომხური ტერმინი, თუმცა, შეიძლებოდა „სომხური წიგნის მქონედაც“ თარგმნილიყო. ეს „სომხური წიგნის მქონე“ ან „სომხურენოვანი“ ქართველები წმიდა გრიგოლის ტახტის ერთგულ მრევლად მიაჩნიათ. მოულოდნელი არ არის და ასე იყო თითქმის მთელი შუასაუკუნეების მანძილზე, როცა ერთ რომელიმე ხალხს მღვდელმსახურება ჰქონდა არა დედაენაზე, არამედ უცხო ენაზე. ცხადია, მათი წიგნებიც უცხოენოვანი იყო. მაგალითად, გერმანელებს მღვდელმსახურება ჰქონდათ არა მშობლიურ გერმანულ, არამედ უცხო ლათინურ ენაზე, მათი წიგნებიც ლათინურენოვანი იყო. ამიტომაც მათთვის შეიძლებოდა „ლათინურენოვანი“ ეწოდებინათ.

2. II ეპისტოლე:

ვრთანეს ქერდოლი პასუხად მოსეს აქებს, ამხნევებს და აცნობებს, რომ მან წერილი მისწერა „სომხურენოვან“ მრევლს (იგულისხმება ან ცურტავში, ან მთელ საქართველოში).

3. III ეპისტოლე:

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოტანილია მოსე ეპისკოპოსის საყოველთაო ეპისტოლე ცურტავის ეკლესიის „სომხურენოვანი“ თემისადმი, რომელშიც ის გამოხატავს ქალკედონიტობას. როდესაც ის „დაემორჩილა“ იმათ, რომელთაც მისი ეპისკოპოსად კურთხევა უნდოდათ და „ისმინა მათი მოწოდება“, როცა ეპისკოპოსი

გახდა, უეცრად „შეეყარა გმობას“ – „...დავემორჩილეთ და გულმოდგინედ ვისმინეთ მონოდება, რისთვისაც უეცრად შევეყარეთ გმობას რასმე...“ (გვ. 7), ანუ ქალკედონიტობას. მეო, – წერს ის, – ვერ შევძელი დუმილით დამეფარა სნება – „...რის გამო აღვიძარით კიდევ, ამის გამო მტრად ვიქეციით ყოველთა. რამდენადაც ვამხილეთ, იმდენად უფრო დაგვემუქრნენ მღვდელმთავარნი და მთავარნი, ვიდრე არ გამაძევეს“ (გვ. 8). ძალზე საყურადღებოა, რომ მოსე ცურტავის ერთ კუთხეში ამხელს ქალკედონიტობას და მას მაშინვე მყისიერად დაემუქრნენ სრულიად ქართლის მთავრები და ეპისკოპოსები, მთელი ქვეყანა მტრად გადაეკიდა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ცურტავი ქართლის განუყოფელი ნაწილი იყო - „...ხმა ავიმალლეთ და მტერი გავხდით კათალიკოსად წოდებულისა, ყველა მთავრისა და იმ ქვეყნისა და ბოლოს ვიდევნე“ (გვ. 2).

მოსე აფრთხილებს თავის „სომხურენოვან“ მრევლს, ფრთხილად იყოს. „ქურდულად შემოაცოცეს და შემოიღეს მწვალე-ბლობა...“ (გვ. 11). „ან ესე ყოველი ვიციით რა, საყვარელნო, ვიაროთ სამეუფეო გზით, ნურც მარჯვნივ გადავუხვევთ და ნურც მარცხნივ“ (გვ. 12).

4. IV ეპისტოლე:

„ეპისტოლეთა წიგნში“ მოტანილია ეპისტოლე, რომელსაც სათაურად აქვს „მიზეზი ორბუნებიანთა მეოთხე კრებისა, მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა“ (გვ. 15). ამ სათაურიდანაც ჩანს, რომ მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი არის მონოფიზიტი, ანუ „მართლმადიდებელი“, რადგან სომხები ასე უწოდებდნენ მონოფიზიტებს. ამასთანავე, რაც აღსანიშნავია, მოსე არის ეროვნებით ქართველთა ეპისკოპოსი. მას უწოდებენ „მოსე ქართველთა მართლმადიდებელ ეპისკოპოსს“. აქედანაც ჩანს, რომ ცურტავის „სომხურენოვანი“ თემი ქართველების თემია, ოღონდ ამ ქართველებს სომხური ტიპიკონი აქვთ მიღე-

ბული, ისინი საეკლესიო დანიშნულებისთვის სომხურ წიგნებს ხმარობენ, ამიტომაც „სომხურენოვანი“ არიან. თვით სომხური ეკლესია მათ ქართველებად მიიჩნევს და არა სომხებად, ამიტომაც მათი ეპისკოპოსი მოსე „ქართველთა“ ეპისკოპოსია. ეს არის უეჭველი ფაქტი, დადასტურებული პირველხარისხოვან წყაროში – „ეპისტოლეთა წიგნში“, ამიტომაც ამ ფაქტის იგნორირება არ შეიძლება.

5. V ეპისტოლე:

მოსე ეპისკოპოსმა მიიღო საპასუხო ეპისტოლე „სომხურენოვანთაგან“, ანუ როგორც თავიანთ თავს უწოდებენ, „ძმობისაგან“, ისინი, კერძოდ, შესჩივიან მას – „...ხოლო თუ არა, ჩვენთვის სხვა ღონე არ არის: ან უნდა დავრჩეთ ამ ქვეყანაში და ამის სურვილისამებრ მოვიქცეთ, ან დავტოვოთ და განვეცალოთ“ (გვ. 31). ე.ი. ან კირიონის სურვილისამებრ უნდა მოვიქცეთ, ან გავეცალოთ ამ მხარეებსო. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს „ძმები“ სომხურენოვანი თემის სასულიერო მეთაურები არიან და სწორედ ეს „ძმები“. რამდენიმე კაცი აპირებს საქართველოს დატოვებას და არა მთელი სომხურენოვანი თემი.

6. VI ეპისტოლე:

ვრთანეს ქერდოლმაც მისწერა წერილი სომხურენოვან თემს. ის სწერს „...სავანეთა ხუცესებს, სოფლის მღვდლებს, აზნაურებსა და გლეხებს, მოხუცებსა და ყრმებს. ყველა და ყოველ ერისკაცს მაგ სომხურენოვანი ქვეყნებისას, რომელნიც ხართ ცურტავის ეკლესიის განმგებლობაში“ (გვ. 32). აქედან ჩანს, რომ ცურტავის ეკლესიაში უნდა ვიგულისხმოთ არა დაბა ცურტავის ერთი რომელიღაც ეკლესიის მცირერიცხოვანი სამწყსო, არამედ ცურტავის ეკლესია ყოფილა ცენტრი მრავალრიცხოვანი „სომხურენოვანი“ თემისა, რომელშიც შედიან „ქვეყნები“ (და არა ერთი ქვეყანა), სავანეები, სოფლები, აზნაურები, გლეხები და ა.შ. ეს არის სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს სომხური ტიპიკო-

ნის მქონე ქართული მოსახლეობა, ხოლო როცა მოსე ეპისკოპოსს „ძმობამ“ მისწერა, ან კირიონის სურვილებს უნდა დავემორჩილოთ, ან ქვეყანა უნდა დავტოვოთ, აქ იგულისხმება. რომ ქვეყნის დატოვებას აპირებს არა მთელი „სომხურენოვანი“ თემი, არამედ სწორედ „ძმობა“, ანუ ამ თემის სასულიერო მეთაურები. მთელ „სომხურენოვან“ თემს, ცხადია, ქვეყნის დატოვება არ შეეძლო, მაშინ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო მკვიდრი მოსახლეობისგან, ანუ ქართველებისგან დაიცლებოდა.

ვრთანესი წერს, რომ სომეხ-ქართველ-ალბანელ ეპისკოპოსთა გაერთიანებულ კრებას თავის დროზე საშინელი წყევლით აღმოუფხვრია ქალკედონიტობა, ახლა კი კირიონი თავის ეპისკოპოსებთან და მთავრებთან ერთად ქალკედონიტობას იწყნარებს და განადიდებსო. გვესმა თქვენს შესახებაც, რომ თქვენ თავდადებული ხართ მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის (ანუ მონოფიზიტობისათვის), რომელიც თქვენს ქვეყანას დასაბამითვე შეუწყნარებიაო.

7. VII ეპისტოლე:

ვრთანეს ქერდოლს უპასუხებენ „**სომხურენოვანნი**“. ისინი, სხვათა შორის. სიტყვა „**ქართლს**“ არ ხმარობენ, ხოლო თითქოსდა კავკასიის იმ მხარეში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, სწორი სარწმუნოება წმიდა გრიგოლის მიერ ყოფილა დანერგილი. ჩანს, ეს პასუხი დანერილია არა მთელი თემის, არამედ მისი სასულიერო ხელმძღვანელების, „**ძმების**“ მიერ. ისინი ნატრობენ, რომ სომხური ეკლესიის მეთაურმა „**...მოჰკითხოს ცთუნებულ ჩვენს ქვეყანას..., რადგან მანდედან დახმარებისა და ზურგის გარეშე შეუძლებელია ყოფნა – ისეთ მძლავრ ამაცს, რომელიც მამამთავრად იწოდება, შევყრილვართ, თუ არა, უნდა დავტოვოთ ეს ქვეყანა და წავიდეთ**“. ქვეყნის დატოვებასა და წასვლას აპირებს არა „სომხურენოვანი“ თემი, არამედ რამდენიმე კაცი, მსგავს-

ნი მოსე ეპისკოპოსისა, რომელნიც თავიანთ თავს მთელი თემის მეთაურებად აცხადებენ და ასეთი სახის ეპისტოლეებს აგზავნიან (გვ. 34).

8. VIII ეპისტოლე:

მოსე ეპისკოპოსი მეორე ეპისტოლეს უგზავნის ვრთანეს ქერდოლს, სადაც ითხოვს, რომ ვრთანესმა შესაბამისი წერილები მისწეროს კირიონს, ქართლის მთავრებს – ატრნერსესა, ვაჰანსა და ბრზმიჰრს – „ქალკედონის კრების მხილებით და ერთი დავალების წიგნი – პეტრეს“. პეტრე – ქართველი მონოფიზიტი ეპისკოპოსია, ამიტომაც მას ქალკედონის კრების „მხილების“ წიგნი არ უნდა მიეწეროს – არამედ „დავალების წიგნი“. პეტრე ქართველი ეპისკოპოსი ვალდებულია დავალება შეასრულოს. კირიონის შესახებ წერს, რომ „...იგიც მაგ წმიდა საყდრის მონაფეა“ – ე.ი. სომხური ეკლესიისა. ასევე წერს: „...აღბანეთიდან ქართლის ქვეყნამდე ჩვენ გვხვდა წილად შეგვესრულებინა სახარება ქრისტესი...“, ვითომდა მთელი ამიერკავკასია სომხური ეკლესიის კერძია.

9. IX ეპისტოლე:

ვრთანესი უპასუხებს მოსეს, რომ მან წერილები დანერა ქართლის კათალიკოსისა და მთავრებისადმი. ზოგიერთი წერილის გაგზავნა თავისი კაცის ხელით ვერ გაბედა ან ვერ შეძლო, ამიტომაც სთხოვს მოსეს, წერილები წაიღოს მისმა კაცმა. თუ უარყოფითი პასუხები მოგვივაო, წერს, მაშინ „...უბრძანე თქვენს ნაცნობ და საყვარელ მთავრებს, მოსწერონ ჩვენი ქვეყნის დიდებულ მთავრებს, რომ ჩვენ თვითონ წავიდეთ ამათი ბრძანებით და ქრისტე ღმერთის შეწვევით ვამხილოთ, რათა გამოსწორდნენ“. თუ არ გამოსწორდებიან, ჩვენ ფეხთა მტვერს მივაცყრით, მოვალეობა მოხდელი გვექნებაო. აქედან ჩანს, რომ ვრთანესსა და სომეხ იერარქებს უფლება არა აქვთ ქართლში ჩასვლისა, გულითაც რომ მოინადინონ, ალბათ, პოლიტიკური

სიტუაციის გამო. ის ასეთი ხერხით აპირებს ქართლში ჩასვლას და ქართველთა „მხილებას“: მოსეს ნაცნობმა და მეგობარმა ქართველმა მთავრებმა უნდა მისწერონ სომეხ მთავრებს, რომ სომეხ იერარქებს ქართლში ჩასვლის უფლებას აძლევენ. ჩანს, ქართლში ისეთი მთავრებიც არიან, რომელნიც მეგობრობენ მოსესთან, ანუ უთანაგრძნობენ მონოფიზიტებს (გვ. 38).

10. X ეპისტოლე:

ქართველ მონოფიზიტ ეპისკოპოს პეტრეს სწერს ვრთანეს ქერდოლი და მას უწოდებს „ღვთივმომადლებულ პატივით გაბრწყინებულ დიდებულ უფალ პეტრეს“ (გვ. 38). – „...თქვენს ქვეყანაში განადიდებენ ამ კრებას, რის გამოც მაგ ქვეყნის ერთი ეპისკოპოსი ლტოლვილი წავიდა... ხოლო თქვენ როგორც მიიღეთ ღმერთის ქომაგობა თქვენს თავზე, ასევე მტკიცედ იდევით მაგ საქმის აღსრულებამდე...“ (გვ. 39). აქედან ჩანს, რომ ქართველი ეპისკოპოსი პეტრე მონოფიზიტობის ქომაგია ქართველთა ქვეყანასა და ეკლესიაში. ვრთანესი ავალებს პეტრეს, რათა პეტრემ მისწეროს სომეხ მთავრებს, რომ მათ სომეხ იერარქებს ქართლში ჩასვლის ნება დართონ.

11. XI ეპისტოლე:

კირიონ კათალიკოსს, ქართველ ეპისკოპოსებსა და მთავრებს სწერს ვრთანეს ქერდოლი, – „...ეხლა შევიტყვეთ, რომ თქვენ ქალკედონის უსჯულო კრებასა და ლეონის ტომარს მართლმადიდებლურად და დიდების ღირსად თვლით“ (გვ. 41).

„თქვენმა ღვთისმოყვარებამ არ უნდა მიიღოს მეტი ვისიმე მოძღვრება, თუ არა სამი წმიდა და წრფელი კრებისა... ამაზე მეტი სარწმუნოების საზღვარი ჩვენსა და თქვენს მამებსა და მოძღვრებს არ შეუწყნარებიან“ (გვ. 41) და ა. შ. „უკეთუ რაიმე ეჭვი გაქვთ გულში და მის შესახებ გსურთ გამოიკვლიოთ, მოსწერეთ ჩვენი ქვეყნის დიდებულ მთავრებს, რათა მოვიდეთ მანდ“ (გვ. 43).

12. XII ეპისტოლე:

მოსე ეპისკოპოსი მესამე ეპისტოლეს უგზავნის ვრთანეს ქერდოლს. აუწყებს, რომ კირიონთან თქვენი ეპისტოლეს მიტანა ჯერ ვერავინ გაბედა, შემდეგ, როცა მიუტანეს და ნაიკითხა, აღივსო რისხვით, ფერი ეცვალა, „**წყევლიდა, აგინებდა და ათრევდა სომხეთს და წერილის პასუხი არც თვით დანერა და არც სხვებს დაანერინაო**“ (გვ. 43). იმუქრებოდა, ამ წერილს „იერუსალიმის ქალაქის მამამთავართან წავალებინებ, რომ პასუხი გასცესო“. კირიონს იმიტომ სურდა იერუსალიმში სომეხთა წერილის გაგზავნა, რომ ეკლესია საზოგადოდ იერუსალიმის სჯულიერი დაქვემდებარების ქვეშ მიაჩნდა, თუმცა, მართალია, 554 წლის შემდეგ სომხურმა ეკლესიამ ოფიციალურად განწყვიტა კავშირი დედა-ბერძნულ ეკლესიასთან.

ჩანს, 506-520-იანი წლების სომხურ-ქართულ-ალბანური გაერთიანებული კრებების შემდეგ სომხეთი ამ კრებების გადაწყვეტილებების შესრულებას დაჟინებით მოითხოვს სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. სამაგიეროდ, იმავე კრებების გადაწყვეტილების შესრულებას კირიონი მოითხოვს იერარქიულ-სულიერი დაქვემდებარების თვალსაზრისით, ანუ თუ სომხეთი ითხოვს ამ კრებების სარწმუნოებრივი კურსი დაიცვას, კირიონი მოითხოვს, ამ კრებების მიერ გამოტანილი დადგენილება მსოფლიო ეკლესიასთან კავშირის შესახებ დაიცვას სომხურმა ეკლესიამ.

13. XIII ეპისტოლე:

ვრთანესი უპასუხებს მოსეს: შენი წერილიდან შევიტყვე, თუ რატომ არ გამცა კირიონმა პასუხი. ქართველ აზნაურთაგან კი ზოგიერთებმა პასუხი მომწერეს. მაგრამ მათი პასუხი სნეული, მბოდავი ავადმყოფის ლაპარაკს გავს, რომელმაც არ იცის, რას ამბობს. ისინი მწერენ, – „...ჩვენ ეს სარწმუნოებაცა გვაქვს და ეგეცო, სჯულს აქაც ვეზიარებით და მანდაცო, მოსეს თუ სურს,

მოვიდეს, ჩვენს კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ჩვენ ასე მოგვწონს, და თავისი ადგილი დაიკავოსო“ (გვ. 45).

ქართველი აზნაურების პასუხიდან ნათლად ჩანს, რომ შეიძლება ქართველი მმართველი ზედაფენისთვის სარწმუნოებრივი მიმართულების საკითხი მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ისინი სისხლხორცეულად დაინტერესებულნი არიან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობით. ქართველ აზნაურებს მონოფიზიტობა იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც ის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, კერძოდ, მონოფიზიტობა სომხური ეკლესიის ხელში იქცა იარაღად, რომლის საშუალებითაც ის აპირებს ქართული ეკლესიის, ან მისი რომელიმე ნაწილის დაქვემდებარებას სომხურისადმი. ასეთი პოლიტიკის მკვეთრი მოწინააღმდეგენი არიან ქართველი აზნაურები. ისინი სარწმუნოებრივი, ასე ვთქვათ, განურჩევლობის თუ ზომიერების გამო მზად არიან უკანვე მიიღონ მოსე ცურტავის ეპისკოპოსი, არ შეეხონ მის მონოფიზიტობას და დაუბრუნონ მას საეპისკოპოსო ტახტი, ოღონდ ერთი პირობით – მონოფიზიტი მოსე განუხრელად უნდა დაექვემდებაროს ქართული ეკლესიის მეთაურს. მის სარწმუნოებრივ შეხედულებას არავინ შეეხება, ქართული ეკლესიის ერთიანობის დარღვევის და დეცენტრალიზაციის უფლებას კი არ მისცემენ.

პასუხიდან შეიძლება გავიგოთ, რომ ცურტავი და მისი სამწყსო ქართლშია და მის სამწყსოს ქართველები შეადგენენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპარსთა მიერ ქვეყნის დაპყრობის დროს, ცურტავსა და მის სამწყსოზე უფლება არ ექნებოდათ ქართველ აზნაურებს, და აგრეთვე ის, რომ ქართლში მართლაც ფეხი აქვს მოკიდებული ჰენოტიკონის მიმდევარ, ანდა მონოთელიტობის მაგვარ სარწმუნოებრივ შეხედულებას, ეს არის ქალკედონიტებისა და მონოფიზიტების შემრიგებლური პოლიტიკა – „ჩვენ ეს სარწმუნოებაცა გვაქვს და ევეც, სჯულს აქაც ვეზიარე-

ბით და მანდაც“, ე.ი. ჩვენ ქალკედონიტებიც ვართ და მონოფიზიტებიც ერთდროულად. ერთი წამით შეიძლება ვიფიქროთ, მონოთელიტობის სამშობლო ფაზისის ქვეყანა საქართველოა, ხოლო მისი ლიდერი კირიონია. თუმცა, კირიონი ძირითადად მაინც მებრძოლი ქალკედონიტია, რაც მისი შემდგომი ეპისტოლეებიდან ჩანს, ის მხოლოდ უთმობს მონოფიზიტებს, რადგანაც, ჩანს, ქართლში მრავალი ქართველი მონოფიზიტი ცხოვრობს, განსაკუთრებით სამხრეთ მხარეებში. ქართველი ერისა და ეკლესიის ერთიანობისათვის უმჯობესად მიაჩნიათ დათმობა.

შემდგომ ვრთანესის ეპისტოლე ეძღვნება სარწმუნოებრივ საკითხებს, კერძოდ, ის წერს. „...**იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც ხელახლა დაამტკიცეს... ქალკედონის კრება, რომელიც აღმოფხვრა კეთილმსახურმა ზენონმა შემაერთებული წერილით და ამის შემდეგ... ანასტასიმ**“ (გვ. 46).

ანასტასის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორი გამხდარა იუსტინე. მან ბრძანება გასცა, „...**დაემტკიცებინათ მათგან დარღვეული ლეონის ტომარი და ქალკედონის კრება. თუ ვინმე გაბედავდა მეფის ბრძანებას წინააღდგომოდა, მახვილითა და სხვადასხვა ტანჯვით ამოეწყვიტათ, მაშინვე ყველა ეკლესია სისხლით შეიღებოდა...**“ (გვ. 47).

ვრთანესის, ანუ სომხური ეკლესიის თვალსაზრისით, თითქოსდა ქალკედონის კრება ბიზანტიამ ოფიციალურად მიიღო VI საუკუნეში იუსტინე იმპერატორის დროს (518-527). „**მცირე ჟამსა ეპყრა მეფობა იუსტინეს ... გამეფდა იუსტინიანე**“ (გვ. 47). იუსტინიანე (527-565) თავისი მეფობის პირველ წლებში ქალკედონიტი ყოფილა, მერე თითქოსდა მონოფიზიტობა მიუღია, მაგრამ მოუკლავთ. „ეთათბირა მეფე თავის დიდებულებს, რომ აღმოფხვრან ქალკედონის კრების ახალსახიობის განსაზღვრება... მაშინვე ეწია მას მზაკვრული სიკვდილი“. ამიტომაც გავრცელდა ქალკედონიტობაო, – წერს ის.

იუსტინიანეს დროს ქართლი სპარსეთს აქვს დაპყრობილი. ჩანს, სპარსელები ბერძენ კათალიკოსს ქართლში ჩასვლის ნებას არ აძლევენ. ბიზანტიას ქართულ ეკლესიაზე ხელი აღარ მიუწვდება, ამის გამო იუსტინიანე ნებას აძლევს ქართულ ეკლესიას ქართლშივე აირჩიონ ქართველი კათალიკოსი.

14. XIV ეპისტოლე:

ამ ეპისტოლეში გადმოცემულია „კანონები, რომლებიც დაიდო დვინს, როცა განზრახვა იყო ...სომეხთა კათალიკოსი განენესებინათ მოსე კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ და იმჯერად დაბრკოლდა“, რომლიდანაც ჩანს, რომ სომხეთში მრავლად ყოფილან ქალკედონიტები – „ეხლა ჩვენი ქვეყნიდან ქალკედონის კრების... მალარებლებთან და შემწყნარებლებთან ერთად მრავალნი ეზიარნენ, ზოგი ნებაყოფილებით ამაო დიდებისმოყვარეობის და მლიქვნელობის გამო, ხოლო ზოგი უნებურად...“ (გვ. 53).

კანონები ეხება იმას, თუ როგორ უნდა მიიღონ თავიანთ წრეში ის სამღვდლო პირი, რომელიც დაგმობს და უარყოფს ქალკედონიტობას.

15. XV ეპისტოლე:

ამ „ეპისტოლეში“ გადმოცემულია „ხელწერილი, რომელიც სთხოვა სმბატ ვრკანის მარზპანმა იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც კვლავ შეიკრიბნენ მისი ბრძანებით დვინს, რათა განენესებინათ სომეხთა კათალიკოსი...“ (გვ. 57).

ხელწერილში სომეხი ეპისკოპოსები გმობენ ქალკედონის კრებას და სმბატ მარზპანთან ერთად წყევლიან მას.

16. XVI ეპისტოლე:

ამ „ეპისტოლეში“ მოყვანილია „ხელწერილი, რომელიც მისცეს აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სომეხთა ქვეყნის კრებაზე მათ, რომლებიც იყვნენ რომაელთა ხელისუფლების ქვეშ მავრიკეს კეისრობის დროს“ (გვ. 59).

სომხური ეკლესია ორად იყო გაყოფილი, ერთი მონოფიზიტური ნაწილი სპარსეთის სომხეთში იყო, ხოლო ბიზანტიურ სომ-

ხეთში ქალკედონიტური სომხური ეკლესია არსებობდა. ხოსრო II-ის ბიზანტიაზე შეტევის შემდგომ ქალკედონური სომხეთი სპარსეთმა დაიპყრო, ამიტომაც ტახტზე ასულმა აბრაამ კათალიკოსმა (607-615) მოითხოვა ქალკედონიტი სომეხი იერარქებისგან, დაედოთ ხელწერილი მის წინაშე. ამათ თითქოსდა „ვედრებით მოგვმართეს, რომ შევუერთოთ ისინიც ქრისტეს ჭეშმარიტ სამწყსოს ეკლესიის ძმობას და თქვეს ერთპირად, რომ უცვლელად დავიცავთ... შევინყნარეთ ისინი...“ (გვ. 60).

17. XVII ეპისტოლე:

ტახტზე ასვლისთანავე აბრაამ კათალიკოსს ეპისტოლეს უგზავნის მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი. ულოცავს საკათალიკოსო ტახტზე ასვლას და სომხური ეკლესიის გაერთიანებას. მას ახარებს ქალკედონიტური სომხური და მონოფიზიტური სომხური ეკლესიების გაერთიანება – „...სულიერი და ხორციელი განყოფის კვლავ შეერთება“ (გვ. 62). სომხური ეკლესიის შეერთების შემდეგ დროაო, – წერს მოსე, – „შეწიოთ ქრისტეს ეკლესიას, რომელიც თანამორწმუნე და მონაფე იყო თქვენი და ახლა დასნეულებული გაჭირვებაშია“ (გვ. 63), – ქართულ ეკლესიას გულისხმობს.

სომხური ეკლესიის „თანამორწმუნესა და მონაფეს“ მოსე ეპისკოპოსი უწოდებს არა ცურტავის ეკლესიას, არამედ მთელ ქართულ ეკლესიას, რადგანაც იქვე, ქვემოთ წერს: „იყოს თქვენ სასიქადულოდ ქრისტეს მიმართ, თუ მე მომეცემა მადლი, რომ ვიქადაგო ქართლიდან ალბანთა ქვეყნამდის... და ესოდენი ხალხი შეგძინო თქვენ“ (გვ. 64). მას და აბრაამ კათალიკოსსაც მიაჩნიათ, რომ სომხური, ქართული და ალბანური ეკლესიები ერთიან – ერთ ეკლესიას შეადგენენ, ცხადია, სომხების მეთაურობით. ამას საეკლესიო „ერთობას“ უწოდებენ, სხვა ეპისტოლეებიდან ეს კარგად ჩანს. მოსე ქართული ეკლესიისადმი „შენწენის“ შემდეგ ღონისძიებებს ჩამოთვლის: – „ლოცვით... თქვენი გამრჯე

მოძღვრებით და მაგ დიდებულ მთავართა შემწეობით“ (გვ. 63). ქართული ეკლესიის დამორჩილებას აპირებენ სპარსეთის მოხელე სომეხი მთავრების შემწეობით – „...**ვეცადოთ მოვაქციოთ ის უარყოფელი და განდგომილი ხალხი სიმართლეზე და მივანოთ იმავე ბაკს ერთი მწყემსისა**“ (გვ. 63). მოსეს მიაჩნია და შეახსენებს აბრაამს, რომ ქართული ეკლესია, თურმე, სომხურ ეკლესიასთან ერთად ერთ „ბაკში“ ყოფილა გაერთიანებული და ერთი „მწყემსი“ ჰყოლია. ცხადია, აქ იგულისხმება არა ერთი მსოფლიო ქრისტიანული სამწყსო და ერთი მწყემსი – უფალი იესო ქრისტე, არამედ სომხურქრისტიანული „ბაკი“ და სომეხი „მწყემსი“, სომხური ეკლესია და მისი კათალიკოსი.

18. XVIII ეპისტოლე:

აბრაამ კათალიკოსი მოსეს სწერს პასუხს, რომლიდანაც ჩანს, რომ აბრაამი მარტო სომხეთის ეკლესიით არ კმაყოფილდება. თავისი თავი ქართლსა და ალბანეთზე ღვთის განგების აღმსრულებლად მიაჩნია. ის სთხოვს მოსეს, ილოცოს მისთვის, რათა მისცეს ღმერთმა ძალა, „...**რათა სისრულით ვაჩვენოთ მისი განგება ჩვენი ქვეყნის მიმართ. ასევე ქართლისა და ალბანეთის ქვეყნისაც**“ (გვ. 65). აჩქარებს მოსეს, რომ მივიდეს აბრაამთან – „სანამ უფალი სმბატი აქაა, ვისწრაფოთ...“ (გვ. 66).

სმბატ მარზპანი სპარსეთის დიდმოხელეა, მეფესთან დაახლოებული, საგანგებოდ გამოგზავნილი სომხეთსა და ამიერკავკასიაში საეკლესიო საკითხების გადასაჭრელად, დავალებული აქვს, ყველა ეკლესია სპარსული ორიენტაციისა გახდეს, ანუ მონოფიზიტური. ეს არის ეპოქა სპარსეთის ბიზანტიაზე გამარჯვებისა, ბიზანტიელები განიდევნენ ბიზანტიური სომხეთიდან და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, ამის გამო სმბატმა მიაღწია სომხურ-ქალკედონური ეკლესიის განადგურებას და წარმატებით გააერთიანა ეკლესია პროსპარსულ-მონოფიზიტურ ნიადაგზე. ამის შემდეგ კი სომეხ იერარქებს იმედი აქვთ, სპარსე-

თის ძალით, ანუ სმბატის შემწეობით ასევე მოსპობენ ქალკედონიტობას ქართლსა და ალბანეთში და ისევე აღადგენენ ამიერკავკასიის საეკლესიო ერთობას, რომელიც არსებობდა VI საუკუნის I ნახევარში 70-იან წლებამდე.

19. XIX ეპისტოლე:

სომეხთა კათალიკოსი აბრაამი პირველ ეპისტოლეს უგზავნის კირიონს – ქართლის კათალიკოსს, მიმართავს პატივისცემით – „სინმიდის მოყვარე უფალს, კირიონ ქართლის კათალიკოსს“. შემდეგ პირდაპირ წერს, „წინათ ჩვენმა მამამთავარმა მოსემ მოგწერა თქვენ ბრალდება თქვენი ზიარების გამო მათთან, რომლებთანაც არა ჯერ იყო, თქვენც წერილით და მცნებით იკისრეთ, რომ არ განშორდებოდით ზიარებას ჩვენი ქვეყნის საერთო სარწმუნოებასთან“ (გვ. 66). აღსანიშნავია აბრაამის ტონი, ის დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურს წერს ბრალდებას, ადანაშაულებს, ავალდებულებს, რომ არ უნდა განშორდეს მათ. კირიონსაც თითქოსდა თავი დაუცავს, **„წერილითაც და მცნებით“** დაუდასტურებია, რომ ერთგული იქნება და არ განშორდება იმ სარწმუნოებას, რომელიც სომხურ ეკლესიას აქვს. ასეთი მდგომარეობა არ არის გასაკვირი სპარსთა ზეგავლენის გამო.

შემდეგ აბრაამი წერს: **„ახლა კი უბოროტესმა და უმძიმესმა ამბავმა მოაწია. სარწმუნოების ერთობასა და ორთავე ჩვენი ქვეყნის მასპინძლობას ცურტავის ეკლესია ურყევი შუამავლობით იცავდა... ამჟამად ცურტავის ეპისკოპოსი დევნილია“** (გვ. 67).

აბრაამს სიკვდილზე უარესად მიაჩნია სომხურენოვანი საეკლესიო მსახურების ნაცვლად გუგარქელთათვის მშობლიური ქართულენოვანი მსახურების დანერგვა ქვემო ქართლის ცენტრ ცურტავში. **„...სომხური მსახურება წმიდა შუშანიკისგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ, ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნიეთ ეგ საქმე“** (გვ. 67).

აქედანაც ჩანს, რომ ცურტავში სომხურენოვანი მსახურება ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ე. ი. IV ს-დან კი არ იყო დანერგილი, არამედ V ს-ის ბოლოდან, ან VI ს-ის დასაწყისიდან, წმიდა შუშანიკის საფლავზე ეკლესიის აშენების შემდგომ.

ყოველ შემთხვევაში ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურება წმიდა შუშანიკის დადგენილად ითვლებოდა.

მაგრამ აბრაამის ეპისტოლე შეეხება არამხოლოდ ცურტავის ეკლესიას, არამედ მთლიან ქართულ ეკლესიას. ქართულ ეკლესიას ის სომხურ ეკლესიაზე ხელშეკრულებით დაკავშირებულად მიიჩნევს. კირიონს ბრალად სდებს სპარსეთის მეფის კავადის დროს ამ ეკლესიათა შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევას – **„თუმცალა მეფეთა მეფის კავადის წლებში კვლევა-ძიება იქმნა ჩვენს ქვეყანასა და რომაელთა შორის, რომელთაც ქალკედონის კრება... შეიწყნარეს, ჩვენი და თქვენი ქვეყნების მოძღვარნი და მთავარნი განემორნენ მათთან ზიარებას, რაც ერთობის წიგნითაც არის დაცული ჩვენ შორის აქამომდე“** (გვ. 67).

კავად I-ის დროს (488-531) ქართლისა და სომხეთის ქვეყნების მთავრები და ეკლესიების იერარქები შეკრებილან, მათ დაუდვიათ „ერთობის წიგნი“ – ეს არის ალთქმა ან ხელშეკრულება, წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დაცულია აბრაამის დროსაც. ეს ხელშეკრულება დაუდვიათ მაშინ, როცა საბერძნეთის იმპერიას ქალკედონიტობა უღიარებია. აქ არ იგულისხმება 506 წლის დვინის კრების ხელშეკრულება, რადგანაც ამ დროისათვის თვით ამ პოლემიკაში მონაწილე სომეხი იერარქების მტკიცებით, ბიზანტია იყო არა ქალკედონიტური, არამედ მონოფიზიტური, აქებენ ამ დროის იმპერატორ ანასტასის (491-518), რომლის დროსაც ჩატარდა 506 წელს დვინის კრება. არა მარტო ანასტასი, არამედ მისი წინაპარი ზენონიც (474-491) დიდად საქებია სომხური ეკლესიისთვის, რადგანაც ზენონსა და ანასტასის მონოფიზიტებად აცხადებენ.

სომეხი პოლემისტების აზრით, ბიზანტია ქალკედონური გახდა იმპერატორ იუსტინეს დროს (518-527). სწორედ ამ დროს, ე.ი. როცა ბიზანტიამ „ქალკედონის კრება შეინყნარა“, სპარსეთის მეფე კავად I-ის ეპოქაში შემდგარა სომეხ-ქართველთა ანტიქალკედონური ერთობის კრება 518 წლიდან 531 წლამდე, ე.ი. ანასტას კეისრის შემდგომ კავადის სიცოცხლეშივე – იუსტინეს დროს.

518-531 წლებში ჩატარებული კრება და არა 506 წლის კრება არის სომხურ-ქართული ეკლესიების სარწმუნოებრივი ერთობის კრება. 506 წლის კრება ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად უნდა მოწვეულიყო.

აბრაამი მოუწოდებს კირიონს, არ ინებოს, რომ „...**უცხოობა ჩამოაგდოს ორ ქვეყანას შორის...**“ (გვ. 67). „ორ ქვეყანას შორის“, ცხადია, ქართლი და სომხეთი იგულისხმება და არა სომხეთი და ცურტავი. ის წერს: „აქედან მცხეთაში მიდიოდნენ და მანდედან წმიდა კათოლიკეს მოდიოდნენ“, ე. ი. სარწმუნოებრივი ერთობა არსებობდა. ეს ერთობა წერილობით დოკუმენტს – მამათა მიერ დადებულ შეთანხმებას ეფუძნებოდა, სომხურენოვანი მსახურების შეცვლით ერთობა ირღვევა.

აბრაამი კირიონს სწერს, რომ აპირებს ქართლში გაგზავნოს სომეხი ეპისკოპოსები, რათა მათ კირიონს გააცნონ ქალკედონის კრების „ვნება“.

შემდეგ პოლიტიკურ დანაშაულში სდებს ბრალს – „**არის რალაც, რომელიც დაუჯერებლად გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან რომ შექმნა მეფეთა მეფის შინათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გაშორდე, მართლაც რომ ძლიერ მძიმეა**“ (გვ. 68).

ქართლი ამ დროს სპარსთაგან დაპყრობილია, კირიონს ადანაშაულებენ იმაში, რომ სპარსეთის მტერ ბიზანტიასთან „სიყვარულის ერთობა აქვს“, ანუ ქალკედონიზმის გზას ადგას, ხოლო „ბუნებით თანამოზიარე“ სპარსული ორიენტაციის სომხურ ეკლესიას სცილდება.

20. XX ეპისტოლე:

კირიონი საპასუხო ეპისტოლეს უგზავნის აბრაამს. პატივისცემით მოკითხვისა და მოსე სომეხთა კათალიკოსთან ურთიერთობის აღწერის შემდეგ ეხება ცურტავის ეკლესიაში სომხურ-ენოვანი მსახურების საკითხს, წერს, – **„და რომ ეწერა... სომხური მსახურება შეცვლილიაო, ჩვენ მსახურება არ შეგვიცვლია, ვინც ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის და სომხურიც, აგრეთვე, მსახურება ორივე მნიგნობრობით სრულდება...“** (გვ. 70). კირიონი წერს, რომ მას მოსე ცურტავის ეპისკოპოსი არ უდევნია სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო, – „მე ის არ მიდევნია, არამედ იყო რაღაც, რაც შევიტყვე მის უღირს საქმეთა შესახებ, მოვუწოდე ჩემთან...“. მაგრამ ამის მაგიერ მოსე სომხეთში გაქცეულა.

შემდეგ კირიონი წერს სარწმუნოების შესახებ. საერთოდ აღსანიშნავია, რომ კირიონი ერიდება აშკარად და დაუფარავად გამოაცხადოს ქართული ეკლესიის ქალკედონიტობის შესახებ, ის უფრო დუმს, ანდა მსოფლიო ავტორიტეტული ეკლესიების სარწმუნოებრივი მიმართულებების შესახებ მსჯელობით პოლემიკა გადააქვს საერთაშორისო საეკლესიო მდგომარეობაზე, **„ჩვენი და თქვენი მამებიც მეფის მონები იყვნენ და იერუსალიმის სარწმუნოება ჰქონდათ, ჩვენც და თქვენც აგრეთვე, თუმცაღა მეფეთა მეფის მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალიმის გვაქვს და გვექნება...“** (გვ. 7.).

იერუსალიმის ავტორიტეტის დამოწმების შემდეგ კირიონი აქებს სპარსეთის მეფეს – **„...ნეტარნი ვართ, რომლებიც მეფეთა მეფის სამსახურს ვენევით, რადგან რაც ცა და დედამინა არსებობს, არ ყოფილა არც ერთი უფალი, რომელსაც ყოველი ტომისათვის თავისი კანონები მიენდო, როგორც ამ უფალმა მიანდო... ჩვენ თავისუფალ ქვეყანას უფრო მეტად მიანდო, ვიდრე ყველა სხვა ქვეყანას და ჩემ კეთილ თავს უმეტესად, ვიდრე ყველა ჩემ**

მოყვასთ“ (გვ. 71). კირიონი იძულებულია აქოს სპარსეთის მეფე, რადგანაც სწორედ სპარსეთის მეფის ღალატი, ორგულობა დასწამა აბრაამმა მას I ეპისტოლეში. ხოსრო II-ს მართლაც ამ პერიოდისთვის ქრისტიანული სარწმუნოებრივი აღმსარებლობის თავისუფლება ჰქონია გამოცხადებული 614 წლამდე.

„ეპისტოლეთა წიგნის“ გამომცემლის თანახმად, კირიონი ძალზე დიდი დიპლომატია, მართლაც, კირიონი გასაოცარ დიპლომატიურ ნიჭს ავლენს, როცა წერს, – „მეფეთა-მეფე ისევე უფალია რომაელთა, როგორც არიელთა ქვეყნის და ასე არ არის, როგორც თქვენ მოიწერეთ, რომ სხვადასხვა არიან სამეფონიო“ (გვ. 72). ასეთი პასუხი სრულებით აყრევინებს ფარხმალს აბრაამს და ამის შემდეგ იგი ველარ ბედავს სპარსეთის მოღალატედ წარმოადგინოს კირიონი. სხვათა შორის, კირიონი მაინცადამაინც არ აჭარბებდა – ამ პერიოდში ხოსრო მეორეს სრული უფლება ჰქონდა, პრეტენზია განეცხადებინა ბიზანტიის სამეფო ტახტზე. საქმე ის არის, რომ მავრიკე კეისარი და მისი ვაჟები დახოცა აჯანყებულმა ბიზანტიელმა მხედართუფროსმა, რომელსაც ამ ეპისტოლეს დაწერისას ეომებოდა ხოსრო, რომელიც იყო მავრიკე კეისრის სიძე, ქალიშვილის ქმარი.

21. XXI ეპისტოლე:

ვრკანის მარზპანი სმბატი ეპისტოლეს სწერს კირიონ კათალიკოსს. სმბატი სპარსეთის მეფის დიდმოხელე იყო, ეროვნებით სომეხი, მონოფიზიტი. ის სპარსთაგან საგანგებოდ იქნა გამოგზავნილი თავის სამშობლოში, სომხეთსა და საერთოდ ამიერკავკასიაში საეკლესიო საკითხების გადასაჭრელად, რათა ეკლესიებს მიეღოთ პროსპარსული ორიენტაცია ანუ მონოფიზიტობა. „...მეფეთა-მეფემ ქველმოქმედებით სამშობლოში დაგვაბრუნა, სარწმუნოებისა და ეკლესიათა უკეთესად წესრიგში მოყვანა გვიბრძანა..., რადგან იყო რაღაც, რაც გახმაურდა“. სმბატი გულისხმობს ორად გაყოფილი სომხური ეკლესიის გაერ-

თიანებას, ანუ სომხეთის ერთ დიდ ნაწილში ქალკედონიტობის აღმოფხვრას. სპარსეთმა მიაღწია ქალკედონური სომხური ეკლესიის გარდაქმნას და შეუერთა ის მონოფიზიტურ ნაწილს. ამ წარმატების შემდეგ, სმბატის გეგმავა, მოსპოს ქალკედონიტობა ქართულ ეკლესიაში და აღადგინოს ამიერკავკასიის საეკლესიო ერთობა სომხეთის მეთაურობით. გაერთიანება სმბატის მთავარი მიზანია, რის შესახებ ის წერს კიდევ: „**იგივე საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ მოგვეწერა თქვენი სიწმიდისმოყვარეობისათვისაც, მო გვეთხრო ჩვენი თქვენთვის, რომ თქვენ ჩვენთან შეგვეერთებინე, როგორც ჩვენი მამები იყვნენ, რადგან ერთი მოძღვრის მონაფე და ხვედრი ვართ...**“ (გვ. 74). აქ სარწმუნოებრივი გაერთიანება არ იგულისხმება, რადგან ამ დროს აბრაამსაც და სმბატსაც თავი ისე უჭირავთ, თითქოსდა კირიონი მონოფიზიტია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეპისტოლეს მიწერის დროს კირიონს ჯერ არ გაუძახვლია თავისი ქალკედონიტობა. სმბატი გულისხმობს არა სარწმუნოებრივ, არამედ საეკლესიო გაერთიანებას. სმბატის მიზანია, გააერთიანოს ქართულ-სომხური ეკლესიები ისე, როგორც გააერთიანა ორად გაყოფილი სომხური ეკლესია, უფრო მეტიც, ქართული ეკლესია სომხურს შეუერთოს, – „**თქვენ ჩვენთან შეგვეერთებინე**“, ამას იმით ამართლებს, რომ თითქოსდა ორივე ეკლესიას ერთი განმანათლებელი გრიგოლი ჰყავს – „**ერთი მოძღვრის მონაფე და ხვედრი ვართ**“. გარდა ამისა, საეკლესიო ერთობას თურმე ტრადიციაც ჰქონია, თურმე ეს ერთობა ქართველ და სომეხ საეკლესიო მამებს დაუფუძნებიათ და მამები გაერთიანებულნი ყოფილან, – „**როგორც ჩვენი მამები იყვნენ**“, **ქართული და სომხური ეკლესიების ერთიანობა თითქოსდა წინა დროებში ამ ეკლესიის მამების მიერ ყოფილა დადგენილი, ხოლო კირიონის დროს ერთობა დარღვეული ყოფილა. სმბატი მოუწოდებს აღადგინონ ერთობა, რომელიც „მამების“ პირობითა და მცნებით ყოფილა დადგე-**

**ნილი – იგივე პირობა ჩვენი და თქვენი მამებისა და მათი... მცნე-
ბით“ (გვ. 73).**

ქართველი და სომეხი „მამების“ რაღაც „პირობის“ დამონ-
მება სომეხი იერარქებისა და სმბატ მარზპანის მუდმივი მსჯე-
ლობის საგანია.

ამის შემდეგ სმბატი იწყებს საყვედურებს – პირველ რიგში, მისი საყვედური სომხურ მსახურებასა და წესს შეეხება ქართლში დანერგილს, რომელიც კირიონმა მოშალა, წერს, – **„...სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში, ხოლო შეცვლით მტრობას აგდებთ ჩვენ შორის“** (გვ. 75). მართლაც, კირიონმა ცურტავში სომხურენოვან მსახურებასთან ერთად ქართულენოვანი მსახუ-
რებაც შემოიღო, მაგრამ როცა სმბატი წერს – „სომხური მსა-
ხურება და წესი იყო თქვენში“, აქ თითქოს მთელი ქართლი, ქართული ეკლესია იგულისხმება და არა მარტო ცურტავი. პირ-
ველ რიგში სმბატი სწორედ ცურტავის შესახებ წერს, მაგრამ „თქვენში“ უფრო დიდ ერთეულს უნდა გულისხმობდეს, რად-
განაც ადრესატი კირიონი არა მარტო ცურტავის მამამთავარ-
ია, არამედ მთელი ქართლისა. სპარსეთის დიდმოხელე აფრთხი-
ლებს კირიონს, უცვლელად დატოვოს ცურტავში (ქართლში) სომხურენოვანი მს-ახურება და საეკლესიო წესი. ეს გაფრთხი-
ლება ბრძანებაცაა.

სმბატს, ისე როგორც ადრე ვრთანეს ქერდოლსა და შემდეგ აბრაამს, სურს, ქართული ეკლესია უფრო დაბლა მდგომ ეკ-
ლესიად წარმოადგინოს, სადაც შეიძლება სომეხი ეპისკოპოსე-
ბის გაგზავნა, რომელნიც ჯერ შეამოწმებენ ქართული ეკლესიის სისწორეს. შემდეგ კი მის მეთაურს სწორ სარწმუნოებას შეას-
წავლიან. სმბატი წერს – **„გვსურდა ეპისკოპოსები ქერდოლები-
თურთ გამოგვეგზავნა, რომ შეეტყუთ მწვალებელთა მოძღვრება
და უკეთურება, რათა თქვენთვის შეეგნებინებინათ...“** (გვ. 75).
ქერდოლი მეცნიერს, რჯულის მასწავლებელს ნიშნავს.

22. XXII ეპისტოლე:

კირიონ კათალიკოსი საპასუხო ეპისტოლეს უგზავნის სმბატ ვრკანის მარზპანს. კირიონისადმი სმბატის წინა ეპისტოლე მიმართული იყო აგრეთვე ქართველი ეპისკოპოსებისა და მთავრებისადმი, პასუხსაც კირიონი ქართველი ეპისკოპოსებისა და მთავრების სახელით უგზავნის. კირიონის პასუხი გამოხატავს როგორც ქართველი აზნაურების, ასევე ქართველი ეპისკოპოსების ერთობლივ აზრს. კირიონი ლოცავს სმბატს სომხური ეკლესიის გაერთიანებისთვის და ულოცავს სპარსეთის მეფის ამ დავალების წარმატებით შესრულებას. შემდეგ ატყობინებს, რომ წარჩინება სპარ-სთა მეფემ მისცა არა მარტო სმბატს, არამედ კირიონსაც. ის წერს – **„...ისეთ წარჩინებულობას ვენიე უფალთაგან მათი სიკეთის გამო, რომ ყველა ქრისტიანე აღაპყრობდა ხელებს და ითხოვდა მათ უკვდავებას...“** (გე. 77).

შემდეგ სარწმუნოების შესახებ წერს. კირიონი ეთანხმება სმბატს ქართველი და სომეხი მამების ერთობის შესახებ. ეს ერთობა, მისი აზრით, ეფუძნებოდა იერუსალიმის სარწმუნოებას. **„...ჩვენსა და თქვენს მამებს საერთო ჰქონდათ მას შემდეგ, რაც წმიდა გრიგოლმა მართლმადიდებლური სარწმუნოება დაანესა, რომელიც იერუსალიმში ისწავლა...“** (გვ. 77). აქ კირიონი უმატებს, რომ გრიგოლმა სარწმუნოება ისწავლა იერუსალიმში და იერუსალიმური სარწმუნოება „დაამტკიცა“. სმბატს მისთვის იერუსალიმური სარწმუნოების შესახებ არ მიუწერია. კირიონი აქაც დიპლომატიურად უპასუხებს – ის იძულებულია სპარსეთის შიშით ფორმალურად აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც „მამებმა (ქართველ და სომეხ მამათა გაერთიანებულმა კრებამ) მიიღეს სპარსეთის ნებით წინა ეპოქაში, მაგრამ დასძენს, რომ „მამების“ მიერ მიღებული სარწმუნოება იერუსალიმური იყო. ჩვენცო, ბრძანებს ის, იგივე სარწმუნოება უცვლელად გვაქვსო დაცული, „ხოლო თუ ეგ მოსე სხვანაირად იწყნა-

რებს, როგორც ჩვენ არ შეგვიწყნარებია, და თქვენ გსურთ ირ-
ნმუნოთ, ჩვენ მაგას არ დავემორჩილებით, რადგან რაც კი გვის-
ნავლია, არ დავტოვებთ, ვინაიდან ჩვენი ეკლესიები ასე არიან
დამტკიცებულნი“.

ცურტავის ეკლესიაში სომხურენოვანი მსახურების შესახებ
წერს – **„ეკლესიის მსახურება არა რიგად შეგვიცვლია, ხოლო
ეპისკოპოსმა, რომელიც დავადგინეთ, ქართული და სომხური
მნიგნობრობა თანაბრად იცის, სამსახურს ორივე მნიგნობრობით
ასრულებს“** (გვ. 78).

ეპისტოლეს შემდეგი ნაწილიდან ჩანს, რომ სმბატ მარზ-
პანი ქართლში ჩადიოდა ხოლმე და თაყვანს სცემდა მცხეთის
ჯვარს, რომლის მადლითაც მისი მშობლების ვედრებით ის გაჩე-
ნილა. ის ქართლშივე გაზრდილა და წარმატების გზაზე დამდ-
გარა. მოსე ცურტავის ეპისკოპოსის ჩაგონებით სპარსეთიდან
დაბრუნების შემდეგ მცხეთის ჯვრის თაყვანისსაცემად აღარ
მისულა, რაც სწყინს კირიონს. კირიონი ლოცავს მეფეთა მეფესა
და მას.

23. XXIII ეპისტოლე:

სმბატ მარზპანს ეპისტოლეს უგზავნის მოსე ცურტავის ეპის-
კოპოსი. ეს არის ძირითადად თავის მართლება და საყვედური
სმბატისადმი. წინა ეპისტოლეში კირიონმა სმბატს აცნობა, რომ
მას მოსე სარწმუნოების გამო არ უდევნია, არამედ თავისი
ცოდვების გამო დაიბარა საკათალიკოსო კარზე, მოსე კი იმის
მაგიერ, რომ დამორჩილებოდა, ღამით მალულად სომხეთში
გაიქცა, გარდა ამისა, მზაკვარი ენითა და ბოროტმოქმედებით
ბევრი მავნე საქმე გააკეთაო, – აცნობებს კირიონი. საპასუხ-
ოდ მოსე სწერს სმბატს, – გამოძიება იმისა, თუ რისთვის ვიდევნე
ქართლიდან, იოლია, ეს თქვენ ადვილად შეგეძლოთ შეგემონმე-
ბინათ, რადგანაც „**სომხეთი და ქართლი ერთმანეთის მოსაზღვრე-
ნი არიან, აზნაურთაგან მრავალნი და ბევრნი გლახთაგან აქედან**

იქ მიდიან და იქიდან აქ, რომელთაგანაც უნდა შეგეტყვოთ“ (გვ. 80). შემდეგ აცნობებს, რომ ის კირიონის კარზე მივიდა თბილისში, კირიონმა ცხრა დღე ალოდინა და არ მიიღო, შემდეგ მცხეთაში წავიდა, მოსე კი სომხეთში წავიდა დღისით და არა ღამით.

შემდეგ აცნობებს სომხურენოვანი მსახურების შესახებ, – **„მსახურებაც რომ შეცვალეს, ცხადია, არაეპისკოპოსი ნესტორიანი რომ დასვეს, ქართული მნიგნობრობაც არ იცის რიგიანად, არამცთუ სომხური, ისიც ცხადია“** (გვ. 82). აქედან ჩანს, რომ ცურტავის ეპისკოპოსის მიერ ქართული მნიგნობრობის ცოდნა, ბუნებრივია, პირველი რიგის ცოდნაა, ხოლო სომხურის ცოდნა უფრო მაღალ ცოდნად მიაჩნდათ. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დაბალმა ფენებმა ქართული ენა ბევრად უკეთ იცის, ვიდრე სომხური, რადგანაც ქართული ენა დედაენაა, ხოლო სომხური ენა საეკლესიო სამსახურის ენა.

24. XXIV ეპისტოლე:

სმბატ მარზპანი პასუხს წერს მოსე ცურტავის ეპისკოპოსს – სმბატს არ მოსწონებია კირიონ კათალიკოსის პასუხი, – **„...მოგვწერა ცრუდ ასეთი მომაკვდინებელი სიტყვები“** (გვ. 83). აცნობებს, რომ აპირებს სასწრაფოდ სპარსეთის მეფესთან გამგზავრებას, სადაც ეცდება, რომ სპარსეთის მეფემ მოსე თავის საეპისკოპოსოში დააბრუნოს, კირიონის ნების წინააღმდეგ. აქედანაც ჩანს, თუ როგორ არის ქართული ეკლესია დამორჩილებული სპარსეთის ნება-სურვილს. სმბატი წერს – **„ეხლა მე ფრიად საჩქაროდ კარზე მინვევენ, შენ ადრეც გითხარი, რომ მიწვერ-მეთქი მეფეთა მეფეს, რათა კეთილად ბრძანოს, რომ წახვიდე შენს ეკლესიაში, დაჯდე და შენი სარწმუნოებით იპყრა შენი ხალხი“** (გვ. 83). სპარსეთი მოსეს სარწმუნოებას არ შეეხება, ის სპარსეთის ბრძანებით ქართული ეკლესიის მონოფიზიტი ეპისკოპოსი გახდება.

მოსეს მოწოდება სმბატისადმი ყოფილა, – აელო მახვილი და შერკინებოდა ყოველ ქართლს. სმბატი წერს, რომ ამჟამად არ შემიძლია „...ავილო მახვილი და ყოველ ქართლს შევერკინო“ (გვ. 83). სმბატს ამის ძალა არ შესწევს იმჟამად. მაგრამ თუ თავის პოზიციას არ დათმობენ ქართველები, მაშინ მომავალში დაისჯებიანო. ქართველებიო, წერს ის, „...თუ იმავე სიხელეს იქნებიან და ჩვენთან ერთობისაგან განეშორებიან, მაშინ მათი სისხლი უფალმა ღმერთმა მათი თავისაგან მოიძიოს... თუ დაუმორჩილებლობის შესახებ შევიტყობთ და უფალი ღმერთი მარჯვე დროს მოგვცემს, ვინ იცის, იქნებ აქვე მიიღებს საზღაურს ღმრთისაგან, ხორციელ უფალთა ხელით“ (გვ. 84). მართლაც, მართალია, სმბატმა და სპარსეთმა ვერ შეძლეს ქართული ეკლესიის დასჯა და ქართველობის „სისხლის“ დაღვრა დაუმორჩილებლობის გამო, ანუ სომხურ ეკლესიასთან „ერთობის“ დარღვევისათვის 607-609 წლებში, მაგრამ 613-614 წლებში, იერუსალიმის აღების შემდეგ, ხოსრო II-მ მოიწვია ე.წ. „სპარსული კრება“, რომელსაც სმბატ ბაგრატიუნი თავმჯდომარეობდა. ამ კრებამ გასცა უმკაცრესი ბრძანება – სპარსეთის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ქრისტიან ერს ან „სომხური სარწმუნოება“ უნდა მიეღო, ანდა დაეტოვებინა იმპერიის საზღვრები და სხვაგან გადასახლებულიყო.

25. XXV ეპისტოლე:

სომეხთა კათალიკოსი აბრაამი მეორე ეპისტოლეს უგზავნის კირიონ ქართლის კათალიკოსს. აბრაამი წერს, რომ მისი მიზანია არა წინააღმდეგობის გაღვივება ორ ეკლესიას შორის, არამედ „...მამათა სარწმუნოების ერთობა“ (გვ. 85). აბრაამს არ მოსწონებია კირიონის მიერ იერუსალიმის სარწმუნოების დამონმება, – „...ნუ ვიქადით მხოლოდ წმიდა ქალაქის იერუსალიმის დიდებული და საპატიო სახელით...“ (გვ. 85). მართლაც, კირიონის სრულიად ლოგიკური მსჯელობის თანახმად, მართალი,

ჭემპარიტი სარწმუნოებისგან გადაუხვევია სწორედ სომხურ ეკლესიას, რადგანაც წმიდა გრიგოლმა თავისი სარწმუნოება ისწავლა იერუსალიმში, შემოიჭანა და დანერგა სომხეთში, შემდეგ ქართველ და სომეხ „მამათა“ ერთობამ სწორედ ეს იერუსალიმური სარწმუნოება აღიარა სწორ სარწმუნოებად. კირიონის დროს კი ქართული ეკლესია კვლავ ერთგულია იერუსალიმისა და იგივე სარწმუნოება აქვს, რაც იმჟამად იერუსალიმშია დანერგილი. სომხური ეკლესია კი, პირიქით, უარყოფს იერუსალიმის სარწმუნოებას. აქედან შეიძლება დასკვნა, რომ წმიდა გრიგოლისგან დანერგილ იერუსალიმურ, „მამათა“ მიერ დამტკიცებულ სარწმუნოებას გადაუხვია არა ქართულმა, არამედ სომხურმა ეკლესიამ.

აბრაამი გალიზიანებული სწერს კირიონს იერუსალიმის შესახებ, თითქოსდა იერუსალიმს „...**მოსძარცვეს ღვთიური დიდება, გააშიშვლეს, სამოციქულო სარწმუნოება აღმოფხვრეს და მრავალი სხვადასხვა წვალება იქადაგეს**“ (გვ. 85). აბრაამი უპასუხოდ არ ტოვებს კირიონის მსჯელობის უმთავრეს აზრს, რომ „მამათა“ მიერ აღებულ გეზს გადაუხვია არა ქართულმა ეკლესიამ, არამედ სომხურმა: – „**თქვენ ეხლა რომ ქადილით მოგწერეთ ჩვენ – ჩვენსა და თქვენ მამებს წმიდა გრიგოლმა იერუსალიმის სარწმუნოება მისცა და ჩვენ იგივე გვაქვსო, აბა, კარგად გამოიძიეთ და ნახეთ, რომ თქვენც და სხვებიც მრავალნი, წმიდა ქალაქის მკვიდრებთან ერთად, შეიცვალეთ მისგან, არა თუ იგივე გაქვთ, ხოლო ჩვენ ეხლაც იერუსალიმის სარწმუნოება გვაქვს**“ (გვ. 85-86). ამის შემდეგ აბრაამი მსჯელობს ზეციური იერუსალიმის შესახებ, რადგანაც თითქოსდა ამქვეყნიურ იერუსალიმში ქალკედონური სარწმუნოება გავრცელდა.

ქალკედონური სარწმუნოება, ანუ „ცდუნება“, როგორც მას უწოდებს აბრაამი, „...ჩვენ ქვეყანაშიც შემოვიდა ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართველთა კათალიკოსის დროს.

ერთობით ეპისკოპოსებმა და აზნაურებმა დაწყველეს და გასცილდნენ... ეხლაც წერილით არის დაცული ჩვენთან“ (გვ. 87).

ქალკედონიტობა ქართლსა და სომხეთში შემოსულა გაბრიელ ქართველთა და ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის დროს. გაბრიელის კათალიკოსობის თარიღი უცნობია, ბაბგენი ზოგიერთის აზრით, კათალიკოსობდა 490-516, ანდა 502/3-507/8 წლებში (გვ. 157). ს. კაკაბაძის აზრით, ის კათალიკოსობდა 522-527 წლებში, ხოლო გაბრიელი 522 წელს კათალიკოსია. აზრთა სხვადასხვაობაა იმ „ერთობის“ კრების შესახებ, რომელზედაც აბრაამი მიუთითებს. ზოგ მეცნიერთა აზრით, შემდგარა ორი კრება – 506 წელსა და 513 წლებში (გვ. 157); ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აბრაამი არ წერს, „ერთობის“ კრება, რომელმაც ქალკედონიტობა უარყო, ბაბგენისა და გაბრიელის დროს ჩატარდაო. ის წერს, რომ ქალკედონიტობა ამ კათალიკოსების დროს შემოვიდაო, ხოლო შემდეგ, როცა ეს ცნობილი გახდა, „ეპისკოპოსებმა და აზნაურებმა“ ჩაატარეს ქართლ-სომხეთის საეკლესიო ანტიქალკედონური კრება. მართლაც, 506 წლის კრება ანტიქალკედონური კრება არ ყოფილა, არამედ ის უფრო „შემრიგებლური“ კრება ყოფილა (ქსე, ტ. 8; ქსე, ტ. 9, სტატ. „სომხური სამოციქულო ეკლესია“, გვ. 625). „დვინის 506 წლის საერთო კავკასიურ კრებაზე ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებთან ერთად სომხურმა ეკლესიამ მიიღო ზენონის ჰენოტიკონი და გადაჭრით დაგმო ნესტორიანელობა. ამის შემდეგ სომხურმა ეკლესიამ იწყო გადახრა მონოფიზიტობისაკენ, რომლის შემარცხენე ფრთა (ივლიანიტობა) თავის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოაცხადა დვინის II ადგილობრივ კრებაზე (551-554).“ დვინის 506 წლის კრებას დაუგმია არა ქალკედონიტობა, არამედ ნესტორიანელობა, ამიტომაც, ს. კაკაბაძის თვალსაზრისი, რომ ანტიქალკედონური „ერთობის“ კრება ჩატარდა 522 წელს (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 157), სწორი ჩანს, მით უმეტეს, რომ ემ-

ყარება თვით „ეპისტოლეთა ნიგნის“ მონაცემებს. მართლაც, ქართულ-სომხურ-ალბანური გაერთიანებული ანტიქალკედონური კრება 520-იან წლებში უნდა ჩატარებულიყო. ამ დროს ახალი იმპერატორი იუსტინე 518 წლიდან, წინა იმპერატორისგან განსხვავებით, მკვეთრ ანტიმონოფიზიტურ პოლიტიკას ატარებს, რომელსაც სპარსეთმა მაშინვე დაუპირისპირა ანტიქალკედონიტობა.

შემდეგ, თავის ეპისტოლეში აბრაამი იწყებს კირიონის დარიგებასა და სწავლებას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ის: „ნუ დაავადდებით უარყოფელთა სნეულებით... არ დავისაჯოთ და არ ვიყოთ მამათა წყევლის ქვეშ, რათა არ დავიმკვიდროთ გეენა“. ასე „არიგებს“ აბრაამი კირიონს და წერს: „ნუ მივიჩნევთ დამრიგებლებს მტრად და ნუ ვიამაყებთ ჩვენდა თავად. ნუ გამოვჩნდებით უგონოდ და უწვრთნელად“. კირიონი ვითომდა „უგონოა“, რომელსაც „წვრთნა“ სჭირდება, და სხვა მრავალი დარიგებანი. როცა კირიონმა გაბედა და თავის III ეპისტოლეში სარწმუნოების სიმბოლოები გაუგზავნა აბრაამს, მან ძლიერ იუკადრისა და პასუხიც კი აღარ გაუგზავნა კირიონს. პასუხად მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე გამოსცა, რომელშიც, კერძოდ, წერდა: **„მათი უღმერთობა მესამე ეპისტოლეთი შევიტყუთ. სიქადულით გაამაყებულებმა არ დატოვეს წვალება, არამედ ჩვენც თავისაკენ მიგვდრიკეს და უფსკრულის სწავლება გაბედეს“** (გვ. 121).

სომხური და ქართული ეკლესიები, მართლაც, არათანაბარ, უთანასწორო მდგომარეობაში რომ ყოფილან, ამ ეპისტოლეებიდანაც ჩანს – სომეხი კათალიკოსი უფლებას აძლევს თავის თავს „გაწვრთნას“ ქართლის კათალიკოსი, ამ უკანასკნელისგან „სწავლებას“ კი ძალზე უხეშად უკადრისობენ (ცხადია, ეს სპარსთა მიერ ერთი ეკლესიის დროებითი აღზევების გამო ხდებოდა). გარდა ამისა, ქართული ეკლესიის შინაურ საქმეში უხეშად ერევა – უკარნახებს, თუ რომელი ენით უნდა ხდებოდეს

ღვთისმსახურება და როგორი სარწმუნოებრივი მიმართულებისა უნდა იყოს. თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, მზად არიან აიღონ სპარსული მახვილი და შეუტიონ მთლიან ქართლს.

აბრაამი თავის მეორე ეპისტოლეში მოსე ცურტავის ეპისკოპოსის შესახებაც წერს. კერძოდ, მას „ღვთისმოსავს“ უწოდებს. შემდეგ, წინადადებას აძლევს კირიონს, ერთმანეთი ნახონ „შენს საზღვარში, გინდა ჩვენსაში“.

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები კირიონის დროს მტკიცედ არის განსაზღვრული.

26. XXVI ეპისტოლე:

კირიონი უპასუხებს აბრაამს. პასუხი ცივი, სხარტი, ლაკონური და გასაოცრად ლოგიკურია.

კირიონი სწერს, რომ ქართველ და სომეხ იერარქებს შორის **„...მშვიდობა და სიყვარული სუფევდა. ერთი წესი და სარწმუნოება ჰქონდათ, მით უფრო ჩემ დროს“** (გვ. 88). ძნელი სათქმელია, რა იგულისხმება საერთო „წესის“ ქვეშ. ადრე სმბატი კირიონს წერდა, – „სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში“ (გვ. 75), შემდეგ აბრაამ კათალიკოსმა მისწერა კირიონს, – „საერთო ღვთისმსახურება დაგვითესეს ჩვენ ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა“ (გვ. 93). რას გულისხმობდა კირიონი, როცა წერდა „ერთი წესი და სარწმუნოება“ ჰქონდათ ჩვენს წინაპრებსო, გულისხმობდა თუ არა ის „საერთო ღვთისმსახურებას“, ანდა **„სომხურ მსახურებასა და წესს“**?

უნდა ითქვას, რომ ისტორიული ფაქტებისადმი თვალის არიდება და მიჩქმალვა იძლევა არა დადებით, არამედ უარყოფით შედეგებს. მომხდარი ფაქტი თუ გამოწვეულივით არ იქნება გამოკვლეული, მრავალ უსიამოვნებას გამოიწვევს. ზემოთყვანილი მიჩქმალული ფაქტები ჯერაც რომ მტკიცენივითია, იქიდანაც ჩანს, რომ თვით XX ს-ის მიწურულს ეროვნებით სომხებად აცხადებენ პეტრინონის მონასტრის აღმშენებელ ძმებ

ბაკურიანებს, ივერონის მონასტრის ბერებსაც არ ასცდათ ეჭვის თვალი, მთელი მესხეთიც ვითომდა ქართული არ ყოფილა, აქ გავრცელებული სომხურენოვნების გამო.

ამ სატკივარს იმით მოეწვება, რომ ჩვენმა მეცნიერებმაც ისევე, როგორც კირიონმა, პირდაპირ უნდა განაცხადონ „ერთი წესი და სარწმუნოება“ იყო სომხეთსა და ქართლში, როგორც სმბატი წერს, – „**სომხური მსახურება და წესი იყო თქვენში**“. ეს სრულებით არ არის სათაკილო, დასაფარი და დასამალი, სპარსეთის ნებით ქართულ ეკლესიაში ნაწილობრივ, დროებით, 50-70 წლის მანძილზე ქართულენოვან მსახურებასთან ერთად სომხურენოვანი მსახურებაც იყო დანერგილი: ქვემო ქართლი და მესხეთი სომხეთთან მეზობლობის გამო დიდი ხნის მანძილზე სომხურენოვანი დარჩა (საეკლესიო თვალსაზრისით) – ორი საუკუნე მაინც, ე.ი. მოსახლეობის დედაენა ქართული ენა იყო, რადგანაც ამ კუთხეთა მოსახლეობა ეროვნებით ქართველი იყო, სარწმუნოების ენა კი სომხური იყო – „**წესი და სარწმუნოება**“ სომხურ ენაზე აღესრულებოდა. თუ ამ ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ საფუძველი გამოეცლება ნ. მარისა და სხვათა მიერ წამოყენებულ თეორიას სამხრეთ საქართველოში ქალკედონიტი სომხების გაქართველების შესახებ. ამ თეორიამ ლამის არის ქართული ეკლესიის იურისდიქციის ძველი საზღვარი მესხეთში აწყურამდე მიიყვანოს და ქართული საეკლესიო კულტურა – ოშკი, ბანა, ხახული, სხვა მატერიალური და სულიერი საეკლესიო სიმდიდრენი უცხო ერის კუთვნილებად აქციოს.

დაუფარავად უნდა ვაღიაროთ, რომ მესხეთში ცხოვრობდნენ არა ქალკედონიტი სომხები, რომელნიც ვითომდა შემდეგ გაქართველდნენ, არამედ „სომხურენოვანი“ ქართველები, ხოლო ქვემო ქართლში ცხოვრობდნენ ეროვნებით ქართველი მონოფიზიტები, ისინიც „სომხურენოვანნი“ საეკლესიო თვალსაზრისით, ანუ ქართული დედაენისა და სომხური საეკლესიო ენის მქონენი.

კირიონის ამავე ეპისტოლედან აბრაამისადმი ჩანს, რომ ქართლის მამამთავარი სომხეთის მამამთავრის შენიშვნას „ბრძანებას“ უწოდებს, ლაპარაკია მოსე კათალიკოსის შესახებ. კირიონი წერს: **„მისი ბრძანებისამებრ განვიშორეთ იგი ჩვენგან“** (გვ. 88).

ცურტავის ეპისკოპოს მოსეს შესახებ წერს, – სანამ მას ეპისკოპოსად ვაკურთხებდით, უნდა ეთქვა – მე თქვენგან არ მივიღებ კურთხევას, რადგან მართლმორწმუნე არა ხარო, – „მაგაზე ადრე, რომლებიც ცურტავს იყვნენ წმიდა შუშანიკიდან მოყოლებული... სომეხთაგან და ზოგნი ქართველთაგან, სომხეთში განსწავლულნი მეცნიერნი და მოძღვარნი იყვნენ“. „ერთობის“ დროს, VI ს-ის პირველ ნახევარსა და შემდგომ, ქართველები, თურმე, სომხეთში იღებდნენ სწავლა-განათლებას. ეს არ არის გასაკვირი, ამ ეპოქაში სპარსთა მიერ ყოველივე ბიზანტიური აკრძალული იყო (ისევე როგორც V ს-ში სომხეთში აკრძალული იყო ბერძნული სწავლა-განათლება და წიგნები), ამის გამო ქართველები იძულებულნი იქნებოდნენ სომხეთში მიეღოთ ქრისტიანული განათლება, რადგან სომხეთი იმ დროს ქრისტიანული განათლებისა და კულტურის ერთი მძლავრი კერათაგანი იყო, საკმარისია იმდროინდელი სომხური ფილოსოფიის დასახელება. გუგარქი, ანუ ქვემო ქართლი სომხეთს უშუალოდ ემეზობლებოდა, გუგარქელებმა სომხური ენაც იცოდნენ, ამიტომაც სომხეთში განათლების მისაღებად მათ გამგზავრებას არაფერი დააბრკოლებდა.

კირიონი შემდგომ წერს – **„ერთობა იყო ქართველთა და სომეხთა შორის და წმიდა უფლის გრიგოლის მთელ სამწყსოში ერთობა იყო იერუსალიმის სარწმუნოებასთან, რომლითაც რომაელნი ცხოვრობენ“** (გვ. 90). კირიონი როცა წერს, „ერთობა იყო ქართველთა და სომეხთა შორისო“, გულისხმობს არა იმას, რომ ქრისტიანობის შემოღების დროიდან IV ს-დან იყო „ერთობა“ სომეხთა და ქართველთა შორის, არამედ იმას, რომ სარწ-

მუნოებრივი და „ნესებით“ ერთობა დამყარდა გაბრიელ და ბაბგენ კათალიკოსების შემდეგ – „მამათა“ კრების გადანყვეტილებით 506-520-იანი წლებიდან. ეს „ერთიანი“, სარწმუნოებრივად რაღაც „უნიტარულის“ მაგვარი, ეკლესია ამ დროისათვის წმიდა გრიგოლის ეკლესიად მიუჩნევიათ, სარწმუნოებრივად ის თავისთავადი და დამოუკიდებელი კი არ ყოფილა, არამედ იერუსალიმზე ყოფილა დამოკიდებული, იერუსალიმის სარწმუნოება ჰქონია.

ეს ის მსჯელობაა იერუსალიმის სარწმუნოების შესახებ, რომლის მოსმენაც კი არ სურს აბრაამს.

„რომის მამამთავარი წმიდა პეტრეს საყდარზე ზის, ალექსანდრიელი – წმიდა მარკოზ მახარებლის, კონსტანტინოპოლელი – წმიდა იოანე ნათლისმცემლისა (უნდა იყოს იოანე მახარებელისა. ავტ.) და იერუსალიმელი – უფლის ძმის წმიდა იაკობისაზე. რა სარწმუნოებაც მათ ეპყრათ, ჩვენც ის მოგვცეს, ჩვენ და ჩვენი მამები აქამდე ვიცავდით, ესლა რისთვის დავტოვოთ იგი და თქვენ გერწმუნოთ? სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსებიც, რომელნიც ურიცხვნი არიან, მეფენი და მთავარნი და მთელი მართლმადიდებელი ქვეყნები, ყველა ესენი როგორ უნდა მივატოვოთ და თქვენ შემოგიერთდეთ?“ (გვ. 90). – კირიონის ამ პასუხიდან აშკარად ჩანს, რომ სომხეთი მოითხოვს, ქართლი მას შეუერთდეს სარწმუნოებრივად. ეს კი თავისთავად გამოინვევდა ქართული ეკლესიის მონყვეტასა და იზოლაციას მსოფლიო ქრისტიანობისაგან, რადგანაც სომხეთი ფაქტობრივად იზოლირებული აღმოჩნდა მსოფლიოს ქრისტიანობისაგან. კირიონს რომ არ დაეგვირგვინებინა ქართულ ეკლესიაში უკვე ასურელი მამების დროიდან ჩასახული მოძრაობა მსოფლიო ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის არსებობისთვის, ქართული ეკლესია მტკიცე ერთობას შექმნიდა სომხურ ეკლესიასთან და მასაც ალბანური ეკლესიის ბედი მოელოდა. ცნობილია, ალბანურმა ეკლესიამ მჭიდრო

კავშირი შეკრა სომხურ ეკლესიასთან, ამის გამო იგი მოწყდა მსოფლიო ეკლესიას, შედეგად ალბანეთში საუკუნეთა მანძილზე დაინერგა სომხურენოვანი ღვთისმსახურება, სომხური კულტურა ალბანელებისთვის სრულიად მისაღები, თითქმის მშობლიური იყო, შედეგად ალბანური ეკლესია სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა, რის გამოც ალბანური ეკლესია გაუქმდა, მისი ადგილი სომხურმა ეკლესიამ დაიჭირა. იგივე მოელოდა ქართულ ეკლესიას, თუ არა კირიონის დიდად დასაფასებელი მოძრაობა, რომელიც ეფუძნებოდა „ასურელი მამების“ ღვანლს.

კირიონის პასუხიდან ჩანს, რომ მის დროს, ე.ი. VII საუკუნის დასაწყისში ქართულ ეკლესიას 35 ეპისკოპოსი ჰყავდა. **„ქართლში სულ 35 ეპისკოპოსია. ეგ მოსე საიდან აღმოჩნდა მხოლოდ ერთი მეცნიერი და მართლმადიდებელი და სხვა ყველა მწვალებელი?“** (გვ. 90).

კირიონს სრულიად დამოუკიდებლად უჭირავს თავი, ის არავითარ დაქვემდებარებას არ გრძნობს სომეხი იერარქის მიმართ. კირიონი აქებს სპარსეთის შაჰს. ღმერთმაო, წერს ის, „...**მეფეთა-მეფის დიდებისაგან უფრო განმადიდა და წარმატებულ მყო, ვიდრე ჩემი მამები, მით უმეტეს კი, ვიდრე ჩემი ამხანაგები**“ (გვ. 90).

კირიონი სთავაზობს აბრაამს, იცხოვრონ ისევე მშვიდობით, როგორც ქართველი და სომეხი მამები აბრაამამდე, – **„ხოლო თუ სხვაგვარად გნებავთ იფიქროთ, მეტს ნუ გაირჯებით და ამისათვის მეტად ნულარ მოგვწერთ. შემდეგ მე სომხეთზე გზით გავლა მომიწევს ოდესმე – ღმერთი თუ მალირსებს, რომ იერუსალიმს წავიდე წმიდა ადგილთა თაყვანისსაცემად, თორემ სხვა რამ საქმე არა მაქვს“** (გვ. 91).

კირიონი უარზეა აბრაამთან შეხვედრაზე **„...დროის გამო მოუცლელი ვარ, ბრალს ნუ დამდებთ“** (გვ. 91).

27. XXVII ეპისტოლე:

აბრაამ კათალიკოსი III ეპისტოლეს უგზავნის კირიონს. მისი კილო სავსებით შერბილებულია: „...განვაახლოთ სულიერი სიყვარული, რომელიც ორივე ხალხს შორის იყო, ის მოძღვრება. რომელიც ერთი წყაროდან მიგვიღია... საერთო ღვთისმსახურება დაგვითესეს ჩვენ და თქვენ ჯერ ნეტარმა წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა“ (გვ. 93). საერთო ღვთისმსახურების შესახებ ხშირად ლაპარაკობენ სომეხი იერარქები და სმბატ მარუპანი. კირიონიც წერს საერთო წესსა და სარწმუნოებაზე. ეს საერთო წესი (აღბათ ტიპიკონი), საერთო სომხურენოვანი ღვთისმსახურება და საერთო სარწმუნოება ქართლის იერარქებს მიუღიათ ქართლის სამეფოს გაუქმების დროს, დაახლოებით VI ს-ის 20-იან წლებში, სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრებაზე, ცხადია, სპარსთა იძულებით.

როცა აბრაამი წერს, საერთო ღვთისმსახურება დაგვითესეს ჯერ წმიდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმაო, აქ იგულისხმება არა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა, არამედ სომხურენოვანი საერთო ღვთისმსახურებისათვის საჭირო სომხური წმიდა წიგნების გამოყენება ქართულ ეკლესიაში (ცხადია, ქართულ ეკლესიაში ქართულენოვანი ღვთისმსახურება უპირველესი, უმთავრესი იყო, მაგრამ ქართულთან ერთად ზოგჯერ (ანდა ზოგიერთ ადგილას) სომხურენოვანიც დაინერგა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სრულდებოდა არა სომხურენოვანი წირვა-ლოცვა, არამედ შერეული ქართულ-სომხური წირვა-ლოცვა, ისე, როგორც ამჟამად ჩვენში ზოგიერთ რეგიონში არსებობს შერეული ქართულ-ბერძნული, უფრო კი ქართულ-რუსული წირვა-ლოცვა. ანდა ქართული წირვა-ლოცვის დროს ზოგიერთი ასამაღლებელი ითქმოდა სომხურ ენაზე, ისე როგორც ამჟამად ითქმის ქართული ღვთისმსახურებისას რუსულ ანდა ბერძნულ ენებზე (უფრო სწორად, სლავურად). შეიძლება

ზოგიერთი კვერექსი ანდა მცირე ლოცვა, მრწამსი, სამოციქულოს ან სახარების კითხვა წირვისას ზოგჯერ სომხურად აღესრულებოდა. ასეთი პრაქტიკა – შერეული წირვა-ლოცვა არსებობს და დადასტურებულია მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიაში. ამჟამადაც კი, თვით კათოლიკური წირვის დროს კათოლიკურ ქვეყნებში, ერთ მომენტში ლოცვა „უფალო შეგვიწყალებენ“ ითქმის ბერძნულ ენაზე – „**კირიე ელეისონ**“. ბერძნულ ენაზე და არა რომელიმე სხვა ენაზე ამ სიტყვების თქმა ტრადიციას, თუმცა ამ წირვას შეიძლება ბერძენი საერთოდ არ ესრებოდეს.

მაშტოცის მიერ შექმნილი სომხური ანბანით დაწერილი სომხური წიგნები საჭირო იქნებოდა ქართულ ეკლესიაში, რადგანაც ქართულ წირვა-ლოცვასთან ერთად სომხურადაც მიდიოდა „საერთო ღვთისმსახურება“.

წმიდა გრიგოლიც ამ „საერთო ღვთისმსახურების“ გამო მოიხსენიება ქართულ ეკლესიასთან კავშირში, რადგანაც „საერთო სარწმუნოებას“ ეფუძნებოდა ეს ქართულ-სომხურ-ალბანური უნიტარულის მაგვარი ეკლესია, რომლის ზემდგომი სომხური ეკლესია იყო, დაარსებული წმიდა გრიგოლის მიერ.

ჩანს, აბრაამს სურდა ეთქვა – „**საერთო ღვთისმსახურება გრიგოლისა და მაშტოცისა დაითესა ჩვენში და თქვენში**“. მართლაც, „საერთო ღვთისმსახურება“ აბრაამს წმიდა გრიგოლისა (IV ს-ში) და მაშტოცის (V ს-ში) დაწერგილად რომ არ მიაჩნია, იმავე ეპისტოლედან ჩანს, სადაც აბრაამი „საერთო სარწმუნოებისა და ღვთისმსახურების“ შემოღების თარიღად მიიჩნევს VI ს-ის დასაწყისს და არა IV-V სს-ს. „ერთობა“ ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის იწყება გაბრიელ კათალიკოსიდან (VI ს-ის დამდეგი) და არა მანამდე. VI ს-მდე აბრაამი არ ასახელებს არც ერთ ქართველ იერარქსა თუ მოღვაწეს, არ ასახელებს რაიმე საეკლესიო მოვლენასა თუ მომენტს საეკლესიო

ცხოვრებაში, რომელიც დაადასტურებდა ქართული და სომხური ეკლესიების „ერთობას“ VI ს-მდე. ასეთი ძველი „ერთობის“ დამადასტურებელი რაიმე ფაქტი ან წყარო რომ ჰქონოდათ სომეხ იერარქებს და სმბატ მარზპანს, ისინი აუცილებლად მოიხსენიებდნენ, როგორც უპირველესი მნიშვნელობის საბუთს. მაგრამ ისინი მხოლოდ გაბრიელ და ბაბგენ კათალიკოსების ეპოქას დებენ „ერთობის“ დასაწყის თარიღად. ასევე სომხურენოვანი ღვთისმსახურების დანერგვის თარიღად ცურტავში მათ მიაჩნიათ არა IV-V სს-ბი, არამედ წმიდა შუშანიკის შემდგომი ეპოქა, ეს არის VI ს-ის დასაწყისი. მის საფლავზე აგებულ ეკლესიაში და მერე გუგარქში ამ ახალი საეკლესიო ენის გავრცელებას VI ს-ის დასაწყისამდე ვერ შეძლებდნენ. ასე რომ, აბრაამისავე თანახმად, საერთო ღვთისმსახურება ქართლსა და სომხეთში გავრცელდა არა გრიგოლისა და მაშტოცის დროს, არამედ VI ს-ის დასაწყისში, ბაბგენის და გაბრიელის დროს. თუმცა, საერთო ღვთისმსახურება გრიგოლის მიერ შემოქმედებად, ღვანლად ითვლებოდა, ხოლო მაშტოცის სომხური ანბანით დანერგილი წიგნები ორივე ეკლესიაში გამოიყენებოდა.

ქართული სახელმწიფოს გაუქმების დროს სპარსეთი სომხურ ეკლესიას უპირატესობას ანიჭებდა მთელ იმპერიაში. ეს საყოველთაოდ არის ცნობილი, ამიტომაც არ არის გასაკვირი ეკლესიათა შორის ასეთი სახის „ერთობის“ დაარსება. აბრაამი ასახელებს „ერთობის“ დანერგვის მონაწილედ ქართველ იერარქებს, რომელთაც ქალკედონის კრება დაუგმიათ, – „...**შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართლის კათალიკოსმა დაწყევლა ჩვენ ნეტარ მამებთან ერთად თავისი თანამოსაყდრეებითურთ, რომელთა სახელებია ესენი: თვითონ გაბრიელ ეპისკოპოსი მცხეთისა სახელოვანი, პალგენ ეპისკოპოსი სეფესახლისა, ელიფას ეპისკოპოსი სამურიალი, სამუელ ეპისკოპოსი ტუმასუელი, დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა, იაკობ ეპისკოპოსი ორტავისა, სტე-**

ფანის ეპისკოპოსი უსთავისა, საჰაკ ეპისკოპოსი ტფილისისა, ელაგეს ეპისკოპოსი მანგლისისა, ენეს ეპისკოპოსი მარუელი, ეგვენეს ეპისკოპოსი, სამთაველი იოსებ, ეპისკოპოსი ადსუელი, იოვან ეპისკოპოსი სარუსთიელი, იოსებ ეპისკოპოსი კუხორდოსი, ეზრას ეპისკოპოსი კისდადისა, ენოვქ ეპისკოპოსი წილკნისა, იოსებ ეპისკოპოსი მიდამილი, ლაზარ ეპისკოპოსი ბოლდბილი, თეოდოროს ეპისკოპოსი ფორთის, ზაქარია ეპისკოპოსი კასდრელი, ფოკას ეპისკოპოსი ტსერმილი, ისააკ ეპისკოპოსი ქუნანაკერტისა, თომა ეპისკოპოსი ტარსისა, ესტგენ ეპისკოპოსი ქორზონისა“ (გვ. 97-98).

საინტერესოა, რომ აბრაამი გაბრიელ კათალიკოსთან ერთად ასახელებს **სეფესახლის ეპისკოპოს** პალგენს. ასეთი ცნობა ეთანხმება ქართულ წყაროებს, რომელთა მიხედვითაც **მცხეთაში იჯდა ორი ეპისკოპოსი**, ერთი იწოდებოდა „კათალიკოს მთავარეპისკოპოსად“ და ის მეთაურობდა ეკლესიას, ხოლო მეორე, **ძველი ეპისკოპოსი** სამთავროში იჯდა. ეს ეპისკოპოსი კათალიკოსობის დაწესებამდე მეთაურობდა ქართულ ეკლესიას. კათალიკოსობის დაწესების შემდეგ მისი ტახტი არ გაუქმებულა და **მცხეთაში ორი ეპისკოპოსი აღმოჩნდა**. სამთავროში, როგორც თვით სიტყვიდანაც ჩანს, მთავართა სასახლე იყო ანუ სეფესახლი. შეიძლება ამიტომაც უწოდებს მას „**სეფესახლის ეპისკოპოსს**“ აბრაამი. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სამთავროში მჯდომი მცხეთელი მთავარეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა დასავლეთ საქართველოს ვაკე – კერძოდ, ხონი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ, რაჭა-თაკვერი ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიოდა. ეს, ცხადია, დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების წარმოშობამდე. თვით გვიან შუა საუკუნეებშიც კი დასავლეთ საქართველოს ერთ ტერიტორიაზე კვლავ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას მცხეთელ-სამთავროელი მთავარეპისკოპოსი. დასავლეთი საქართველო ხოს-

როიანთა სამეფო მამულად ითვლებოდა, კერძოდ, როცა მეფეებმა მირმა და არჩილმა საქართველოს სამეფო გაიყვეს, მთელი დასავლეთი საქართველო, როგორც „საუხუცესო“ ტერიტორია, გაუყოფელი დარჩა მთლიანად მეფე არჩილს. ასევე სამეფო ტერიტორია იყო კახეთიც. ამიტომაც, ჩანს, ამ სამეფო მიწებზე სეფესახლის ეპისკოპოსი თავის უფლებას ახორციელებდა.

28. XXVIII ეპისტოლე:

კირიონი საპასუხო ეპისტოლეს უგზავნის აბრაამს: – „**თქვენ ისე გვწერთ ჩვენ, როგორც ახალწერგსა და ახალმორწმუნეს და ისე არ გვწერთ, როგორც შეჰფერის პატიოსანს და მარად მართლმადიდებელს, რადგან დღეს ღვთის მონყალებით მთელ ქვეყანაზე უფრო მოწინავე ვართ და მართლმადიდებელი, ვიდრე ცოტა ვინმე...**“ (გვ. 100).

შემდეგ: „...**ჩვენი და თქვენი სარწმუნოება ერთი იყო და მთელი სარწმუნოება იერუსალიმიდან გვექონდა და გვაქვს, როგორც ეწერა**“. კირიონი არ უარყოფს საერთო სარწმუნოების არსებობას და უმატებს – როგორც შენს ეპისტოლეში ეწერაო, აბრაამმა კი მისწერა ის, რომ საერთო ღვთისმსახურება იყო ჩვენთან და თქვენთანო. კირიონი ამას არ უარყოფს.

აღსანიშნავია, რომ კირიონი ასე მსჯელობს: ქართული ეკლესია მართლმადიდებელი იყო და არის, აბრაამამდე სომხეთის კათალიკოსიც მართლმადიდებელი იყო და სწორი სარწმუნოების მქონე, ახლა კი, აბრაამის დროს, სომხეთის სარწმუნოება შეიცვალა იმით, რომ გადაუხვია იერუსალიმის სარწმუნოებიდან, – „**თქვენზე ადრე, რომ მაგ საყდარზე ნეტარი მოსე იჯდა, ჩემსა და მას შორის დიდი სიყვარული იყო... ვიდრე თქვენამდე მოაღწევდა მაგ საყდრის დაკავების ჟამი, ჩვენი და თქვენი სარწმუნოება ერთი იყო...**“ (გვ. 101).

შემდეგ წერს, – „**ხოლო უკეთუ გსურს გამოიძიო ჩვენი სარწმუნოება და გაიცნო, ვათარგმნინე და მოვატანინე ოთხ კრება-**

თა წიგნები, რომლებითაც რომაელნი ხელმძღვანელობენ წმიდა ანასტასსა და წმიდა სიონშიც იგი იქადაგება. უნდა თუ არა ვისმეს, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“ (გვ. 102). სომხური ეკლესია აღიარებდა სამ მსოფლიო კრებას, ხოლო მეოთხეს, ქალკედონისას, წყევლიდა, კირიონი კი ოთხივე კრების წიგნებს უგზავნის – „...ეს არის ქვეშარიტი სარწმუნოება“, – წერს კირიონი.

29. XXIX ეპისტოლე:

აბრაამი საყოველთაო მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეს აგზავნის მთელ სომხეთში, რომელშიაც გადმოსცემს სარწმუნოების მონოფიზიტურ მრწამსს და გმობს ქალკედონიტობას.

ქალკედონიტობა მთელ ქვეყანაზე გავრცელდაო, წერს ის, – „...ვიდრემდის თითქმის ამ მოსაზღვრე და ერთი სარწმუნოებით განათლებულ ქვეყნებს არ მიაწია, ქართლს და ალბანეთს ვიტყვი, რომელთაც მყრალი თესლი ზემოთქმულთა დიდებით შეიწყნარეს, თვის შორის დაამტკიცეს“ (გვ. 120). ჩემზე ადრე მყოფმა კათალიკოსმა ამის შესახებ მისწერა ალბანეთს, მე ქართლს მივწერეო, კირიონმა ცურტავის ეპისკოპოსი განდევნა მართლმადიდებლური სარწმუნოების გამო, „...წმიდა შუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურება, ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ ამხედრდა, შეცვალა, ამისათვის მივწერეთ...“

შემდეგ „...ჩვენც იგივე ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში. არც მეგობრობაში, არც დედამძუძუობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომლითაც განთქმულია მცხეთის მიდამოები, არც მანგლისის ჯვარში, ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებითაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს, იგივე ბრძანება უცვლელად რჩება ალბანელთათვისაც...“ (გვ. 122).

ასეთია ცნობები „ეპისტოლეთა წიგნისა“ კირიონის შესახებ.

აბსონ სათვარის თხზულება „განყოფისათვის ქართულთა და სომეხთა“ კითხვის შესახებ

ქართული ეკლესიის VI და VII საუკუნეების ისტორია გადმოცემულია თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (არსენი საფარელი, „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, ზ. ალექსიძის გამოც. 1980). ავტორობა მიეწერება არსენი მცხეთელ კათალიკოსს. ტექსტი მუხლებად დაყო ზ. ალექსიძემ.

ჩანს, ტექსტის I და II მუხლი შემდეგი დროის დანამატია, ანდა ეკუთვნის თვით არსენი საფარელს, რომელმაც, თავის მხრივ, გამოიყენა ანონიმი VII საუკუნის ისტორიკოსის თხზულება. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას იძლევა ტექსტის ანალიზი. ეს თხზულება ფურცლებამილი ჩავარდნია ხელთ გვიანი შუა საუკუნეების რედაქტორს, რომელსაც არასწორად დაუწყოფია ფურცლები.

ტექსტი უნდა იწყებოდეს III მუხლის წინადადებით – **„განყოფა სომეხთა ქართლისაგან უეჭუელად აღვწერე ნიგნსა ამას შინა“** (არსენი საფარელი, განყოფისათვის, გვ. 78). აქ ყურადღება უნდა მიექცეს ავტორის იდეოლოგიურ პოზიციას – **არა ქართლი და ქართველები განშორდნენ სომეხებს, არამედ პირიქით, სომეხები განშორდნენ ქართლს – მართლმადიდებლობას. საქართველო მართლმადიდებელი იყო და ასეთივე დარჩა, რწმენა არ შეუცვლია, ხოლო სომეხები განშორდნენ მას, ესე იგი არამართლმადიდებლები გახდნენ.**

კვირითან დაკავშირებით მისი ტექსტი, ჩვენს მიერ ახალი ქართულით გადმოღებული, ასეთია:

XIII მუხლი – მავრიკე კეისარმა (582-602), სომხეთის დიდი ზორავარის მუშელ მამკუენის ხელით სომხეთი გადასცა სპარსე-

თის შაჰს – ხოსროს. თავის მხრივ ხოსრომ, დვინის ჩათვლით, ყოველივე კეისარს დაუმორჩილა. და იქმნა მათ შორის მშვიდობა.

ხოსრომ მუშელი გაგზავნა კონსტანტინოპოლში. კონსტანტინოპოლში მისვლისას მუშელი არ ეზიარა ბერძნებთან ერთად. და არც სხვა სომხები. გამოიკითხა კეისარმა და აუწყეს მიზეზი – ქალკედონის კრებასა და ქრისტეს ორ ბუნებას არ ვცნობთო.

მუშელმა უპასუხა: ნუ ინებებთ, რომ ჩვენ ქალკედონიტობა შევინწყნაროთ ჩვენი უმეცრებით ანდა თქვენდამი შიშის გამო, უმჯობესია, ბრძანოთ და ჭეშმარიტება ჩვენი მოძღვრებისგან მოისმინოთ.

უბრძანა ბერძენთა მეფემ სომხეთის კათალიკოს მოსე ელივარდელს (574-604) და მის ეპისკოპოსებს, რათა მისულიყვნენ კონსტანტინოპოლში და კვლავ გამოწვლილვით გამოეძიათ სარწმუნოებრივი სიმართლე, მართალი კი დაემტკიცებინათ.

მოსე კათალიკოსი არ დაემორჩილა და არ წავიდა, არამედ უთხრა ბერძენთა მოციქულებს:

არ გადავალ მდინარე აზატზე, რომელიც საზღვარია სპარსთა და ბერძენთა შორის, არ შევჭამ ბერძენთა ფურნიდს და არ შევსვამ ბერძენთა თერმონს (ფურნიდს აფუებულ პურს ეწოდებდა, თერმონს წყლით გაზავებულ ღვინოს), ასევე უპასუხეს ვასპურაგანის ეპისკოპოსებმაც, რომელნიც სპარსთა სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ. არც მათ ინებეს წასვლა.

ხოლო ტაროს ეპისკოპოსი და სხვა ბერძენთა მორჩილი სომეხი ეპისკოპოსები სასწრაფოდ ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში.

კვლავ გამოიძიეს და მეორედ დაამტკიცეს ქალკედონის კრების სისწორე მავრიკ მეფის წინაშე.

ყველამ ერთობით **აღიარა ქრისტეს ჭეშმარიტი ორი ბუნება.**

დანერეს ფიცი ბერძნებთან **ერთობის** შესახებ და წამოვიდნენ.

როცა სომხეთში მოვიდნენ, მათი სარწმუნოება არ შეინყნარა მოსე კათალიკოსმა და მისმა სხვა ეპისკოპოსებმა, რომელნიც სპარსთა მიერ დაპყრობილ ნაწილში ცხოვრობდნენ და **გაიყო სომხეთი სარწმუნოებრივად.**

ქალკედონიტებმა დაიდგინეს კათალიკოსად **იოანე კოგოვიტელი (590-611).**

V მუხლი – ქართველმა კათალიკოსმა კირიონ მცხეთელმა და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელიც აბდიშო ასურის ხელით ჩაატარეს და რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია.

როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს **კირიონ კათალიკოსმა (591-615)**, ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის.

ქართველნი ამბობდნენ, რომ წმიდა გრიგოლმა საბერძნეთიდან მოგვცა ჩვენ სარწმუნოება, რომელიც თქვენ დაუტევეთ, მისი წმიდა ანდერძი უარყავით და აბდიშო ასურს და სხვა ბოროტ მწვალებლებს დაემორჩილენით.

ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზლეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს საბერძნეთის სარწმუნოება აქეთო.

ასეთივე დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის წინათ, ნერსე II-ის დროსაც. ასევე იყო მის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც.

ამ დროს **განდევნა ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან**, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო.

თხოვა აბრაამმა კირონს ეს ეპარქია, ხოლო მან არ მისცა.
და გადიდა მათ შორის ცილობა.

მოუხმომ აბრაამმა **არარატის პროვინციის სამღვდლოებას** და უთხრა მათ: ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს ნმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიღვენენ.

VI მუხლი – აბრაამის შემდგომ დაჯდა კათალიკოსად **კომიტასი (607-629)**, რომელიც ძალზე მდიდარი იყო, შესამოსლის მოყვარე, ბივრილის პატიოსანი თვლებით ამკობდა კვერთხის თავებს. ეს უფრო მეტად მოძულე იყო ქალკედონის კრებისა. მისცა შვიდი საეპისკოპოსო **ჰერთა კათალიკოსს** და შეიერთა ის. მისცა ჯვრის ტარების პატივი სივნიეთის ეპისკოპოსს. ასეთი ხერხით მთელი სომხეთი გააერთიანა ქალკედონის კრების სანინაალმდეგოდ. გამოძებნა ვინმე დანყველილი იოანე მაირაგომელი, აღჭურვა ქალკედონიანობის სანინაალმდეგო წიგნებით და აღუთქვა მის შემდეგ საკათალიკოსო ტახტი. ათარგმნინა მონოფიზიტ და სხვა მწვალებელ ერესიარქთა წიგნები, გაავრცელა და ამ ტყუილით მთელი სომხეთის ქვეყანა დააჯერა. შეცვალა თავდაპირველი საეკლესიო წესები და კანონები, თვითონ კი ახალი მრუდენი შემოიღო. ამ დროს აიშალა ძველი და ახალი კი ვერ დაამტკიცეს (არ დაინერგა). ამის გამო დღემდე ყოველი კაცი სომხეთში თავის მიერ შექმნილ-გამოგონებულ საეკლესიო კანონებს იყენებს. ყველაფერი ეს კომიტას კათალიკოსმა განცოფებული იოანე მაირაგომელის ხელით გააკეთა. შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე **ქრისტეფორე (628-630)** დაჯდა, რომელიც მაირაგომელის მტერი იყო. გამწარდა სულით იოანე, შემდეგ კი გაიხარა, რადგანაც კათალიკოსი გადააყენეს, მაგრამ მას მაინც არ მისცეს საკათალიკოსო ტახტი. კათალიკოსად **ეზრა (630-641)** დაჯდა. უფრო შენუხდა მაირაგომელის მზაკვარი სული. ასეთი მზაკვარება პირველად მოხსენებული

კომიტასის გამო მოხდა, შედეგად მაირაგომელის წვალეების სწავლებით აივსო მთელი სომხეთი.

VII მუხლი – ამ დროს უკვე აღსრულდა წმიდა გრიგორის ჩვენება, რომელიც მას სულიწმიდამ აუწყა, რომ ცხვრები მგლებად იქცევიან და სხვა ცხვრებს შეუტევენ, უწყალოდ დაკბენენ. ასევე აღსრულდა წმიდა საჰაკის ჩვენება, რომელმაც იხილა ოქროს ბირთვი და ინაფორი წმიდა საკურთხეველზე, რადგანაც არშაკიანთა მეფობის გაუქმებისას წმიდა გრიგორის ნათესაობის მღვდელმთავრობაც შეწყდა. შეწყდა ქარტამი ოქროწერილი ხელნაწერი, შემდეგ კი ოქროწერილის ადგილი სიცარიელემ დაიჭირა (ეს იმას ნიშნავს, რომ მაირაგომელის მოძღვრებას გაჰყვნენ ზოგიერთნი).

XIV მუხლი – როცა პირველმოხსენებულმა აბრაამ კათალიკოსმა არარატიდან განდევნა სამღვდელოება. იოანე კათოლიკე წმიდის მამასახლისი, ასევე ოშაკნის, ელივარდის, არამუნთას, გარნისის, ყოველი მონასტრისა და მთელი არარატისა მძლავრობით, ზოგიერთნი კი აიძულა შეეჩვენებინათ წმიდა კრება ქალკედონისა. სამი წლის შემდეგ ბასიანში ომი მოხდა, რომელშიც ბერძნები სპარსელებთან დამარცხდნენ, დაიჭირეს ქალაქი კრთიჯი ჰამტენისა და მეოთხე წელს კარნუ ქალაქი ფოკა უღმერთო კეისრისა, რომელმაც მოკლა მავრიკე მეფის ძენი, მახვილით ააჩეხინა ასპარეზზე. ამავე წელს აჰმადმა აილო კარნუ ქალაქი, დაატყვევა იოანე ქალკედონიტი კათალიკოსი ბერძნული სომხეთისა. ამავე წელს განდევნა მოსე კათალიკოსმა იოანე კათალიკოსის ქალკედონიტი სამღვდელოება, ზოგიერთი ტაოში წავიდა, ზოგი კი საბერძნეთში.

კვირიონის შემდეგ, VII ს-ის 20-30-იანი წლებიდან, პოლიტიკური ვითარება გაუმჯობესდა, სპარსეთი დამარცხდა, აღმოსავლეთში მისი ადგილი ბიზანტიამ დაიჭირა, რომელმაც სომხურ ეკლესიასთან სამოკავშირეო შეთანხმება დადო, ე.წ. „უნია“ შეკრა,

რითაც სომხური ეკლესიის ძირითად ფრთა ქალკედონიტობას მიემხრო, ამის გამო სომხეთში მცხოვრები ქართველი ქალკედონიტები კვლავ სომხურ-ქალკედონიტური ეკლესიის მრევლად დარჩა, მათი გადაწყვეტილება მხოლოდ სომხური ეკლესიის 726 წლის მონოფიზიტურმა კრებამ შეცვალა, არაბთა ბატონობის ეპოქაში.]

ძველი ქართველი მოღვაწენი არ მალავდნენ და არ აფერადებდნენ ეკლესიის მდგომარეობას აღნიშნულ პერიოდში, გიორგი მცირე არც იმას მალავს და აღიარებს, რომ „ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა თესლნი არანმიდანი შორის ჩუენსა დათესულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“, „ამის მიერ ფრიად გუევენებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკოჲ, ხოლო იგინი (ე. ი. სომეხნი) რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან (ე.ი. სომხურიდან) თარგმნილნი“ (ძეგლები, II, გვ. 123).

გიორგი მცირე გულისხმობს VI საუკუნისა და VII საუკუნის გარკვეულ პერიოდებში სომხური ეკლესიის მომძლავრებას ქართულ ეკლესიაზე.

მისი აზრით, „პირველითგანვე გუაქუნდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი“, რომელნიც შემდგომ ამღვრეულა სომხური მწვალებლობის მომძლავრებით და წმიდა წიგნები IV-V საუკუნეებში ბერძნული ენიდან „მართლად თარგმნილნი“ VI-VII საუკუნეებში სომხურის მიხედვით კვლავ ურედაქტირებიათ..

ასურელი მამების ღვაწლიც ის ყოფილა, რომ ქართული ეკლესიისთვის თავიდან აუცილებიათ დიდი საფრთხე მონოფიზიტობის ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სომხური სარწმუნოების აღიარებისა.

„ერთლმა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის უხვანესის მიხედვით

უხვანესი X ს-ის სომხური ეკლესიისა და კულტურის ერთ-ერთი დიდი მუშაკია, მან სახელი გაითქვა თავისი წიგნით (უხვანესი, „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, ზ. ალექსიძის გამოც. 1975), რომელშიც ბევრითი გამოწვლილვითა და დიდი გამოძიებითაა დაწერილი. ის გვთავაზობს განხეთქილებიდან საუკუნეების შემდეგაც კი სომხურ საზოგადოებაში დარჩენილ გულისტკივილს იმ ფაქტის გამო, რომ თითქოსდა „კირიონმა სომეხებს ჩამოაშორა მრავალრიცხოვანი და დიდი ხალხი“-ქართველები (მართლაც, თუ არა კირიონის სიფხიზლე ქართველთა დიდი ნაწილი ისევე არმენიზდებოდა და გაქრებოდა ასპარეზიდან, როგორც ალბანელები). უხვანესის გულისტკივილი, შეიძლება ითქვას უფრო იმითაა გამოწვეული, რომ კირიონის ღვანლი გასცდა იმჟამინდელი საქართველოს საზღვრებს, მიაღწია იმჟამად არმენიაში შემავალ ბასიანამდე, სამხრეთ ტაომდე, ქართველებით დასახლებულ სხვა ოლქებამდე, კიდევ უფრო განამტკიცა იქაურ ივერებში ქართულ-ეროვნული სულისკვეთება და აღძრა სურვილი საბოლოოდ დაბრუნებოდნენ დედა-ქართული ეკლესიის წიაღს, ამის შედეგად ჩრდილო არმენიის დიდი ნაწილის მოსახლეობა – თავიანთ თავს უკვე დაუფარავად იბერიელებს უწოდებდა და სურდა განშორებოდა სომხურ ეკლესიას. ამ ფაქტით შეშფოთებული უხვანესი, როგორც ითქვა, გამოწვლივით იძიებს მიზეზებს ამ „განყოფისა“, უმეტესად კი ეხება კირიონის ეპოქის ამბებს.

უხვანესის მიხედვით, სომხეთის კათალიკოს მოსეს (574-604) ქართველმა მთავრებმა, ერისთავებმა და ეპისკოპოსებმა დაახლოებით 570-იან წლებში გაუგზავნეს მოციქული და სთხოვეს ქართული ეკლესიისთვის წინამძღვარი (კათალიკოსი), ამი-

ტომაც მოსემ განიზრახა, რომ თავისი სახლიდან მისცეს მათ წინამძღვარი ერთგულებისა“, „...**ორივე მხარის სარწმუნოების ერთობისა და, აგრეთვე, პირველ მამათა, რომლებიც მასზე ადრე იყვნენ, აღთქმის განსამტკიცებლად ხელი დაასხა კირიონს...**“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 23).

ნამდვილად მოხდა თუ არა ასეთი ხელდასხმა, ეს საკამათოა, მაგრამ უხტანესის თანახმად, მოსე სომეხთა კათალიკოსის მიერ **ქართველთა კათალიკოსის „ხელდასხმა“** გამონწვეული ყოფილა „პირველ მამათა აღთქმის განსამტკიცებლად“. ქართველ და სომეხ „პირველ მამებს“ – იერარქებს დაუდვიათ აღთქმა-ხელშეკრულება-გადაწყვეტილება „ორივე მხარის“, ანუ **ქართლისა და სომხეთის საეკლესიო ერთობის შესახებ**. ეს აღთქმა მიუღიათ არა ოდესღაც, წინა საუკუნეში, არამედ ეკლესიის იმ მამებს, რომლებიც მოსე კათალიკოსზე ადრე მოღვაწეობდნენ, „რომლებიც მასზე ადრე იყვნენ“.

შემდგომში, როცა მოსე კათალიკოსმა გაიგო **კირიონის „განდგომა“**, მან დაუყოვნებლივ მოუწოდა **კირიონს**, რათა დაეცვა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულება. მოსე წერს: „**ჯერაც წერილით არის დაცული ჩვენი და თქვენი სარწმუნოების ერთიანობა**“; ე. ი. მოსე კათალიკოსის დროს ჯერ კიდევ არსებობდა წერილობითი დოკუმენტი „ერთობის“ შესახებ. კათალიკოსი მოსე კიდევ აღწერს, თუ როგორ და რა პირობებში დაიდო „ერთობის“ ხელშეკრულება. მოსეს მიხედვით, კავად მეფეთა-მეფის დროს მომხდარა სარწმუნოებრივი მიმართულების განსაზღვრა ქართული და სომხური ეკლესიების მიერ, რომაელებს ანუ რომ-ბერძენთა იმპერიას მიუღია ქალკედონიტობა, ხოლო ქართველ-სომეხნი რომაელებს განდგომიან და განშორებიან. სწორედ ეს ფაქტი ყოფილა წერილობით დადასტურებული. უხტანესის მიერ გადმოცემული ეს ტექსტი მოსეს ეპისტოლედან ასეთია: „სცან იგი,

რაც კავად მეფეთა-მეფის დროს იქმნა – გამოძიება სარწმუნოებათა გამოკვლევისა: რომაელებმა ქალკედონის სარწმუნოება მიიღეს, ხოლო ჩვენი და თქვენი ქვეყნები განდგნენ და გაშორდნენ. ჯერაც წერილით არის დაცული ჩვენი და თქვენი სარწმუნოების ერთიანობა. ნუ ეცრუები ჩვენს მამათა აღთქმას, რომელიც ჩვენ ორთა შორის დადეს, ნუ განეშორები ჩვენი ერთობისაგან“ (იქვე, გვ. 31).

ძალზე საინტერესოა, რომ კათალიკოს მოსეს მიხედვით, ამ „აღთქმის“ დადებამდე ქართული ეკლესია დაკავშირებული ყოფილა რომ-საბერძნეთის ეკლესიასთან. და ქართული ეკლესია ამ დროს ისევე განშორებია რომაულ-ბერძნულ ეკლესიას, როგორც ებრაელები განშორდნენ ეგვიპტეს. საბერძნეთს მოსე უწოდებს ახალ ეგვიპტეს და შეახსენებს კირიონს, რომ ქართული ეკლესია დაშორდა რომ-ბერძნეთს ეკლესიას, ანუ ახალ ეგვიპტეს, სადაც ქართული ეკლესია თურმე დევნილი იყო ახალი ეგვიპტის ფარაონის მიერ. მოსე წერს: „ნუ იქნები თანახმა რომაელთა; ნუ მიიქცევი გულით ეგვიპტისაკენ, არამედ გაიხსენე, როგორ გამოხვედი ახალი ეგვიპტიდან და შენი მდევნელი ფარაონის მწარე სახლიდან, ბოროტ ზედამხედველთაგან და მწარე მონობისაგან“ (იქვე, გვ. 31).

მართლაც, ცნობილია VI საუკუნემდე კათალიკოსები საბერძნეთიდან იგზავნებოდნენ. მოსე კათალიკოსის მიხედვით, ამ დროს ქართული ეკლესია, თურმე, ბერძნული ეკლესიის მწარე მონობისა და ბოროტი ზედამხედველობის ქვეშ იყო, ხოლო კავად მეფის დროს ქართული ეკლესია გამოყოფია ბერძნულ-რომაულ ეკლესიას. ამავე დროს, ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დადებულა წერილობითი „აღთქმა“ ერთობის შესახებ. VI საუკუნეში ქართული ეკლესია მართლაც სრულებით დამოუკიდებელი რომ ყოფილა ბერძნული ეკლესიისგან, ამას ქართული წყაროებიც აღნიშნავენ. ამის შემდეგ ქართლის კათალიკოსებად უკვე ქართლშივე ეკურთხებიან ქართველები.

კათალიკოს მოსეს თქმით, ქართველ-სომეხთა საეკლესიო კრებას დაუმტკიცებია „სამი წმიდა კრების აღსარება“ და ურთიერთშორის ერთობლივი წერილობითი დოკუმენტი დაუდვიათ (იგულისხმება I-II-III მსოფლიო კრებები).

„...სამი წმიდა კრების აღსარება, რომელიც ჩვენმა და თქვენმა მამებმა ერთობლივი წერილით დაამტკიცეს ურთიერთშორის, რომელიც ჯერაც გვაქვს“ (იქვე, გვ. 31-33).

ძალზე საინტერესოა და ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კირიონი არ უარყოფს ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის ერთობის შესახებ წერილობითი დოკუმენტის, ანუ „აღთქმის“ არსებობას. უფრო მეტიც, ის აღიარებს ასეთი დოკუმენტის არსებობას: „ჩვენი და თქვენი მამების ერთობის, აღთქმისა და სარწმუნოების დამტკიცების შესახებაც რომ მოგიწერიათ, ჩვენ იგივე გვაქვს უცვლელად. ჩვენი და თქვენი ქვეყნების შესახებ რომ მოგიწერიათ და გითქვამთ „ერთობის“ გამო, რომელიც ჩვენ დროს არის, ჩვენ იგივე ერთობა გვაქვს და არ ვცვლით“ (იქვე, გვ. 35).

კირიონი აღიარებს ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის „ერთობის“ არსებობას.

მოვლენების შემდგომ განვითარებას უხტანესი ასე გადმოგვცემს – მოსე ცურტავის ეპისკოპოსი ჩასულა კირიონ კათალიკოსის კარზე თბილისში, რათა მას კირიონისთვის შეეხსენებინა ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დადებული ხელშეკრულება, ანუ აღთქმა-პირობა. მოსე თბილისში კირიონთან ჩასულა იმის გამო, რომ „...ჩემი ნახვით ეგების შერცხვესო აღთქმისა და პირობის, რომელიც დადეს სომეხთა და ქართველთა მამამთავრებმა...“ (იქვე, გვ. 43).

შემდგომში, მოსე ცურტაველი ეპისკოპოსი უთვლის კირიონს: „...ნეტარმა მამამთავარმა მოსემ... იმიტომ შეგარჩია, რომ მამათა აღთქმა და გარდამოცემა მტკიცედ გეპყრას“. „ორივე

ამ ქვეყანას, ჩვენსას, სომეხთა და თქვენსას, ქართველთა იგივე გვექონია და გვაქვს...” ვრთანეს ქერდოლის თქმით, ანტიქალკედონური ერთობის პირობა დაუდევთ არა მარტო ქართულ და სომხურ ეკლესიებს, არამედ ალბანურ ეკლესიასაც. „...ნესტორისა და ქალკედონის კრების წვალეზას, რაც სომეხთა, ქართველთა და ალბანელთა ეპისკოპოსებმა და მთავრებმა ერთად საშინელი წყევლით მოუხსენებლად აღმოფხვრეს, ეხლა ეგ... ინყნარებს“ (იქვე, გვ. 63).

აბრაამ სომეხთა კათალიკოსი, ისე როგორც მოსე კათალიკოსი მიიჩნევს, რომ ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ხელშეკრულება ერთობის შესახებ დადებული კავად მეფის დროს.

„მეფეთა-მეფის კავადის დროს იქმნა კვლევა-ძიება ჩვენ ქვეყანასა და რომაელთა შორის, რომელთაც მიიღეს ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი, ჩვენი და თქვენი ქვეყნის მოძღვარნი და მთავარნი გაშორდნენ მათთან ზიარებას და ორივე ერთობით იცავს წერილობითაც ჩვენს შორის დღემდე“ (იქვე, გვ. 123).

აბრაამ კათალიკოსის თანახმად, ქალკედონიტობას სომეხთსა და ქართლში შემოუღწევია ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართველთა კათალიკოსის დროს. ამის შემდეგ ქართველ და სომეხ აზნაურებს და ეპისკოპოსებს მოუწვევიათ ანტიქალკედონური კრება და დაუდვიათ წერილობითი აღთქმა. ეს წერილობითი აღთქმა დაცული ყოფილა აბრაამის დროსაც: „...ეს ცთუნება, როგორც ადრე მოგწერეთ, შემოვიდა ჩვენ ქვეყანაშიც ბაბგენ სომეხთა კათალიკოსისა და გაბრიელ ქართველთა კათალიკოსის დროს. ეპისკოპოსებმა და აზნაურებმა ერთხმად შეაჩვენეს და გაეცალნენ კრებას და ლეონის ტომარის მადიდებლებთან ერთობას. ეხლაც წერილობით არის დაცული ჩვენთან“ (იქვე, გვ. 131). აბრაამი თავის მესამე ეპისტოლეში კირიონის მიმართ წერს, რომ ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი შეთანხმება მომხდარა გაბრიელ კათალიკოსის დროს.

„...თუ არ შეიცვალეთ ჩვენი სარწმუნოებისაგან, როგორც მრავალჯერ მოგვწერე, წყეულ ქალკედონის კრებასა და ლეონის ბილწ ტომარს რომ იწყნარებ, შეაჩვენე შენც, როგორც შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართველთა კათალიკოსმა შეაჩვენა ჩვენ ნეტარ მამებთან ერთად თავისი ეპისკოპოსებითურთ, რომელთა სახელებია: თვითონ გაბრიელ მცხეთის სახელოვანი ეპისკოპოსი, პალდენ სეფესახლის ეპისკოპოსი, ელიფას ასურიელი ეპისკოპოსი, სამუელ ტიმუელი ეპისკოპოსი, დავით ბოლნელი ეპისკოპოსი, იაკობ სრტავის ეპისკოპოსი, სტეფანოს რუზთავის ეპისკოპოსი, საჰაკ თბილისის ეპისკოპოსი, ელადეს მანგლელი ეპისკოპოსი, ენეს მარუელი ეპისკოპოსი, ევგინის სამთავის ეპისკოპოსი, იოსებ ადსუნელი ეპისკოპოსი, იოანე სარუსთის ეპისკოპოსი, მეორე იოსებ კუმურდოს ეპისკოპოსი, ლაზარ ფოლკდნელი ეპისკოპოსი, თეოდოროს ფორთის ეპისკოპოსი, ზაქარია კასტელი ეპისკოპოსი, ფოკას ასტერმიულის ეპისკოპოსი, ისააკ ჰნარაკერტის ეპისკოპოსი, მოსე ტარსის ეპისკოპოსი, სტნგენე ქორზანას ეპისკოპოსი. ეს ნეტარი ეპისკოპოსები, რომლებიც თქვენი ქვეყნიდან იყვნენ, ალაბანელებთან და სივნიელებთან ერთად სომხეთში შეიკრიბნენ ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის დროს, იმ კრებაზე რომელზეც დაინყევლა მათგან ერთხმად ქალკედონის კრება...“ (იქვე, გვ. 139-141).

აღსანიშნავია, რომ უხტანესის თვალსაზრისი განსხვავდება მოსე და აბრაამ კათალიკოსის თვალსაზრისისგან. კერძოდ, თუ ეს კათალიკოსები თითქოსდა 506-531 წლებში ჩატარებულ რამდენიმე კრებას აერთებენ და ერთ კრებად მიიჩნევენ, უხტანესი ამ კრებას გამონწილივით იკვლევს და სხვაგვარად მიიჩნევს.

თუ კათალიკოსები იერარქიული ერთობის მტკიცებით არიან დაინტერესებულნი, უხტანესი სარწმუნოებრივი ერთობის კრების თარიღს იძლევა.

მღვსეს კალანკატუაცის „აღვანთა ძვეყნის ისტორია“ კიტიონის ეპოქის შესახებ

ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელია თუ რომელ საუკუნეში ცხოვრობდა მოვსეს კალანკატუაცი VII-ში თუ X-ში, ეროვნულად ის ალბანელია, მაგრამ სულისკვეთებით ძალზე არმენიზებულია და უფრო სომეხ პატრიოტს წარმოადგენს, თუმცა უყვარს ალბანელები და ასხვავებს მათ სომხებისაგან. როგორც, საერთოდ, I ათასწლეულის სომეხი მოღვაწეები, ისიც დაინტერესებულია კირიონითა და მის მიერ აღძრული „განხეთქილებით სომეხთა და ქართველთა შორის“. მისი აღწერა უშუალო და გულწრფელია.

„აღვანთა ქვეყნის ისტორია“ „ქართველთა და სომეხთა განყოფა“

„...ჰრომაელთა კეთილმსახური მეფეების ზენონისა და ანასტასის ბრძანებით ერთსულოვნად შეაჩვენეს ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი. 47 წლის შემდეგ სომეხთა კათალიკოსის – აბრაამის დროს ქართველები სომხებს გამოეყვნენ **კირიონის მიერ**. მათთანვე იყვნენ ბერძნები და იტალიელები. აღვანელებს კი არ უარუყვიათ მართლმადიდებლობა, მაგრამ სომეხებთან ერთობა შეინარჩუნეს. აბრაამმა ყველას გაუგზავნა კირიონის განდგომილობის ცირკულარული სიგელი და განაძევა ის სულიერი ხმლით...“ (გვ. 128).

ჯზრა საეკლესიო ხარისხის შესახებ

„ბერძნებმა ხომ თქვეს, ღმერთმა დაანესა ცხრა ხარისხი ეკლესიაში, როგორც ზევით ზეცაშიო, ასევე უნდა იყოს აქაც, დედამინაზე და საყდარში. პატრიარქი, რომელიც იგივე მამამთავარია, არქიეპისკოპოსი, რომელსაც ეპისკოპოსთა თავს უწოდებენ, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, მღვდლები, არქიდიაკვნები, დიაკვნები, წიგნის მკითხველები, მეფსალმუნენი, – ყველა ამათ შეერთებულად შეუძლიათ ხელი დაასხან მამამთავარს, ხოლო მამამთავარს შეუძლია – ყველას. თუ გულწრფელად გნამთ (მომართავენ ბერძნები სომხებს), აღიარეთ ვინ არის თქვენი პატრიარქი? ისინი მხოლოდ ოთხნი იყვნენ ქვეყანაზე: ალექსანდრიისა – მარკოზის საყდარი, ანტიოქიისა – მათესი, რომისა – ლუკასი, ეფესოსი – იოანესი. – ქვეყნის ოთხი კუთხის მიხედვით, ედემის ოთხნაკადიანი მდინარის მიხედვით, ოთხი მახარებლის მიხედვით, მოსეს ოთხი კანონის მიხედვით...“ ჩვენ ყოველივე ამას ვემორჩილებით. დაემორჩილეთ თქვენც ერთ ამათგანს, ანდა ყველას ერთად, რათა ერთი სარწმუნოება გვექონდეს. თქვენმა წმიდა გრიგორმა მთავარეპისკოპოსად ხელდასხმა კესარიაში მიიღო და მას შემდეგ ასევე ხდება დღემდე. თუ თქვენ მისგან განსხვავებული სხვა ეკლესიის მართლმადიდებლები ხართ, მაშინ გვიჩვენეთ პატრიარქი, რომელსაც ემორჩილება თქვენი არქიეპისკოპოსი, ის, რომელიც დღემდე ჩვენს ხელქვეით იყო. ხოლო თუ თქვენ პატრიარქი და სხვა სამღვდელონი არა გყავთ ეკლესიაში, მაშინ არიოზივით გზასაცდენილი მწვალებლები ყოფილხართ... ამაზე სომხებმა ვერაფერი უპასუხეს, რადგანაც მათი ეკლესია მართლაცადა ამგვარ ვითარებაში იმყოფებოდა. იუსტინიანემ თავის გამეფებისთანავე წმიდა იოანე მახარებლის ნაწილები კონსტანტინოპოლში გადაიტანა და იქ სამამამთავრო ტახტი დაანესა, ძირითადი ტახტი კი ეფესოში დარჩა. აგრეთვე მათეს ნაწილები ანტიოქიიდან იერუსალიმში იქნა გადატანილი.

თან ამბობდა: „ეს ქალაქი დიდი მეფის ქალაქიაო“, ძირითადი ტახტი კი ისევ ანტიოქიაში დატოვა. მაშინ დაიძრნენ ერთიანად გულზვიადნი და სადაც კი აღსრულებულნი იყვნენ მოციქულნი, ყველა ტახტი საპატრიარქოდ აღიარეს... რაც შეეხება ცხრა ხარისხს სომხეთში, ეკლესიათა მესვეურებმა თვითნებურად სომეხთა ამპარტავანი ხასიათის გამო პატრიარქად აბრაამი დაადგინეს, არქიეპისკოპოსად – ალბანელი, ხოლო **მიტროპოლიტად – ქართველი**. განაწყენდა **ქართველი**, რომელსაც **კირიონი** ერქვა და განხეთქილებისათვის მიზეზს ეძებდა. მაშინ წმინდა მღვდელმთავარმა აბრაამმა თქვა: **„აღვანელებმა ქართველებზე ადრე მიიღეს ქრისტიანობა და ამიტომაც უფრო შეეფერება მთავარეპისკოპოსობაო“**. ამ მართლმადიდებლური რწმენის ძიებაში კამათის დროს **ქართველები** ქალკედონიტები გახდნენ.

ბერძენი მხედართმთავრები აქეზებდნენ სომხებს, მოეთხოვათ სასულიერო პირველობა აღვანელებზე, რასაც აღვანელები არ ემორჩილებოდნენ, ისინი უთითებდნენ ერთ პირვანდელ მოციქულზე, რომელიც აღვანეთში მოვიდა. მას ელიმა ერქვა, უფლის მონაფეთაგანი იყო და ხელდასხმული უფლის ძმის – იაკობისაგან. ელიმას იქ უქადაგია და აღუშენებია ეკლესია სომხებზე უფრო ადრე. ეს არის აღმოსავლეთში პირველი დედა-ეკლესიაო. ამ გისის ეკლესიას ერწმუნენ აღვანელები და სომხებისაგან გაითიშნენ, რათა არ დარჩენილიყვნენ სხვისი ხელისუფლების ქვეშ (ასევე აქვს არსენი საფარელსაც – ჰერთა კათალიკოსი აბაზი (552-596) კირიონთან ერთად განშორებია სომხურ ეკლესიას). მაშინ სომხებმა, ბერძენთა ამპარტავნების გამო, რომელნიც ცდილობდნენ დაემცილებინათ თადეოზ მოციქულის განსასვენებელი და ამბობდნენ, არა გყავთ მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტიო, გადაწყვიტეს სავარდაპეტოს ეპისკოპოსი მიტროპოლიტად ექციათ. მისცეს მას ჯვარი და პატივი...“ (გვ. 131).

აღბანელთა ქალკედონიტი კათალიკოსის შესახებ (წიგნი III თავი III)

აღბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ადის ნერსესი, რომელიც ქალკედონიტია, მაგრამ მაღავს. ერისკაცობისას მას ბაკური ერქვა, შემდეგ გარდმანის ეპისკოპოსი იყო. მას მხარს უჭერს აღბანეთის დედოფალი, ქალკედონიტი სპარამი, ვარაზ თრდატის მეუღლე. როცა შესაფერისი დრო დადგა, ნერსესმა გაამჟღავნა თავისი ქალკედონიტობა, მას დედოფალი აქეზებდა. სხვა ქალკედონიტ მთავართა დახმარებით მან მრავალი ეკლესია ქალკედონიტურად აქცია, განდევნა ზოგი მონოფიზიტი ეპისკოპოსი, მათ შორის ხაზართა მომაცქეველი ისრაელი, სხვები კი თვითონვე განშორდნენ. მონოფიზიტებს ემხრობოდა აღვანეთის დიდი მთავარი შერო. ამათ მოიწვიეს კრება და შეაჩვენეს ნერსესი სხვა ქალკედონიტებთან ერთად. კრებამ წერილი მისწერა სომხეთის კათალიკოსს – ელიას.

აღბანელ მონოფიზიტთა წერილი სომეხთა კათალიკოსს (თავი IV)

აღბანელ მონოფიზიტთა კრება თაყვანისცემას უცხადებს სომეხთა კათალიკოსს და სწერს: „ჩვენს მამებს თქვენს მამებთან ერთად საერთო მართალი რწმენა ჰქონდათ – იმძლავრა ქალკედონურმა რწმენამ და აავსო ქვეყანა... ნერსესი მგლად იქცა და დაიწყო ქრისტეს გონიერი სამწყსოს გადაბირება. ამის გამო მოვინადინეთ შეგვეტყობინებინა ეს... რათა მოხვიდეთ ჩვენთან, როგორც თქვენს ნაწილთან და განკურნოთ ჩვენი ქრილობები...“ (გვ. 138).

(აღბანელ მონოფიზიტებს მიაჩნიათ, რომ აღბანური ეკლესია სომხური ეკლესიის ნაწილია, რომ აღბანელთა და სომეხთა „მამებს“ საერთო რწმენა ჰქონიათ. მოუწოდებენ სომეხთა კათა-

ლიკოსს, რათა ის მივიდეს ალბანეთში, როგორც „მის ნაწილში“ და იმოქმედოს. ეს ხდება VII საუკუნის მინურულს, ამ საუკუნის დასაწყისში კი სრულებით იდენტური ამბავი ხდება ქვემო ქართლში – გუგარქში. „ეპისტოლეთა წიგნის“ თანახმად გუგარქელი, ანუ ქართველი მონოფიზიტები თავიანთ ეკლესიას მიიჩნევდნენ სომხური ეკლესიის ნაწილად და მოუწოდებდნენ სომხეთის საკათალიკოსოს „ემოქმედა“ გუგარქელთა დასახმარებლად (გუგარქელ ქართველთა, ისევე როგორც ალბანელთა, საეკლესიო ენა სომხური იყო).

სომეხთა კათალიკოსი არაბ ამირასთან უჩივის ალბანელ ქალკედონიტებს (თავი V)

არაბ ხელისუფალს სომეხთა კათალიკოსი სწერს, რომ სომხეთი არაბებს ემორჩილება და ემსახურება ღმერთის ნებით, ალბანელები და სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება. სომეხთა კათალიკოსი შემდეგ მოუწოდებს ამირას, რომ ის ალბანელთა ქალკედონიტობას გულგრილად ნუ შეხედავს, დასაჯოს ისინი თავიანთი მოქმედების შესაბამისად (მსგავსად ასევე სომეხთა საკათალიკოსომ და მარზპანმა ქართული ეკლესიის ქალკედონიტობის, ანუ „ბერძნული სარწმუნოების“ შესახებ შეატყობინეს სპარსთა მეფეს კირიონის დროს და მოუწოდეს, დაესაჯა ქართული ეკლესია ბიზანტიური რწმუნისათვის).

**არაბი ამირა ჰასუსონს სომეხთა
კათალიკოსს (თავი VI)**

არაბი ამირა სომეხთა კათალიკოსს „ღვთის კაცს“ უწოდებს და ატყობინებს, რომ მან ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი ერთგული მსახურის მეთაურობით. ამ ჯარს ნაბრძანები აქვს არაბთა ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები მოაქციოს სომხურ სარწმუნოებაზე. „...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე მოაქციონ“ (გვ. 139).

(აქედან ჩანს, რომ არაბებს ქალკედონიტები მიაჩნიათ არაბთა ხელისუფლებისაგან განდგომილებად, ხოლო „სომხური სარწმუნოების“ მქონენი ერთგულ ღვთის კაცებად).

შემდეგ ატყობინებს, რომ „ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მემამბოხეთა შეურაცხყოფა“ (გვ. 139).

(ყველა ქალკედონიტი არაბთათვის მემამბოხეა. ასევე უწოდებენ ქალკედონიტებს – „ჩვენი ხელისუფლებისაგან განდგომილებს“, ამიტომაც ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონ. ალბანელთა კათალიკოსი ნერსესიც „მემამბოხეა“ თავისი ქალკედონიტობის გამო, ის უნდა დაისაჯოს სომეხი კათალიკოსის წინაშე, ხოლო სომხებს უფლება აქვთ ალბანელები „თავიანთ სარწმუნოებაზე“, ანუ სომხურ სარწმუნოებაზე მოაქციონ).

**სომეხთა კათალიკოსი ალბანეთში სჯის
ალბანთა კათალიკოსს (თავი VII)**

სომეხთა კათალიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, და-
ჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგ-
ვართ **ალბანთა კათალიკოსი ნერსესი**. შეშინებული ალბანელ-
თა კათალიკოსი დაიმალა, შემდეგ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხ-
თა კათალიკოსის წინაშე. „მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის
ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას
მძიმე სასჯელი გამოუტანეს: **გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან
და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ
აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა**“ (გვ. 140).
(აქედან ჩანს, რომ არაბებმა სასტიკად დასაჯეს არა მარტო
ქალკედონიტი სამღვდლოება, ნერსესი და მასთან დაახლოე-
ბულნი, არამედ საერო ქალკედონიტი ხელისუფლებაც, მაგალ-
ითად, ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, რომელ-
იც დასამცირებლად ალბანთა კათალიკოსის ფეხზე გამოაბეს
და გადაასახლეს).

ქალკედონიტიური ლიტერატურა გაანადგურეს. არაბებმა და
ალბანეთში საგანგებოდ ჩასულმა სომეხებმა ალბანთა კათალი-
კოს ნერსესის ქალკედონიტიური წიგნები, რომლითაც სავსე იყო
ზანდუკი, წყალში, მდინარე ტრტუტში ჩაყარეს.

„... ნერსესის „წვალებით“ სავსე წიგნები, რომლითაც ავსე-
ბული იყო ზანდუკი, წაიღეს და მთლიანად მდინარე ტრტუტში
ჩაყარეს...“ (გვ. 140).

**სომეხთა კათალიკოსი ერთგულების ხელწერილს,
ანუ „შემომტკიცების წიგნს“ ართმევს
ალბანელებს (თავი VIII)**

ღმერთმაო, – წერენ ალბანელები „შემომტკიცების წიგნში“, – „შეგვიბრალა ჩვენ უძღურნი, შეინყალა ჩვენი ხალხი და გამოგვიგზავნა ღვთის მადლით ღირსეული მამა ელია – სომეხთა კათალიკოსი, კაცი წმიდა და მართალი, წმიდა გრიგორის ტაძრის მფლობელი, ეპისკოპოსებთან და ვარდაპეტებთან ერთად“. სომეხთა კათალიკოსი ალბანეთში ჩასულა სამი სომეხი ეპისკოპოსისა, ვარდაპეტისა და მრავალ მონაფეთა თანხლებით (გვ. 141). (შეიძლება შედარება – სომხეთის ეკლესია კირიონის დროსაც აპირებდა ქართლში სომეხი ეპისკოპოსების გაგზავნას, რათა მათ კირიონისათვის „ესწავლებინათ სწორი სარწმუნოება“).

ალბანელები შემდეგ წერენ სომხეთიდან ჩასული სამღვდელთა შესახებ – „მოხვედით თქვენ ჩვენს დედაქალაქ პარტავში და ტკბილი მოძღვრებით აღკვეთეთ ბოროტი ჩვენს შორის. გაგვახსენეთ ჩვენი წინაპრის ანდერძი...“ (გვ. 141).

შემდეგ – „როდესაც განსაცდელმა მოაღწია ჩვენამდე, ღმერთმა აღმოგვიჩინა შემწეობა წმიდა გრიგორის მონაცვლის მეშვეობით, რომლის მართლმორწმუნეობის მონაფენი ვართ და ვიქნებით. ელია სომეხთა კათალიკოსი გახდა სიმართლის მტერზე შურისმაძიებელი და ახლა ჩვენ ყველანი ვწყევლით „მწვალებლებს“ ... ქალკედონის კრებასა და ლეონის ტომარს... **შევაჩვენეთ ჩვენი საცოდავი წერსესიც**, რომელიც სათნოეყო ორბუნებიანთა „წვალებას“ და მისი მიმდევარნი. ჩვენ შევადგინეთ ეს საბუთი ღმრთისა... რათა ამის შემდეგ აღარვინ გაბედოს გადაუხვიოს ჩვენი მამების ნაანდერძევს. ხოლო თუ გამოჩნდება ვინმე უტიფარი... ასევე შეჩვენებული იქნება... თუ ეპისკოპოსთაგანი იქნება ვინმე – ღირსება ჩამოერთვას და ტახტიდან ჩამოგდებულ იქნას. თუ მღვდელი – ასევე მოუვიდეს, თუ ვინმე

ბერთაგანი, – შეჩვენდეს და განიდევნოს, ხოლო თუ აზატა-განი იყოს – ეკლესიიდან მოიკვეთოს და ამხანაგებში გარევა აეკრძალოს, ვიდრე მართლმადიდებლურ რწმენაზე არ შემობრუნდეს“. (აქედან ჩანს, რომ არაბთა ზემოქმედებით აღბანელები (და არა მარტო აღბანელები, არამედ კავკასიის ქალკედონიტი) იძულებულნი არიან თავიანთი თავი სომხური ეკლესიის წევრებად გამოაცხადონ და დაგმონ ქალკედონიტობა. ქალკედონიტი სამღვდლოება განიკვეთება და განიდევნება, ქალკედონიტი ერისკაცები მოიკვეთება საზოგადოებიდან – „ამხანაგებიდან“ და ეკლესიიდან, მას ეკრძალება საზოგადოებასთან რაიმე კავშირი მანამ, სანამ არ მიიღებს „სომხურ სარწმუნოებას“. უნდა ვიფიქროთ, რომ აღბანეთის მეზობელ ქვემო ქართლში, სადაც არაბობას განსაკუთრებით ჰქონდა ფეხი მოკიდებული, მრავალმა ქართველმა ქალკედონიტმა იძულებით მიიღო „სომხური სარწმუნოება“).

აღბანეთის კათალიკოსი სომხეთში უნდა ეკურთხოს

ამის შემდეგ აღბანელ მონოფიზიტთა კრების მონაწილენი – სამღვდლოება, მთავრები და აზნაურები დებენ შეთანხმებას სომხეთის კათალიკოსთან აღბანეთის კათალიკოსის კურთხევის წესის შესახებ. ამ შეთანხმების თანახმად, აღბანეთის კათალიკოსის კურთხევა ხდება სომეხთა კათალიკოსის მიერ. **აღბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომხეთში „წმიდა გრიგორის ტახტზე“.** თუ რომელიმე აღბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომხეთში – ის კათალიკოსად არ ჩაითვლება. კრების მონაწილეთა აზრით, აღბანეთის კათალიკოსი სომხეთში უნდა ეკურთხოს, იმიტომ რომ აღბანეთი სომხეთის მეშვეობით განათლდა და წმიდა გრიგორის დროიდან მისი

კურთხევა სომხეთში ხდებოდა, ბოლო დროს კი ასეთი წესი დარღვეულა. კრება აღადგენს „ძველ წესს“.

„ჩვენ თავიდან დავანესეთ აგრეთვე ალვანეთის კათალიკოსის ხელდასხმა, რადგან ბოლო ხანებში ჩვენმა კათალიკოსებმა დაარღვიეს ეპისკოპოსთა დადგენის წესი. გამოუცდელივით და უცოდინარობით ჩვენს ქვეყანაში განხეთქილებამ იჩინა თავი. ამიტომ **შეთანხმდით ღვთისა და თქვენი მამამთავრობის წინაშე, რომ ალბანეთის მღვდელმთავრის კურთხევა წმიდა გრიგორის ტახტზე მოხდეს**, ჩვენი ქვეყნის თანხმობით, როგორც ეს ხდებოდა წმიდა გრიგორის დროს. რადგანაც ჩვენ თქვენიდან გავნათლდით, ჭეშმარიტად გვწამს, რომ ვისაც თქვენ აირჩევთ, ის სასურველი იქნება ღვთისთვისაც და ჩვენთვისაც, ნურავინ გაბედავს ამ შეთანხმების დარღვევას და სხვანაირ მოქმედებას, ხოლო თუ ვინმე დაარღვევს – მისი ხელდასხმა გაუქმებულად ჩაითვლება... რწმენა იყოს მტკიცე და შეურყეველი ჩვენ ორივე ხალხს შორის“... (გვ. 143).

შეთანხმება დაიდო სომხური წელთაღრიცხვით 148, ანუ **699 წელს**. კრებას სომეხთა კათალიკოსი ელია თავმჯდომარეობდა.

აქედან ჩანს, VII ს-ის ბოლოს როგორ შეძლო სომხურმა ეკლესიამ მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და **ალბანელებმა „სომხური სარწმუნოება“ მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერგული სომხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომხურ ეკლესიაში**. ეროვნული ეკლესიის გარეშე დარჩენილი ალბანელთა დიდი ნაწილი მაჰმადიანდება და ასიმილირდება სხვა ხალხებში, მორწმუნე ქრისტიანი ალბანელები სომხური ეკლესიის ნაწილი ხდებიან.

არაბებმა, ისე როგორც ადრე სპარსელებმა, „სომხური სარწმუნოება“ სავალდებულოდ აქციეს კავკასიელი ხალხებისათვის.

თუ VII ს-ის დასაწყისში ალბანურმა ეკლესიამ გაბედა და სომხურ ეკლესიას გამოეყო, მსგავსად კირიონისა, VII ს-ის ბოლოს არაბები ალბანელებს საბოლოოდ უქვემდებარებენ სომხურ ეკლესიას. არსენი საფარელი და მოსე კალანკატუელი ერთნმად წერენ ალბანეთის სომეხთაგან გამოყოფის შესახებ VI-VII სს-თა მიჯნაზე. ისინი ამ დროს უთითებდნენ პირველ მოციქულ ელიშაზე, რომელმაც ალბანური ეკლესია დააფუძნა – „...მხედართავრები აქეზებდნენ სომხებს, მოეთხოვათ სასულიერო პირველობა ალვანელებზე, რასაც ალვანელები არ ემორჩილებოდნენ. ისინი უთითებდნენ ერთ პირვანდელ მოციქულზე, რომელიც ალვანეთში მივიდა, მას ელიშა ერქვა. იქ უქადაგია და აღუშენებია ეკლესია სომხებზე უფრო ადრე. ეს არის აღმოსავლეთში პირველი დედა ეკლესიაო. ამ გისის ეკლესიას ერწმუნენ ალვანელები და სომხებისგან გაითიშნენ, რათა არ ყოფილიყვნენ სხვისი ხელისუფლების ქვეშ“. ახლა კი VII ს-ის ბოლოს ალბანელებმა აღარ წამოაყენეს იდეა იერუსალიმიდან, უფლის ძმა იაკობისაგან ქრისტიანობის ალბანეთში შემოტანის შესახებ, ახლა ისინი უკვე აცხადებენ, რომ მათ სომხეთისაგან მიიღეს ქრისტიანობა. პირდაპირ წერენ კიდევ – „... ჩვენ თქვენგან გავნათლდით...“ (გვ. 143). ამიტომაც ალბანური ეკლესია უნდა დაექვემდებაროს სომხურს.

სომეხთა კათალიკოსი შეთანხმების წერილს აძლევს ალვანელებს (თავი IX)

„უთანხმოებანი, რომლებიც ალვანეთში მოხდა რწმენის გამო ურჯულო ნერსესისაგან, მრავალთა სულებში ქალკედონიტურ რწმენას აღვივებს და თავისი ცბიერი ბოროტებით საშიშროებას უქმნის ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და ბერებს. როდესაც გავიგე მე, სომეხთა კათალიკოსმა ელიამ, ჩემს ეპისკოპოსებთან

ერთად მივედი ალვანეთში, დიდებულ ქალაქ პარტავში. ჩემთან შეიკრიბნენ სასულიერონი და საერონი... ეპისკოპოსებმა და ეკლესიის მთელმა დასმა ხელწერილითა და ბეჭდით... დაადგინეს: თავისი ნებით მტკიცედ დაიცვან რწმენა და არ შეერიონ ქალკედონიტური რწმენისა და ბაკურის მოძღვრების მიმდევრებს... თუ ვინმე კათალიკოსი ან ეპისკოპოსი გადაუხვევს ამ შეთანხმებას, მაშინ მას აღარ უნდა ჰქონდეს უფლება მრევლზე... მე ელია, სომეხთა კათალიკოსმა ჩემს ეპისკოპოსებთან ერთად მივიღე შემომტკიცების წიგნი ალვანელთა კრებისაგან და მომეცით თქვენ ეს შეთანხმების წერილი..." (გვ. 144).

ასე აღწერს მოვსეს კალაკატუაცი თუ როგორ მოსპო ალბანური ეკლესიის დამოუკიდებლობა და ეროვნული ხასიათი სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ VII საუკუნეში. ალბანელთა არმენიზაცია ამ და სხვა წყაროებით დადასტურებული ფაქტია, ხოლო ალბანელთა ე.წ. „ქართიზაციას“ უშუალოდ არ ადასტურებს არც ერთი წყარო. და ის სამეცნიერო წრეებში შეითხზა XX საუკუნეში.

ნაწილი II

პიტიონ I-ის ღვწლო

სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობის მიზმი და მისი შიდეგი

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ ქართლი სპარსელებმა დაიმორჩილეს. სპარსელები იმ დროს სომხურ ეკლესიას განადიდებდნენ და უპირისპირებდნენ ბერძნულ-რომაულ ეკლესიას. ამის შესახებ კარგად წერს არსენი საფარელი. V ს-ში ქართული ეკლესია ბერძნული ორიენტაციისა იყო და მისი გავლენის სფეროში შედიოდა. ვახტანგ გორგასალმა ანდერძიცი დატოვა, რომ ქართული ეკლესია არ დაშორებოდა ბერძნულს და ქართლს ბერძნული ორიენტაცია არ უარეყო. ქართლზე ბერძნული ზეგავლენა სრულიად მოუთმენელი იყო სპარსეთის სახელმწიფოსთვის. სპარსეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქართული ეკლესია დაშორებოდა ბერძნულს, მისთვის სასურველი იყო, ბერძნული ეკლესიის მაგიერ ქართულ ეკლესიას ორიენტაცია აელო აღმოსავლურ-სირიულ-სპარსულ ეკლესიაზე. VI საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ამ პოლიტიკური მიზეზების გამო, ქართული და სომხური ეკლესიები რამდენჯერმე იწვევენ საეკლესიო კრებას. უხტანესის მიხედვით, ბოლო ასეთი კრება, რომელზედაც დადებული ყოფილა წერილობითი სახის „აღთქმა“ ერთობის შესახებ, მოუწვევიათ 520-იან წლებში. შეიძლება ამ ხელშეკრულებით უკმაყოფილო ქართლმა მოაწყო

ცნობილი აჯანყება 523 წელს, რომლის შემდეგაც, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სპარსელებს სრულებით გაუუქმებიათ ქართული სახელმწიფოებრიობა.

„სპარსეთის მთავრობა აგრეთვე სხვა საშუალებებსაც მიმართავდა ამ იდეოლოგიური კავშირის განსამტკიცებლად. მას სურდა, მაგალითად, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიების გაერთიანება, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მისი მართვა. ამიტომ მოკლეს თუ არა ვახტანგ გორგასალი, სპარსელების მთავარი მტერი და მოწინააღმდეგე ამიერკავკასიაში, მაშინვე, 506 წელს, სპარსელებმა სომხეთის დედაქალაქ დვინში მოიწვიეს სომხეთის, ქართლისა და ალბანიის ეკლესიების საერთო კრება“ (ს. ჯანაშია, შრომები, გვ. 112).

506-523 წლებში დამპყრობელი სპარსელების დროს ქართულ ეკლესიას თავისი ავტოკეფალია არ დაუკარგავს, პირიქით, მისი დამოუკიდებლობა, ანუ ავტოკეფალია კიდევ უფრო განმტკიცდა, რადგანაც უკვე ქართლშივე ირჩევდნენ ამ დროს ქართველ კათალიკოსებს. ქართულ ეკლესიას ამ დროისათვის ჰქონდა თავისი იურისდიქციის საზღვრები და თავისი იერარქიული სტრუქტურა, მაგრამ ოფიციალურად ქართულ ეკლესიას ურთიერთკავშირი ჰქონდა აღმოსავლურ-სომხურ-სპარსულ ეკლესიასთან. არსენი საფარელის მიხედვით, სომხური ეკლესიის უზენაესობა გაგრძელებულა 551 წლამდე, ხოლო საეკლესიო „ერთობა“ დაირღვა კირიონ კათალიკოსის დროს, 607-09 წლებში. კ. კეკელიძის თანახმად, ამ დროს კავშირი ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მხოლოდ ფორმალურად განყვეტილა, ხოლო ფაქტობრივად კვლავ არსებულა. ეს კავშირი ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მთლიანად განყდა VIII ს-ის დასაწყისში, 726 წლის სომხური საეკლესიო კრების შემდეგ.

ჩანს, ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა VI-VII საუკუნეებში ისეთივე სახის იყო, როგორც ქართულ-ბერძნულ-

ლი ეკლესიების ურთიერთობა X-XI საუკუნეებში. X-XI საუკუნეებში, თუმცა ქართული ეკლესია სრულიად ავტოკეფალური, დამოუკიდებელი ეკლესია იყო, მაინც აღიარებდა ბერძნული ეკლესიის უპირატესობას.

სომხურ ეკლესიასთან აქტიურ ურთიერთობას, გიორგი მცირის ცნობით, შედეგად მოჰყოლია ქართული წმიდა წერილის რედაქტირება სომხურის მიხედვით. გიორგი მცირის ცნობით, თავდაპირველად ქართული წმიდა წიგნები ითარგმნა ბერძნული ენიდან (ე.ი. IV-V სს-ში), ხოლო შემდეგ სომხური რედაქციის მიხედვით იქნა შესწორებული (ე.ი. VI ს-ში). სომხური რედაქციის მიხედვით შესწორების გამო, ქართული წმიდა წიგნები დამახინჯდა, რასაც ბერძნები გვაყვედრიდნენ. ამიტომაც, მათ ხელახლა დასჭირდა რედაქტირება, ახლა უკვე ბერძნული რედაქციების მიხედვით (XI ს-ში).

ქართული წმიდა წიგნები თავდაპირველად მართლაც რომ ბერძნულიდან არის ნათარგმნი, ხოლო შემდეგ რედაქტირებული სომხურის მიხედვით, დადგენილია ძველი ტექსტების გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად კ. დანელიას მიერ. იგი წერს: „თუ კრიტიკულად შევაფასებთ გიორგი მცირის ცნობას... პოზიტიურ ფაქტად რჩება შემდეგი: 1. ქართველებს ქრისტიანობის მიღებისთანავე ჰქონიათ ძველ მთარგმნელთა მიერ გადმოღებული ბიბლიური წიგნები; 2. შემდგომ, რადგან საბერძნეთი ტერიტორიულად შორს იყო საქართველოსაგან, საქართველოში (თუ საქართველოს მეზობლად) მცხოვრებ სომხებს ქართველებისათვის „მიზეზითა წესიერებისათა“, ე. ი. თარგმანის სისწორის დაცვის მოტივით შეუთავაზებიათ ბიბლიური წიგნების სომხური თარგმანით სარგებლობა; 3. ამის შედეგად ქართულ ენაზე სომხურიდან გადმოუღლიათ ზოგიერთი ბიბლიური წიგნი. გიორგი მცირე თვითონ კი არ თხზავს ამ ფაქტს, არამედ არსებითად ტრადიციულ აზრს იმეორებს, მასზე ადრე გიორგი მთაწ-

მიდელი არაერთგზის აღნიშნავს ბიბლიური წიგნების პირვან-დედლ თარგმანთა მაღალ ღირსებას, რაც, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ბერძნულ წყაროსთან სიახლოვე-შესატყვისობას გულისხმობს“ (კ. დანელია, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №23, 1980, გვ. 89).

კ. დანელია ეთანხმება (ძირითადად) ამ ძველ, ქართულ ტრადიციულ აზრს: „პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციის წყარო ბერძნული ორიგინალი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რით ავხსნათ სომხურ-სირიული ელემენტების არსებობა ქართულ თარგმანში? უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულიდან მომდინარე ძველი ქართული თარგმანი V-VI სს-ში შეჯერებულ იქნა სირიულიდან მომდინარე სომხურ თარგმანთან...“ (იქვე, გვ. 122). ისმის კითხვა – რატომ? რა საჭირო იყო ბერძნულიდან უკვე „წმიდად თარგმნილი“ წიგნების შეჯერება სომხურ თარგმანთან შემდგომ საუკუნეებში? მკვლევარი უპასუხებს ამ კითხვას „გარკვეული (სომხური წარმოშობის) წრის სურვილების დასაკმაყოფილებლად“ (იქვე), „ძველი ქართული თარგმანის სომხურ წყაროსთან შეჯერება, თუ სომხურიდან ხელახლა თარგმნა V-VI სს-სათვის უფრო საფიქრებელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტაოს თემში, სადაც სომხური წარმოშობის მოსახლეობის ხვედრითი წონა დიდი იყო. პოლიტიკური მოსაზრებით, ტაო IV-VI სს-ში სომხური პროვინცია იყო, დიდი ფეოდალური საგვარეულოს – მამიკონიანთა საგანმგებლო“ (იქვე, გვ. 90).

სრულიად გაუგებარია, თუკი ტაო პოლიტიკურად IV-VI სს-ში სომხური პროვინცია იყო და აქ სომხური წარმოშობის მოსახლეობის ხვედრითი წონა დიდი იყო, რისთვის სჭირდებოდათ მათ V-VI სს-ში ქართული წიგნები და თანაც სომხურის მიხედვით რედაქტირებული? უფრო მეტიც, თუკი მათთვის სომხური რედაქცია ამ წიგნებისა ავტორიტეტული და მისაღები იყო, შეეძლოთ თვით სომხური წიგნებით ესარგებლათ! სინამ-

დვილემი აქ უფრო გლობალურ საერთო-საეკლესიო მასშტაბის მოვლენასთან გვაქვს საქმე – ქართული ეკლესია არა მარტო ტაოში, არამედ საერთოდ, იძულებული იყო სომხურისათვის შეეჯერებინა ქართულად უკვე თარგმნილი წიგნები. არავითარი სომხური წარმოშობის ქართული მოსახლეობა V-VI სს-ში არ არსებობდა, პირიქით, ეროვნებით **ქართული მოსახლეობა სომხურენოვანი ხდებოდა (საეკლესიო თვალსაზრისით)**, ალბანელთა მსგავსად, მით უმეტეს, რომ როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ტაო და საერთოდ საქართველოს სამხრეთი პროვინციები პოლიტიკურად სომხეთში შედიოდნენ VI ს-ში.

არსენი საფარელი წერს, რომ სომხური ეკლესია VI ს-ში სპარსეთის იმპერიაში ძალზე დაფასებული ყოფილა, განსაკუთრებით კავადისა და ხოსროს მეფობის დროს. არსენის მიხედვით, სპარსელებმა დაპყრობილ სომხეთში დასცეს აზნაურთა ხელისუფლება და გააბატონეს სამღვდელოება. საერო ხელისუფლება გადაეცა სომეხ სამღვდელოებას. ხარკსაც კი თვით სომეხი სამღვდელოება კრეფდა მოსახლეობიდან, რადგანაც ქვეყნის მმართველობა მათ ხელში იყო. სპარსეთის სამეფო კარისა და სომხეთის სამღვდელოების კავშირი ისე ღრმა ყოფილა, რომ მეფეები, კავადი და ხოსრო, თავიანთ „შვილობილებად“ გამოუცხადებიათ სომეხ კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს – „აქათგან სპარსთა მარზაპანთა დაიპყრეს სომხითი და შეურაცხ-იქმნა წესი საქრისტიანოჲ, და ეკლესიათა განგებაჲ აღიწოცა, და აზნაურთა ჴელმწიფებაჲ დაეცა სპარსთა მარზაპანთაგან, და კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი განდრკეს სიმართლისაგან და კადნიერებაჲ მოიღეს სპარსთაგან წინა-აღდგომად აზნაურთა და ჴარკსა სოფელთასა თვთ გარდაიწდიდეს, რამეთუ ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდვეს ქუეყანაჲ, ვითარცა მორჩილთა მეფობისა სპარსთაჲსა და რომელთამე კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დაიშვილნეს და ძეობი-

ლად უნოდდეს კავადს და ხუასროს...” (არსენი საფარელი, განყოფისათვის, გვ. 87).

კავად მეფის დროს სომხეთის ეკლესია მართლაც რომ გაბატონებული და გაძლიერებული ყოფილა, ეს ჩანს არა მარტო არსენი საფარელის მიხედვით, არამედ სომეხთა კათალიკოსის, მოსეს ეპისტოლედანაც. კირიონისადმი მიწერილ ამ ეპისტოლეში მოსე შეახსენებს კირიონს, რომ კავად მეფის დროს ქართველი და სომეხი ეკლესიის მამების გაერთიანებულ კრებას მიუღია წერილობითი დადგენილება, რომლის ძალითაც სპარსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული ამიერკავკასიისა და სხვა ერების ეკლესიებს უარუყვიათ ქალკედონის კრების დადგენილება, გარდა ამისა, მიუღიათ რაღაც აღთქმა თუ ფიცი საეკლესიო ერთობის შესახებ. მოსე წერს, – „სცან იგი, რაც კავად მეფეთა-მეფის დროს იქმნა... ჯერაც წერილით არის დაცული ჩვენი და თქვენი სარწმუნოების ერთიანობა. ნუ ეცრუები ჩვენს მამათა აღთქმას, რომელიც ჩვენ ორთა შორის დადეს, ნუ განეშორები ჩვენი ერთობისაგან...” (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 31).

კავად მეფეს სომეხ-ქართველთა საეკლესიო ერთობის აღნიშვნის დროს ახსენებენ არა მარტო არსენი საფარელი და მოსე კათალიკოსი, არამედ ძველი დროის სხვა საკლესიო მოღვაწენიც.

არსენი საფარელი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, არ უარყოფს სომეხურ და ქართულ ეკლესიებს შორის „ერთობის“ არსებობას. მის მიხედვით, ამ ეკლესიათა შორის არსებულა იერარქიული ერთობა, რომელიც გაგრძელებულა 551 წლამდე – ნერსე მიჯინის I კრებამდე.

„ხოლო არამცირედი აღთქუმაჲ იყო ხუასრო მეფემან ნერსე კათალიკოზისა მიმართ... ქმნა კრებაჲ პირველი დვინს და განეშორნეს სჯულითა ბერძენთა და იერუსალემსა. ხოლო ქართლი

ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენნეს ჴელთდასხმასა მღდელობისასა სომეხთაგან, არამედ ჰერნი და სივნიელნი ჟამ ერთ განეყენნეს და კუალად შეერინნეს..." (არსენი საფარელი, განყოფისათჳს, გვ. 84).

სომხეთის კათალიკოსები, მოსე და აბრაამი, ასევე სხვა მოღვაწენი მიიჩნევენ, რომ ქართულ-სომხურ-ალბანური ეკლესიების ერთობამ უარყო ქალკედონის კრება, ხოლო არსენის მიხედვით, სომხური ეკლესია „ბერძნულ სჯულს“ გამორებია ხოსროს დროს, რასაც აღუშფოთებია ქართული ეკლესია, ამის გამო ქართულ ეკლესიას კავშირი შეუწყვეტია სომხურ ეკლესიასთან.

ზ. ალექსიდის მიხედვით, „...არსენი პირდაპირ ინერს ტექსტს თავისი სომხური წყაროდან, რომელიც თავის მხრივ ტენდენციურად არის გადაკეთებული გვიან. პირველ წყაროში ლაპარაკი იყო რელიგიურ ერთიანობაზე (ბერძენთა მსგავსად) და არა იერარქიულზე“ (იქვე, გვ. 156).

ძველ დროს იერარქიულ ურთიერთდამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თვით ისეთი ძლიერი და ძველი ეკლესიაც კი, როგორც სომხური ეკლესია იყო, იერარქიულად საბერძნეთის, კერძოდ, კაპადოკია-კესარიის ეკლესიაზე იყო დამოკიდებული. სომხურ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ ბერძნულ (კაპადოკიის) ეკლესიას სომხური ეკლესია საბოლოოდ დაშორდა დვინის 554 წლის კრების გადაწყვეტილებით – „დვინის კრების ნებით (554 წ.) სომხური ეკლესია საბოლოოდ დაშორდა ბერძნულს“ (ვ. ნალბანდიანი, სომხურ სიძველეთა გაკვეთილები, გვ. 11).

520-იანი წლებიდან 560-იან წლებამდე ქართული ეკლესიის მდგომარეობა ძლიერ საგანგაშო ყოფილა, რასაც შედეგად მოჰყვოლია ასურელი მამების ჩამოსვლა საქართველოში 530-40-იან წლებში, რომელთა მოღვაწეობითაც ქალკედონიტობა განმტკიცებულა, მონოფიზიტობა დასუსტებულა. 70-90-იან წლებში

ქართლი უკვე ქალკედონიტურია, რაც ნაყოფი იყო ასურელ მამათა ღვანლისა და 551 წელს სომხურ ეკლესიასთან კავშირის განწყვეტისა, მაგრამ ეს სომხურ-ქართულ ეკლესიათა დაშორება სრული არ ყოფილა, „ერთობა“ კვლავ გრძელდებოდა.

შინაგანად ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი ეკლესია, გარეგნულად კვლავ ერთიანობის წარმოსახვას ცდილობდა, ეს გამონწვეული იყო იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციით; საქართველოში სპარსელების ძლიერების დროს ქართულ ეკლესიას ურთიერთობა ჰქონდა სომხურ ეკლესიასთან, ხოლო ბიზანტიელთა ძლიერების დროს „ერთობა“ ირღვეოდა. VII საუკუნის დასაწყისში, 604 წლიდან, ხოსრო II-მ ბიზანტიელნი მრავალჯერ დაამარცხა და, ცხადია, საქართველოშიც გაძლიერდა. ამ დროიდან, სომხეთი დაბეჯითებით მოითხოვს „ერთობის“ კიდევ უფრო განმტკიცებას. „ერთობის“ შესუსტება გამოიწვია იმანაც, რომ 592 წლიდან იბერიის მომეტებული ნაწილი თბილისამდე ბიზანტიას გადასცა სპარსეთმა. კირიონს განსაკუთრებულ პოლიტიკურ სიტუაციაში უხდებოდა მოღვაწეობა: მისი სამწყსოს ერთი ნაწილი ბიზანტიელთა ხელში იყო, ხოლო მეორე ნაწილი სპარსელებისა. კირიონსაც შესაბამისი პოლიტიკა აქვს: „კირიონმა თავისი ნება ორად გაყო, გადაიხარა ბერძენთა მხარეს, თაყვანს სცემდა და აამებდა მავრიკე კეისარს. ამით იქადის და ამბობს: „ჩვენ მივიღეთ და გვაქვს კეისრის სარწმუნოება“... შემდეგ ამბობდა: „კონსტანტინოპოლი წმიდა იოანეს საყდარი და კეისრის სახლია, რა სარწმუნოებაც იქ იქადაგება, ჩვენც მას ვემსახურებითო.“ შემდეგ: „ვათარგმნინე და გამოვაგზავნე ოთხი კრების წიგნი, რომლითაც ბერძნები ხელმძღვანელობენ და ჩვენც იგივე სარწმუნოება გვაქვსო, და ღმერთმა კეისარი აცოცხლოსო“. ხოლო შემდეგ მოიქცევა სპარსელთა მხარეს, რადგანაც მათი ქვეყანა გაყოფილი იყო სპარსელთა და ბერძენთა მხარედ და ეჭვობდა

მეფეთა-მეფის გამო...“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 156-157).

მავრიკე კეისარი, რომელსაც კირიონი „თაყვანს სცემდა და აამებდა“, დაეხმარა ხოსრო II-ს. „ამ დახმარების სამადლობლად ხოსრო II-მ, ...იბერიის მომეტებული ნანილი ქ. თბილისამდე მავრიკი კეისარს გადასცა. ეს უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, 591 წელს“; „როცა კეისარს მავრიკის ფოკა აუჯანყდა და მავრიკი მოკლა, ხოსრო II 604 წ. ...ბერძნებს ომი აუტეხა. სპარსთა მეფემ ბიზანტიელნი მრავალგზის დაამარცხა და 606-607 წ-ს კეისრის ჯარი კარინიდანაც კი განდევნა...“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 300).

უხტანესის მიხედვით, კირიონს ქალკედონური სარწმუნოება ჰქონია, მაგრამ ამის გამომჟღავნებისა ეშინოდა სპარსელებთან. „კირიონი იმ მხარით იქადიდა, რადგან სარწმუნოება იქიდან მიეღო და ამ მხარეს ეშინოდა, რომ მეფისაგან სარწმუნოების გამოძიება იქნება სომეხ აზნაურთა გავლენით“. „ვთუ, თუ გამოიძიოს ჩემი საქმეები სმბატ ვრკანის მარზპანის ჩაგონებით...“ „ლიქნით კეისრის დღეგრძელობას ეძიებდა და მეფის დიდებას ევედრებოდა“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 157).

ივანე ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ „...სომხეთის მმართველი წრეების ერთი ძირითადი მოსაზრებათაგანი ის ყოფილა, რომ ქართველები სპარსეთის ქრისტიანებსა და სომხებს არ უნდა ჩამოშორებოდნენ და მათთან უეჭველად ერთობა დაეცვათ... საფიქრებელია, რომ მონოფიზიტობის ასეთი თავგამოდებული მომხრეობა სომეხთა მხრივ სწორედ იმ მჭიდრო სულიერი კავშირით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომელიც სომხურ ეკლესიას აღმოსავლეთისა და, კერძოდ, სპარსეთის ეკლესიასა და ქრისტიანობასთან ამ ხანაში ჰქონდა... ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობისა, თუ განხეთქილების საკითხი არსებითად იმაზე იყო დამოკიდებული, აღმოსავლე-

თის, სპარსეთის საეკლესიო ტრადიციასა და მოძღვრებას მიემხრობოდა საქართველო, თუ დასავლეთისას, ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობას... ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ სიმპათიებს პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და, უეჭველია, სპარსეთის მთავრობა ამ გარემოებას ფხიზლად სდარაჯობდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 424).

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ სომეხთა კათალიკოსს „...ჭემ-მარიტი სარწმუნოების დამცველად მხოლოდ სომხური ეკლესია მიაჩნდა“ (იქვე, გვ. 422). „კერიონი სწერდა აბრაამს: „ქართველებს და სომეხებს ერთმანეთში თანხმობა ჰქონდათ, წმიდისა უფლისა გრიგოლის მთელსავე სამწყსოს თანხმობა ჰქონდა იერუსალიმის სარწმუნოებასთან, რომელსაც ჰრომაელნი მისდევენ, და სხვა რამე სიტყვა-საუბარი იქ არ შეჭრილა. ეხლა კი საიდან-ღა გაჩნდა? რომის მამამთავარი წმ. პეტრეს საყდარზე ზის, ალექსანდრიისა – წმ. მარკოზ მახარებლისაზე, ანტიოქიისა – წმ. ლუკა მახარებლისაზე, კონსტანტინოპოლისა – წმ. იოანე მახარებლისაზე და იერუსალიმისა – ძმისა უფლისა წმ. იაკობისაზე. რა სარწმუნოებაც მათ ჰქონდათ და ჩვენ და ჩვენ მამებს გადმოგვცეს და რასაც ჩვენ აქამომდე ვიცავდით, ამას ეხლა როგორ მივატოვებთ და თქვენ როგორ დაგიჯერებთ? და თუნდაც სხვა უამრავ მართლმადიდებელ ეპისკოპოზებს, მეფეებს, მთავრებსა და მთელ მართლმადიდებელ ქვეყნიერებას როგორ შეიძლება, რომ თავი დავანებოთ და მარტო თქვენთან გვქონდეს ერთობა“-ო? (იქვე, გვ. 423).

„რაკი ქალკედონიანობა მაშინდელ ხუთსავე საპატრიარქო ეკლესიას მართლმადიდებელ სარწმუნოებად ჰქონდა აღიარებული, ამიტომ კერიონ კათალიკოსის აზრით, სომხური ეკლესიის პრეტენზიები, ვითომც ჭემმარიტი სარწმუნოება მხოლოდ მას ჰქონდეს დაცული, სრულებით უსაფუძვლო იყო“ (იქვე, გვ. 423).

სომხეთის კათალიკოსს უნებებია სრული და საბოლოო განხეთქილების ჩამოგდება და ამით ქართული ეკლესიის თითქოს-და დასჯა: „...607-608 წელს მრგვლივმოსავლელი ეპისტოლე გამოსცა, რომლის ბოლოშიაც ნათქვამი იყო: „ჩვენ ბერძნების შესახებ პირველ მოძღვართა გამოტანილი დადგენილების... ქართველებზეც გავრცელებას ვბრძანებთ, – რომ მათთან სრულებით არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდეთ არც ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, რომ მცხეთისა და მანგლისის ჯვრების კარზე სალოცავად აღარ გაემგზავრნენ ხოლმე და ჩვენ ეკლესიებში არ შემოუშვან... ამ განკარგულებას ძალა ალბანელების შესახებაც ჰქონდეს“-ო (იქვე, გვ. 428).

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ამ ორ ეკლესიას შორის „ერთობა“ არსებობდა და ამ ერთობის დაცვით განსაკუთრებით სომხური მხარე იყო დაინტერესებული, „რომ ქართველები სპარსეთის ქრისტიანებსა და სომხებს არ უნდა ჩამოჰშორებოდნენ და მათთან უეჭველად ერთობა დაეცვათ“ (იქვე, გვ. 424).

ურთიერთობა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის რამდენჯერმე დაირღვა VI-VII საუკუნეებში და კვლავ აღდგა. 551-54 წლებში ურთიერთობა დაირღვა, არსენი საფარელის მიხედვით, მაგრამ, ჩანს, საეკლესიო ერთობა კვლავ არსებობდა („ერთობის“ არსებობა საქართველოში სპარსეთის ძლიერებაზე იყო დამოკიდებული). კირიონმა VII საუკუნის დასაწყისში „ერთობა“ დაარღვია. 607-9 წლებში დარღვეული ერთობა კვლავ აღდგენილა სპარსეთის იმპერიის ნებით 614 წელს, რომელიც იმ ხანებში ისე გაძლიერდა, რომ ბიზანტიის ტერიტორიებიც კი დაიპყრო. სპარსეთის ამ ძლიერების ჟამს 614 წლის კრების გადაწყვეტილებით სპარსეთმა აიძულა სპარსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ქრისტიანები, ეცნოთ სომხური ეკლესიის უპირატესობა – მიეღოთ სომხური სარწმუნოება, რაც დიდხანს არ გაგრ-

ძელეზულა. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ სპარსეთსა და სომხეთში მონოფიზიტობა დაამხო. მისივე ინიციატივით 632 წელს სომხეთში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელზედაც სომხურმა ეკლესიამ ქალკედონიტობა მიიღო.

ქალკედონიტური სომხური ეკლესია ახლა უკვე ბიზანტიისთვის გახდა მისაღები და სასურველი, განსაკუთრებით არაბობის დროს.

სომხურ ეკლესიასთან კავშირი საბოლოოდ წყდება 726 წელს, მანასკერტის კრების შემდეგ. ამ კრებაზე სომხურმა ეკლესიამ უარყო ქალკედონიტობა და საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტობა. ამის შემდგომ, ქართულ ეკლესიას უკვე სრული უფლება (კანონიკური) და საშუალება ჰქონდა, სარწმუნოებრივი განხეთქილების გამო უარეყო ყოველგვარი კავშირი სომხურ ეკლესიასთან. VII საუკუნეში კი ამის საშუალება არ ჰქონდა, რადგანაც VII საუკუნეში სომხური ეკლესია ოფიციალურად ქალკედონიტობას აღიარებდა.

VIII საუკუნის შუა წლებიდან სომხური ეკლესიის ზეგავლენისგან გათავისუფლების შემდეგ იწყება ქართული ლიტერატურის – თარგმანებისა და ორიგინალური ძეგლების, მასიური „განმენდა“ სომხური ნიშნებისაგან. VI-VII სს-ში ქართულ საეკლესიო ლიტერატურას, ნებისით თუ უნებლიეთ, სომხურ ლიტერატურასთან კავშირის გამო დაემჩნა სომხური ძეგლების მიხედვით რედაქტირების კვალი, რის გამოც VIII ს-ის მეორე ნახევრიდან დაწყებული ინტენსიური მუშაობა ამ კვალის აღმოსაფხვრელად. ეს მუშაობა, ჩანს, მიმდინარეობდა არა მარტო საქართველოში, არამედ ბიზანტიის იმპერიის ქალკედონიტურ გარემოში მოქცეულ ქართულ სავანეებშიც.

საფიქრებელია, რომ იმ წიგნებს, რომელთა ხელახალი რედაქტირება მოხდა მათგან სომხური ნიშნების აღმოფხვრის მიზნით, ეწოდათ ტერმინი – „ქართული“, ასე წარმოიშვა „ქარ-

თული სახარება“, „ქართული დავითნი“, „ქართული კანონი“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 51). ჩანს, „ხანმეტი“ და „ჰამეტი“ ძეგლების ერთი ნაწილი მისაღები ყოფილა და მათ „პირველთაგანს“ უწოდებდნენ, რადგანაც ისინი იყვნენ ბერძნულიდან თარგმნილნი ქრისტიანობის მიღებისთანავე, მეორე ნაწილი კი მიუღებელი ყოფილა, რადგანაც ნასწორები ყოფილა სომხური რედაქციების მიხედვით, ანდა სომხურიდან თარგმნილნი, პირობითად მას „სომხური“ ვუწოდოთ, და ალბათ ასევე უწოდებდნენ კიდევც, რაზედაც მიგვითითებს ტერმინ „ქართულის“ წარმოშობა. „სომხური“ ნიშან-თვისების (ანუ რედაქტირების ნაკვაღევის) ასე თუ ისე აღმოფხვრის შემდეგ „განმენდილ“ ძეგლებს ეწოდათ „ქართული“. ამ შემთხვევაში „ქართული“ აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ეკლესიისას“, „ქართული ეკლესიისათვის გამოსაღებ წიგნს“, მისგან გამოირიცხება ეთნიკური მომენტი, ისე როგორც სარწმუნოებრივი მომენტი. „ქართველი წმიდანი“ და „ქართული წიგნი“ ალბათ საეკლესიო კუთვნილებას აღნიშნავს. ე.ი. ამ ნიშნის მქონე წიგნი ეკუთვნის არა სომხურ-ქართული საეკლესიო ერთობის ეპოქას, არამედ მის შემდგომ პერიოდს და მისაღებია ქართული ეკლესიისათვის ამჟამადო.

შემდგომი ხანა, VIII ს-ის შუა წლებიდან X საუკუნემდე, კ. კეკელიძეს მიაჩნია ჩვენი მწერლობის ეროვნულ ხანად – „ეს ხანა არის ეროვნული ხანა ჩვენი მწერლობისა. ამ ხანაში დამუშავებული ლიტერატურული ძეგლები იმდენად არიან გამსჭვალული ეროვნული სულით და ხასიათით, რომ შემდეგი დროის, XI-XII სს-თა, მწერლები მათ აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტექნიკურ ტერმინს – ქართული, მაგალითად, ქართული სახარება, ქართული დავითნი, ქართული კანონი და სხვა. ეს ხანა გრძელდება VIII საუკუნის ნახევრიდან X საუკუნის 80-იან წლებამდე, ესე იგი, შეიცავს თითქმის ორნახევარ საუკუ-

ნეს. აღნიშნულ ხანაში მძლავრად იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სულისკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგნებამ, სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორება მოხდა, როგორც ცნობილია, სხვათა შორის, ეროვნულ-კულტურული იდეოლოგიის საფუძველზედაც. ქართველები ამიერიდან მიზნად ისახავენ თანდათანობით გათავისუფლებას აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციებისაგან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა გამწვავებული პოლემიკა სომხებთან, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიაც კი უარყვეს ყოველგვარი კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა სომხებთან...“ (იქვე, გვ. 51).

ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ხელი შეუწყო „ეროვნული გადაგვარების, დენაციონალიზაციის საშინელი კატასტროფის წინაშე“ დგომამ სომხებთან საეკლესიო „ერთობის“ დროს.

თუ სპარსთა ბატონობის დროს ქართველების ერთი ნაწილი სპარსულ რჯულს იღებდა, კიდევ უფრო მომეტებული ნაწილი ქართველებისა იძულებული იყო, აღმოსავლურ-სომხური ქრისტიანობა მიეღო და გასომხებულიყო. ე. ი. მონოფიზიტობა თავის თავში „გასომხების“ ელემენტს შეიცავდა. ასევე არაბების ბატონობის დროს ქართველების ერთი ნაწილი თუ მაჰმადიანდებოდა, კიდევ უფრო მომეტებული ნაწილი კვლავ იძულებული იყო სომხური ეკლესიის წევრად ელიარებინა თავისი თავი, რომელიც VII ს-ში ქალკედონიტური იყო, რაც ერის ერთ ნაწილს დენაციონალიზაციის გზაზე აყენებდა. ქართველები მიმხვდნენ, რომ „ერთადერთი საშუალება ამ უბედურებისაგან თავის დაღწევისა არის საკუთარი ეკლესიის ფრთეთა ქვეშე ნაციონალურ-ქრისტიანული კულტურის გაღვივება“ (იქვე, გვ. 52).

ქართულთა ქვეყანა გუგარქი

(მოვსეს ხორენაცისა და უხტანესის მიხედვით)

ქართლის კათალიკოსმა კირიონმა განდევნა თავისი საკათალიკოსოს ერთ-ერთი ეპარქიიდან ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე. ამის შემდეგ, არსენ საფარელის ცნობით სომეხთა კათალიკოსმა „აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია თხოვა, ხოლო მან არ მისცა. და გადიდა მათ შორის ცილობა“. ეს ეპარქია გუგარქი იყო, მისი დედაქალაქი კი ცურტავი, იმჟამად წმიდა შუშანიკის განსასვენებელი. გუგარქი ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რადგანაც ქართველი ხალხით იყო დასახლებული.

თვით სომხური წყაროებით ქართველი ხალხის საცხოვრისი იყო დიდი ტერიტორია შავი ზღვიდან გუგარქის ჩათვლით, გუგარქს კი – ვრცელ მინა-წყალს უწოდებდნენ თბილისიდან ჭოროხამდე.

V ს-ის ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი (მოსე ხორენელი) წერს, რომ ქართველები ცხოვრობენ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ შავი ზღვისპირეთია (დასავლეთი საქართველო) მათი ეროვნული განსახლების ძირითადი ტერიტორია (მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 106-107).

ქართველები, მისი განსაზღვრით, ცხოვრობენ – **„ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს (შავი) ზღვის მიდამოებში“**. მისი სიტყვით – **„ჩრდილოეთის მთები და პონტოს ზღვა ქართველთა ნათესავს უჭირავს“**. ის, **„ჩრდილოეთის მთებს“** უწოდებს კავკასიის მთებს.

მოსე ხორენელის მიხედვით, სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები კავკასიის შავიზღვისპირეთიდან, ვიდრე გუგარქის ჩათვლით, ქართველებითაა დასახლებული და ქართველებს ეკუთვნის. ფაქტობრივად, ეს არის ის ტერიტორია, რომელსაც ძველი ქართველი ისტორიკოსების განსაზღვრით,

მოიცავს ქართლის სახელმწიფო შავიზღვისპირეთიდან სომხეთ-ალბანეთამდე.

შავიზღვისპირეთში და აღმოსავლეთ საქართველოში ქართველების სახლობას მოსე ხორენელი შემდეგი მიზეზით განსაზღვრავს:

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა დასავლეთით მდებარე ივერიელთა ქვეყნიდან ივერიელების ნაწილი გადმოსახლა და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა კავკასიაში. შემდგომში ალექსანდრე მაკედონელმა დარიოს III-ის ერთ-ერთი ნახარარი მიჰრდატ I ამ ივერიელებს მთავრად დაუსვა. ქრისტემდე დაახლოებით II საუკუნეში პართიის მეფე არშაკმა თავისი ძმა ვალარშაკი სომხეთში გაამეფა. მას საბრძანებლად გარდა სომხეთისა, ჩრდილოეთითა და დასავლეთით მდებარე ქვეყნები (მხარეები) გადასცა. ჩრდილოეთის მხარეების გამგებლად ვალარშაკმა დაადგინა ქართველების მთავარ მიჰრდატ I-ის ერთ-ერთი შთამომავალი. ჩრდილოეთის მხარეების გამგებლებს **გუგარელთა** პიტიახშები დაერქვათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სომეხ მემატიანეებს, მათ შორის მოსე ხორენელსაც, **გუგარქი**, მიუხედავად იმისა, რომ მას სომხეთის სამეფოს საპიტიახშოდ მიიჩნევენ, ქართულ ქვეყნებად ესახებად, ხოლო **გუგარელები** – ქართველებად (იქვე, გვ. 264, შენიშვნა).

მისი სიტყვით, მირდატიანები, ანუ მიჰრდატ I-ის შთამომავლები, მთავრობენ როგორც შავიზღვისპირეთის, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს.

გუგარელთა და ჩრდილოეთის მთების პიტიახშ **მიჰრდატ II**-ის გარდა მოსე ხორენელი ახსენებს **მიჰრდატ III**-საც. ის პონტოს ზღვის განმგებელია. ქრისტემდე 189-160 წლებში არტაშეს I-მა **მიჰრდატ III**-ს, ქართველთა დიდ პიტიახშს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა.

ქართველთა დიდ პიტიახშს მიჰრდატ III-ს, რომელიც ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებელი იყო, სომეხთა და პართელთა მეფე არტაშეს I-მა მი-ათხოვა თავისი ასული, ხოლო შემდგომმა მეფემ არტაშეს I-ის ძემ ტიგრანმა ბერძნებთან ომის დროს მიანდო მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის მაჟაქის განმგებლობა, მისი განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, და ჯარების მხედართმთავრობა.

რომაელთა მხედართმთავარმა პომპეუსმა დაამარცხა მიჰრდატ III და ტყვედ შეიპყრო მისი ძე მიჰრდატ IV. მიჰრდატ III გაიქცა პონტოს მთებში. ის პომპეუსმა მოანამვლინა პონტოელი პილატეს მამას. ქალაქი მაჟაქი პომპეუსმა აიღო. რომში პომპეუსის დაბრუნების შემდეგ, მისმა ნაცვალმა ტიგრანს გაუგზავნა თავისი დისწული მიჰრდატ IV. ტიგრანი დაეჭვდა, რომ ის არ იყო მისი დისწული, ამიტომ არ მისცა არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა და არც თავისი სამფლობელო – პონტოს მხარეში და ქალაქი მაჟაქი. „აღარ მისცა მას არც თავისი სამფლობელოს ნაწილი და არც კუთვნილი ქართველთა ქვეყანა“.

მოსე ხორენელის მიხედვით, ასე დამთავრდა მიჰრდატიანების მთავრობა ქართველებზე და ქართველთა ქვეყანაზე, სამაგიეროდ, მიჰრდატ IV-ს რომმა დაუმტკიცა პონტოს მხარენი და ქალაქი მაჟაქი.

აქ საინტერესოა ის, თუ **რომელი ქვეყანა მიაჩნია მოსე ხორენელს .ქართველთა ქვეყნად** და რომელი ქვეყანა მიაჩნია სომხეთში შემავალად.

მოსე ხორენელი რაღაც საერთოს ხედავს ქართველთა ქვეყანასა და პონტო-კესარია-კაბადოკიას შორის, თითქოსდა პონტო-კესარიასაც ქართველთა ქვეყნად მიიჩნევს, მაგრამ ის მკაცრად საზღვრავს და წერს, რომ ქართველი მთავრების კუთვნილი ქვეყანა არის არა პონტოს მხარენი და პონტო-კესარია, არამედ ტერიტორია, რომელიც იწყება პონტოს ზღვიდან კავ-

კასიის, ანუ ჩრდილოეთის მთების ჩათვლით გუგარქთან ერთად. სომხეთის ჩრდილოეთით მოთავსებული ეს ტერიტორია კავკასიის შავიზღვისპირეთიდან ვიდრე გუგარქის ჩათვლით მიჰრდატიანების „კუთვნილი“ ტერიტორიაა – რადგანაც ეს ქართველთა ქვეყანაა, ხოლო საკუთრივ პონტოს მხარენი და კესარია მოსე ხორენელს მიაჩნია სომეხთა მეფის სამფლობელოს ნაწილად, ამ მეფის „თავის სამფლობელოდ“, სადაც მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი მაჟაქი დროებით ომიანობის გამო საგანმგებლოდ გადასცა სომხეთის მხედართმთავარს, ქართველთა მთავარს მირდატ III-ს, ხოლო მირდატ IV-ს უკვე აღარ გადასცა. ჩანს, **მოსე ხორენელმა იცის, რომ პონტოს მხარეები, კესარია-კაპადოკია ქართველებითა დასახლებული**, მაგრამ მაინც ეს მხარე ქართველთა მეფის „საკუთარ“ ქვეყნად არ მიაჩნია, არამედ სომხების ტერიტორიად, ხოლო ქართველების მკვიდრ საცხოვრისად მიაჩნია სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია პონტოს ზღვიდან, ანუ კავკასიის შავიზღვისპირეთიდან ალბანეთ-სომხეთამდე.

მოსე ხორენელის მიჰრდატ III-ის და მითრიდატე პონტოს მეფის ცხოვრება მართლაც ჰგავს ერთმანეთს. ორივენი ტიგრანის მოკავშირენი არიან, ორივენი პონტოს ფლობენ, სიცოცხლეს მონამვლით ასრულებენ, ამიტომაც შეიძლება მითრიდატეს ლეგენდა მოსე ხორენელმა ქართველთა მთავარზე გაავრცელა, მით უმეტეს, რომ როგორც პონტო-კაპადოკია, ისე სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ქართლი – ქართველების ქვეყნები იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, მოსე ხორენელმა დაბეჯითებით იცის, რომ ქართველების „საკუთარი“ საცხოვრისი ქვეყანა არის არა პონტოს მხარეები, ე.ი. სომხეთის დასავლეთით მდებარე ქვეყანა, არამედ სომხეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა პონტოს ზღვიდან გუგარქის ჩათვლით. ამ ისტორიკოსის მიხედვით, სწორედ აქ, პონტოს ზღვის-

პირზე, კავკასიაში დაასახლა ნაბუქოდონოსორმა დატყვევებული ქართველი-ივერიელები, პონტოს ზღვის აღმოსავლეთით (ე.ი. ისტორიულ კოლხეთში) და არა პონტოს მხარეებში (ე.ი. პონტო-კესარია-კაპადოკიაში). მოსე ხორენელი პონტოს ზღვის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთის მთებთან მიმდებარე ქვეყანას (კოლხეთს) ქართველთა თავდაპირველ საცხოვრისს უწოდებს და განასხვავებს პონტოს მხარეებისგან.

მოსე ხორენელი წერს:

„...ხოლო კავკასიის მთის მოპირდაპირე მხარეს, ჩრდილოეთის განმგებლად დაადგინა დიდი და ძლევამოსილი გვარი, რომლის უფალთ გუგარელთა პიტიახშები დაერქვათ. ისინი იყვნენ შთამომავალნი დარეჰის ნახარარის მიჰრდატისა, რომელიც წამოიყვანა ალექსანდრემ და მთავრად დაუსვა ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ მოყვანილ ივერიელთა მოდგმას, ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „ძლევამოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიაღწია ლიბიელთა, აგრეთვე ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი. მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა. ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს“ (იქვე, გვ. 106-107).

აქედან ჩანს, რომ მოსე ხორენელს ივერიელთა საცხოვრისად მიაჩნია ქვეყანა კავკასიის მთის წინა მხარეს, პონტოს ზღვიდან გუგარქის ჩათვლით, ჩრდილოეთის ტერიტორიები, ეს არის ისტორიული იბერია-ქართლი შავიზღვისპირეთიდან ალბანეთსომხეთამდე.

პონტოს ზღვის აღმოსავლეთი, კავკასიის შავიზღვისპირეთი ქართველთა ქვეყნად რომ მიაჩნია მოსე ხორენელს, ეს მისი ისტორიის სხვა ქვეთავიდანაც ჩანს: – „არტაშესმა თავისი ასული არტაშამა მიათხოვა ვინმე მიჰრდატს, ქართველთა დიდ პიტიახშს, რომელიც როგორც ზემოთ ითქვა, ალექსანდრემ ივე-

რიელთა ქვეყნიდან მოყვანილ ტყვეების ხელისუფლად დაადგინა. სომეხთა მეფემ მიჰრდატს მიანდო ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის განმგებლობა“ (იქვე, გვ. 111).

„ჩრდილოეთის მთები და პონტოს ზღვა“ – ეს არის ტერიტორია კავკასიის შავიზღვისპირეთიდან – კოლხეთიდან – ვიდრე გუგარქის ჩათვლით – ისტორიული იბერია-ქართლი. სულ სხვაა „პონტოს მხარეები“, სადაც გაიქცა დამარცხებული მირდატ III. ეს არის კესარია-კაბადოკია. პონტოს მხარეების მეთვალყურეობა ციხე-ქალაქ მაჟაქთან ერთად ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებელ მირდატ III-ს მიანდო მისმა ცოლისძმამ, სომხეთის მეფე ტიგრანმა, დროებით, ომიანობის გამო.

ცნობა კავკასიის შავი ზღვის პირას იბერების დასახლების შესახებ მოსე ხორენელს აუღია ანტიკური ავტორებისგან – „მოვსესს ეს ცნობა ამოუღია ევსევი კესარიელის „ქრონიკის“ ძველი სომხური თარგმანიდან, ევსევი კესარიელს, თავის მხრივ, შემოუნახავს მეგასტენეს ცნობა. ანტიკურ სამყაროში ფართოდ ყოფილა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთის (კავკასიის) იბერები დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ“ (იქვე, გვ. 264, შენიშვნა). ამ შენიშვნიდანაც ჩანს, რომ პონტოს ზღვის პირას მცხოვრები იბერები ცხოვრობენ კავკასიაში – კოლხეთში, ანუ კავკასიის შავიზღვისპირეთში და არა პონტოს მხარეებში, ანუ სომხეთის დასავლეთით.

ქართველების საცხოვრისის საკითხში მოსე ხორენელს ეთანხმება მეორე სომეხი ისტორიკოსი – უხტანესი. ისიც შავი ზღვის პირას მცხოვრებ ხალხს ქართველებს (ვრაცებს) უწოდებს, ხოლო თვით ქვეყანას – აფხაზეთს.

როგორც ვთქვით, მოსე ხორენელი ქართველების თავდაპირველ სამშობლოდ ასახელებს კოლხეთს. და ქართველების საცხოვრისს განსაზღვრავს კავკასიის შავიზღვისპირეთიდან

გუგარქის ჩათვლით. ისმის კითხვა, რატომ განსაზღვრა მან დასავლეთ საქართველო ვრაცების საცხოვრისად, იქ ხომ არა ვრაცები, არამედ მეგრელები სახლობენ (ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების განსაზღვრით)? ამ კითხვას ამჟამინდელი ისტორიკოსები უპასუხებენ, რომ მოსე ხორენელმა ასეთი ცნობა (დასავლეთ საქართველოში, ზღვის პირას ქართველების ცხოვრების შესახებ) აიღო სხვა ბერძენ-რომაელი ავტორებისგან, მაგრამ მოსე ხორენელი კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს, იცნობდა საქართველოს, იცოდა მისი მითოლოგია და რელიგია, და ნუთუ საქართველოს ასეთმა მცოდნე კაცმა არ იცოდა ქართველების სამშობლოს საზღვრები? ანდა მომთხოვნი და კრიტიკულად მოაზროვნე სხვა სომეხი ისტორიკოსები მისი დროისა და შემდგომი თაობისა, რომელნიც ასევე კარგად იცნობდნენ საქართველოს, ქართველ ხალხს, აპატიებდნენ ხორენელს ასეთ უცოდინარობას? მოსე ხორენელი ქართველებად მიიჩნევს როგორც მეგრელებს, ასევე გუგარქის მოსახლეობას – გუგარელებს, როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობას.

უნდა დავასკვნათ, რომ მოსე ხორენელი, ძველი ქართველი და ანტიკური ეპოქის ბერძენ-რომაელი ისტორიკოსების მსგავსად, ქართველთა საცხოვრისს განსაზღვრავს ისტორიულ ქართლში – იბერიაში, რომლის პოლიტიკური საზღვრები გადიოდა შავ ზღვასა და ჰერეთზე. ის კოლხებს, მეგრელებს ეროვნებით ქართველებად მიიჩნევს, მსგავსად უხტანესისა.

უხტანესი პონტოს, ანუ შავი ზღვისპირა ქვეყანას აფხაზეთს უწოდებს, ხოლო აფხაზეთის მცხოვრებთ – ქართველებს. კერძოდ, უხტანესი ასე აღწერს ქართველთა ისტორიას ამ მხარეებში – ნაბუქოდონოსორის დროს „ვრაცები“ ანუ ქართველები თავდაპირველად დაუსახლებიათ შავი ზღვის სანაპიროზე, შემდგომ

ქართველი ხალხი გამრავლებულა მთელს შავიზღვისპირეთში, მოდებია მთელ იმ მხარეს, აღორძინებულა, გავრცელებულა, გადასულა და დასახლებულა აღმოსავლეთ საქართველოში, გუგარქში, კერძოდ, სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. ის წერს:

„ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება...“ (უხტანესი, განყოფისათვის..., გვ. 67).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთი უპირველეს ყოვლისა დასავლეთ საქართველოს ეწოდება, ე.ი. უხტანესი დასავლეთ საქართველოს ქართველების საცხოვრისად მიიჩნევს, მაგრამ ისტორიკოსი „აფხაზეთს“ უწოდებს არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, არამედ მთლიან საქართველოს, ისტორიულ „ქართლს“, იბერიას – პონტოს ზღვიდან ვიდრე ალბანეთ-სომხეთამდე. თბილისსაც აფხაზეთის ქალაქად მიიჩნევს და ჩამოთვლის კიდევ თბილისის გარშემო მდებარე პროვინციებს – **„წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი“**. ეს პროვინციებიც, მისი სიტყვით, „აფხაზეთში“ შედიან. აფხაზეთის მოსახლეობას კი უხტანესი უწოდებს არა „აფხაზებს“ არამედ „ვრაცებს“ – ქართველებს – **„ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ“**.

მთელი წინადადება ასეთია – „ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე. შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება, ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ“.

უხტანესის მიხედვით, მთლიანი საქართველოს მოსახლეობას შავი ზღვიდან ვიდრე ალბანეთ-სომხეთამდე შეადგენენ ქართველები. იგი მეგრელებსაც ქართველებად მიიჩნევს. მისთვის აფხაზეთის ძირითადი მცხოვრები მეგრელები ქართველები არიან.. უხტანესი წერს, რომ არა მარტო მის დროს ცხოვრობს ქართველი ხალხი შავიზღვისპირეთიდან სომხეთ-ალბანეთის საზღვრამდე, არამედ ძველ დროსაც, ჯერ კიდევ ქრისტემდე ასევე ყოფილა. „ვრაცები“ ქრისტემდე VI საუკუნეში დაუსახლებიათ შავიზღვისპირეთში, შემდეგ გამრავლებულან და სომხეთ-ალბანეთამდე მიუღწევიათ. ხოლო, ქართველების ქვეყანას შავი ზღვიდან ალბანეთამდე აფხაზეთი ჰქვია.

მოსე ხორენელი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ასევე მიიჩნევს: „**კავკასიის მთის წინ მდებარე ჩრდილოეთის მხარეთმპყრობელად ანესებს დიდსა და ძლიერ ტომს...**“ მოსე ხორენელი გულისხმობს ქართველ ხალხს, რომელთა მთავარს აქვს წოდება „**გუგარელთა პიტიახშისა**“, ხოლო ეს ქართველები ანუ ივერიელები კავკასიის მთის წინ ჩრდილოეთში გაჩენილან იმის გამო, რომ ჯერ შავიზღვისპირეთში დასახლებულან, ხოლო შემდგომ გამრავლებულან „**პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირიდან**“ **აღმოსავლეთის მიმართულებით ალ ბანეთის საზღვრამდე.**

უხტანესის თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას არა მარტო მის ეპოქაში, ე.ი. X ს-ში, ეწოდებოდა ქართველები, არამედ კირიონის დროსაც, ე.ი. VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში. ის წერს, რომ „**მათი ქვეყანა გაყოფილი იყო სპარსელთა და ბერძენთა მხარედ**“ (იქვე, გვ. 157) და ამის გამო მათი საეკლესიო პოლიტიკა სპარსულიც იყო და იმავდროულად ბერძნულიცო. მართლაც, კირიონის ეპოქაში დასავლეთ საქართველო ბერძენების, ხოლო აღმოსავლეთი სპარსელების გავლენის სფეროებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, ამ

პოლიტიკურად გაყოფილ მხარეებში ერთი ერი, ერთი ხალხი ცხოვრობს, რომელსაც ერთი ეკლესია აქვს და საეკლესიო და ეროვნული პოლიტიკაც შესაბამისი აქვსო. ქართველთა ქვეყანა ერთია, რომელიც ორ მხარედ იყო გაყოფილი დამპყრობელთა მიერ.

უნდა დავასკვნათ, რომ ძველი სომეხი ისტორიკოსები, ისე როგორც ბერძენ-რომაელი და ქართველი ისტორიკოსები ქართველებს ანუ იბერებს უწოდებდნენ როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას X-XI საუკუნეებზე ბევრად უფრო ადრე.

ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები იოანე კათალიკოსის ცნობით

ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართული ეკლესიის საზღვრები ვრცლად ყოფილა გადაჭიმული: დასავლეთ-სამხრეთით იგი კლარჯეთსაც შეიცავდა და საზღვრად აქ ტაოს საეპისკოპოზო ყოფილა, რომელიც ამ დროს სომხეთის ეკლესიას კუთვნებია. 506 წელს ბაბგენ სომეხთა კათალიკოსის პირველსავე ეპისტოლეში სომხეთის საკათალიკოსოს ხელქვეშეთ მღვდელთმთავრად დასახელებულია ატატე ტაოს ეპისკოპოზი. ხოლო ჰოჰანეს სომეხთა კათალიკოსის VI ს-ის შუა წლების ეპისტოლეში სტეფანოს ტაოს ეპისკოპოზი იხსენიება“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, 1, გვ. 340).

სამხრეთ-დასავლეთით ქართული ეკლესიის იურისდიქციის საზღვრებში შედიოდა კლარჯეთი, ვიდრე ტაომდე, დასავლეთით ქართული ეკლესიის საზღვარი შავი ზღვა იყო, ამიტომაც – „სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი

წინანდელი წესის თანახმად, ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა არქიეპისკოპოზად იქმნა ხელდასმული“.

გუგარელთა შესახებ ცნობა გასაკვირველი არ არის, რადგან დიდი ხანია, რაც გუგარეთი საქართველოს დაუბრუნდა და ქართლის კათალიკოსის სამწყსოს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი მეგრელთა კათალიკოსადაც აღნიშვნა პირველი ცნობაა. ეს ცნობა იმის მომასწავებელია, რომ ქართლის, ანუ მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს უკვე დასავლეთ საქართველოშიც ჰქონდა ასპარეზი მოპოვებული და საკათალიკოსოს საზღვარი ღიხთ იმერეთშიც იყო გადანეული. ცხადია, იოანე კათალიკოსს ეს ცნობა რომელიმე წერილობითი წყაროდან ექმნება ამოღებული, მაგრამ საიდან მომდინარეობს ეს ცნობა, ამჟამად ამის გამორკვევა შეუძლებელია. თუ მომავალში მისი უთუობა დამტკიცდა, მაშინ ცხადი გახდება, რომ იმიერ-ამიერ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა და ნიადაგს გაცილებით უფრო ადრე მომხდარი საეკლესიო ერთობისა და მთლიანობის პროცესი უმზადებდა“ (იქვე, გვ. 341-342).

ამჟამად იოანე კათალიკოსის ცნობის ჭეშმარიტება დამტკიცებულია იმით, რომ ატენის სიონის ფრესკულ წარწერებში აღმოჩნდა იდენტური ცნობა. კერძოდ, მოხსენიებულია სტეფანოზი „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთა უფალი“. ის, ამ ძალზე მნიშვნელოვანი წარწერის მკვლევრის აზრით, ქართლისა და ეგრისის მმართველია. ორივე ეს ცნობა ერთსა და იმავე მოვლენაზე მიუთითებს, რომ საქართველოს პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ორბიტაში მოქცეულია არა მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო, არამედ დასავლეთი საქართველოც, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ გვიდასტურებს.

იოანე კათალიკოსის ცნობით, კირიონი VI ს-ის ბოლოს დაუსვამთ ქართველთა, გუგარელთა და მეგრელთა კათალიკოსად, ისევე როგორც წინანდელი წესი მოითხოვდაო. აქედან ჩანს, რომ

ქართული ეკლესიის იურისდიქცია, ვრცელდებოდა დასავლეთ საქართველოზე, არა მხოლოდ VI ს-ში, არამედ ადრეც, ე.ი. V ს-ში – „წინანდელი წესის თანახმად“.

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, V საუკუნის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის საქართველოში 21 საეპისკოპოსო ყოფილა. „ჯუანშერი ქართლის კათალიკოსის სამწყსოში ვახტანგ გორგასლის დროს, სახელდობრ, შემდეგ საეპისკოპოზოებს იხსენიებს: მცხეთის საეპისკოპოზოს, კლარჯეთში ახიზისას, არტაანში ერუშეთისას, ჯავახეთში – წუნდისას, ქართლში ნიქოზისას, მანგლისისას, ბოლნისისას, კახეთ-ჰერეთში – რუსთავისას. ნინოწმინდისას, უჯარმისას, კარისას, ჭერემისას, ჩელთისას, ხორნაბუჯისას, აგარაკისას, ანუ ხუნანისას. ამგვარად, სულ თექვსმეტი საეპისკოპოზო გამოდის, მაგრამ ეს სია, ცხადია, სრული არ არის“ (იქვე, გვ. 339). ივ. ჯავახიშვილი ამ სიას უმატებს ცურტავისა და სამეფო სახლის ეპისკოპოსებს, აგრეთვე რუისის ან ურბნისის, წილკნისა და სამთავისის საეპისკოპოსოებს. „...მაშინ 21 სამწყსო იქმნება და V ს-ის შუა წლებისა და მეორე ნახევრისათვის ეს რიცხვი დაახლოვებით სწორი უნდა იყოს. უეჭველია V ს-ის დამლევისათვის მეტიც უნდა ყოფილიყო. 506 წელს ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებას საქართველოდან კათალიკოსიანად სულ 24 ეპისკოპოზი დასწრებია... რადგან შესაძლებელია, ამ კრებას ყველა ვერ დაესწრო, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ VI ს-ის დამდეგს ქართული ეკლესია სულ ცოტა 24 საეპისკოპოზოს შეიცავდა. მართლაც, ცნობილი ასურელი მონოფიზიტი მოღვაწის სიმეონ ბეთ-არშამელის (VI ს-ის დამდეგს) სიტყვით, მის დროს ჰენოტიკონი შეიწყნარეს და მის აღსარებას მისდევდნენ ქართლის ეკლესიის 33 ეპისკოპოზი მეფითა და აზნაურებითურთ და სპარსეთის სომხეთის 32 ეპისკოპოზი და მარზპანი. მაშასადამე, VI ს-ის დამდეგს აღმ. საქართველოში 33 ეპისკოპოზი ყოფილა“ (იქვე, გვ. 339-340).

ტაოს საეპისკოპოსო, რომელიც თურმე სომხეთის საკათალიკოსოში შედიოდა, ზ. ალექსიდის მიხედვით, VI ს-ის მიწურულს ჩამოსცილდა სომხეთს და შეუერთდა ქართულ ეკლესიას, „...ამავე საუკუნის მიწურულს სომხეთის ეკლესიას **დროებით ჩამოსცილდა** ტაოს საეპისკოპოსო“ (ქსე, 8, სტატ. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში, გვ. 625). შესაძლებელია, ტაო ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი შედიოდა ქართულ ეკლესიაში, ხოლო მეორე ნაწილი სომხურში, ყოველ შემთხვევაში, ტაო VII ს-ის დამდეგს ქალკედონური ქვეყანა ყოფილა და იქ სომხეთიდან ლტოლვილ ქალკედონიტებს თავი შეუფარებიათ.

„ქართული ეკლესიის შედგენილობის შემდეგი ცნობა VII ს-ის დამდეგისაა, სახელდობრ, 607 წელს დაწერილ თავის მეორე საპასუხო ეპისტოლეში კირიონ ქართლის კათალიკოსი აბრაამ სომეხთა კათალიკოსს სწერდა, ქართლის საკათალიკოსოში სულ 35 ეპისკოპოზი არისო. ერთი საუკუნის განმავლობაში ქართულ ეკლესიას მოჰმატებია 2 საეპისკოპოზო. ეს გარემოება ქრისტიანობის წარმატებული წინსვლით უნდა აიხსნებოდეს...“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 341).

კირიონი ეგრისის მიტროპოლიტი ყოფილა. რადგანაც, იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობით კირიონი ქართველთა, მეგრელთა და გუგარელთა არქიეპისკოპოსად დაინიშნა ძველი წესის თანახმად, ჩანს, **VI ს-ის ბოლოს ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას ახორციელებდა ეგრისში და ამიტომ სომხური წყაროები კირიონს უწოდებდნენ „მეგრელთა არქიეპისკოპოსს“, ქართლის მეფე-ერისთავს – მეგრელთა ერისთავთა უფალს.**

ქართული ენის ღვწა კითხვის ეპოქაში

VI ს-ში, სპარსთა ბატონობისას, შეზღუდულა ქართულთა უფლებები საქართველოშიც კი. მით უმეტეს ქართული ენის მოხმარება სრულიად აკრძალული იყო საქართველოს გარეთ, არმენიაში, მცხოვრებ ქართველთათვის, იმჟამად არმენიაში ქართველებით დასახლებული ისეთი ქვეყნებიც კი შედიოდა, როგორცაა ტაო და ბასიანი.

ქართველთა დევნის შესახებ განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა, რომელიც დაცულია წმიდა რაჟდენის წამებაში – **„აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხვთა მწედრებითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლაჲ და დაუცხრომელი მტერობა ქრისტიანეთა ზედა და უფროსად ბერძენთა მიმართ, ხოლო ჩუენ ქართველთა მიმართ ამისათვის, რამეთუ ეძვნებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობაჲ. და ესე იყო ნებაჲ მათი, რათა ჩუენცა მათ თანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა“** (ქრესტომათია, I, გვ. 242).

„წმიდა რაჟდენის წამების“ ეს ცნობა არის პირდაპირი მითითება იმისა, თუ ქრისტიანთაგან ვის დევნიდნენ სპარსელები. ამ ცნობაში, რომელიც ეთანხმება არსენი საფარელის ცნობებს, ნათქვამია, რომ სპარსელები ქრისტიანებს არ უყურებდნენ კარგი თვალით, მაგრამ დევნიდნენ არა ყველა ქრისტიანს, არამედ მხოლოდ ბერძნებსა და ქართველებს. ბერძნებს დევნიდნენ იმის გამო, რომ ბერძნული ქრისტიანობა იყო ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო სარწმუნოება, ხოლო ბიზანტიის იმპერია და სპარსეთი ერთმანეთთან მეზობლი სახელმწიფოები იყვნენ.

მოსე ხორენელს აღწერილი აქვს, თუ როგორ დევნიდნენ სპარსელები ყოველივე ბერძნულს განსაკუთრებული სისასტიკით, კერძოდ, წვადნენ ბერძნულ წიგნებს, არავის აძლევდნენ

ბერძნულის შესწავლის ნებას და, რაც გასაოცარია, ბერძნულად ლაპარაკის უფლებაც კი აღარავის ჰქონდა, აიკრძალა ბერძნული ენიდან თარგმნა.

თუ როგორ იდევნებოდა ბერძნული ენა სპარსთა მიერ, კარგად აქვს აღწერილი მოსე ხორენელს:

„...მეჭრუჟანმა დანვა ბერძნული ნიგნები მთელს ჩვენს ქვეყანაში; ამასთანავე, სომხეთის დანანილებისას, სპარსთა წილ სომხეთში, სპარსელი მოხელეები არავის რთავდნენ ბერძნული მნიგნობრობის შეთვისების ნებას, მხოლოდ ასურულის შესწავლა შეიძლებოდა“ (მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 24).

ანდა – „რა ნიგნსაც კი წააწყდებოდა, იგი წვავდა, ბრძანა, რომ ესწავლათ სპარსული და არა ბერძნული წერა-კითხვა. არავის ჰქონდა უფლება ელაპარაკა ბერძნულად, ანდა ეთარგმნა ამ ენიდან. ამას თითქოს იმიტომ შვრებოდა, რომ სომხებს სრულიად აღარ ჰქონოდათ ბერძნებთან მეგობრული ურთიერთობა და ნაცნობობა. სინამდვილეში კი ქრისტიანული მოძღვრების აღმოფხვრა ეწადათ, რამეთუ მაშინ სომხებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ანბანი და ბერძნულად ასრულებდნენ ღვთისმსახურებას“ (იქვე, გვ. 206).

ბერძნულ ენაზე ლაპარაკი აკრძალული ყოფილა. აქედან კარგად ჩანს სპარსელების დამოკიდებულება ბერძნული ენისადმი IV-V საუკუნეთა სომხეთში. წმიდა რაჟდენის წამებიდან და სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ სპარსელები ბერძნებსა და ქართველებს ერთნაირად დევნიდნენ VI ს-ის 70-იან წლებამდე. ქართული ეკლესია დაამორეს ბერძნულს და დაუახლოვეს აღმოსავლურ-სომხურს. საქართველოში დაიწყო ბერძნული ენიდან თარგმნილი ნიგნების სომხურის მიხედვით რედაქტირება, რის შესახებაც ალუნიშნავს გიორგი მცირეს.

„წმიდა რაჟდენის წამებაში“ ჩანს, რომ სპარსელები დევნიდნენ არა მარტო ბერძნებს, არამედ ქართველებსაც. ამ წამების ავტორი წერს, რომ ჩვენ, ქართველებს, იმიტომ გვდევნიან, რომ

ჩვენ გვაქვს ბერძენთა მიმართ სიყვარული, რაც თურმე „ეძინებოდა“, ანუ ძალზე აღიზიანებდა სპარსეთს. ფრიად საყურადღებოა, რომ ეს ორი წყარო ერთმანეთს ეთანხმება იმ საკითხში, თუ რა ურთიერთობას მოითხოვდნენ სპარსელები ბერძენების მიმართ დამონებული ხალხებისგან, კერძოდ, „...**ალარ ჭქონოდათ ბერძნებთან მეგობრული ურთიერთობა... ..ეძვნებოდა ჩუენი ბერძენთა მიმართ სიყუარული და ერთობა**“ (იქვე, გვ. 206).

სპარსელებს ამძვინვარებს ქართველთა „სიყვარული და ერთობა“ ბერძენთა მიმართ, ასევე „მეგობრული ურთიერთობა“.

კონკრეტულად, სპარსელები ბერძნულ და ქართულ ენებს დევნიდნენ VI ს-სა და VII ს-ის დასაწყისში.

სპარსელებს არ შეეძლოთ ქართული ენის დევნა V ს-ში, რადგანაც მაშინ ქართველ ერს ეროვნული სახელმწიფო ჭქონდა, ხოლო VII ს-ის დასაწყისში სპარსეთის სახელმწიფო განადგურდა, ის 629 წელს ჰერაკლე კეისარმა დაამარცხა, ხოლო ამავე საუკუნის 40-იან წლებში არაბებმა საბოლოოდ გაანადგურეს.

თუ როგორ აიძულებდნენ სპარსელები VI ს-ში ქართველებს არ შეესწავლათ ბერძნული ენა და არ გადმოეღოთ თხზულებები ამ ენიდან, არამედ კავშირ-ურთიერთობა ჭქონოდათ სომხურთან და ასურულთან, წერს კ. კეკელიძე: „...**ისინი მათ ნებას არ აძლევდნენ ბერძნული ენა შეესწავლათ და ამ ენიდან თხზულებები გადმოეღოთ თავიანთ ენაზე. თავისთავად ცხადია, რომ ამასვე მოითხოვდნენ ისინი ქართველებისგანაც. ასეთ პირობებში მაშინდელ იბერიაში კიდევაც რომ ძლიერი ყოფილიყო ბერძნული საეკლესიო-ლიტერატურული ორიენტაცია, ის ხორცს ვერ შეისხამდა, ამიტომ ქართველები იძულებულნი იქნებოდნენ ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა დაეჭირათ უმთავრესად მეზობელ სომხებთან და აღმოსავლეთის ქრისტიანებთან, კერძოდ ასურელებთან**“ (კ. კეკელიძე, ლიტ. ისტორია, I, გვ. 48).

სომხურმა ეკლესიამ სპარსეთის სახელმწიფოს ზემოაღნიშნული სასტიკი ზემოქმედებით იმას მიაღწია, რომ სომხური ეკლესია უპირატესად დაუახლოვდა სპარსულ-სირიულ ეკლესიებს.

ა. აბდალაძე შენიშნავს: „ებრძოდა რა ბიზანტიის გავლენის გავრცელებას სომხეთში, ირანის ხელისუფლება, ამავე დროს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, მხარს უჭერდა სირიული კულტურის გაბატონებას სომხეთა ქვეყანაში“ (მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, გვ. 284), ანდა „...ირანის შაჰის კარი იმ ხანაში სომხეთში მხარს უჭერდა სირიული კულტურის გავლენის გავრცელებას ბერძნულის სანინააღმდეგოდ. სირიულ კულტურას სომხეთში ისედაც ღრმად ჰქონდა ფეხგები გამდგარი და მთავრობის მფარველობის პირობებში მას კიდევ უფრო გაეშალა ფრთები. ამგვარ ვითარებაში ბერძნულ ცივილიზაციას ნაზიარები, მისი თაყვანისმცემელი მოაზროვნენი არამცთუ აღარავის უნდოდა, მათ დევნიდნენ, ავინროებდნენ კიდევ“ (იქვე, გვ. 5-6).

სპარსეთმა მიაღწია სომხეთში სირიული კულტურის გაბატონებას და აღმოფხვრა ბერძნული. დაახლოებით 90-100 წლის შემდეგ იგივე პროცესი დაიწყო საქართველოში. ბერძნულის სანაცვლოდ შეეცადნენ არა სირიული, არამედ სომხური კულტურის გავრცელებას. მიზეზი ის იყო, რომ სომხური ეკლესიის საგანგებო პოლიტიკის ნყალობით, VI-VII სს-ში სომხური ეკლესია ისევე სამაგალითო გახდა სპარსეთისათვის, როგორც ადრე სირიული კულტურა, ენა და ეკლესია იყო. ხოლო ქართული ეკლესიის მიერ VI ს-ის შუა წლებში ქალკედონიტური მიდრეკილების გამომჟღავნებამ საბოლოო ჯამში ქართული ენის ხმარების შეზღუდვა გამოიწვია. გუგარქის ქართველთა ეკლესიებში სომხურენოვანი ტიპიკონი დაინერგა.

საეკლესიო ენა გუგარქში

სომხური ისტორიოგრაფიის თანახმად, სომხეთის ჩრდილოეთით მოქცეული ვრცელი ქვეყნის – გუგარქის ცენტრი იყო ქალაქი ცურტავი. ვახუშტის ცნობით ცურტავი ახლოს ყოფილა შემდეგდროინდელ ახპატთან, ისტორიულ ქვემო ქართლში. აქაურ ეკლესიებსა და მათ ნაშთებზე, მაგალითად ბოლნისში, V ს-ით დათარიღებული მრავალი ქართული წარწერა არსებობს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ გუგარქში საეკლესიო ენა, ანუ წირვა-ლოცვის ენა IV-V სს-ში იყო ქართული ენა. ამავდროს ჩვენამდე მოღწეულია პირველხარისხოვანი საისტორიო წყარო – „ეპისტოლეთა წიგნი“ VI-VII სს-სა, საიდანაც სრულიად აშკარად ჩანს, რომ საერთოდ გუგარქში და კერძოდ ცურტავში (ე. ი. ქვემო ქართლში) არსებობდა „სომხურენოვანი“ მოსახლეობის საკმაო რაოდენობა.

ამჟამად ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მცდელობა, ეს „სომხურენოვანი“ მოსახლეობა გამოაცხადონ ძალზე მცირერიცხოვან თემად, რომელიც ცურტავში სახლობდა, მაგრამ ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგება თვით „ეპისტოლეთა წიგნი“, სადაც გარკვევით წერია, რომ აქ სომხურენოვანი მოსახლეობა ძალზე მრავალრიცხოვანია, მათ გუგარქში აქვთ „ქვეყნები“, სოფლები, დაბები, ჰყავთ აზნაურები და გლეხები, ახალგაზრდები და მოხუცები, ასევე მიმართავენ კიდევ მათ სომეხი იერარქები – **„საჯანეთა ხუცესებს და სოფლის მღვდლებს, აზნაურებსა და გლეხებს, მოხუცებსა და ყრმებს სომხურენოვანი ქვეყნების სრულიად ყოველ მსოფლიონს, რომელნიც ხართ ცურტავის ეკლესიის სამწყსოში“**... (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 63).

აქედან აშკარაა, რომ მხოლოდ ერთი ქალაქის (დაბის) ცურტავის მცირერიცხოვან სომხურენოვან თემს კი არ ეგზავნება ეს ეპისტოლე, არამედ ცურტავის ეკლესიის სამწყსოში (ანუ

ეპარქიაში) მოქცეული „ქვეყნების“ სომხურენოვან მოსახლეობას, თორემ რამდენი „სავანე“ უნდა ჰქონოდა ერთი დაბის მცირერიცხოვან თემს, რომ ეს სიტყვა მრავლობით რიცხვში არ დაენერათ?

ცურტავის სომხურენოვანი თემი მრავალრიცხოვანი ყოფილა და მთელ მის სამწყსოში, ანუ გუგარქ-ქვემო ქართლში ყოფილან გაბნეულნი.

რას ნიშნავს ეპისტოლეთ ნიგნში დაფიქსირებული ტერმინი – **„სომხურენოვნება“?**

ფიქრობენ, რომ სომხური ენა გუგარქის სამწყსოს, მოსახლეობის დედაენა იყო, რაც არასწორია.

სომხური ენა ამ მოსახლეობის საეკლესიო ენა იყო, ანუ მათ ეკლესიებში სომხურ ენაზე ტარდებოდა წირვა-ლოცვა. ეთნიკურად ეს „სომხურენოვანი“ ხალხი ქართველები იყვნენ და მათი დედაენა იყო ქართული ენა. ასეთი მტკიცების უფლებას იძლევა თვით „ეპისტოლეთა ნიგნი“, სადაც სრულიად გარკვევით, აშკარად წერია, რომ **ცურტაველი ეპისკოპოსი მოსე იყო „ქართველთა“ ეპისკოპოსი.**

„ეპისტოლეთა ნიგნის“ ერთ-ერთი თავის დასათაურება ასეთია – „მიზეზი ორბუნიბიანთა მეოთხე კრებისა, **მოსე ქართველთა მართლმადიდებელი ეპისკოპოსისა**“ (ეპისტოლეთა ნიგნი, გვ. 15).

სომხები მართლმადიდებელს უწოდებდნენ მონოფიზიტს, მოსე **ქართველთა** მონოფიზიტი ეპისკოპოსი იყო. ცნობილია, რომ ეს მოსე ცურტავის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი იყო, ცურტავის ეპარქია კი მთელ გუგარქს – ქვემო ქართლს მოიცავდა, მოსეს საეპისკოპოსოში მთელი გუგარქი შედიოდა.

გუგარქის მოსახლეობა (გუგარელები) რომ ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ეს კარგად იცოდნენ ძველმა სომეხმა ისტორიკოსებმა. ამის შესახებ პირდაპირ წერს უხტანესი.

ცურტავიო, – წერს უხტანესი, – დიდი სახელოვანი დედაქალაქი იყო, სამკვიდრებელი გუგარელთა დიდი პიტიახშისა, ახლა კი ცურტავი დაბა-ქალაქია და გაჩიანი ჰქვია. ამ მხარეს კი „ვრაც დაშტი“, **ქართველთა ველი** ეწოდებო. უხტანესი აღწერს გუგარელთა დიდი პიტიახშების გენეალოგიას. ის ეყრდნობა მოსე ხორენელს. გუგარელთა დიდი პიტიახშებიო, – წერს ის, – **ივერიელთა ანუ ქართველთა ტომებზე** გააბატონა ალექსანდრე მაკედონელმაო. უხტანესის მიხედვით, ეს **ივერიელები, ანუ ქართველები ცხოვრობენ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვიდან ვიდრე სომხეთისა და ალბანეთის საზღვრამდე.** გუგარქი ივერთა ქვეყანა იყო უხტანესის მიხედვით, ქართველებით დასახლებული. უხტანესი იმეორებს ძველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲშიცაა“ გადმოცემული – ქართველი ხალხის კავკასიაში ცხოვრების შესახებ. თავდაპირველადო, – წერს ის, – ივერიელები, ანუ ქართველები სხვა, შორეულ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. ნაბუქოდონოსორმა ეს ქართველები, ანუ ივერიელები ძველი ქვეყნიდან გადმოასახლა კავკასიაში, კერძოდ, დაასახლა შავი ზღვის პირას. „...პონტოს ნაპირზე რომ დაბანაკდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი... ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ... მსურდა რამოდენიმე სიტყვით ცურტავის მრავალი მოსახსენებელი მეცნობებინა შენთვის“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 67).

უხტანესი თავის თხზულებაში ქართველთა შესახებ ზემოთ მოყვანილ თხრობას იმიტომ რთავს, რომ საუბარი აქვს ცურტავზე, ხოლო ცურტავზე საუბრისას კი აუცილებლად საჭიროა ქართველთა შესახებ ითქვას, რადგანაცო, – წერს ის, – ცურტავ-

გუგარქი ქართველებით არის დასახლებული, რადგანაც მთელი ტერიტორია შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე ქართველებით არის დასახლებული და ისინი ჩვენგან კირიონმა განაშორაო: – „...გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა, დააქცია და წარწყმიდა ესოდენი სიმრავლის ტომი“ (იქვე, გვ. 67).

უხტანესი აქ პირდაპირ, აშკარად და დაუფარავად წერს, რომ ცურტავსა და გუგარქში მცხოვრები ქართველები სომხური ეკლესიისა და სომხური ქრისტიანობის ზეგავლენისა და ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, კირიონი როგორღა „გამოყოფდა, გამოაცალკავებდა, განაშორებდა“ სომხური ეკლესიისა და სომხებისგან ცურტავ-გუგარქის ქართველებს?

განა ასე არ წერს უხტანესი – „განაშორა ჩვენგან... ესოდენი სიმრავლის ტომი“, ე.ი. ქართველებიო?

თვით უხტანესის თხზულებიდან კი ჩანს, რომ გუგარქში მცხოვრები ქართველობა საეკლესიო ენად სომხურს ხმარობდა, ქართულს კი შინაობაში იყენებდა.

კირიონის რეფორმის შედეგად ქართულენოვანი ღვთისმსახურება აღდგა გუგარქ-ცურტავში, რასაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია სომხეთის ეკლესიამ დვინში.

ჩვენში არის მცდელობა, ქართული ეკლესიის, ანდა რომელიმე კუთხის სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ ყოფნა უარყონ და შესაბამისი ცნობები ტენდენციურად გამოაცხადონ, მაგრამ ამის შესახებ ცნობილია მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში, აი, კერძოდ, რას წერს ბერძენი მიტროპოლიტი მაქსიმე ათენში 1966 წელს დაბეჭდილ თავის შრომაში „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია“: „ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეუძლებლად მიგვაჩნია სომეხთა მტკიცება, რომ მათ ეკუთვნით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დამსახურება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ იყო ურთ-

იერთდამოკიდებულება ორ ეკლესიას შორის, და რომ საქართველო მთლიანად, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი რომელიმე ნაწილი არ იმყოფებოდა რაღაც დამოკიდებულებაში სომხეთის ეკლესიის კათალიკოსთან. რადგანაც არ უნდა დავივინყოთ, რომ საქართველო თავიდან წარმოადგენდა არა ერთიან სამეფოს, არამედ იყო ასე თუ ისე თავისთავადი სათავადოების ერთობლიობა. ასე რომ, არ გამოირიცხება შესაძლებლობა ამ ქვეყნის რომელიმე ეპარქიის დაქვემდებარებისა სომხეთის კათალიკოსის იურისდიქციისთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოსდა მთელი ქართველი ხალხი როდესმე, თუნდაც დროებით, იყო ასეთ დაქვემდებარებაში... სპარსეთის შაჰები ჩაგრავენენ ქართველებს, ცდილობდნენ დაექვემდებარებინათ ისინი სომხური ეკლესიის იურისდიქციისთვის... თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის იმყოფება ორ უკიდურესობათა შორის, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ თუ არსებობდა რაიმე გავლენა, ანდა საქართველოს თუნდაც დროებითი დაქვემდებარება სომხურ ეკლესიაზე, ამ ჰიპოთეზას შეიძლება დავეთანხმოთ არა მთელ საქართველოსთან მიმართებით, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილის რამდენიმე ეპარქიასთან დაკავშირებით“ (მაქსიმე სარდელი მიტრ. საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია, 1966, რუსული თარგმანი, გვ. 26-28).

ის, რაც ცნობილი და მეცნიერულ ბრუნვაშია მთელ მსოფლიოში, უარყოფილი არ უნდა იქნას ჩვენშიც, კერძოდ, ძლიერ სომხურ ეკლესიას თავისი ანტიქალკედონური, ანუ ანტიბიზანტიური მიმართულების გამო ბიზანტიასთან მეზობლი სპარსეთი V-VI სს-ში და არაბობა VII-IX სს-ში აძლიერებდა და კარგად ეპყრობოდა.

თავის მხრივ, ბიზანტიის სახელმწიფოც ცდილობდა თავის მხარეზე გადაებირებინა ძლიერი სომხური ეკლესია დაყვავებით, მოფერებით, დათმობით და ყოველმხრივი ხელშეწყობით

(სპარსეთისა და ბიზანტიის სომხურ ეკლესიასთან დამოკიდებულების შესახებ წერს მსოფლიო ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. კარტაშევი თავის წიგნში – „მსოფლიო კრებები“, პარიზი, 1963, რუს. ენაზე).

ზემოაღნიშნულის გამო სომხურმა ეკლესიამ შეძლო თავისი გავლენის სფეროში მოექცია სომხეთის უშუალოდ მეზობლად მდებარე არასომხური პროვინციები როგორც ალბანეთისა, ისე საქართველოსი. სომხეთის მომიჯნავე გუგარქის, მესხეთის, ტაოს პროვინციებზე სომხურმა ეკლესიამ როგორც სპარს-არაბთა, ისე ბიზანტიელთა ხელშეწყობით შეძლო თავისი გავლენის გავრცელება. ეს გულისხმობდა ამ ქართულ პროვინციებში საეკლესიო სომხურენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვას, ან ქართული ღვთისმსახურების გვერდით, ანდა ქართული ღვთისმსახურების შეცვლით. ამის შედეგად მკვიდრი ქართული მოსახლეობა საეკლესიო თვალსაზრისით „სომხურენოვანი“ ხდებოდა, ხოლო ქართულ ეკლესიებსა თუ წმიდა წიგნებში ჩნდებოდა სომხური მინაწერები.

საინტერესოა გუგარქის შემდგომი ბედი ეკლესიური თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, გუგარქში ჩვენმა დიდმა კათალიკოსმა კირიონმა ღვთისმსახურებისას შეძლო სომხურენოვანი წირვა-ლოცვის გვერდით ქართულენოვანი წირვა-ლოცვის დანერგვა. ეს სრულებით მიუღებელი გახდა სომხური ეკლესიისთვის და გადაწყდა კირიონის სასტიკად დასჯა. ეს იმ დროს სომხეთის პროსპარსულმა მმართველმა სმბატმა ვერ შეძლო, მაგრამ მალე სპარსთა მეფემ ხოსრომ შეუტია ბიზანტიას, დაამარცხა და აიღო იერუსალიმი, 614 წლისათვის მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები დაავალდებულა „მიელოთ სომხური ქრისტიანობა“. ამის გამო კირიონი იძულებულია ამ დროისთვის სხვაგან გადავიდეს (ლაზიკაში). მალე სპარსეთი ჰერაკლე კეისარმა დაა-

მარცხა და მან სომხურ ეკლესიასთან მეგობრული კავშირი, „უნია“ შეკრა. აღნიშნულის გამო, გუგარქი შესაძლოა კვლავ მოექცა სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში. ადგილობრივი მკვიდრი ქართველები თუმცა ქართულ ენას არ ივინყებენ, მაგრამ შემდგომში მალევე სახელმწიფო ენადაც სომხური ენა მკვიდრდება, რადგანაც X ს-ის ბოლოსთვის აქ არსდება ტაშირ-ძორაგეტის სამეფო – „სომეხ მმართველთა ფეოდალური სახელმწიფო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე“ (ქსე, 9, გვ. 669) – კვირიკიანების სამეფო. ამ შემთხვევაში გუგარქი თითქოსდა იმეორებს მეზობელი ალბანური პროვინციების ისტორიას, ალბანეთის ზოგიერთ პროვინციაში უფრო ადრე სომეხმა აზნაურებმა შეძლეს სომხურენოვანი თავისთავადი სახელმწიფოებრივი ერთეულების შექმნა. კვირიკიანების სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა 989-1048 წლებში – „როცა სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა თბილისისა და განჯის საამიროთა ხარჯზე“ (იქვე, გვ. 669). ეს სამეფო შემდეგ ანისის სამეფომ შეიერთა, შემდეგ კი ბაგრატ IV-მ, 1185 წლიდან კი ქართლის ეს ნაწილი სამართავად მხარგრძელებს გადაეცათ. მიუხედავად ამისა, ამ მხარის ქართველობამ მაინც შეძლო თავისი ეროვნების შენარჩუნება, XV ს-ის შემდეგ, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა, ყოფილ გუგარქ-ქვემო ქართლში განსაკუთრებით გაძლიერდა მონოფიზიტური პროპაგანდა. შედეგმაც არ დააყოვნა და ამ მხარეს იმჟამად „სომხითი“ ეწოდა. უფრო ადრე კი მას „ქართველთა ველი“ ერქვა. ადგილობრივმა ქართველმა თავად-აზნაურებმა გვიან შუა საუკუნეებში სცადეს გაბატონებული მონოფიზიტობისათვის (სპარსთა მიერ მართლმადიდებლობის აკრძალვის გამო) კათოლიკობა დაეპირისპირებინათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ქვემო ქართლი სარწმუნოებრივი თვალსაზრისით რთულ ქვეყნად დარჩა. მასში თბილისის ქვემო მხარეებიც შედიოდა. XVI-XVIII სს-ში ამას

ხელს სპარსეთი უწყობდა, ასევე თბილისის მაჰმადიანი მმართველები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ გავლენა მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ჰქონდათ, ხოლო დარჩენილ ქართლს ქალკედონიტი მმართველები ჰყავდა (ე. ნიკოლაძე, ეკლესიის ისტორია, გვ. 142-148).

ქართული მონათმშენებლობა და სომხური ეკლესიის წილი ქართული ქალკედონიტი

სომხური ეკლესია დაარსებისთანავე აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს ეკლესიად იქცა. ის განსაკუთრებით გაძლიერდა V-VI სს-ში, როცა მან ეროვნული ანბანის შექმნით მიიღო სულიერი დამოუკიდებლობა და ძალა. ამ დროს ის უპირისპირდება ბერძნულ-რომაულ (ანუ რომ-საბერძნეთის იმპერიის) ეკლესიას და აცხადებს პრეტენზიას, რომ ის მთელ მსოფლიოში ერთადერთი მართლმადიდებელი ეკლესიაა. სპარსეთის იმპერია განსაკუთრებით აძლიერებს სომხურ ეკლესიას და სცემს კანონებს, რომლის ძალითაც ამ იმპერიაში მცხოვრები (და განსაკუთრებით ამიერკავკასიის) ქრისტიანები უნდა დაექვემდებარონ სომხურ ეკლესიას. ამის გამო VI ს-ის ერთ პერიოდში საქართველოს სპარსულ ნაწილში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული სომხურ ეკლესიას. საქართველოში სომხური ეკლესიის წევრად ქართული მოსახლეობა შეიძლებოდა გამხდარიყო სხვადასხვა გზით. ქვეყანაში ქალკედონიტები VI ს-ის დასაწყისში იდეგნებოდნენ, მონოფიზიტობას კი სპარსეთი მხარს უჭერდა და აღიარებდა. მონოფიზიტობის ცენტრი სომხური ეკლესია იყო, ხოლო ქართული ეკლესია ძირითადად ქალკედონიტურია. გარდა ამისა, სომხურ ეკლესიას მინიჭებული ჰქონდა მოსახ-

ლეობაზე ზემოქმედების ეკონომიური ბერკეტები. სომხეთის დაპყრობის შემდეგ ქვეყნის მმართველობა გადაეცა სომეხ სამღვდელოებს. სპარსეთის საიმპერატორო კარი და სომხეთის სამღვდელოების ზედა ფენები შეკავშირდნენ. დაპყრობილ ქვეყანაში ხარკს სომეხი სამღვდელოება კრეფდა, ამასთანავე VI ს-ის I ნახევარში „ერთობის“ გამო სომხურ ეკლესიას შეეძლო ქართველების ქვეყანაშიც გამოეყენებინა ეკონომიური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებანი ქართული მოსახლეობის სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცევისათვის.

საქართველოს მოსახლეობის მიერ მონოფიზიტობის (იგულისხმება სომხურ ეკლესიაში დანერგილი აღმსარებლობა) აღიარება უკვე სომხური ეკლესიის წევრად გახდომას გულისხმობდა.

ქართველი მონოფიზიტები განსაკუთრებით მრავლად უნდა ყოფილიყვნენ სომხეთის მეზობელ ქართულ პროვინციებში: ჰერეთსა და ქვემო ქართლში (ქსე, 7, სტატ. მონოფიზიტობა, გვ. 100; ქსე, 8, სტატ. საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში, გვ. 625). ეს ქართული პროვინციები ჯერ IV ს-მდე რამდენჯერმე სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში მოხვედრილან, V-VI სს-ში ქართლს ეკუთვნიან, მაგრამ მათზე ძლიერია სომხური სარწმუნოებრივ-კულტურული ზეგავლენა, რადგანაც VI ს-ში თვით ქართლის სამეფო კარგავს დამოუკიდებლობას, ხოლო ქვემო ქართლისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობამ, ჩანს, ამ პროვინციებზე სომხეთის ბატონობის დროსვე შეითვისა როგორც სომხური ენა, ასევე კულტურა, თუმცა მათ ეროვნული ქართული თვითშეგნება არ დაუკარგავთ, და ეროვნულად თავიანთ თავს ქართველ ერს მიაკუთვნებდნენ. ამ პროვინციებზე სომხურმა ენობრივ-კულტურულ-სარწმუნოებრივმა ზემოქმედებამ გააღვიძა ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული თვით-

შეგნება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია აქ ეროვნული ქართული კულტურის არნახული გაფურჩქვნა და ქართული სახელმწიფოს – ტაო-კლარჯეთის, ე. წ. „ქართველთა სამეფოს“ წარმოქმნა შემდგომ საუკუნეებში.

VI-VII სს-ში კი ქართველი გლეხებისა და დაბალი ფენების სომხური ეკლესიის წევრად გადაქცევას, განსაკუთრებით სომხეთის მოსახლვრე ქართულ პროვინციებში, უთუოდ ხელს შეუწყობდა ის დიდი სოციალური მოძრაობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა სომხეთში V ს-დან X ს-ის ჩათვლით.

VI ს-ის შუა წლებში სომხეთში ჩაისახა პავლიკიანური მოძრაობა, რომელმაც მოიცვა მოსახლეობის ფართო ფენები და ქვეყნის თითქმის ყველა ძირითადი რაიონი. ეს იყო კლასობრივი ბრძოლა, რელიგიურ სამოსელში გახვეული. სომხეთში პავლიკიანელობას ძირითადად დაბალი სოციალური ფენა მისდევდა, ასეთი კი არმენიაში ქართველობა იყო, კერძოდ მას შემდეგ, რაც სტრაბონის ცნობით არმენიამ იბერიელთა მიწა-წყალი **პარიადრეს კალთების ვრცელი რეგიონი, ხორძენა და გოგარენა მიიტაცა**, ამ მიწა წყლის მოსახლეობა ანუ იბერები აღმოჩნდნენ არმენიის მცხოვრებნი, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ისინი სამხური ეკლესიის წევრები იყვნენ სომხური ენითა და თავს მოხვეული არაეროვნული კულტურით, რაც მათ **გაუმხელელ, ჩუმ პროტესტს იწვევდა სომხური ეკლესიისა და ზედა არმენიული ფენის მიმართ, ამის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოძახილი იყო სომხეთში ჩასახული პავლიკიანობა**, სხვა საპროტესტო სარწმუნოებრივი მოძრაობები, თონდრაკელობა და სხვა. მათი ცენტრები ემთხვევა ისტორიულად არასომხურ იმ რეგიონებს, რომელნიც სომხეთმა დაიპყრო. მაგალითად კარდუხების ყოფილი ქართული ტომის საცხოვრისს, ასევე ქალდებისა თუ ფასიანების ყოფილ მიწაწყალს, სადაც მკვიდრი მისახლეობა დაბალ გენად – გლეხებად და გლახაკებად იქცა,

რომელთა არმენიზაციას სომხური ეკლესია ედგა სათავეში. ამის შედეგი იყო კიდევ ამ ეკლესიის მიმართ დიდი პროტესტი. სამ-ნუხაროდ ამ დაბალ ფენას იმდროისათვის უნარი არ შესწევდა ეროვნული თვითგამორკვევისა, რელიგიურ სფეროში კი ის პავ-ლიკიანობით გამოხატა.

ქართველებში მონოფიზიტობის მიმდევართა შესახებ გამო-კვლევები აქვთ ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს და სხვ. მათი მტკიცებით, მონოფიზიტობა ძირითადი რელიგიური მიმდინარეობა ყოფილა (რა თქმა უნდა, ქალკედონიტობასთან ერთად) VI ს-ის პირველ ნახევარსა და შუა წლებში. თუ ასე იყო, მაშინ VI საუკუნის II ნახევარში, როცა ქართულმა ეკლესიამ და სა-ზოგადოებამ აშკარად უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკე-დონიტობა, მას არ აჰყვებოდა ერთდროულად მოსახლეობის ყველა ფენა, მთელი ერი, რადგანაც სარწმუნოებრივი მიმარ-თულების შეცვლა საერთოდ ძალზე რთული პროცესია, რომელ-საც არ შეიძლება ერთდროულად აჰყვეს მთელი ერი.

ისიც შეიძლება, რომ VI ს-ის I ნახევარში მონოფიზიტობა არ იყო ძირითადი მიმდინარეობა და ის ქალკედონიტობის გვერ-დიგვერდ არსებობდა, მაგრამ, უეჭველია, მონოფიზიტების ეკ-ლესია და მონოფიზიტობა საერთოდ ძლიერდებოდა სპარსთა მიერ, დიოფიზიტები კი იდევენებოდნენ. ამიტომაც VI ს-ის 70-იან წლებში, როცა საქართველომ აშკარად აღიარა ქალკედონი-ტობა, უეჭველია, ქართველთა შორის უამრავი მონოფიზიტი იქნებოდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს: „...**მთელი აღმოსავლეთი, ეგვიპტე, პალესტინა, ასურეთი და სპარსეთის ქრისტიანობა მონოფიზიტო-ბას მიემხრო და თვით ბიზანტიაშიაც, სამეფო კარზეც კი ამ მოძღვრებას მიმდევარნი ჰყავდა, ამიტომ ამ საკითხის შესახებ ქართულ წყაროების დუმილი უეჭველია ხელოვნური უნდა იყოს**“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, I, გვ. 350).

კ. კეკელიძის თანახმად, „...თავდაპირველად ქართლის ეკლესია, სომხებთან ერთად, მონოფიზიტურ ან ანტიქალკედონურ ქრისტოლოგიას იზიარებდა...“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 487) ხოლო შემდგომ, VI ს-ის ბოლოდან თვით მეთავე საუკუნემდე, ებრძოდა მას – „პირველი პერიოდის განმავლობაში მეთავე საუკუნემდე, როდესაც ქართულ ქრისტიანობას კავშირი ჰქონდა უმთავრესად აღმოსავლურ ქრისტიანობასთან, მას ბრძოლა უხდებოდა ისეთ მწვალებლობასთან, რომელმაც ბუდედ გაიხადა აღმოსავლეთი – ნესტორიანობასა და მონოფიზიტობასთან“ (იქვე, გვ. 474).

ქართველი მონოფიზიტების რაოდენობა არამცირე ყოფილა თვით კირიონის დროსაც კი. მონოფიზიტები ყოფილან არა მარტო ქართველთა დაბალ ფენებში, არამედ ქართული ეკლესიის იერარქთა შორისაც. კირიონის დროის ქართული ეკლესიის სახელგანთქმული ეპისკოპოსი პეტრე არის მონოფიზიტი. მონოფიზიტები ქართული ეკლესიის უმაღლეს სამღვდელთა შორის თუ იყვნენ, მით უმეტეს, მრავლად იქნებოდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენებში.

კირიონის დროის ეპისკოპოსი პეტრე ისტორიული პირია, ის ეროვნებით ქართველია და მოიხსენიება არა მარტო უხტანესის მიერ, არამედ „ეპისტოლეთა წიგნშიც“. ზ. ალექსიძის თანახმად, „პეტრე ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოსის კარზე იყო და მის პოლიტიკას უჭერდა მხარს, მიუხედავად იმისა, რომ **მონოფიზიტები თავის თანამოზიარედ თვლიდნენ**“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 286). ვრთანეს ქერდოლი, სომხეთის კათალიკოსის ადგილის მცველი, ქართველ ეპისკოპოს პეტრეს უწოდებს მართლმადიდებელს, მართლმადიდებლებად კი სომხური ეკლესია მონოფიზიტებს მიიჩნევდა. გარდა ამისა, ეპისტოლედან ჩანს, რომ პეტრე ქართველ ეპისკოპოსს თავის თავზე მიუღია მონოფიზიტობის ქომაცობა საქართველოში, იმისთვის,

რათა ქართული ეკლესია ძველებურადვე კავშირში დარჩენილიყო სომხურ ეკლესიასთან. ვრთანესი წერს პეტრეს: „ხოლო როგორც მიიღეთ ღმერთის ქომაგობა თქვენს თავზე, ასევე მტკიცედ იდევით მაგ საქმის აღსრულებამდე, რათა ღირსი შეიქმნეთ ზეციურ ნიჭთა...“ (იქვე, გვ. 255).

ეპისტოლეთა წიგნიდან მოტანილი ამ ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ვრთანესი ამხნევებს და აგულიანებს ქართველ პეტრეს, რათა ის კვლავ მტკიცედ იდგეს იმ საქმის აღსასრულებლად, რომლის ქომაგობაც იკისრა. რა თქმა უნდა, ეს საქმე არის სომხურ-ქართული ეკლესიების „ერთობა“, ძველებურადვე სომხური ეკლესიის უპირატესობით. ვრთანესი პეტრეს მართლმადიდებელი სარწმუნოების მასპინძელს (ე. ი. ჭეშმარიტ მონოფიზიტს) უწოდებს: „...როგორც მასპინძელი იყავ მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, რომელიც დაამტკიცა ამ ქვეყანაზე უფალმა ღმერთმა...“ (იქვე, გვ. 255) ვრთანესს ქერდოლს იმედი აქვს, რომ ქართველი ეპისკოპოსი პეტრე ყოველი ღონისძიებით შეეცდება, მოისპოს ქალკედონიტობა ანუ სარწმუნოების „...ის ახალსახეობა, რომელიც შემკულია სიცრუით“. ის სწერს პეტრეს, – „შეიქენ მშვიდობის მიზეზი, რათა ის ახალსახეობა, რომელიც შემკულია სიცრუით, მოისპოს, ჭეშმარიტება დამყარდეს“ (იქვე, გვ. 255).

ვრთანესი არ იშურებს ეპითეტებს ქართველი მონოფიზიტი ეპისკოპოსის შესამკობად, – **„გვესმა შენი პატიოსნების შესახებ, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების მოშურნე და მოყვარული ხარ“** (იქვე, გვ. 81). პეტრე ეპისტოლეს გაგზავნის მომენტში საქართველოში რომ იმყოფება, იქიდან ჩანს, რომ მასთან საუბრის დროს საქართველოს უწოდებენ „თქვენს ქვეყანას“. ასე, მაგალითად: „...თქვენს ქვეყანაში განადიდებენ უღირს ქალკედონის კრებას... „საუკუნო მტერი დავრჩებით მაგ ქვეყნისა“. ვრთანესი ავალებს პეტრეს, მისწეროს სპარსეთის ხელისუფლებ-

ის წარმომადგენელს სომხეთში – მარზპანს – ანუ, რაც იგივეა, სომხეთის მთავრებს, რათა პეტრეს თხოვნით ამ „სომეხმა მთავრებმა“ საქართველოში „საქმის გამოსასწორებლად“ გაგზავნონ სომეხი სამღვდელოება.

უხტანესისა და სომეხი ისტორიკოსების თვალსაზრისით, ეპისკოპოსი პეტრე სომეხ-ქართველთა საეკლესიო ერთობისათვის აქტიურად იღვწოდა, რისთვისაც ის ქართველ მთავრებს მოუკლავთ. ძველი ქართველი ისტორიკოსები პეტრეს საერთოდ არ ახსენებენ, ისევე როგორც კირიონს. ზ. ალექსიძეს მიაჩნია, რომ ეპისკოპოსი პეტრე კირიონის კარზე იყო და მის პოლიტიკას უჭერდა მხარს, რაც სწორი უნდა იყოს. ისმის კითხვა, რატომ უნდა დაეჭირა მონოფიზიტი ეპისკოპოსს დიოფიზიტი პატრიარქისთვის მხარი? ქართველ მკვლევართა შორის გამოითქვა მოსაზრება, რომ კირიონი იყო არა ორთოდოქსი ქალკედონიტი, არამედ მონოთელიტი, ე.ი. კირიონი ცდილობდა ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა შერიგებას. თუ ეს ასე იყო, მაშინ კირიონის მონოთელიტობა გამონწეული იქნებოდა საქართველოში არსებული სარწმუნოებრივი მდგომარეობით, ე.ი. საქართველოში როგორც ქალკედონიტთა, ისე მონოფიზიტთა სიმრავლით.

იმისდა მიუხედავად, კირიონი მონოთელიტი იყო, თუ შეურიგებელი ქალკედონიტი, მაინც საქართველოში კირიონის დროს ქართველი მონოფიზიტების საკმაო რაოდენობა იქნებოდა, რადგანაც აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის მიერ იყო დაპყრობილი თითქმის 70 წლის განმავლობაში წინა საუკუნისა და კირიონის დროსაც. თუ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მონოფიზიტური იყო, ეს ასახვას ჰპოვებდა სამღვდელოებაშიც და სამღვდელოების ერთი ნაწილი მონოფიზიტური იქნებოდა. ამით უნდა იყოს გამონწეული მონოფიზიტი პეტრე ეპისკოპოსის ყოფნა კირიონის კარზე. ცნობილია, ქართლი და ქართული ეკლე-

სია საერთოდ ქალკედონიტურია, მაგრამ შეუძლებელია კირიონის დროს მოსახლეობის ყველა ფენა, მთელი ერი ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით ქალკედონიტური გამხდარიყო. სავარაუდოა, რომ არა თუ კირიონის დროს, არამედ მის შემდგომ (საუკუნენახევარი ან ორი საუკუნე მაინც) საქართველოში მიმდინარეობდა შიდა საეკლესიო ბრძოლა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის, რაც დიოფიზიტთა სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა X-XI საუკუნეებში, ხოლო 726 წლის მანასკერტის კრების შემდგომ ქართული ეკლესია სრულებით განშორდა სომხურ ეკლესიას, რამაც ძალზე განამტკიცა ქალკედონიტთა პოზიციები ქართლში. თუ სწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეპისკოპოსი პეტრე კირიონის პოლიტიკას უჭერდა მხარს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მონოფიზიტები პატრიოტული და ეროვნული მოსაზრებით მხარს უჭერდნენ არა ერთმორწმუნე სომხურ ეკლესიას, არამედ კირიონის ბრძოლას ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის. სპარსეთის სახელმწიფო ხელს უწყობდა სომხური ეკლესიის უპირატესობას, როგორც ქართულ, ასევე ალბანეთის ეკლესიებზე. ქართული ეკლესიის იურისდიქცია კი ვრცელდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოზე. კირიონი მართო აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი კი არ იყო, არამედ მას მეგრელთა არქიეპისკოპოსი ეწოდებოდა. დასავლეთი საქართველო კი ბიზანტიის სახელმწიფოს გავლენის სფეროში შედიოდა. ერთიანი ქართული ეკლესიის დაყოფა ბიზანტიისა და სომხეთის გავლენის სფეროებად ხელს უწყობდა საერთოდ ქართული ეკლესიის ერთიანობისა და მთლიანობის დარღვევას, ეს კი ყოველი ქართველი ადამიანისათვის, მათ შორის ქართველი მონოფიზიტებისთვისაც მოუთმენელი იქნებოდა. ანალოგიურადვე იქცეოდნენ საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხებში ალბანელი მონოფიზიტებიც, ეს წყაროებით დადასტუ-

რებული ფაქტია (იხ. აქვე, ქვეთავი კალანკატუელის „ისტორიის“ შესახებ).

შემდგომ ეპოქაში მონოფიზიტი ქართველი ეპისკოპოსი პეტრე გაუიგივებიათ პეტრე ანტიოქიელთან, რომელიც კეისრების, მარკიანეს (450-457) თუ ზენონის (474-492), დროს მოღვაწეობდა. ეს გაიგივება მომხდარა ქართლში დაახლოებით უხტანესის ეპოქაში. შესაძლოა, ეს მოხდა განგებ. IX-X-XI საუკუნეებში ქართველი ისტორიკოსები საგულდაგულოდ ფარავენ საქართველოში მონოფიზიტობის არსებობის დამამტკიცებელ ყოველგვარ ფაქტს. ამ წრეებს, რომელნიც საერთოდ უარყოფდნენ საქართველოში ქალკედონიტობის გარდა სხვა რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის არსებობის რაიმე კვალს, ხელს არ აძლევდათ ისტორიულად არსებული ქართველი მონოფიზიტი ეპისკოპოსის პეტრეს გახსენება, ამიტომაც შესაძლოა, საგანგებოდ განეული მუშაობის ნყალობით, პეტრე მონოფიზიტი ეპისკოპოსი გააიგივეს პეტრე ანტიოქიელთან, რომელიც ამ ქართველ ეპისკოპოსზე საუკუნე-ნახევრით ადრე ცხოვრობდა და ასევე მონოფიზიტობის საქადაგებლად ქართლში ჩამოსულა.

ქართლში რომ მრავლად ყოფილან ქართველი მონოფიზიტები, ეს ჩანს იმ პასუხიდან, რომელიც ზოგიერთმა ქართველმა აზნაურმა მისწერა სომხეთის კათალიკოსის ადგილის მცველს ვრთანეს ქერდოლს, – „ჩვენ ეს სარწმუნოებაცა გვაქვს და ეგეც, სჯულს აქაც ვეზიარებით და მანდაც...“ აქედან აშკარად ჩანს, რომ ქართველი აზნაურები ისევე არიან ქალკედონიტები, როგორც მონოფიზიტები. მათთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს არა სარწმუნოებრივ-დოგმატიკურ კამათს (მიმართულებას), არამედ საეკლესიო და ეროვნულ დამოუკიდებლობას (ეს მონოთელიტობის ის პი-რველიდეაა, რომელიც ასე მოენონა ჰერაკლე კეისარს საქართველოში (ლაზიკაში) ყოფნის დროს).

კირიონის მოძრაობას მხარი დაუჭირა მთელმა ერმა, – „...ყველა მისი ახლომდგომი ეპისკოპოსი, მღვდელი, მთავარი, მღაბიორი, ერისთავი“, კირიონის მხარეზე იყო, მათ შორის, ქართველი მონოფიზიტებიც, რადგანაც ვრთანესისადმი გაგზავნილი პასუხიდან ჩანს, რომ ქართლის ერს კირიონის მოძრაობა ესმოდა არა მხოლოდ როგორც სარწმუნოებრივ-დოგმატიკური მოძრაობა, არამედ ეროვნული, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის დაცვას და ქართული ეკლესიის გათავისუფლებას სომხურ-სპარსული ეკლესიის გავლენა-ზემოქმედების სფეროდან, ქართული საეკლესიო ენის აღდგენას მთელ ეთნიკურ-ისტორიულ ქართლში, მათ შორის, ცურტავშიც. ქართველ აზნაურთათვის სარწმუნოებრივ-დოგმატიკური საკითხი გადამწყვეტი არ იყო, აზნაურები ასევე წერენ ვრთანესს: „...მოსეს თუ უნდა, მოვიდეს, ჩვენ კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ეგ უფრო სასიამოვნოა, და თავისი ადგილი დაიკავოს.“ მოსე ცურტავის ეპისკოპოსი აშკარა მონოფიზიტი ეპისკოპოსი იყო, ქართველი აზნაურები კი მას ქართლში კათედრას აძლევდნენ, თუკი ქართველ ეკლესიის მეთაურს დაემორჩილება. აქედან ჩანს, რომ ქართლს მთავარ საქმედ მიაჩნია სომხეთთან საეკლესიო კავშირის განწყვეტა. ქართველი აზნაურები სიხარულით და სიამოვნებითაც მიიღებენ მონოფიზიტ ეპისკოპოსს იმ პირობით, თუ ის აღიარებს ქართული ეკლესიის ადმინისტრაციას. თვით ბიზანტიის იმპერიაში მონოფიზიტთა ძლიერების დროს კირიონი და ქართლი იმდენად უარყოფენ მონოფიზიტობას, რამდენადაც ამ მონოფიზიტობას სომხური ეკლესია იყენებს ქართულ ეკლესიაზე თავისი ზედამხედველობისა და უფლებამოსილებისთვის. სავარაუდოა, მონოფიზიტობა მიუღებელი ყოფილა არა მხოლოდ დოგმატიკური თვალსაზრისით, არამედ იმიტომ, რომ მონოფიზიტობა ხელს უწყობდა ქართული ეკლესიის დაქვემდებარებას

უცხო ეკლესიაზე. ქართველები იბრძვიან საეკლესიო და აქედან გამომდინარე, ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობისათვის. ქართლში მრავლად არიან მონოფიზიტები, ამ დიდი იდეის მომხრენი. ამიტომაც წერენ ქართველი აზნაურები, – „ჩვენ ეს საწმენოებაცა გვაქვს და ეგეც“, ე. ი. ქართველთა შორის ქალკედონიტებიც არიან და მონოფიზიტებიცო. ქართველები, როგორც ქალკედონიტები, ასევე მონოფიზიტები იბრძვიან იმისთვის, რომ სომხურ ეკლესიას არ ჰქონდეს ქართულ ეკლესიაზე უპირატესობა და ქართული ეკლესია დამოუკიდებელი იყოს. ეს შემთხვევა სრულიად ანალოგიურია ალბანეთის ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობისა. ალბანელი მონოფიზიტებიც იბრძვიან თანამორწმუნე სომხური ეკლესიისგან განთავისუფლებისთვის, – „...სომხები ითხოვდნენ ალბანელებზე საკადრის უპირატესობას, რასაც ალბანელები არ დაემორჩილნენ, არამედ გამოაჩინეს ვინმე პირველი მოციქული, ალბანეთში მოსული..., რომელსაც იქ ადრე უქადაგია ... ალბანელები სომხებისაგან თავის თავს მიუბრუნდნენ, რომ არ ყოფილიყვნენ ვისმეს ხელმწიფების ქვეშ“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 369). ეს ცნობა ამოღებულია მოსე კალანკატუელის „ალვანთა ქვეყნის ისტორიიდან“. ალბანეთის ისტორიკოსთა შორის მიღებული ყოფილა აზრის იმის შესახებ. რომ მონოფიზიტურმა ალბანეთის ეკლესიამ მოისურვა მონოფიზიტური სომხური ეკლესიისგან დამოუკიდებლობა: „...ალბანეთის ეკლესიამ სომხურისაგან დამოუკიდებლობა მოისურვა როგორც კავკასიაში ყველაზე უფრო ძველმა და მოიპოვა კიდევ“ (იქვე, გვ. 371).

როგორც ალბანელები იბრძვიან საეკლესიო დამოუკიდებლობისთვის, ასევე იბრძვიან ქართველებიც, ამიტომაც უდგანან კირიონს მხარში. „ერთობის“ დარღვევა ალბანელთა და ქართველთა საერთო მიზანი ყოფილა.

კიბიტონის ეპოქა

(VI,VII საუკუნეები)

VI საუკუნის II ნახევარში გარდაიცვალა ქართლის მეფე ბაკური. „მოკუდა ბაკურ და დარჩეს შვილნი მისნი ნურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 217). ქართლში გაუქმდა მეფობა. საუკუნის ბოლოს სპარსეთის მეფემ ჰორმიზდმა თავისი ძე, ქასრე (ხოსრო) ამბარვეზი გამოგზავნა საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების მმართველად. ბარდავში მჯდომმა ქასრემ ქართლის ერისთავები გადაიბირა, ალუთქვა მათ დიდი სიკეთე, რის გამოც ისინი განუდგნენ ქართველ მეფეთა ტახტს და სათითაოდ უხდიდნენ ხარკს ქასრეს, რაც სახელმწიფოს დაშლას ნიშნავდა. ამის შემდეგ მალე სპარსეთში შეიჭრნენ თურქები და ბერძნები. ქასრე იძულებული გახდა მიეტოვებინა ბარდავი და სპარსეთში წასულიყო. შექმნილი მდომარეობა ქართველებმა თავისი სახელმწიფოს აღდგენისათვის გამოიყენეს.

„ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წაგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თვსთვსსა საერისთაოსა შეუცვალებელად“ (იქვე, გვ. 217).

კეისარს აღუსრულებია ქართველი ერისთავების თხოვნა – „მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვნა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქვა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს“ (იქვე, გვ. 218).

გუარამ კურაპალატი დედის მხრიდან ფარნავაზიან-ხოსროიანი ყოფილა, ხოლო მამის მხრიდან ბაგრატიონი. კეისარ-

მა გუარამ კურაპალატს დააქირავებინა ჩრდილოკავკასიელები და შეეგზავნინა სპარსეთში. სპარსეთში შეჭრილი მეზრძოლები დაამარცხა მხედართმთავარმა ბაჰრამ ჩუბინმა. ბერძენთა ჯარმა და მისმა მოკავშირეებმა სპარსეთი დატოვეს. ამის შემდეგ გამარჯვებული ბაჰრამ ჩუბინი აუჯანყდა სპარსეთის მეფეს, დაამარცხა ის და ჩამოაგდო ტახტიდან. მეფის ძე ბიზანტიაში გაიქცა. კეისარმა მას თავისი ასული მიათხოვა, მისცა ჯარი და შეგზავნა სპარსეთში. ქასრემ, ანუ ხოსრო II-მ (591-628) დაამარცხა აჯანყებულები და გამეფდა.

„ამ დახმარების სამადლობლად ხოსრო II-მ, სომეხი ისტორიკოსის სებეოსის სიტყვით, იბერიის მომეტებული ნაწილი ქ. თბილისამდე მავრიკე კეისარს გადასცა. ეს უნდა მომხდარიყო 591 წელს. ამ დათმობის შედეგად იბერია კვლავ ორად გაიყო. ამასთანავე იბერიის დასავლეთი ნაწილი ქ. თბილისამდე ბიზანტიის ხელში გადასულა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ისევ სპარსთა ბატონებს შერჩენია. მეფე ხოსრომ ამას გარდა თავის სამეფოში ქრისტიანობის თავისუფლება გამოაცხადა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I. 1979 წ., გვ. 300).

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, სიძესა და სიმამრს, ანუ ხოსროსა და მავრიკე კეისარს შორის საზავო შეთანხმებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიქცევია ქართული ეკლესიის საქმეს. კერძოდ, ბიზანტია ამტკიცებდა, რომ სპარსთა ბატონობის დროს საქართველოში ქრისტიანობა შეირყვნა – „მძღავრებისაგან... იქმნის გარყუნულ ქართლი“. ამიტომაც ბერძენთა მხარემ ხოსროს მოთხოვნა წაუყენა: „...ვინაჲთგან სრულსა სიყუარულსა ზედა ვართ მე და შენ და ქართლი ჩუენ შორის იყავნ თავისუფალ მმდლობით: მე ვარ მნე და მოურავი ყოველთა ქართველთა და ყოველთა ქრისტიანეთა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955წ., გვ. 221). ამის შემდეგ, 591 წლიდან დაახლოებით 604 წლამდე, საქართველო განთავისუფლებულა სპარსთა ბატონო-

ბისაგან – „განთავისუფლდეს ქართველნი და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა“ (იქვე, გვ. 221).

„ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობას ეხმიანება უხტანესი, რომელიც ამტკიცებს, რომ **კირიონმა თავისი ცნობილი მოძრაობა დაიწყო მავრიკე კეისრის უშუალო მხარდაჭერით**, ე.ი. ქართლის სპარსთაგან თავისუფლების დროს. მართლაც, **კირიონი სომეხთაგან „განყოფისათვის“ მოძრაობის დაწყებას ვერ გაბედავდა სპარსთა საქართველოზე ბატონობის დროს.**

კირიონმა ისარგებლა იმ მომენტით, როცა ბიზანტიელებმა საქართველო თითქმის თბილისამდე გაათავისუფლეს. მართალია, 604 წლიდან 607-609 წლების ჩათვლით საქართველო კვლავ სპარსეთის ზეგავლენას განიცდის, მაგრამ ამ წლებში – იერუსალიმის დაპყრობამდე – ხოსრო II-ს გამოცხადებული ჰქონდა ქრისტიანთა თავისუფლება. უხტანესის თანახმად, „სუმბატმა... კეისრის ნებაც შეიტყო, რომ თანახმაა კირიონის და მისი ბრძანებით არისო ეს ამბავი“. ზ. ალექსიძე დაასკვნის: „სპარსეთის მეფეს ახლად დაპყრობილ ქვეყნებში რელიგიის თავისუფლება უცვნიან... **კირიონის** რელიგიურ პოლიტიკაში ჩართულია ბიზანტიის კეისარი და ყველაფერი მისი ბრძანებით ხდება“ (ეპისტოლეთა წიგნი, 1968 წ., გვ. 193-194).

გუარამ კურაპალატის ძემ, სტეფანოზმა, „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 222). იგი „ატარებდა პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს, შემდეგ განუდგა ბიზანტიას და სპარსეთის ორიენტაციის გზას დაადგა“ (ქსე, IX, გვ. 567). სტეფანოზის ორიენტაციის შეცვლა გამოიწვია პოლიტიკურმა ვითარებამ – მავრიკე კეისარი და მისი მემკვიდრეები დახოცა აჯანყებულმა მხედართმთავარმა ფოკამ. სპარსთა მეფე ხოსრო II ალაშფოთა სიმამრისა და ცოლისძმების დახოცვამ, შეიჭრა საბერძნეთში და ფოკა დაამარცხა. ამ დროს

„სტეფანოზ, მთავარი ქართლისა, შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 223).

604 წლიდან ხოსრომ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა ბიზანტიასთან ბრძოლაში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. სპარსეთის ეს უპირატესობა 620-იან წლებამდე გრძელდება (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 150).

607 წლისათვის „ქართლიდან ბიზანტიელები უკვე განდევნეს სპარსელებმა, მაგრამ აქ მათ თავისი ხელისუფლება ჯერ კიდევ მტკიცედ არ დაუმყარებიათ“ (იქვე, გვ. 195). სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას ამ წლებში სპარსეთის მიერ რელიგიური თავისუფლების გამოცხადების ფაქტიც.

ზ. ალექსიძის აზრით „VII ს-ის პირველ ათეულში ქართლი ძლიერი სახელმწიფოა...“ (იქვე, გვ. 195) მართლაც, ქართლის ძლიერების საფუძველს ქმნიდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ფაქტიური გაერთიანება, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოსაც „ქართლი“ ეწოდებოდა. ქართლის ძლიერება იმაშიც გამოვლინდა, რომ მან თამამად მიიღო ის სარწმუნოებრივი ორიენტაცია, რომელიც თავისი ეროვნული არსებობის საფუძველად მიაჩნდა. კირიონის გაბედული მოქმედება, ცხადია, ქართლის სიძლიერეს ემყარება. „ჯუანშერის მონათხრობიდან ასეთი ვითარება წარმოგვიდგება: ბიზანტიის პოლიტიკური უფლების ქვეშ გუარამ კურაპალატის მთავრობით (თუ მეფობით) ერთიანდება ქართლი და აღდგება ლეონტი მროველისაგან აღწერილი „ყოველი ქართლის“ ფარგლებში (დაახლოებით იმ რვა საერისთავოს ფარგლებში, რომელიც ფარნავაზმა „განაჩინა“)“ (იქვე, გვ. 173).

სრულიად იცვლება ქართული ეკლესიის მდგომარეობა 613-614 წლებიდან – ხოსრო II-ის მიერ იერუსალიმის აღების შემდგომ. ამ დრომდე ის ყველა ქრისტიანულ ადგილობრივ ეკლესიას მეტ-

ნაკლებ სარწმუნოებრივ თავისუფლებას ანიჭებდა, იერუსალიმის აღების შემდგომ მან გასცა მკაცრი ბრძანება: „ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება“. ეს ბრძანება სრულიადაც არ იყო ლმობიერი. ძალაში შედიოდა ქართლისათვისაც“... (იქვე, გვ. 197).

იერუსალიმის აღების შემდეგ, დაახლოებით 614 წელს ხოსრო II-მ მოიწვია საეკლესიო, ე.წ. „სპარსული კრება“, რომელსაც ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მისი გადანყვეტილების აღსრულება სავალდებულო იყო სპარსეთის იმპერიაში მოქცეული ყველა ეკლესიისათვის, მათ შორის ქართული ეკლესიისთვისაც.

„ბიზანტიაზე გამარჯვების პირველ ეტაპზე, სებეოსის მიხედვით, ხოსროს დაპყრობილი ქვეყნებისათვის მართლაც მიუცია რელიგიის თავისუფლება და „ხორციელი სამსახურით“ დაკმაყოფილებულა, მაგრამ იერუსალიმის „ნარტყვევის“ შემდეგ ხოსრომ რადიკალურად შეიცვალა პოზიცია და ე.წ. „სპარსული კრებაც“ სწორედ ამიტომ მოიწვია“ (იქვე, გვ. 196).

ეს კრება მოუწვევიათ სპარსეთის სამეფო კარზე. ძველი წყაროები აღნიშნავენ, რომ VI საუკუნის პირველ ნახევარში კავად მეფისა და მისი ძის, ხოსრო I-ის დროს ყველა ქრისტიანს უფლება ეძლეოდა სომეხთა, ანუ სომხური სარწმუნოების შევიწროების გარეშე ჰქონოდა თავისი აღმსარებლობა. VII საუკუნის I ნახევარში კი, ხოსრო II-ს გაუცია ბრძანება, რომ მის ყველა ქვეშევრდომ ქრისტიანს მიეღო სომხური სარწმუნოება. ადრე „კავად მეფემ და მისმა ძემ ხოსრომ გასცეს ბრძანება: „თითოეულმა თავის სარწმუნოება იპყრას და ნურავის ექნება სომეხთა შევიწროების უფლება...“ (იქვე, გვ. 196, შენიშვნა). 614 წლის კრების დადგენილების საფუძველზე კი ხოსრომ დაადგინა: „ყველა ჩემმა ქვეშევრდომმა ქრისტიანმა უნდა მიიღოს სომხური სარწმუნოება“ (იქვე, გვ. 197). ხოსრო II-ის ეს ბრძანება მნიშ-

ვენელოვნად განსხვავდება მისი წინამორბედის, ხოსრო I-ის განკარგულებისაგან. თუ ხოსრო I არავის აძლევდა თავის იმპერიაში სომხური სარწმუნოების შევიწროების უფლებას, ხოსრო II იმპერიაში მცხოვრებ ყველა ქრისტიანს ავალდებულებდა მიეღო სომხური სარწმუნოება.

უთუოდ ხოსრო II-ის ბრძანების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, რომ ქართლის კათალიკოსიც და ერისმთავარი სტეფანოზიც მათი მხადრამჭერნი გამხდარან: „სპარსულ-სომხური ორიენტაციის მქონე მონოფიზიტ სტეფანოზსა და კათალიკოს ბართლომეს უპირისპირდებიან ბიზანტიურ-ქალკედონური (უკეთ, შემრიგებლური) პარტიის წარმომადგენლები – **კირიონი**, ადარნასე და სხვები“ (იქვე, გვ. 251, შენიშვნა).

„616-622 წლები სპარსელთა განუყოფელი წარმატების ხანაა“ (იქვე, გვ. 201), ამიტომაც „ჰერაკლეს ლაშქრობამდე ქართლის სახელმწიფო რელიგია მონოფიზიტურია“ (იქვე, გვ. 251).

მემატიანის ცნობით, სტეფანოზ ერისმთავარი „იყო ურწმუნო და უშიში ღმერთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 222). სტეფანოზი მცხეთის ჯვრის დიდებული ტაძრის ერთ-ერთი მაშენებელია. მემატიანის განსაზღვრა, თითქოსდა სტეფანოზმა „არა ჰმატა ეკლესიათა“, **იმიტაა გამოწვეული, რომ ერისმთავარი არ არის ქალკედონიტი.**

„სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა ქართლსა ზედა, და დაჯდა იგი ტფილისს, და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა“ (იქვე, გვ. 223). „ყოველი ქართლი“ მაშინ ეწოდებოდა ერთიან საქართველოს – შავი ზღვიდან და ეგრისწყლიდან, ვიდრე აღბანეთამდე.

მონოფიზიტთა ბატონობა ქართლში დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ აღზევებას ბოლო მოუღო ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ სპარსეთში, რომელიც საქართველოდან დაიწყო. ჰერაკლემ „...შეკრიბნა სპანი ურიცხუნი და წარმოემართა სპარსე-

თად ძებნად ძელისა ცხოვრებისასა და მოვიდა პირველად ქართლს“ (იქვე, გვ. 224). ზოგიერთი წყაროს თანახმად, ჰერაკლეს პირველად ტრაპეზუნდის სანახებში მივიდა, რომელსაც „სოფელი მეგრელთა“ ეწოდებოდა.

„ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და დადგა ტფილისსა შინა. მივიდა ჰერაკლეს მეფე და მოადგა ტფილისსა... ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს. და დაიპყრა კეისარმან ტფილისი“ (იქვე, გვ. 224). ხოლო თბილისის ციხე ვერ აიღო, რომლის მეციხოვნეებმაც მას მწარედ დასცინეს.

სპარსთა წინააღმდეგ ლაშქრობისას, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ჰერაკლეს მიემხრო ქართლის ერთი ნაწილი და განსაკუთრებით კი, დასავლეთი საქართველო. ორივე ეს მხარე ქალკედონიტური იყო. ჰერაკლეს ლაშქრობას კი ქალკედონიტთა გამარჯვება და მონოფიზიტთა დამხობა უნდა გამოენჯია.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარის ქართველობა გარკვეული ხნის მანძილზე სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცა. აქ მონოფიზიტური, ანუ სპარსული ორიენტაცია სჭარბობდა, რის გამოც გუგარქ-ქვემო ქართლი თბილისითურთ სპარსეთის ერთგული დარჩა. საქართველოს ქალკედონურმა ნაწილმა კი ჰერაკლეს ქვეშევრდომობა მანამდე შეინარჩუნა, ვიდრე ამ უკანასკნელმა თავისი დამპყრობლური ბუნება არ გამოამჟღავნა. „ჰერაკლეს ერთი წლის შემდეგ უნდოდა... ხოსროს შეჰბოდა, მაგრამ ჯარმა, მეტადრე კი ლაზებმა, აფხაზებმა და იბერებმა მოკავშირეობა არ მოინდომეს, ხოლო როდესაც ჰერაკლეს სპარსთა ლაშქარი მოენია, ლაზებმა და აფხაზებმა მოკავშირეობაზე კეისარს უარი უთხრეს და შინისაკენ გაემგზავრნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1979 წ., გვ. 301-302).

ჰერაკლემ სპარსეთზე ორჯერ გაილაშქრა 623-624 და 626 წლებში, როდესაც იგი ლაზიკაში ჩავიდა (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 200-204).

„სომეხ ისტორიკოს მოსე კალანკატუელს ქ. თბილისის აღება დანერვილებით აქვს აღწერილი და მისი ცნობები ბევრად განსხვავდება ქართველი მემატიანის მოთხრობისაგან. სომეხი მემატიანის სიტყვით, ჰერაკლე მეფეს 626 წელს მეშველად იმიერ-კავკასიიდან გადმოუყვანია ჯიბლუ ხაკანი... 627 წ. გადმოვიდა თურმე იმიერ-კავკასიაში, იმავე წელს ჰერაკლე კეისარი და ჯიბლუ ხაკანი შეერთებული მხედრობით... თბილისს მიადგა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1979 წ., გვ. 302). ჰერაკლე კეისარმა სასტიკად დაამარცხა ხოსრო II და სპარსეთის სახელმწიფო განადგურებამდე მიიყვანა, მანამდე კი მან საქართველოს მმართველი ერისმთავრების დინასტია დასაჯა, ჩამოართვა ქვეყნის მეთაურობა ბაგრატიონებს და მისცა ხოსროიანებს, კერძოდ, მოკლული სტეფანოზის მაგიერ მან დანიშნა ადარნასე: „მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 225).

მემატიანე სტეფანოზის დასჯისა და მისი შთამომავლობის ერისმთავრობიდან ჩამოშორების მიზეზსაც ასახელებს: „ამისთხს უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას სტეფანოზს, რამეთუ არა მინდობითა ღმერთისათა ცხოვნდებოდა და მორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნეთა მოყურობდა“ (იქვე გვ. 226). ქალკედონიტი მემატიანე, ურწმუნობაში გულისხმობს არა ცეცხლთაყვანისმცემლებს, არამედ მონოფიზიტებს, ხოლო მორწმუნეებს უწოდებს ქალკედონიტებს. სტეფანოზი, მცხეთის ჯვრის მამულებელი, ცხადია, ქრისტიანი იყო, როგორც ჩანს, მონოფიზიტი.

მეფის ოჯახის გარდა, ჰერაკლეს სასტიკად დაუსჯია რიგითი ქართველი ქრისტიანები (შესაძლოა მონოფიზიტები). მას ქვეყნის მთავარი ქალაქების, თბილისისა და უჯარმის ეკლესიებში შეურეკია ქართველი ქრისტიანები და იქ ამოუხოცავს. თურმე ეკლესიებიდან სისხლის მდინარეები დიოდა. ჰერაკლეს ახსოვდა, რომ სპარსეთზე ლაშქრობის დროს ქართველმა მონოფიზიტებმა, „სტეფანოზმა და მსახურთა მისთა“, დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, „ჰერაკლე განწმიდა შჯული ქრისტეჲსი და წავიდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1979 წ., გვ. 306). ქრისტეს შჯულის განწმენდაში, ალბათ, იგულისხმება, სპარსეთის მომხრე მონოფიზიტების დასჯა და ქალკედონიტების გამარჯვება.

ჰერაკლემ ეს სასჯელი არ იკმარა. ქართულ ეკლესიას წაართვა უდიდესი სინმიდენი – „ფერხთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი... შეწუნხა ადარნასე, ქართლისა მთავარი, და ევედრებოდა კეისარსა, რათა არა წარიხუნეს ნიჭნი იგი ღმრთისამიერნი. არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი და წარიხუნა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 228).

ჰერაკლე კეისარმა მკაცრად დასაჯა ქართული სახელმწიფოც: „მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვს პირი“ (იქვე, გვ. 226). ეს, ალბათ, ლაზების ლალატისა და სპარსეთთან ომის დროს ურჩობისათვის სასჯელი იყო.

შავიზღვისპირეთი კლარჯეთის ბოლოდან დაწყებული, კვლავ ბერძენთა ხელში გადავიდა ისევე, როგორც ვახტანგ გორგასლის სიჭაბუკის დროს. ამის შემდგომ ქართლის ამ მიტაცებულ ტერიტორიებზე, საეკლესიო იურისდიქციას ახორციელებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო. ქალკედონის კრების თანახმად, ეკლესიის საზღვარი უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფოს საზღვარს. დაახლოებით ამ დროს (631 წელს) **ფაზისის მიტრო-**

პოლიტი კიროსი, რომელიც, ზ. ალექსიძის აზრით, მცხეთიდან გაძევებული კირონი იყო, გადაიყვანეს ალექსანდრიის პატრიარქად, რომელსაც ბერძნები არ ჰყვარებია და არაბთა შემოსევის დროს გაუძევებია ისინი ეგვიპტის ქალაქებიდან. ასეთ მოპყრობას იმსახურებდა ჰერაკლე კეისარი ქართული ეკლესიის განსაკუთრებული სისასტიკით დასჯისათვის.

განსხვავებულია ჰერაკლეს დამოკიდებულება სომხური ეკლესიისადმი. „წყაროები მას სომხური წარმოშობისად თვლიან...“ (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 216) ჰერაკლე კეისარს იმპერიის სიძლიერის საფუძვლად სარწმუნოებრივი ერთობა მიაჩნდა, ამიტომაც ამ მიზნის განხორციელებისთვის იგი ყველა ღონეს ხმარობდა. იმპერიის ცენტრალური ნაწილი ქალკედონიტური იყო, ხოლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხებით დასახლებული პროვინციები, ძირითადად, მონოფიზიტური. აღმოსავლეთის ამ მონოფიზიტების ავტორიტეტული ლიდერი იმ დროისათვის იყო სომხური ეკლესია, რომელიც, ფაქტობრივად, მონოფიზიტური არაბიზანტიური მიმდინარეობის ცენტრად აქცია სპარსეთის იმპერიამ. ჰერაკლემ გადაწყვიტა მიეღწია მონოფიზიტთა და ქალკედონიტთა ერთიანობისათვის. მან დაიწყო მოლაპარაკება სომხური ეკლესიის მეთაურებთან. „**ჰერაკლე კეისარი ფრიად დაინტერესებულია სომხებთან რელიგიური უნიის შეკვრით**“ (იქვე, გვ. 270). „მონოფიზიტებთან უნია მისი სასიცოცხლო პროგრამა გახდა“ (იქვე, გვ. 217). მართლაც, ჰერაკლემ წარმატებას მიაღწია სომხებთან მოლაპარაკების დროს და „...**630 წელს მიაღწია უნიას სომეხთა კათალიკოს ეზრასთან**“ (იქვე, გვ. 217). სომხეთი დაემორჩილა უნიას“ (იქვე, გვ. 270).

ამის შემდეგ, მთელი VII საუკუნის მანძილზე, სომხურ ეკლესიას უფრო ქალკედონიტური ეთქმის, ვიდრე 726 წლის მანასკერტის კრებამდე.

სომხური ეკლესია VII ს-ში კვლავ ლიდერია ამიერკავკასიის მასშტაბით ისე, როგორც VI ს-ში. თუ VI ს-ში ის სპარსეთისათვის მისაღები და აღიარებული ეკლესია იყო, ახლა უკვე VII ს-ში, თავისი მოქნილი პოლიტიკის წყალობით, ბიზანტიისათვის მისაღები და ნებადართული ეკლესია გახდა. თვით სპარსეთზე გამარჯვებული ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს და ერთობის ხელშეკრულებას დებს, ამავე დროს კი, ჰერაკლემ სასტიკად დასაჯა ქართული ეკლესია. სომხური ეკლესიის სიძლიერემ და ავტორიტეტმა აღმოსავლეთის ქრისტიანებში იძულებული გახადა ჰერაკლე კეისარი მასთან მოლაპარაკება ეწარმოებინა.

ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ, სომხური ეკლესია ისევე არის ქალკედონიტური, როგორც ქართული ეკლესია. ისინი კვლავ ერთმორწმუნენი არიან, ერთმორწმუნეობის გამო კი, **სომხურ ეკლესიას საშუალება მიეცა კვლავ განეცხადებინა თავისი პრეტენზიები ქართულ ეკლესიაზე უფლებამოსილების შესახებ.**

634-644 წლებისათვის არაბებს უკვე დამორჩილებული ჰქონდათ სირია, პალესტინა და ირანის დიდი ნაწილი.

„ბიზანტიის კეისრის, ჰერაკლეს, სიმკაცრითა და სარწმუნოებრივი მძულვარებით მობეზრებული და უკმაყოფილო აღმოსავლეთის ერები არაბებს თავდაპირველად სიხარულით ეგებებოდნენ და ბერძენთა მონობისაგან განმათავისუფლებლად სთვლიდნენ. ამგვარი შეხედულების დამყარებას ხელს უწყობდა და ამტკიცებდა, რასაკვირველია, ის უტყუარი გარემოება, რომ თავდაპირველად, არაბები სხვა სარწმუნოებას (კერპთაყვანისმცემლობის გარდა), მეტადრე კი ქრისტიანობას, თავისუფლებას ანიჭებდნენ და ლმობიერად ეპყრობოდნენ, ოღონდ კი დაწესებული გადასახადი სინდისიერად გადაეხადათ“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1984 წ., გვ. 74).

„აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ბატონობდნენ 657 წლამდე, როდესაც არაბთა შორის დაიწყო შინაური არეულობა და ბრძოლა, რომელიც გათავდა 661 წელს“ (იქვე, გვ. 76).

არაბთა მბრძანებელი იძულებული გამხდარა დაზავებოდა კეისარ კონსტანტინე III-ს და მისთვის ხარკიც კი ეძლია. 678 წელს დაიდო ხელშეკრულება ბიზანტიასა და არაბებს შორის. ეს ხელშეკრულება შეიცავდა პირობას, რომ საბერძნეთსა და არაბებს საქართველო თანაბრად ექნებოდათ გაყოფილი, ან თანასწორად იბატონებდნენ მასზე: ...კვიპრი, სომხითი და იბერია მათ საერთოდ თანასწორად ექმნებოდათ. ეს ხელშეკრულება ცხადად გვიჩვენებს, რომ არაბების ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს შერყეული ყოფილა და ბიზანტია მათ ისევ შესცილებია“ (იქვე, გვ. 77).

688-689 წლებში იუსტინიანე II-ს სარდალს მოუწყვია ლაშქრობა ამიერკავკასიაში, „...დაუხოცინებია იქ მყოფი არაბები, ხოლო სომხეთი, იბერია და ალბანია, აგრეთვე სხვა ქვეყნებიც, კეისრისათვის დაუმორჩილებია“ (იქვე, გვ. 77).

ნერსე ქართლის ერისთავს არაბთა სარდალიც დაუმარცხებია და ქართლიდან განუდევნია, ხოლო დასავლეთ საქართველო, პირიქით, აუჯანყდება ბიზანტიელებს და არაბების ძალის იმედი აქვს (იქვე, გვ. 78).

საქართველო VII საუკუნის ბოლოსათვის იბრძვის არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკური დამოუკლებლობისათვისაც.

„განყოფილება“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის

კირიონმა მხოლოდ წამოიწყო რთული პროცესი ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთდაშორებისათვის. ჩვენში ითვლება რომ 607-609 წლებში ეს ეკლესიები ერთმანეთს საბოლოოდ დაშორდნენ. ეს ასე არ ყოფილა, საქმე ისაა, რომ კირიონის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ სპარსეთი გვერდით დაუდგა სომხურ ეკლესიას, მართალია მალევე სპარსეთი დაამარცხა ჰერაკლე კეისარმა, მაგრამ მის დროს ბიზანტიამ „უნია“ შეკრა სომხურ ეკლესიასთან და სომხური ეკლესია VII ს-ში ქალკედონიტურ ეკლესიად გადაიქცა, ისევე, როგორც ქართული ეკლესია. ასეთ პირობებში სომხეთში მცხოვრები ქართველები სომხური ქალკედონური ეკლესიის წევრები იყვნენ, მხოლოდ 726 წლის კრება იყო საბოლოო მოსაბრუნე ამ ორი ეკლესიის ურთიერთდაშორების მომენტისათვის. მანასკერტის ამ კრებაზე სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ მიიღო მონოფიზიტური მიმართულება, ამის შემდეგ ეს ორი ეკლესია საბოლოოდ დაშორდა ერთმანეთს, სომხეთის ქართველობამ მხოლოდ 726 წლიდან დაიწყო დიდი მოძრაობა სომხური ეკლესიისაგან გასათავისუფლებლად.

კ. კეკელიძე წერს: „სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა VII საუკუნის დასაწყისს, მოხდა, როგორც ცნობილია, სხვათა შორის, ეროვნულ-კულტურული იდეოლოგიის საფუძველზედაც. ქართველები ამიერიდან მიზნად ისახავენ თანდათანობით განთავისუფლებას აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციებისაგან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა გამწვავებული პოლემიკა სომხებთან, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიც კი უარყვეს ყოველგვარი

კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა სომხებთან“... (ვ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, ნ., გვ. 51).

განხეთქილება, რომელსაც ქართველი და სომეხი ისტორიკოსების თანახმად, შედეგად მოჰყოლია „განყოფა“ ამ ეკლესიათა შორის, შედეგი ყოფილა იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციისა.

პ. ინგოროყვა კარგად გადმოსცემს ქვეყნის მდგომარეობას: „იბერიაში მე-6 საუკუნის 70-იან წლებში მოხდა აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც დასრულდა ეროვნული ხელისუფლების აღდგენით იბერიაში, მაგრამ მდგომარეობა იბერიის ამ ახალი ხელისუფლებისა არ იყო მტკიცე; ამის გამოხატულებაა, კერძოდ, ის ფაქტიც, რომ იბერიის ხელისუფლების მეთაური ატარებს არა „მეფის“, არამედ „ერისმთავრის“, ანდა „დიდი ერისთავის“ ტიტულს. იმ დროს არსებულ საერთაშორისო ვითარებაში იბერიის ძველი „სამეფოს“ აღდგენა ვერ მოხერხდა.

იბერიის ამ ახალ ხელისუფლებას უხდება მერყეობა ორ გარეშე ძალას – ირანსა და ბიზანტიას შორის. 590-604 წლებში იბერია ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცევა; შემდეგ 605 წლიდან, ვიდრე 620-იან წლებამდე, იბერიაში ისევ ირანის ბატონობა დამყარდა; ხოლო 620-იანი წლებიდან ირაკლი კეისრის აღმოსავლეთში ლაშქრობის დროიდან, იბერია კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 30).

570-იანი წლებიდან 604 წლამდე, როცა საქართველო მოქცეული იყო ბიზანტიის გავლენის სფეროში, ქართული ეკლესია სრულიად ქალკედონიტურია და აღარ იმყოფება სომხური ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ამ ორ მოძმე ეკლესიას მაინც აქვს ურთიერთკავშირი, ალბათ, კულტურულ-

სულიერი. მაგალითად, მომავალი ქართლის კათალიკოსი კირიონი დაახლოებით ამ პერიოდში ჯერ სომხეთში მოღვაწეობს, სადაც ის ეპისკოპოსია, შემდგომ კი გადმოდის ქართლში. მდგომარეობა სრულიად იცვლება 604 წლიდან, ბიზანტიაზე სპარსეთის წარმატებით გამარჯვებებისა და ამიერკავკასიის სპარსეთისადმი დაქვემდებარების შემდგომ. თუკი 570-იანი წლებიდან, ვიდრე 604-605 წლებამდე ქართული ეკლესია სომხური ეკლესიისაგან სრულიად დამოუკიდებელი იყო, 604/5 წლებიდან სომხეთს უცდია ქართული ეკლესია კვლავ მოექცია თავისი ზეგავლენის ქვეშ ისევე, როგორც იყო VI საუკუნის 50-70-იან წლებამდე. 604/5 წლებიდან სომხური ეკლესიის ცდას – დაემორჩილებინა ქართული ეკლესია, საქართველოში გამოუწვევია საპირისპირო რეაქცია, რასაც 607-609 წლებში შედეგად მოჰყვა „განყოფა“ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის. სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა აუკრძალა სომეხებს რაიმე კავშირი ჰქონოდათ ქართველებთან. თვით სომხური წყაროების თანახმად, სომხური ეკლესიისაგან სრული დამოუკიდებლობა ქართველი ერის ყველა ფენის სურვილი ყოფილა. მათ საერთო მისწრაფებას ახორციელებდა ქართლის დიდი კათალიკოსი კირიონი. როგორც სმბატ მარზპანის ეპისტოლედან ჩანს, სომხური მხარე ქართველებს აფრთხილებდა, რომ თუ ქართული ეკლესია კვლავ გააგრძელებდა სომხეთისაგან დამოუკიდებლობის კურსს, იგი ამას შეატყობინებდა სპარსეთის მეფეს და დასჯიდა არა მარტო ეკლესიას, არამედ საერთოდ ქვეყანას. მართლაც, 614 წელს სპარსეთის სახელმწიფომ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ყველა ქრისტიანი არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მის მთელ იმპერიაში, უნდა დამორჩილებოდა სომხურ ეკლესიას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გაასახლებდნენ. ჩანს, 614 წლის ე.წ. „სპარსული კრების“ შემდეგ, საქართველოში მრავალი მონოფიზიტი გაჩენილა. ამას ხელს ისიც შეუწყობდა, რომ

თვით ერისმთავარი სტეფანოზი სპარსული ორიენტაციისა იყო და მტრულად დახვდა ბერძნებს.

ბუნებრივია, ანტიბიზანტიური პოლიტიკის გატარებისას, საქართველოს მეფე-მთავრები ანტიქალკედონიტები იქნებოდნენ. ანტიქალკედონიტობა ძირითადი პირობა იყო ანტიბიზანტიურობისა. სპარსეთის თვალსაზრისით, ანტიბიზანტიურობის გამოხატვა დაპყრობილ ქრისტიანებს მხოლოდ და მხოლოდ ანტიქალკედონური მრწამსის აღიარებით შეეძლოთ. სპარსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში ანტიქალკედონიტობა აუცილებელი იყო, მაგრამ ეს იმავე დროს სომხური ეკლესიისადმი დაქვემდებარებას ნიშნავდა – ესეც სპარსეთის მიერ მოთხოვნილი ანტიბიზანტიურობის გამოხატვის აუცილებელი პირობა იყო. თუ მოსახლეობის, ან ქვეყნის რომელიმე თემი იმ დროს სომხური ეკლესიის მიმართ ლოიალურ პოლიტიკას დაიჭერდა, თავის თავს სომხური სარწმუნოების მატარებლად, ან სომხური ეკლესიისადმი დაქვემდებარებულად გამოაცხადებდა, მას გარანტირებული ჰქონდა სპარსეთის იმპერიისაგან გარკვეული შეღავათები და უშიშროება. ასეთი მდგომარეობა მოსახლეობაში პოპულარულს ხდიდა „სომხურ სარწმუნოებას“ – „სომხობას“.

სომეხი ისტორიკოსის, იოანე მამიკონიანის მატყანიდან ირკვევა, რომ ანტიბიზანტიურ პოლიტიკას, არა მარტო საქართველოს ერისმთავარი ატარებდა, არამედ ანტიბიზანტიური ორიენტაციისა ყოფილა VII საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდებში მესხეთი (ქვემო ქართლის, ანუ გუგარქის ანტიბიზანტიურობა ცნობილია). იოანე მამიკონიანის მატყანიდან ირკვევა, რომ „ვაზდენ ქართველთა (ივერთა) მთავარი, მფლობელი მესხეთის მხარეთა, ირანის პოლიტიკური ორიენტაციისა ყოფილა, ხოლო მისი დისწული ჰამამი (მფლობელი ზღვისპირა მხარისა – ლაზეთისა) ბიზანტიის ორიენტაციის მოღვაწედ ჩანს. რაც შეეხება, ვაზდენის უშუალო სამფლობელოს, ე.ი. მესხეთის მხარეებს

(ჭოროხიდან – ვანანდამდე, ე.ი. საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით), აქ ვაშდენის სიკვდილის შემდეგ, მთავრად დამჯდარა ვაშდენის ძე ჯოჯიკი. ირანის შაჰს ხოსრო-ფარვიზს ქართველთა (ივერიელთა) მთავრის ჯოჯიკისათვის უბოძებია ტიტული მარზპანისა... ჯოჯიკი მესხეთის მხარეთა მთავარი ყოფილა VII საუკუნის პირველი ნახევარის მანძილზე. მემატიანის სიტყვით, „ვაშდენის-ძე ჯოჯიკ, ქართველთა (ივერიელთა) მთავარი“ ცოცხალი ყოფილა VII საუკუნის შუა წლებშიაც, როდესაც კავკასიაში პირველად შემოვიდნენ არაბთა რაზმები“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 424).

არაბებმა, ისევე როგორც სპარსელებმა, დაპყრობილ ამიერკავკასიაში შექმნეს ერთიანი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც უწოდეს „არმინია“. დაპყრობილი ქართლი „არმინიაში“ შედიოდა, ისე როგორც ალბანეთი და თვით სომხეთი. ასე რომ, ადმინისტრაციული ცენტრი კვლავ სომხეთში იყო, როგორც სპარსთა ბატონობისას. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სპარსელებმა ამიერკავკასიაში ქართული, ალბანური და სომხური ეკლესიებისაგან ერთი სარწმუნოებრივ-საეკლესიო ერთეული შექმნეს, ხოლო არაბებმა – ერთი ადმინისტრაციულ-სამოქალაქო ერთეული. მოგვიანებით (IX ს-ში) **არაბებმა** ამ ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურად, ანუ ვოსტიკანად (ამირად) ეროვნებით სომხები დანიშნეს, რომელთაც სომეხთა, ქართველთა და არაბთა ხელისუფალი – უფალთუფალიც ეწოდებოდა. საფიქრებელია, რომ ქართველთა ქვეყნის სომეხი ხელისუფალი ქართლში სომხური ეკლესიის პოზიციებს განამტკიცებდა და არ შეასუსტებდა.

როგორც ზემოთ მოყვანილიდან ჩანს, „განყოფა“ ასურელი მამების მიერ დაწყებული ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის დაავგირგვინა კირიონ კათალიკოსმა 607-609 წლებში, მაგრამ 613-614 წლიდან სომხურ სარწმუნოებას კვლავ აქტიური

ზემოქმედება აქვს ქართლზე, ასე გრძელდება VII საუკუნის მანძილზე და შემდგომ, თითქმის X-XI საუკუნეებამდე. ამის ერთი მაგალითი მოცემულია წყაროში, რომელსაც მოკლედ „სიტყვისგება ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ“ ჰქვია. აქ გადმოცემულია, რომ თვით მეფე ბაგრატის ისეთი უპირველესი სახელმწიფო მოხელე, როგორცაა მნიგნობართუხუცესი, სარწმუნოებით იყო არა ქალკედონიტი, როგორც მოსალოდნელია, არამედ მონოფიზიტი. ეს მონოფიზიტი მნიგნობართუხუცესი ეროვნებით ქართველია და არა სომეხი. ეს იქიდან ჩანს, რომ ავტორს ქალკედონიტობა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად მიაჩნია, ამიტომაც ამ მონოფიზიტს, რომელიც არ მისდევს თავისი ერის სარწმუნოებას, „შინაგამცემს“ უწოდებს. ის ეროვნებით სომეხი რომ ყოფილიყო, სრულებით არ ეთქმოდა „შინაგამცემი“. შესაბამისი ტექსტი ასეთია: „მაშინ უკუე იყო მნიგნობართუხუცესი მეფისა სახელად ეფთვიმე. იგიცა თანაზიარი იყო ბოროტისა მის წვალებისა მათისა და შინაგამცემი სარწმუნოებისა ჩუენისა. ამან აზრახა სოსთენსა ესრეთ, ვითარმედ...“ (ლიტერატურული ძიებანი, 1983 წ., გვ. 280). თუ ამ საუკუნეშიც კი მნიგნობართუხუცესი მონოფიზიტი იყო, მაშინ ხალხშიც მრავლად იქნებოდნენ მონოფიზიტი ქართველები. კ. კეკელიძის დასკვნები, ამ მხრივ, სამართლიანია.

„ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის „განხეთქილება მზადდებოდა VI ს-ში და დამთავრდა VII ს-ის დამდეგს – 608 წელს“ (საღვთისმეტყველო კრებული, 1984, №2. ვ. გურგენიძის გამოკვლევა, გვ. 120). იმ დროს, როცა ქართულმა ეკლესიამ თავი დაიხსნა მეზობელი ეკლესიის ზეგავლენისაგან, მას სჭირდებოდა ავტორიტეტული ეკლესიებისა და საეკლესიო მოღვაწეების დადასტურება სარწმუნოებრივ-კანონიკური თვალსაზრისით მისი მოქმედების სისწორის შესახებ. თავისი მოქმედების სისწორის დასადასტურებლად კირიონმა სარწმუნოებრივ

საკითხებზე მინერ-მონერა გამართა რომის პაპ გრიგოლ დიდ-თან (590-604), იერუსალიმის პატრიარქთანაც. „ქრონოგრაფის“ ცნობით, ქართლის კათალიკოსს ურთიერთობა ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქ ანასტასი მღვდელმონამესთან, რომელიც კირიონის თანამედროვე იყო (ანტიოქიის პატრიარქები ანასტასი I (596-601) და ანასტასი II (602-610) კირიონის თანამედროვენი იყვნენ. ანტიოქიური ქრონოგრაფის თანახმად, ანასტასის ქართული ეკლესიის მეთაურთან კავშირი ჰქონდა). კირიონს მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებია ბიზანტიის იმპერიის საპატრიარქოებთან. ამის გამო მას ბრალი დასდეს სახელმწიფო ლაღატკში. პირველსავე ეპისტოლეში აბრაამ სომეხთა კათალიკოსი კირიონს ბრალად სდებს ბუნებით თანაზიარისაგან, ანუ სომხური ეკლესიისაგან განშორებას და უცხო სამეფოსთან (ალბათ, ბიზანტიის საპატრიარქოებთან) „სიყვარულის ერთობას“: „არის რაღაც, რომელიც დაუჯერებლად გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან რომ შექმნა მეფეთა-მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გამოორდე“ (ეპისტოლეთა ნიგნი, გვ. 68).

მეფეთა-მეფის მონებაში იგულისხმებიან თვით სომეხთა და ქართველთა კათალიკოსები, და საერთოდ სპარსეთის იმპერიაში მოქცეული ქვეყნების მოსახლეობა. კირიონი სპარსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნის კათალიკოსია, ამიტომაც ის მეფეთა-მეფის მონაა. ამ „მონის“ სიყვარულის ერთობა „უცხო სამეფოსთან“ იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველი საეკლესიო მოღვაწე კავშირს დაამყარებდა „უცხო სამეფოში“ შემავალ საეკლესიო მოღვაწეებთან, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებთან. მართლაც, თავის პასუხში კირიონი დაუფარავად წერს, რომ მას სარწმუნოებრივი ერთობა აქვს იერუსალიმთან: „...თუმცაღა მეფეთა-მეფის მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალიმისა გვაქვს და გვექნება“ (იქვე, გვ. 71). „იერუსალიმის“

ქვეშ, შესაძლოა, არა მარტო იერუსალიმის, ანტიოქიის საპატრიარქოც იგულისხმება, რადგანაც იერუსალიმი ქრისტიანობის სამშობლოა. მართლაც, ბერძნული „ქრონოგრაფი“, რომელიც თავის ნაშრომში გამოიყენა ეფრემ მცირემ („უნწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“) წერს, რომ ქართლის საკათალიკოსოს კავშირი აქვს ანტიოქიის პატრიარქ ანასტასი მღვდელმონაშესთან. ეს ცნობა კარგად შეეფარდება VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის საკათალიკოსოში შექმნილ ვითარებას.

პროცესი „განყოფისა“ ორ ეკლესიას შორის დიდხანს, საუკუნეზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა და მხოლოდ 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ დასრულდა, რომელმაც საბოლოოდ წაიყვანა სომხური ეკლესია მონოფიზიტური გზით.

ნ ა წ ი ლ ი III

სტუმხეთში მცხოვრები ქართველების თვითგამოკვლევა კიპრიონის ღვაწლის უძებრად

(კირიონ I-ის ღვანლის შედეგები არმენიის იბერიულ ზოლში და
ე.წ. სომეხ-ქალკედონიტთა ვინაობა)

**„მოდრე ივრთის“ ქართული მრეფლი სომხური
ეკლესიის ირთისდიციაში IV-VII სს-ში**

**სომხური ეკლესიის თავდაპირველი ირთისდიცია
(IV-V სს.)**

ჩვენს მიერ განსახილველ რეგიონს, სადაც შემდგომ „იბერიის თემი“ ჩამოყალიბდა, კერძოდ, არაქსის ხეობას, ტაო-ბასიანსა და მიმდებარე ოლქებს, XX საუკუნის დასაწყისში, კირიონ II-მ, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწოდა „მეორე ივერია“. ის კირიონ I-ის დროს, VII საუკუნეში) არმენიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ისტორიულად, ძველთაგანვე, ივერებით, ანუ ქართველებით იყო დასახლებული, იქამდეც, სანამ ის არმენიის შემადგენლობაში შევიდოდა.

ნ. აღონცი ამ არეებს „არმენიის ივერიულ ზოლს“ უწოდებდა. აქ ქართველთა უძველეს ცხოვრებას მიუთითებენ წყაროები.

სპარსული ცნობებით აქემენიდების სპარსული „სატრაპია არმენია“ მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით, მოშორებით იმ ტერიტორიიდან, სადაც შემდგომ „იბერიის თემი“ ჩამოყალიბდა, საერთოდ მინა-წყლიდან, რომელსაც შემდგომ „დიდი არმენია“ (არმენია) ეწოდა. ხოლო, აქემენიდური XVIII და XIX სატრაპიები (მინაწყალი, რომელიც შემდგომ არმენიამ მოიცვა), ქართული ტომებით იყო დასახლებული.

ქსენოფონტეს დროსაც კი, **კარდუხები, ხალიბები, ფასიანები, ტაოხები და სხვა ქართული ტომები** შეადგენდნენ მკვიდრ მოსახლეობას იმ ქვეყნისა, რომელსაც შემდეგ არმენია ეწოდა, მათი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ისინი არ გამქრალან, კვლავ იქვე ცხოვრობდნენ და გაქრისტიანების შემდეგ სომხური ეკლესიის მრავლად იქცნენ, სომხური საეკლესიო ენითა და თავს მოხვეული სომხური კულტურით. მათი მრავალი მცდელობა, თუნდაც რელიგიურად მაინც განშორებოდნენ სომხურ ეკლესიას უშედეგოდ დამთავრდა, ერთი ასეთი მცდელობა იყო ქალკედონური მოძრაობა VI ს-ის დასაწყისში კათალიკოს იოანე კოგოვიტელის მეთაურობით, რომელიც შემდგომაც გაგრძელდა. ქართველთა (იბერთა) ამ არეალში ცხოვრების შესახებ მიუთითებს სტრაბონიც. მისი ცნობით ამ არეალის დიდი ოლქები – პარეადრეს კალთები, ხორძენა და გოგარენა იბერებს „ჩამოაჭრა არმენიის მეფეებმა არტაქსიამ და ზარიადრემ“.

ისტორიული არიან-ქართლის უმთავრესი ნაწილები – **ე.წ. „მეორე ივერია“, ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთები, არაქსის ხეობასთან ერთად ქრისტიანობამდე არმენიის შემადგენლობაში მოექცა, როცა იბერებს, სტრაბონის ცნობით, აღნიშნული მხარეები ჩამოაშორეს, გაქრისტიანების შემდეგ კი უკვე არმენიაში, ამ მხარეებში, მცხოვრები მკვიდრი ქართველები სომხური ეკლესიის იურისდიქციაში აღმოჩნდნენ.**

ამ ყოფილ იბერიაში სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცეული ქართველები, საეკლესიო თვალსაზრისით, სომხურენოვანნი იყვნენ, იმ მხრივ, რომ წირვა-ლოცვისა და ლიტურგიის ენა მათ ეკლესიებში სომხური იყო, ოჯახურ გარემოში კი ქართული, შესაბამისად მათი განათლებისა თუ ადმინისტრაციის ენაც სომხური იყო.

სომხურ ეკლესიაში იმჟამად, IV-VII საუკუნეებში აღნიშნულ მხარეთა ქართველთა გარდა აღბანელების ნაწილი და სხვა ეთნოფგუფებიც იყო მოქცეული.

ქართველები სომხური ეკლესიის ერთგული და აქტიური მრევლი იყო სარწმუნოებრივი სინმიდის სიყვარულის გამო.

როგორც კი გავრცელდა ხმა, რომ სომხურმა ეკლესიამ გადაუხვია სარწმუნოებრივ სინმიდეს მონოფიზიტობის აღიარების გამო, ქართველთა შორის ზოგმა მყისიერად, ზოგიერთმა ქართულმა რეგიონმა კი ოდნავ მოგვიანებით განწყვიტა კავშირი სომხურ ეკლესიასთან და შეუერთდა დედა ქართული ეკლესიის წიაღს VIII-X სს-ში. ამ დროისათვის ამ მხარეთა არმენიზაციის ხარისხი იმდენად ღრმა იყო, რომ მხოლოდ საშინაოდ მოსახმარადღა თუ გამოიყენებოდა ქართული ენა.

საბედნიეროდ, ისტორიული არიან-ქართლის ერთი მნიშვნელოვანმა ნაწილმა – ტაო-ბასიანმა და მიმდებარე არემ მანასკერტის ცნობილი 726 წელს შემდგარი კრების რეზონანსით გამოფხიზლებულმა, თავი დააღწია არმენიულ სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას და თვითვე აღიდგინა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესია IX-X საუკუნეებში. იქამდე მათ გამოფხიზლებას, საფუძველი დაუდო დიდი კირიონ კათალიკოსის მიერ მომზადებულმა სომხური ეკლესიისაგან ე.წ. „განყოფამ“ VII ს-ის დასაწყისში.

იქამდე, როგორც აღინიშნა ამ მხარეთა ქართული მრევლი ყოფილ იბერიაში ანუ ისტორიული არიან-ქართლის ყოფილ მიწაზე ცხოვრობდა, რომელსაც იმჟამად უკვე არმენია ერქვა.

ნ. ადონცი წერს – „არმენია, IV ს-ის დასაწყისიდან მეზობელ იმპერიათა მიერ მის დაყოფამდე (IV ს-ის ბოლომდე), უმეტესწილად იმპერიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომ სომხურ-ბიზანტიური საეკლესიო ურთიერთობაც მჭიდრო იყო. გრიგოლი იყო იმპერიის მფარველობის ქვეშ მყოფი სომხეთის სახელმწიფოს ეპისკოპოსი. წმ. გრიგოლს, კესარიაში ხელდასხმულს, კესარიის ტახტთან ისეთივე იერარქიული დამოკიდებულება ჰქონდა, როგორც სხვა ეპისკოპოსებთან, მაგალითად, მელიტენის, სევასტიის და სხვა ქალაქების კათედრებთან, ხელდასხმის გამო კესარიას მასთან უფრო მეტი ფორმალური ურთიერთობა ჰქონდა“ (ნ. ადონცი, არმენია იუსტინიანეს ეპოქაში, გვ. 360).

მას შემდეგ რაც სომხეთი ერთმანეთს შორის გაინაწილეს სპარსეთმა და ბიზანტიამ გაჩნდა ორი საეკლესიო მიმართულება – ერთი ბიზანტიური, მეორე კი ეროვნულ-ნაციონალური.

ნ. ადონცის ცნობით, სპარსულ სომხეთში აღორძინდა ეროვნულ-ნაციონალური ეკლესია, ხოლო დასავლეთ არმენიაში – იმპერიულ-ბიზანტიური.

ნ. ადონცი წერს – „გაყოფის შემდეგ აღმოსავლეთ სომხეთი დაადგა ეკლესიის ნაციონალიზაციის გზას მტკიცედ, კერძოდ, ავტონომიური იერარქიის დაფუძნებით (ე.ი. ბერძნულ-ბიზანტიური იერარქიისგან გათავისუფლდა), ხოლო დასავლეთი სომხეთი რჩებოდა იმპერიულ პოლიტიკაზე დამოკიდებული“ (იქვე, გვ. 361).

ეროვნული ეკლესიური სახე სომხურმა ეკლესიამ მოიპოვა ბიზანტიის ეკლესიასთან კავშირის განწყვეტის შემდეგ პაპის მეფობის დროს, ეპისკოპოს ნერსესის შემდეგ.

მეფე პაპმა მის ადგილზე დანიშნა ეპისკოპოსი უსიკი, სპარსული ორიენტაციის პირი ძალზე გავლენიანი ალბიანის ოჯახიდან.

კესარიის მიტროპოლიტი (მას ნ. ადონცი პატრიარქს უწოდებს) გაანაწყენა სომეხთა მეფის თვითნებურმა გადაწყვეტილებამ.

ამის გამო შედგა კესარიის ეპარქიის ეპისკოპოსთა კრება და კრებამ მიწერა მრისხანე წერილი მეფე პაპს.

ამ წერილში კესარია მოითხოვდა, რომ სომხეთში აღარავის გაეხედა ეპისკოპოსის კურთხევა, არამედ ეპისკოპოსი მხოლოდ კესარიაში ან რომელიმე მეზობელ ბერძნულ საეპისკოპოსოში უნდა კურთხეულიყო, კერძოდ მასში, რომელიც სომხეთის ბერძნულ ნაწილთან ერთად ბიზანტიის იმპერიის შესაბამის ადმინისტრაციულ ოლქში შედიოდა (ე.ი. რადგანაც სომხეთის ბიზანტიური ნაწილი ადმინისტრაციულად პონტო-კესარიაში შედიოდა, ამიტომაც მხოლოდ აქ (პონტო-კესარიაში) უნდა კურთხეულიყო ეპისკოპოსი).

მართლაც, ბიზანტიურ სომხეთში დამკვიდრდა კიდევ ეს წესი და იქაური სომეხი ეპისკოპოსი კურთხევას ბერძნულ სამიტროპოლიტოში (საპატრიარქოში) იღებდა.

ნ. ადონცი წერს – „**მტკიცება, რომ სომეხი ეპისკოპოსები ეკურთხებოდნენ კესარიაში, სწორია, მაგრამ ის ეხება მხოლოდ ბიზანტიურ, ანუ დასავლეთ ნაწილს სომხეთისას**“ (იქვე, გვ. 363).

სულ სხვა მდგომარეობა იყო **სპარსულ სომხეთში (პერსარმენიაში), იქ სომხური საკათალიკოსო სისტემა არსებობდა და შესაბამისად ეპისკოპოსთა კურთხევა ადგილზევე ხდებოდა.**

პერსარმენიის სომეხ კათალიკოსს დასავლეთ არმენიის ეპისკოპოსები არ ექვემდებარებოდნენ, ამიტომაც V საუკუნის ცნობილ სომხურ მოვლენებში დასავლეთ არმენიის ეპისკოპოსები არ მონაწილეობდნენ (იქვე, გვ. 363).

ბასიანის სომეხი ეპისკოპოსები

ბასიანში სომხურ ეკლესიას თავისი ეპისკოპოსები ჰყავდა იმ ეპოქაში, როცა ის (ბასიანი) სომხეთის პოლიტიკური და ეკლესიური გავლენის ქვეშ იყო. მაგალითად, ნახარარ ორდუნების სამკვიდრებელი მათი ამონყვეტის შემდეგ დარჩა ბასიანის ოლქის ეპისკოპოსს (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტიციანეს ეპოქაში. 1908, რუს. ენაზე გვ. 312).

აგათანგელოზის – გრიგოლ განმანათლებლის ისტორიკოსის ცნობით, წმ. გრიგოლმა ხელი დაასხა სომხეთის სხვადასხვა კუთხეების 400 ეპისკოპოსს. სხვა ცნობით, მან მხოლოდ 30 საეპისკოპოსო ტახტი დააარსა. მათ შორის, ორბელიანის ცნობით, პირველი იყო ბასიანის ეპისკოპოსი. ის იჯდა გრიგოლის გვერდით (იქვე, გვ. 328).

გრიგოლს ბასიანის ეპისკოპოსად გაუგზავნია ევთალი.

ბასიანის საეპისკოპოსო ნახსენებია 450 წლისა და ასევე 505 წლის წუსებში (გვ. 330).

იმპერიის მოსაზღვრე სომხეთის მხარეებში – ვანანდში, ბასიანსა და მარდალიაში 505 წლისთვისაც ნახსენებია საეპისკოპოსოები (იქვე, გვ. 332).

გტიგულ განმანათლებლის ცხოვრების აბაზული ჟესისის აბასწიტი თაბგმნა მათის მიტ

(არა „აფხაზეთი“, არამედ „არზანენა“)

აგათანგელოზის თხზულება „წმ. გრიგოლის ცხოვრება“
სომხურიდან არაბულად უთარგმნიათ VII-VIII სს-ში.

არაბულად შემორჩენილი ეს რედაქცია გარკვეულწილად
განსხვავდება ამჟამად არსებული სომხური რედაქციისაგან.

კერძოდ, სომხური რედაქციით, წმ. გრიგოლმა მხოლოდ
სომხეთში იქადაგა და იქვე დანიშნა ეპისკოპოსები, არაბული
რედაქციით კი, წმ. გრიგოლმა ეპისკოპოსები ივერიასა და სხვა
ქვეყნებშიც დანიშნა.

აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრება, ჩანს, არაბულად
თარგმნილია სომხეთში მცხოვრები ქართველი არმენიზებული
ქალკედონიტის მიერ, რადგანაც მასში უამრავი ქართული სი-
ტყვაა, ვთქვათ, ისეთი სიტყვაც კი, როგორცაა „გოჭი“ და სხვა.
ის თარგმნილი უნდა იყოს 726 წლამდე.

საზოგადოდ, იქამდე, ე.ი. 726 წლამდე, ტაოს, ბასიანის,
სპერისა და კლარჯეთის გასომხებული ქართველი იერარქები
და საეკლესიო მწერლები, როცა ვერ მალავდნენ თავიანთ ნამ-
დვილ ეთნიკურ წარმომავლობას, ანუ ქართველობას, საჭიროდ
მიიჩნევდნენ თავიანთი ყოფნა სომხურ ეკლესიაში გაემართლები-
ნათ იმით, რომ თითქოსდა გრიგოლ განმანათლებელმა ქრის-
ტიანობა გაავრცელა ქართულ ქვეყნებშიც და, აქედან გამომ-
დინარე, სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ ქართველთა
ქვეყნების (მაგ. ტაოს ან ბასიანის) ყოფნა გამართლებული იყო.

მაგალითად, აგათანგელოზის წმ. გრიგოლის ცხოვრების
სომხური ვერსიით, გრიგოლმა გააქრისტიანა სომხეთი კიდიდან-
კიდედმდე. ქალდეას ახლოს მყოფი ქ. სატალიდან (კლარჯეთის
ახლო ადგილებიდან) – ალანთა კარამდე, კასპიის საზღვრამდე

– პაიტაკარანის ჩათვლით, ქ. ნიზიბინის ახლო მდებარე აგადიდან – მიდიაში, ატროპატენამდე.

იმავე ცხოვრების არაბული ვერსიით, წმ. გრიგოლმა აღნიშნულ მხარეთა გარდა ეპისკოპოსები გაგზავნა არა მხოლოდ სომხეთის მიწებზე, არამედ ივერიაში, დურზუკების მხარეში და ალანებში.

ნ. მარის მიერ გამოცემული არაბული ვერსიით – „ივერიაში გააგზავნა იბირბზხუა, აბხაზეთში – სოფრონი, ალანიაში – თომა, ასევე სომხეთის მიმდებარე, სამხრეთის მხარეებში“ (ნ. ადონცი, არმენია... გვ. 327-328).

ნ. ადონცი წერს, რომ ნ. მარის მიერ გამოცემულ არაბულ ვერსიაში ნ. მარის მიერ დაშვებულია შეცდომა, რადგანაც დედანში ნახსენებია არა „აბხაზეთი“ („გაუგზავნა აბხაზებს“), არამედ არზანენა. ნ. ადონცის კვლევით არაბული ტექსტის არასწორმა ნაკითხვამ გამოიწვია ეს შეცდომა (იქვე, გვ. 328, შენიშვნა 2).

ამასთან დაკავშირებით ნ. ადონცი წერს – „აფხაზები სომხეთიდან დაშორებით ცხოვრობდნენ და არაფერი აკავშირებდათ სომხეთთან“ (იქვე, გვ. 328).

ასე, რომ გრიგოლს არა აფხაზეთში, არამედ არზანენაში, იბერიაში და ალანიაში გაუგზავნია მოციქულები.

იბერიის ქვეშ ამ „ცხოვრებაში“ ჩანს მოიაზრება არა მცხეთის ქართლი, არამედ ტაო-ბასიანი და მისი მიმდებარე მხარეები.

ჩანს აქაურმა ქართველებმა თარგმნეს კიდევ არაბულად გრიგოლის ცხოვრება, ამიტომაცაა მასში მრავალი ქართული სიტყვა.

მაშასადამე, დედანშია – „იბერიაში გააგზავნა იბირბზხუა, არზანენაში – სოფრონი, ალანიაში – თომა“, ალანიის ნაცვლად ალბანიასაც კითხულობენ.

კრიტიკისმიერი ერთგული გამთვინიანება ჩრდილო-დასავლეთ აზიისის ქართულიდან

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების აზრით გუგარეთი (ანუ გუგარქი) მოიცავდა მინა-წყალს ჯავახეთიდან ხუნანამდე და მტკვრის მარცხენა შენაკად ქეგამჩაიმიდე, სომეხი ისტორიკოსების ცნობით კი იბერიის ნაწილი **გუგარქი** იწყებოდა **ჭოროხის მარჯვენა სანაპიროდან და აღწევდა მტკვრამდე. მასში შედიოდა მინები ტაოს ზემო ნაწილიდან (იშხანისა და ბანას ახლო ჩრდილოეთიდან) არცახამდე. მამასადამე, კლარჯეთიც გუგარქში მოიაზრებოდა.**

ეს მომენტი იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ ქვემო ქართლში (გუგარქის ერთ ნაწილში) კირიონის ცნობილი ღვან-ლი ქართული ენის თავის ძველ უფლებებში დასაბრუნებლად, უთუოდ მთელი გუგარქის (მათ შორის ტაოსა და კლარჯეთის) ქართველებისათვის იმპულსის მიმცემი იქნებოდა.

გუგარქი რომ ჭოროხის აღმოსავლეთ სანაპიროდან იწყებოდა, ამის შესახებ წერს ნ. ადონცი. ის არმენიის იბერიულ ზოლს უწოდებს იმ მინა-წყალს, რომელსაც ქართულ წყაროებში „ზემონი ქვეყანანი“ ეწოდება.

სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის გადიოდა ჭოროხიდან ნიზიბინამდე ისე, რომ ტაო და გუგარქი სპარსეთში მოექცა, შესაბამისად ისინი ე.წ. პერსარმენიის ნაწილად მიიჩნეოდა, შესაბამისად იბერიის ეს მინები სპარსულ არმენიაში მოექცა.

VI ს-ში ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების კვალდაკვალ, სპარსეთი ყოველმხრივ ავიწროებდა ბიზანტიური ორიენტაციის (ე.ი. ქალკედონური მიმართულების) ქართულ ეკლესიას, შესაბამისად ტაო-კლარჯეთ-გუგარქში შეიზღუდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა და მის ნაცვლად ქართველთა შორის

დაინერგა საეკლესიო-სომხურენოვანი ღვთისმსახურება. გუგარქის ქართველობას კლარჯეთიდან უტიკამდე თავისი ქვეყნის ბედის შესაბამისად ეკლესიებში აუკრძალეს ქართულენოვანი ღვთისმსახურება და მის ნაცვლად სომხურენოვანი წირვა-ლოცვა დაუნერგეს.

ქართველებს არავითარი პროტესტის გამოთქმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, იმდენად მჭიდრო იყო სომხურ-სპარსული კავშირი (იხ. „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, 1996 წ., ტ. I).

საბედნიეროდ, 591 წლის შეთანხმებით შეიცვალა სასაზღვრო ხაზი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, იმდენად, რომ საზღვარი ამ ორ იმპერიას შორის მცხეთასა და თბილისს შორის გადავიდა, მცხეთა ბიზანტიურ ნაწილში მოექცა, თბილისი კი სპარსულში. ბიზანტიელთა მხარდაჭერით გაძლიერებულმა მცხეთელმა კათალიკოსმა კირიონ I-მა გაბედა და თავის მრევლს, გუგარქ-ქვემო ქართლში მცხოვრებთ, აღუდგინა ქართულენოვანი ღვთისმსახურება, რაც მოუთმენელი იყო სომხური ეკლესიისთვის, თუმცა საბოლოოდ კირიონის ღვაწლის შედეგად, თანდათანობით, ჯერ (VI-VII სს.-ში) ქვემო ქართლის, შემდეგ კი (VIII-X სს.-ში) ტაოსა და ასევე ჩრდილო არმენიის მკვიდრი ქართველობა დაუბრუნდა საეკლესიო ქართულენოვნებას.

ქართული ენა – ქალკედონიტობის სიმბოლო და ქართველთა ეროვნული ცნობიერების საყრდენი გახდა.

აზმენიის ქართულთა დიდი გამოფხიზლება

კირიონმა აანთო პირველი ნაპერწკალი ეროვნული გამოფხიზლებისა, რომელიც აიტაცა ე.წ. დასავლეთ არმენიის მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ გუგარქში, კოლაში, ტაოში და კიდევ უფრო სამხრეთით, ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე, რომლის სანაპიროსთან ახლოს მცხოვრებმა ქართველებმა ვალაშკერტის საეპისკოპოსო დააარსეს. ტაო ცენტრად იქცა.

ტაოს გარეთაც, ეროვნებააღორძინებულმა ქართულმა მრევლმა ჩამოაყალიბა სხვა ქართული საეპისკოპოსოებიც – ანისისა, კარისა (ყარსისა), დადაშენისა და სხვა ქალაქებისა, თვითშემეცნებულმა, ანუ სომხური ასიმილაციისაგან გათავისუფლებულმა ქართველებმა მიიწვიეს თავიანთ მიწა-წყალზე ტაოს მეფე დიდი დავით კურაპალატი, რომელმაც ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული „ქართველთა საკურაპალატო“ განავრცო ვანის ტბამდე მცხოვრები ამ მკვიდრ ქართველთათვის.

სიხარული და ეროვნული სიამაყე ვინაობააღდგენილი ქართველებისა განუზომელი იყო, რაც გამომჟღავნდა განსაკუთრებით ათონის მთაზე. ამ მხარეებიდან ნამოსული ივერიელების მიერ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ენეოდა იმით, რომ ქართულ ენასა და ქართულ სიტყვას მფარველობდა. სწორედ ასეთი სასწაულებრივი გამოცხადების შემდგომ მიეცა მყისიერად ქართული ენის ცოდნა პატარა ექვთიმე მთაწმინდელს.

ეროვნული იდენტობის აღორძინების სიხარულმა ააგებინა საოცარი ტაძრები ტაოსა და კლარჯეთში მკვიდრ ქართველებს, ესენი იყვნენ ნიშან-სვეტები მათი ეროვნული გამოფხიზლებისა, სომხური ეკლესიისაგან დიდი გაქცევისა, მისი უარყოფისა და ვინაობის აღდგენისა. ამ გათავისუფლების დიდმა ძალამ ააგო სწორედ ამ კუთხეებში ეს არქიტექტურის შედეგები.

როგორც დაგუბებულ წყალში გროვდება დიდი ძალა და ენერგია, რომელიც ვლინდება მისი გათავისუფლების შემდეგ, ასეთი ძალით აფეთქდა ქართული კულტურა სამხრეთ საქართველოში.

კირიონის „გამოფხიზლების“ პრეფიცი

ქართული ენის დასაცავად კირიონის ცნობილმა კამათმა სომხურ ეკლესიასთან და ამ საკითხის გამო **განხეთქილებამ გამოაფხიზლა სამხრეთ კავკასიის პროვინციათა ის ქართველობა, რომელნიც იქამდე სომხური ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდნენ.**

სად განხორციელდა კირიონის გამოფხიზლების პროექტი? ანუ რომელ პროვინციებში გამოფხიზლდნენ იქამდე სომხური წირვა-ლოცვის ქვეშ მყოფი ქართველები და აღიდგინეს ქართულენოვანი წირვა-ლოცვა?

გუგარქის გარდა, **ბასიანსა, კლარჯეთსა და ტაოში ქართული ენის აღდგენას რომ მისტიროდნენ სომეხი ღვთისმეტყველები, ეს ჩანს უხტანესის წიგნიდან, რომელმაც უზარმაზარი შრომა, სავსე მოთქმა-ვაებითა და წუხილით, მიუძღვნა ამ საკითხს (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975).**

კირიონის „გამოფხიზლება“ მხოლოდ ქვემო ქართლს არ შეეხებია, აქ უხტანესის დროს ისედაც **სომხური ტაშირ-ძორაკერტის** სამეფო ჰყვავდა სომხური საეკლესიო ენით, **უხტანესი მისტირის კირიონის მიერ ბასიანის, ტაო-კლარჯეთისა და მეზობელი ოლქების ქართველების მიერ ეროვნული იდენტობის აღდგენას.**

გამოთხევის ორი მთავარი სტრუქტურული (IV-X სს.)

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ ისტორიული სომხეთის მინა-წყალი არმენიელების შემოსვლამდე ქართული ტომებით იყო დასახლებული. მას ფაქტიურად ეთანხმება ნ. ადონცი, რომელიც მრავალ წყაროზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ისტორიულად ქართველების საცხოვრისი ვანის ტბიდან ქართლამდე შუაზე გაჰყვითეს არმენიელებმა, ამიტომ არმენიელების როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით ქართველთა ქვეყნები მოექცა.

მაგალითად, ნ. ადონცის აზრით, ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ქვეყანა კორდუენი და ჩრდილოეთით მდებარე ქართლი – ქართველთა ქვეყნები იყვნენ.

რაც შეეხება ქართველების დასახლებას არმენიის დასავლეთით, ის ხელუხლებლად იქნა შენარჩუნებული – იგულისხმება ქალდეველთა ანუ ჭანთა ქვეყანა.

ქალდეუ ანუ „კარდეუ“ – ივ. ჯავახიშვილის კვლევითაც ქართველთა ისტორიული სამშობლო ყოფილა, რომლის სახელი ქართველთა სამივე შტოს – სვანებს, მეგრულ-ლაზებსა და აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებს ჰქონიათ შემონახული.

დასავლეთ და ჩრდილო არმენიაში მოქცეულ იბერიის ყოფილ მიწებზე ხორძენასა, პარიადრესა და გოგარენაში ქართველთა არმენიზაციის პროცესმა გაქრისტიანების შემდეგ რელიგიური სახე მიიღო, რაც იმით გამოიხატა, რომ ამ ქართველთა საოჯახო ენა კვლავ ქართული იყო (ან მისი დიალექტები), მაგრამ სომხური მათთვის ღვთის სადიდებელი და საღვთისმსახურო ენად იქცა (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა არც თუ მცირე ნაწილი, რომელნიც კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყვნენ მოქცეულნი – ბერძნულენოვანი გახდნენ საეკლესიო თვალსაზრისით).

არმენიის ქართველები სომხური ენის, კულტურის, ეკლესიის, შემეცნების და კულტურის ზეგავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

ქართველთა არმენიზაციის პროცესი სომხეთის დასავლეთ და ჩრდილო მხარეებში ვერ დასრულდა არაბთა შემოსევების გამო.

სომხური კულტურული ცენტრების ძლიერების მორყევისას – არაბთა შემოსევების ეპოქაში, აღმოჩნდა, რომ დასავლეთ არმენიასა და ასევე ბასიანსა, ტაოსა და მიმდებარე მხარეებში ქართველების ერთ ნაწილს, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ეროვნული ცნობიერება, ნაწილობრივ კი ცოდნა ქართული ენისა და საყოფაცხოვრებო წესჩვეულებებისა – ერთი სიტყვით, კულტურული თავისთავადობა, რაც საფუძვლად გადაიქცა ტაოსა და ბასიანში ქართველთა თვითშემეცნების აღორძინებისა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნისა და მისთვის ქართული სახის მინიჭებისა.

ასეთ ეპოქაში ქართულ ენას სინმინდის ფუნქცია მიენიჭა.

ეს მოვლენა იყო ნამდვილი კულტურული რევოლუცია ქართული ცნობიერების აღორძინებისათვის.

ტაო-ბასიანის მხარეებში ქართული შემეცნებისა და ენის აღორძინების საფუძველი უნდა ყოფილიყო –

1) კირიონის მიერ ქართული ენის აღორძინება გუგარქში და

2) 726 წლის მანასკერტის მონოფიზიტური კრება, რამაც სომხური ეკლესია მონონაციონალურ ეკლესიად აქცია, სადაც აღარ იყო ეთნიკურ ქართველთა (ქალკედონიტთა) ადგილი, და რამაც ეკლესიურად გამოაფხიზლა ქართველობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონოფიზიტურის გვერდით უფრო გამოიკვეთა სომხურ-ქალკედონური ეკლესია, რომელშიც ქართველები მრევლად იყვნენ გაერთიანებულები, სომხური ქალკედონიტური ეკლესიის ქართული ფრთა მნიშვნელოვანი იყო, აქედანაც ქართველთა ერთი ნაწილი ეთნიკური ნიშნით განშორდა სომხურ-

ქალკედონურ ეკლესიას და შეუერთდა მცხეთის დედაეკლესიას.

ეროვნულად იდენტიზაციის მიზნით ქართველობის ერთ-ერთმა ნაწილმა მალე ზურგი შეაქცია სომხურ ქალკედონურ ეკლესიასაც და დედა ქართულს დაუბრუნდა.

წმ. დავით და ცარიჭანი, ისააკი და იოსები

წმ. დავით და ცარიჭანი, ქართული ეკლესიის წმიდანები, უწამებიათ VII საუკუნეში, ტაოს ქვეყანაში, ნერსე სომეხთა კათალიკოსის სამწყსოში, სოფელ დუვში. „ცხოვრების“ მიხედვით, მათ კავშირი ჰქონდათ სომეხთა ქვეყანასთან. მიუხედავად ამისა სომხური ეკლესიისათვის ისინი უცნობები არიან, ისინი არ არიან სომხური ეკლესიის წმიდანები, და არიან, როგორც აღინიშნა ქართულისა. რა იყო ამის მიზეზი?

არსებობს მეორე მსგავსი მაგალითიც, მიჩნეულია, რომ არზრუმში, ყოფილი თეოდოსიოპოლი, რომელიც ქართულად კარნუ ქალაქად იწოდებოდა სომხეთის ქვეყანაში მდებარეობდა, 808 წელს აქ უწამებიათ ისააკი და იოსები, მათი ეთნიკური ვინაობის შესახებ გვაუწყებს ზედწოდება „ქართველნი“.

საქართველოს საეკლესიო კალენდარში 16 სექტემბერს იხსენიებიან „**მონამენი ისააკ და იოსებ ქართველნი, კარნუ ქალაქის ნამებულნი 808 წელს**“, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი კარნუ-ქალაქელნი იყვნენ, ეთნიკური ქართველები, რომელნიც IX ს-ში არაბებმა აწამეს. XI ს-ში კონსტანტინე პორფირგენეტის ცნობით, კარნუქალაქელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ბიზანტიელებს, ქართველთა ჯარი კი მათ იცავდა და ბიზანტიელთა ალყით გამონვეული შიმშილობისას, ამარაგებდა სურსათ-სანოვაგით.

აქედანაც ჩანს, რომ როგორც IX ისე X საუკუნეში არზრუმი (კარნუ-ქალაქი) ქართველებით იყო დასახლებული, არზრუმი “კარინის“ ქვეყნის მთავარი ქალაქი იყო. ამ ქვეყანაში ჰქონდა მამულები თორნიკე ერისთავს, სომეხი ისტორიკოსების აზრით თორნიკე ამ ქვეყნელი იყო, აქვე მდებარეობდა ცნობილი ქართული სკრიპტორიუმი ერთ-ერთ ქართულ მონასტერთან.

მაშასადამე, ისააკი და იოსები ქართველ წმინდანთა რიგში მოხვდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობის (ქართველობის) წყალობით, მსგავსადვე დავით და ტარიჭანი წამების შემდეგ ქართველ წმინდანთა რიგში ჩანერეს, რადგანაც ისინიც ეთნიკურ ქართველებად, ქართული ეკლესიის წევრებად მიიჩნეოდნენ, რადგანაც არა მხოლოდ ტაო, არამედ კარინი და ბასიანიც ქართველთა ქვეყნებად მიიჩნეოდა IX-X სს-ში.

ახალი ჟღა სომხეთის ეკლესიის ისტორიაში

726 წელს შედგა მანასკერტის კრება იოანე ოძუნელის დროს. ამ კრებამ ახალი ერა შექმნა სომხური ეკლესიის ისტორიაში (ნ. ადონცი, სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში. 1908, რუს. ენაზე გვ. 338) და ჰქონდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა (გვ. 338). „**ალადგინა სომხური საეკლესიო ტრადიციები დარღვეული VII ს-ში ქალკედონტების მიერ**“ (იქვე, გვ. 338).

მეორე მხრივ, რაც ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, **ამ კრებამ გამოაფხიზლა სომხეთის ქართველობა.**

კირიონის დაუვინყარი ღვანლი საეკლესიო მსახურებისას ქართული ენის გამოყენების შესახებ გაიხსენეს ამ კრებით შემოფოთებულმა ქართველებმა.

ისინი, ტაოსა და ბასიანის ქართველობა, ძირითადად ქალკედონიტები იყვნენ და ამიტომ მათ სომხური ეკლესიის იურის-

დიქციაში ყოფნა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაჩნდათ დასაშვებად, თუკი სომხური ეკლესია ქალკედონიტური მიმართულები-სა იქნებოდა, 726 წლის კრებამ კი ამ ეკლესიის მონოფიზიტური მიმართულება დაადგინა. ამიტომაც, მათ დაინყეს გზების ძიე-ბა სომხური ეკლესიისაგან თავის დასახსნელად.

კირიონის ბრძანებანი ქართული ენის გამოყენების შესახებ, წინაპრის მონოდებად იქცა - მონოდებად, რათა სომხეთის ქართველობა განშორებოდა უკვე არაქალკედონიტურ სომხურ ეკლესიას და დაბრუნებოდა ეროვნულ ქართულს – მართლმადიდებლურს.

სომხურ-ქალკედონიტი ეკლესიის ქართული ფაქტა

(ქართველები სომხეთში)

სომხეთში ძალზე დიდი რაოდენობის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ცხოვრება, როგორც აღინიშნა, გამოწვეული იყო იმით, რომ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე II ს-ში იბერებისაგან არმენიამ მიიტაცა – ხორძენე, გოგარენა და პარიადრეს კალთე-ბი. ცხადია ეს რეგიონები ქართველებით იყვნენ დასახლებულნი.

სომხური ეკლესიის დაარსების შემდეგ **სომხეთის მკვიდრი ქართველობა გადაიქცა სომხური ეკლესიის მრევლად**, მაგრამ მათ ქართული ეთნოშემეცნება შენარჩუნებული ჰქონდათ, განსაკუთრებით სომხეთის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში.

კირიონ კათალიკოსის მოძრაობამ ქართული ენის დასაცა-ვად, ერთგვარად შეანჯღრია და გამოაფხიზლა გუგარქისა და ტაოს ქართველობა.

ა. კარტაშვილი თავის წიგნში „მსოფლიო საეკლესიო კრებე-ბი“ (პარიზი, 1963, რუს. ენაზე) აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ-

ში, ზოგჯერ, აღმსარებლობის გათავისება ხდებოდა ეთნიკური ნიშნით, მაგალითად, მისი აზრით ბიზანტიელი ბერძნებისაგან აღმოსავლეთის ქრისტიანული ხალხები განცალკევებას ცდილობდნენ იმით, რომ იღებდნენ ანტიბიზანტიურ საეკლესიო აღმსარებლობას. ამის გამო, მიიღო თითქოს ეგვიპტის, სირიისა და არმენიის მოსახლეობამ მონოფიზიტობა, რითაც გაბერძნებისგან დაიცვეს თავი.

შესაბამისად ვფიქრობთ, რომ არმენიის ქართველებიც ცდილობდნენ ძლიერი სომხური კულტურული გავლენისგან თავის დაცვას მსგავსი ქმედებებით.

შეიძლებოდა ალბათ ამითაც აგვეხსნა ქართველთა სურვილი სომხური ეკლესიისაგან განცალკევებისა ჯერ კიდევ VI ს-ში სპარსთა მმართველობისას. მონოფიზიტურ არმენიაში ქალკედონური სარწმუნოება ქართველთა ბუნებრივი საფარი იყო ეროვნულობის შესანარჩუნებლად VI ს-ში და VII ს-ის დასაწყისში.

მალე ვითარება შეიცვალა, ჰერაკლე კეისრის სპარსეთში ლაშქრობის შემდეგ თვითონ სომხური ეკლესიის ცენტრმა შეკრა „უნია“ ბიზანტიურ ეკლესიასთან. სომხეთში მრავალი ქალკედონური საეპისკოპოსო წარმოიქმნა. სომხურ-ქალკედონური საეპისკოპოსოების რიცხვი ძალზე დიდი იყო (70-ზე მეტი) და ისინი განფენილნი იყვნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე ვანისა და ურმიის ტბებიდან ტრაპეზუნტამდე და – ანტიოქიამდე.

ამის გამო, სომხეთის ამ მხარეების **ქართულ-ქალკედონური მრევლი, VII ს-ში, მოექცა სომხურ-ქალკედონურ ეკლესიაში**, ისინი ძირითადად დასავლეთ არმენიასა და გუგარქში (ჭოროხიდან თბილისამდე) ცხოვრობდნენ.

ქართველი მოღვაწეები თავიანთი განსწავლულობისა და შრომის მოყვარეობის გამო სომხურ ეკლესიის უმაღლესი იერარქებიც კი ხდებოდნენ. ჰერაკლემდე ასეთი იყო აირარატის ქორეპისკოპოსი შემდეგ კი ქართველი კათალიკოსი კირიონი,

ასევე ეთნიკური ქართველი უნდა ყოფილიყო სომეხი-ქალკედონიტი კათალიკოსი ნერსეს III მშენებელი. მან დევნილობის დროს თავი შეაფარა თავის მშობლიურ კუთხეს ტაოს, სადაც საეპისკოპოსო ცენტრი დააარსა იშხანში. სომხურ-კალკედონური ეკლესიის ეთნიკურ ქართული ფრთა მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

პატრიარქ ნიკოლოზ მისციკოსის მითითება (X ს.)

(„სომხური ეკლესიის სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა ერთობლივი სამწყსო“)

კონსტანტინოპოლს პატრიარქი ნიკოლოზ მისციკოსი სომხეთის პატრიარქის თავის წერილში ოფიციალურად ადასტურებს, რომ სომხურ ეკლესიაში მის დროს გაერთიანებული იყო, სომხების გარდა ქართველები და ალბანელები, ამიტომად ასე მოიხსენიებს – „სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი რწმუნებული ერთობლივი სამწყსო“ (იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ცაგარეიშვილის გამოცემა, 1965, გვ. 189-193).

ამჟამად ჩვენში ფიქრობენ რომ ამ წერილში „ქართველთა“ ქვეშ იგულისხმება საქართველოს მოსახლეობა, ეს ასე არ იყო, ამ წერილში „ქართველთა“ ქვეშ იგულისხმება ტაო-ბასიანისა და მიმდებარე ოლქების ის მოსახლეობა, რომელთაც ბიზანტიაში იბერებს უწოდებდნენ და რომელთაც ამ ტერიტორიაზე დაარსეს კიდევ სახელმწიფო „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით. ამ ხალხის ეკლესიურ თვითგამორკვევას შეუწყო ხელი კირიონის მოძრაობის ექოს მძლავრმა ხმამ. მათ დაარსეს კიდევ აქ

მძლავრი ქართული თავისთავადი ეკლესია, რომლის ცნობა ბიზანტიას გაუჭირდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტის თანახმად, იმპერატორის ლეონ VI-ის (886-912) დროს, ტარონის სამთავროს ბაგრატიუნი მმართველები ცდილობდნენ ბიზანტიასთან დაკავშირებას.

X საუკუნის 20-იანი წლებიდან ბიზანტიამ შეძლო არაბების (მაჰმადიანების) წინააღმდეგ შეტევა ზემო ევფრატის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალზე. ბიზანტიის ჯარმა იოანე კურკუასის მეთაურობით დააპირა დვინის ალბაც, მაგრამ მას წინააღმდეგობას უწევდა სომეხთა მეფე **აშოტ II ერკათი (914-929)**, რომელიც დვინის ამირას უჭერდა მხარს. **აშოტმა ხალიფასგან მიიღო შაჰინშას ტიტული.**

დვინთან წარუმატებლობის შემდეგ იოანე კურკუასმა მაჰმადიანებისგან გაათავისუფლა ქალაქი ხლათი და 931 წელს ბიზანტიელთა ჯარები შევიდნენ ხლათსა და ბერკრში, ვასპურაკანის სამეფო ბიზანტიელთა გავლენის სფეროში აღმოჩნდა.

978 წელს ბარდა სკლიაროსის დამარცხების ჯილდოდ დავით კურაპალატს გადაეცა სხვა რეგიონებთან ერთად ჰარკის და აპაჰუნქის ოლქები ქ. მანასკერტთან ახლოს. ეს ქალაქი ამ დროისათვის მაჰმადიანი ამირას ხელში იყო (ის დავით კურაპალატმა ბიზანტიელებს წაართვა).

990 წელს დავით კურაპალატმა დალაშქრა მანასკერტი და ალყის შემდეგ აიღო. აქ მას ჩაუსახლება **დიდი რაოდენობით ქართველები** და სომხები. ამის გამო, თავრიზის ამირას დიდძალი ჯარები დაუძრავს დავით კურაპალატის წინააღმდეგ, დავითს გვერდით ამოუდგნენ ქართველთა მეფე ბაგრატ II, ანისშირაკის მეფე გაგიკი და ვანანდის (ყარსის) მეფე აბასი. დავითი და მისი მოკავშირეები ქ. ვალაშკერტში დაბანაკებულან.

997-998 წლებში ქართველები იბრძოდნენ ხლათთან, მაგრამ ვერ აიღეს, თუმცა სასტიკად დაამარცხეს თავრიზელი ამირა და მისი მოკავშირეები.

ეკლესიურად, როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ენინალმდეგებოდა ქართველების საეკლესიო იურისდიქციის გავრცელებას ტაოდან ვანის ტბამდე – დავით კურაპალატის მიერ გათავისუფლებულ მინა-წყალზე, მაგრამ თვითონ, ჩანს, ამ პერიოდში ვერ ახერხებდა თავისი იურისდიქციის განვრცობას ან შენარჩუნებას ამ რეგიონში, ალბათ ამიტომ თანახმა ყოფილა იქ სომხური ეკლესიის უზენაესობა ეცნო. ეს ჩანს იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომიდან, სადაც შემონახულია კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი.

ბერძენი პატრიარქი წერდა სომეხ კათალიკოსს: „შენი ღვთისმოყვარებისათვის ვგონებ არ არის გაუგებარი ჩვენი გულის დიდი წუხილი და დაუნელებელი ტკივილი **სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი რწმუნებული ერთობლივი სამწყსოსათვის** ჭირის გამო, რომელიც თავს დაგატყდათ სარკინოზ ისმაიტელ მოძალადეთაგან. ან თუ თქვენი უწმიდესობა მართებულად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ღმრთის მოხილვის და შებრალებისათვის მთელი გულით ყოვლისმპყრობელი ღმრთის მიმართ ვედრება. სომეხთა, ქართველთა, ალვანელთა შენი სამწყსოსთვის, აღარ შეეგუო მათ დალუპვას და იზრუნე, რომ განსწავლო ისინი ყველაფერში საღმრთო მეტყველებით. ჩვენ წერილი გამოვუგზავნეთ მაგ კურაპალატსაც და აფხაზთა მეთაურსაც და ვურჩევდი, რომ მათ ესმინოთ თქვენი დარიგება“ (იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ცაგარეიშვილის გამოცემა, 1965, გვ. 189-193).

თუ ეს წერილი სანდოა, მასში ჩანს, რომ პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (852-925) სომხურ ეკლესიას არ მიიჩნევს ეთნიკური ნიშნით შექმნილ სამამამთავროდ, რადგანაც მის მრევლად სომხებთან ერთად მიიჩნევდა **ქართველებიც** და **ალვანელებიც**. ამ წერილში ორჯერ ხაზგასმით აღნიშნავს კიდევ

– „სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა შენდამი კუთვნილი სამწყსო“.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოსდა „ქართველთა“ ქვეშ ამ წერილში იგულისხმება სრულიად საქართველოს მოსახლეობა, მაგრამ რადგანაც თანამედროვე საქართველოს იმჟამად „აფხაზეთს“ უწოდებდნენ, შესაბამისად იმჟამად „ქართველთა ქვეყანას“ უწოდებდნენ ტაოსა და მისი მიმდებარე რეგიონებს, მის მოსახლეობას კი „ქართველებს“.

ამ წერილში „ქართველთა“ ქვეშ იგულისხმება იმ მიწა-წყლის მრევლი, რომელიც იმჟამად ბიზანტიის ინტერესს წარმოადგენდა, კერძოდ, ტაო-ბასიანის, თეოდოსიოპოლის (კარინ-არზრუმის) ქრისტიანები, ვიდრე ვასპურაკანამდე. შემდგომი ივერიის თემის მოსახლეობა.

კარინ-ევფრატის მოსახლეობა, VII ს-ში ტაოს მრევლიც კი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა. იგივე ითქმის ამავე რეგიონის მომიჯნავე ალბანურ ოლქებზეც. ასე რომ, ნიკოლოზ მისტიკოსის ამ საქმიანი წერილით კონსტანტინოპოლი ცნობდა არა სრულიად საქართველოს მრევლზე სომხური ეკლესიის უზენაესობას, არამედ მხოლოდ არზრუმ-ვანის ტბის ქართულ სეგმენტებში. **მიზეზი უნდა ყოფილიყო სურვილი, რათა ძლიერ სომხურ ეკლესიას ხელი არ შეეშალა ბიზანტიური ჯარების წინსვლისათვის ვანის ტბისკენ.**

ამ დამამშვიდებელი წერილით კონსტანტინოპოლი აცხადებდა, რომ ის არ იყო სომხური ეკლესიის მეტოქე ამ რეგიონში, ე.ი. თეოდოსიოპოლიდან – ვასპურაკანამდე.

მართლაც, ამავე წერილში ნახსენებია კურაპალატი (ე.ი. ქართველთა კურაპალატი) და აფხაზთა მეთაური (ე.ი. აფხაზთა მეფე), რომელთაც თითქოსდა მოუწოდებდა, რომ მათ ესმინათ სომხური ეკლესიის მეთაურის დარიგება, მაგრამ ეს ალბათ დიპლომატიური ჩანართია, თუმცა ამ სიტყვებიდან ჩანს,

რომ ბიზანტიურ იურისდიქციაში არასდროს ყოფილა დასავლეთ საქართველო, ხოლო ტაო საჭიროებს ზენოლას, რათა სომხური საეკლესიო დამოკიდებულება აღიდგინოს.

თუკი დასავლეთ საქართველო იყო ბიზანტიის იურისდიქციაში და ის ბიზანტიური იურისდიქციისაგან სწორედ ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქაში (IX-X სს-ში) გამოვიდა, (როგორც ამტკიცებს ქართიზაციის თეორია), მაშინ კონსტანტინოპოლის პატრიარქი სომხური ეკლესიის მეთაურს იმას კი არ მიწერდა – „შენი დარბევა ისმინოს აფხაზთა მეფემო“, არამედ ალბათ მიწერდა – „ჩემი საეკლესიო მინა-წყალია დასავლეთ საქართველო და აფხაზთა მეფემ აქ ჩემი უფლებამოსილება არ უნდა შებლალოსო“.

ამ წერილიდანაც ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ამ წერილიდან ჩანს, რომ „ქართველთა ქვეყანა“ ტაო-კარიანი, ასევე ვასპურაკანის სეგმენტები, ანუ „ზემო ქვეყანათა“ მეტი ნაწილი სომხებთან ერთად დასახლებული იყო ქართველი ხალხით, და ისინი სომხური ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს მეორე არაპირდაპირი, თუმცა მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ასევე კონსტანტინოპოლის პატრიარქს ეხება.

კონსტანტინოპოლის პატრიარქს წმიდა ფოტის (857-867, 877-886) მიაკუთვნებენ ცნობას კეისარ ბასილი I-ის (867-886) სომეხ არშაკუნთაგან წარმომავლობის შესახებ. ა. აბდალაძის სიტყვით, ამ თვალსაზრისს არ უარყოფდნენ ბასილი I-ის მემკვიდრეები, რადგანაც ერთ-ერთ მათგანს, კონსტანტინე პორფიროგენეტს (912-959) ეს აზრი შეუტანია თავის თხზულებაში „ბასილის ცხოვრება“. ჩვენი აზრით, მართალი უნდა ყოფილიყო წმიდა ფოტი ასეთი ცნობის გავრცელების დროს, ერთი ქართული წყაროც ამ თვალსაზრისს ამართლებს, კერძოდ, წმიდა ილარიონ ქართველის ცხოვრებაში ნაბრძანებია, რომ ბასილი კეისარ-

მა (866-886) თავისი შვილების მოძღვრებად დააყენა წმიდა ილარიონის მოწაფეები, რომელთაც დაავალა იმპერატორის ვაჟებისთვის ქართული ენა ესწავლებინათ. წმიდა ილარიონ ქართველის მოწაფეებს „**მოჰგვარა მეფემან ორნი ძენი ლეონ და ალექსანდრე და რქუა – „ლოცვა ყავთ ამათთვის წმიდანო მამანო და ასწავეთ ამათ ენაი და წიგნი თქვენი“**, (ძველი ქართული ლიტურჯის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 175).

ვფიქრობ, აქედან ჩანს შემდეგი – ბასილი I კეისარი ან მისი წინაპარები წარმოშობით იყვნენ „არმენიიდან“, ანუ იმ მხარედან მცირე აზიისა, რომელიც არმენიად იწოდებოდა, მაგრამ ბასილი კეისრის წინაპრები ეთნიკურად არა სომხები, არამედ ქართველები, რადგანაც ბასილიმ ბრძანა თავისი შვილებისთვის, მომავალი იმპერატორებისთვის ესწავლებინათ ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა (და არა სომხური). სხვა საქმეა ის, რომ ამ მხარეებს, მიუხედავად მისი მოსახლეობის ქართული წარმომავლობისა, ერქვა არმენია. ბასილის წინაპრები აქედან მაკედონიაში გადასახლებულან, მაგრამ ბასილის, ჩანს, ჰქონია ცნობა თავისი ქართული წარმომავლობის შესახებ და ამიტომაც დაავალა ქართველ მამებს მისი შვილებისათვის ქართული ენა და მწიგნობრობა ესწავლებინათ.

ბასილის მემკვიდრეების დროს, კერძოდ, კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს, ამ არმენიის იბერიული მხარეების არაბებისაგან გასათავისუფლებლად ბიზანტიელებთან ერთად ყველაზე აქტიურად ქართველები იბრძოდნენ.

ამ მხარეთა მკვიდრმა ქართველობამ გაათავისუფლების შემდეგ (X-XI საუკუნიდან) – გაიმყარა ეროვნულ-ქართული თვითშემეცნება და ცდილობდა ეკლესიურადაც განმორეობდა სომხურ ეკლესიას, თუმცა ნიკოლოზ მისტიკოსს ეს სადავო მრევლი, პოლიტიკური მოსაზრებით სომხური ეკლესიისათვის მიუკუთვნებია შემდეგი სიტყვებით: „შენდამი რწმუნებული სომეხთა, ქართველთა და ალვანთა სამწყსო“.

ასეთი ვითარების გამო, ბიზანტიაში არმენიის იბერიულ მხარეთა მკვიდრი ქართველები ყველას არწმუნებდნენ, რომ ისინი ეთნიკური წარმომავლობით, გვარ-ტომობით ქართველები იყვნენ. ერთი ასეთი იყო ამ მხარეთა მკვიდრი, ტაოელი გრიგოლ ბაკურიანის ძე. ის, ჩანს, იყო ასევე ვანანდის ოლქის მემამულეც, ანუ ის ჩანს უფრო ვანანდელი (კარელი) იყო, ვიდრე ტაოელი.

არმენიაში მცხოვრებ იბერიელთა თვითშემეცნების ალორძინების პროცესმა გამოიწვია იქამდე პოლიეთნიკური სომხური ეკლესიის დაშლა. სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოქცეულმა ქართველების ნაწილმა ეროვნულ-ეთნიკური ნიშნით დატოვა სომხური ეკლესია და ქართული ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.

ქართული წაბმლობის იტატი

აბმნის იბტიამი

(წმიდა ნერსე იმხნელი)

კირიონი ქართლის საკათალიკოსო ტახტზე ასვლამდე სომხურ ეკლესიაში მოღვაწეობდა, ის იყო ამ ეკლესიის არა რიგითი წევრი, არამედ ერთ-ერთი უმთავრესი მმართველი, რადგანაც მას სომხური ეკლესიის ცენტრალური საეკლესიო ოლქის მღვდელმთავრობა ებარა, და ამასთანავე უმთავრესი სომხური საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი იყო. აქედანაც ჩანს, რომ ის სომხურ ეკლესიაში წარმოადგენდა სომხეთის ეკლესიის იმჟამინდელ ქართულ მრავალრიცხოვან მრევლს, რომელნიც კომპაქტურად ცხოვრობდნენ იმჟამად სომხეთის შემადგენლობაში მოქცეულ ტაოსა თუ ბასიანში. უმიზეზოდ არ უწოდებდნენ

კონსტანტინოპოლის პატრიარქები სომხური ეკლესიის მეთაურებს – **„სომეხთა, ალბანელთა და ქართველთა“** პატრიარქებს (და არა მარტო ისინი). ამ ტიტულატურაში იგულისხმება არა მცხეთის საკათალიკოსოს ქართველი მრევლი (მათ თავიანთი ავტოკეფალური პირველიერარქი ჰყავდათ), არამედ ტაოს, ბასიანისა და მიმდებარე ოლქების ქართველობა, რომელთაც მალევე **„ქართველთა სამეფო“** დაარსეს. VII საუკუნეში ერთ-ერთი ასეთი იყო ტაოელი ქართველი ნერსე, რომელსაც იშხნელი უწოდეს. მან, ისევე როგორც, თითქმის მის ეპოქაში კირიონმა, უდიდეს წარმატებას მიაღწია – ის სომხური ეკლესიის ქალკედონიტური ფრთის პატრიარქი გახდა, ის ქართველობის გამოდიდად პატივცემული იყო მის სამშობლო – ტაოსა და იმ რეგიონის ქართველთა მიერ, რომელთათვისაც, შემდგომში ბიზანტიამ **„იბერიის თემი“** დაარსა.

ნერსე იშხნელის შესახებ მისი ეპოქის სხვადასხვა ავტორები წერენ, ესენია:

„დავით და ტარიჭანის ცხოვრების“ ავტორი, რომელმაც აღწერა VII ს-ის ამბები, ის ნერსე იშხნელს **„წმიდას“** უწოდებს.

„იყო სანახებთა მათ სოფლისა სომხითისასა, ჟამთა ნეტარისა დიდისა ნერსე კათალიკოზისა, ...ხევსა ბასიანისასა, დაბასა ონკომ“ (საქ. სამოციქ. ეკლ. ისტორია. 2009, გვ. 531).

ბასიანიდან დედა და შვილები **„წარმოივლტოდა ჩრდილოით კერძო ქვეყანად ტავოისა“** **„ნერსე სრბით მიიწია დივრის“**.

„ეუწყა საქმე ესე წმიდასა მამასა ჩვენსა ნერსეს კათალიკოზსა სომხითისასა“ (გვ. 698).

ვალაშკერტში ნერსე სომეხთა კათალიკოსმა ააგო ღვთისმშობლის ეკლესია, ლასტივერტეცის ცნობით, აქ X ს-ში **„იჯდა ქართველი ეპისკოპოსი“** (ნ. ადონცი, არმენია იუსტიანიანეს ეპოქაში, გვ. 24).

არსენ საფარელი წერს –

„ეზრას შემდგომ საკათალიკოსო ტახტზე ღვთის ნებით ავიდა წერსე იშხნელი. კაცი ღირსი და მართლმორწმუნე“ (საქ. სამოციქ. ეკლ. ისტორია. 2009, გვ. 378).

გიორგი მერჩულე –

„ნებითა ღვთისათა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანს ზედა, ნეტარისა წერსე კათალიკოზისა აღშენებულისა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისისა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქვრივებულ იყო“ (იქვე, გვ. 459).

ქართული წყაროები წერსეს უწოდებენ – „წმიდას“, „ნეტარს“, „ღირსს“ და „მართლმორწმუნეს“.

არსენ საფარელი წერს თუ როგორი თავდადებით იცავდა წერსე ქალკედონიტობას, როცა მას სომეხი მონოფიზიტები ებრძოდნენ-

XVI მუხლი – ეზრას შემდგომ საკათალიკოსო ტახტზე ღვთის ნებით ავიდა წერსე იშხნელი, კაცი ღირსი და მართლმორწმუნე. ამით სრულებით სასონარიკვეთა ბერმა იოანე მზაკვარმა მაირაგომელმა, უფრო კი იმიტომ, რომ იხილა წერსე (641-661) კონსტანტინე მცირესთან ერთად მაზიარებელი საბერძნეთში. არ დაცხრა წინააღდგომისგან, ეზრას მსგავსად შეცდა. წერსემ მოუხმო ეპისკოპოსებს, მოძღვრებსა და აზნაურებს, გამოიძიეს და დაადგინეს მაირაგომელის გაძევება, როგორც მაცდურისა. გააძევა ის **წმიდა წერსე კათალიკოსმა** რისხვით, ასევე თეოდორე რშტუნთა უფალმა, სომხეთის ერისთავმა. დადალეს შუბლზე გახურებული მელიის გამოსახულებიანი სპილენძით, ნიშნად მისი წვალეებისა, ორ ბერთან ერთად. წავიდა დევნილი კავკასიის მთიანეთში, იქიდან სასწრაფოდ უკანვე დაბრუნდა, რამეთუ მთიელმა კაცებმა არ მიიღეს, რადგანაც ისინი კერპთმსახურები იყვნენ. გადმოვიდა კამბეჩანში და დაემკვიდრა მცირე ხევში, რომელსაც სომხეთის ხევი ჰქვია. მრავალნი დაიმონაფა,

არა მარტო იქ, არამედ **მტკვრის აქეთაც, არარატში**, გარდმანში, ძორფორსა და სომხეთში. მრავალი აღკვეცა ბერად თავის უწესო მოძღვრებით და აავსო ქვეყანა მწვალებლობის ღვარძლით. **XVII მუხლი** – ნერსე კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ მივიდა არარატში იოანე მაირაგომელი.

ბიზანციის იმპერატორი კონსტანს (კონსტანტინე) II – ნერსეს მხატვარობა

იმპერატორი კონსტანს II მე-7 საუკუნის შუა წლებში აკონტროლებდა სომხეთს და ცდილობდა სომხური ეკლესიის ქალკედონური ფრთის გაძლიერებას. სომეხთა კათალიკოსი ნერსე III ტაოელი (641-661) იყო მისი მოძღვარი, ძალზე დაახლოებული სასულიერო პირი ბიზანტიის ამ იმპერატორისა, რომელიც თავის მოძღვრისათვის არ იშურებდა სახსრებს, კონსტანს II-ის სახსრებით ნერსე ტაოელმა ააშენა ცნობილი ზვარტნოცის ტაძარი წმიდა გრიგოლის სახელზე (ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპოგრაფიკაში, 2008, გვ. 40).

სომეხი ისტორიკოს სებეოსის ცნობით სომეხთა კათალიკოსი ნერსე სოფელ იმხნიდან იყო წარმოშობით, ახალგაზრდობაში შეისწავლა რომაელთა ენა და მწერლობა, რადგანაც ბიზანტიაში აღიზარდა, შევიდა სამხედრო სამსახურში, გაეცნო მრავალ ქვეყანას, იყო მართლმადიდებელი ქალკედონიტი, მაგრამ თავის ამ სარწმუნოებას უმაღლავდა სომხებს. სომხეთში მიაღწია საეპისკოპოსო ხარისხს და მინვეული იქნა საპატრიარქო ტახტზე (იქვე, გვ. 41).

661 წელს კათალიკოსმა ნერსემ დაასრულა ზვარტნოცის ტაძრის მშენებლობა და მის კურთხევას დაესწრო იმპერატორი კონსტანს II, ამ ტაძრის მშენებლობა 20 წელი გაგრძელდა.

ვალაშკერტში ნერსესის მიერ აგებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ ნერს ნ. ადონცი. როგორც ითქვა, ვალაშკერტში ნერსეს სომეხთა კათალიკოსმა ააგო ღვთისმშობლის ეკლესია, ლასტივერცის ცნობით, აქ X ს-ში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი“ (ნ. ადონცი, გვ. 24).

ვ. გოილაძის ვარაუდით სომეხთა კათალიკოსი ნერსე შესაძლოა ყოფილიყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი (ი ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპოგრაფიკაში 2008ქვე, გვ. 42).

გიორგი მერჩულეს ცნობით, ნერსესს ტაოში – იშხნის ეკლესია აუშენებია, რომელიც შემდეგ არაბთა შემოსევების დროს დაქვრივებულია (იქვე, გვ. 43).

რა იძლევა საფუძველს იმისა, რომ ვივარაუდოთ ნერსე იშხნელის სომეხთა კათალიკოსის ეთნიკური ქართველობა?

ამის მიზეზი მრავალია, ერთ-ერთია ის, რომ ე.წ. სომეხთა და ქართველთა განყოფის შემდეგაც სომხურ ეკლესიაში მრავალი ეთნიკურად არასომეხი ეთნოსი იყო გაერთიანებული (მაგალითად, ეთნიკური ალბანელები სომხურ ეკლესიაში ძლიერ ფრთას ქმნიდნენ). ამ გაყოფის შემდეგაც სომხური ეკლესიის ერთგულ მრევლს VII საუკუნისათვის წარმოადგენდნენ ტაოელი, ბასიანელი, სპერელი და თეოდოსიოპოლელი ქართველები, იმ ეპოქაში მათი საცხოვრებელი არე (ე.ი. ტაო, ბასიანი, სპერი და თეოდოსიოპოლის მხარეები) იწოდებოდა „ივერიად“ (IX-X სს-ში) და არა აღმოსავლეთ საქართველო.

საქმე ის იყო, რომ აფხაზთა სამეფოს გაფართოების შედეგად IX-X საუკუნეებში, რაც აფხაზთა სამეფომ თავისი საზღვრები მიიტანა თბილისამდე, შიდა ქართლი მის ნაწილად, ე.ი. „აფხაზეთად“ იქცა, ამავე დროს თბილისის საამიროს ერთ დიდ ნაწილში (ქვემო ქართლში) ე.წ. „სომეხთა სამეფო“ (ტაშირ-ძორაკერტისა) ჩამოყალიბდა, მაშასადამე შესაბამისად ამ მხა-

რეს სომხითი ეწოდა, ხოლო თბილისის აღმოსავლეთით კახეთის საქორეპისკოპოსო ჩამოყალიბდა.

შესაბამისად IX-X საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით „აფხაზეთად“, „სომხითად“ და „კახეთად“ იწოდებოდა, ხოლო ივერია ანუ „ქართველთა ქვეყანა“ იმ ეპიქაში ტაო-ბასიან-სპერ-თეოდოსოპოლისს ერქვა.

ამ პოლიტიკურმა ტერმინოლოგიამ ასახვა ჰპოვა ბიზანტიაში. კერძოდ, კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარმა „იბერიის თემი“ უწოდა სწორედ ტაო-სპერ-ბასიან-თეოდოსიოპოლისს, ხოლო იმავე ეპოქის ბიზანტიელი ისტორიკოსები იმ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ „საქართველოს სამეფოს“ ვუწოდებთ, უწოდებდნენ არა ივერიას, არამედ „აფხაზეთს“, მის მეფეებს კი „აფხაზთა მეფეებს“.

მაშასადამე, იმ ეპოქაში იმჟამინდელ საქართველოს ერქვა „აფხაზთა სამეფო“, ხოლო „ივერია“ ეწოდებოდა ტაო-ბასიან-სპერსა და თეოდოსიოპოლისის ოლქს.

როგორც ითქვა, იქამდეც ე.ი. VII და VIII საუკუნეებში, იბერები (ე.ი. ტაო-ბასიან-სპერელები) და ალბანელები სომხური ეკლესიის მრევლად ითვლებოდნენ.

სომხური ეკლესიის მრევლად გადაქცეული ალბანელები, ისევე, როგორც იბერები, ცხადია არ იყვნენ ეთნიკური სომხები. სომხეთში მცხოვრები იბერების ეთნიკურ ქართველობაში მხოლოდ პატკანოვ-მარის მომხრე ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს შეჰქონდათ ეჭვი XX საუკუნეში.

ტაო იყო იბერიის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი, თუმცა კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

მხოლოდ ნერსე კათალიკოსის გადაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, 726 წლის მანასკერტის კრების შემდეგ, თანდათანობით გაუჩნდათ ტაოელებს სურვილი გასულიყვნენ სომხ-

ური ეკლესიის წიალიდან და შეერთებოდნენ თავიანთი ეთნიკური თანამოძმეების ე.ი. ქართველების ეკლესიას.

საბაბი ამისა იყო ის, რომ მანასკერტის კრებამ დაგმო ქალკედონიტობა და აღიარა მონოფიზიტობა.

ეს კარგი საბაბი იყო ტაოელი ქართველებისათვის მხურვალედ შეენარჩუნებინათ ქალკედონიტური სარწმუნოება და ქართული ეკლესიის წიაღს შეერთებოდნენ.

მაშასადამე, „განყოფა“ სომხური და ქართული ეკლესიებისა, რომელიც კირიონის დროს, დაიწყო გუგარქში, დასრულდა VIII ს-ის 20-30-იან წლებში ტაოსა და ბასიანში.

კირიონის ეპოქაში „განყოფის“ I ეტაპმა მოიცვა მხოლოდ ქვემო ქართლი ე.ი. გუგარქის ვრცელი ქვეყნის ერთი ნაწილი, ხოლო განყოფის II ეტაპმა VIII საუკუნეში მოიცვა ტაო, ბასიანი და ივერიის ვრცელი მხარეები არაქსამდე, ევფრატის სათავეებამდე, არზრუმამდე და შეიძლება ვანის ტბამდეც კი, რადგანაც ეს ვრცელი მხარეები იბერების ბუნებრივ საცხოვრისს წარმოადგენდა ქრისტეშობამდეც. ამის ახსნა შემდეგია –

ზოგადად, როგორც მრავალჯერ ითქვა, იბერია ანუ „იბერიის თემი“ მოიცავდა ისტორიული არიან-ქართლის მიწა-წყალს ანუ ტაო-კლარჯეთ-ბასიან-კარინ-ვანანდს. ეს იყო ყოფილი ე.წ. „დიდი იბერიის“ ის ნაწილი, რომელიც სტრაბონის ცნობით არმენიამ წაართვა იბერიას. ეს მომხდარა ქრისტეშობამდე II ს-ში.

იქამდეც, ძვ. წ. IV-III ს-ში აზონის მამის (იარედოსის) ეპოქაშიც, ჩანს, სომხების მასიურმა ჩამოსახლებამ არიან-ქართლში აიძულა აზონი ახალი პოლიტიკური ცენტრი ეძებნა უფრო ჩრდილოეთით - თანამედროვე საქართველოში.

მართალია, შემდეგ ამ მხარეებს, ანუ არიან-ქართლის ერთ ნაწილს, დასავლეთ არმენია უწოდეს, მაგრამ იქ დარჩენილა ძველი იბერების დიდი ნაწილი, რომელთაც შეძლეს შემდგომში, ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე, ტაოს ანუ „ქართველთა სამეფო“ დააარსეს.

ხელსაყრელი მომენტის დადგომისას აღნიშნულ „სომხეთის მინა-წყალზე“ ტაოში ჩამოყალიბდა „ქართველთა სამეფო“, რომელიც სწრაფად გაიზარდა.

აქედან ჩანს, რომ სინამდვილეში VII-VIII საუკუნეებშიც დიდი დაპირისპირება იყო ე. წ. დასავლეთ სომხეთის ქართველებსა და შიდა სომხეთის სომხებს შორის. ამან ასახვა ჰპოვა სხვადასხვა ცნობებში, მაგალითად როცა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანს II ნერსე კათალიკოსის მიწვევით მივიდა სომხეთში ზვარტნოცის ტაძრის კურთხევაზე მონაწილეობის მისაღებად, ის ჯერ, გზის შესაბამისად, შევიდა თეოდოსიოპოლში (კარინში). აქ მასთან შესახვედრად მივიდნენ ამ ქალაქის ირგვლივ მდებარე ივერთა მიწების დიდებულები, კერძოდ „სპერელები, ბაგრატიუნი თავადები, დიდებულები ტაოსა და ბასიანის პროვინციიდან, ასევე სხვა მხარეთა დიდებულები ჯარებითა და თავიანთი ნათესავებით. იმპერატორთან შესახვედრად ტაოდან ჩავიდა კათალიკოსი ნერსეც“ (ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა, 2008, გვ. 44).

იმპერატორის ირგვლივ, ბიზანტიელთა მიერ „სომხეთად“ სახელდებული ქვეყნის ქართველი დიდებულები შეიკრიბნენ, რომელთაც, როგორც ჩანს, მტრობდნენ სომეხი დიდებულები, ეს მტრობა გამოიხატებოდა სხვადასხვა სახით, მაგალითად, იმპერატორთან მისული ქართველები მხარს უჭერდნენ სომხეთის იმ სარდალს, რომელსაც მხარდაჭერა არ ჰქონდა თანამემამულე სომხების მხრიდან, მაგრამ, როცა მან ეს მხარდაჭერა მოიპოვა, მას ქართველები განუდგნენ (იგულისხმება სარდალი თეოდოროს რშტუნნი).

მაშასადამე, სომხეთის მნიშვნელოვან თანამდებობაზე ქართველები და სომხები ერთმანეთს ედავებოდნენ.

სომხეთში სომეხთა და ქართველთა ურთიერთქიშპი გადაიზარდა სარწმუნოებრივ ურთიერთბრძოლაში, რაც ბოლოს

დასრულდა საეკლესიო განხეთქილებით – ტაოელებმა და საერთოდ **სომხეთის ქართველებმა, როგორც ითქვა, შეინარჩუნეს ქალკედონიტობა, ხოლო ეთნიკური სომხები, მათ შორის ქალკედონიტებიც (ერთი ნაწილი), შეუერთდნენ სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას.**

სომხეთის ქართველებისა და ეთნიკური სომხების ამ მტრობა-დავის დროს ნერსე კათალიკოსის მხარეს ყოველთვის ქართველები იდგნენ.

მაგალითად, აღმოსავლეთში თავისი ერთ-ერთი ყოფნისას იმპერატორმა ანგარიში გაუწია სომეხ დიდებულებს (რომელნიც ძალზე დიდ ძალას წარმოადგენდნენ) და თანამდებობიდან გადააყენა თეოდოროს რშტუნი (რომელთა მოკავშირეები იყვნენ ქართველები და ალბანელები).

კონსტანს II-მ სომხეთის ცხენოსანი ჯარის სარდლად დანიშნა მუშელ მამიკონიანი, ამევე დროს საგანგებო მაცნეები გააგზავნა იბერიასა, ალბანეთსა და სივნიეთში რათა მათ თეოდოსოს რშტუნთან კავშირი გაენწყვიტათ (იქვე, გვ. 44).

კონსტანს II, ამ დროს, შეჩერდა ქ. დვინში, კათალიკოს ნერსეს სახლში.

ნერსე III-მ ისარგებლა ამ მომენტით, მოიწვია საეკლესიო კრება და გამოაცხადა თავისი ქალკედონიტური რწმენა, მართალია იმპერატორის იქ ყოფნისას ზოგიერთმა სომეხმა თავი შეიკავა, მაგრამ უმეტესი ნაწილი აღშფოთდა.

ამის გამო, შეშფოთებული ნერსე III თან გაჰყვა დვინიდან უკან დაბრუნებულ იმპერატორს.

ნერსემ თავი შეაფარა ტაოს, სადაც მისი დამცველები იყვნენ ტაოელი ქართველები.

სებეოსის თხრობით ნერსეს ქალკედონიტობით აღშფოთდა სომხეთის ჯარი, მათ მიემხრო თეოდოროს რშტუნი, მიიღო არაბებისაგან დამხმარე ძალები, დაიწყო ომი ბიზანტიელთა წინააღმდეგ და აიღო ტრაპიზონი.

როგორც ითქვა, კათალიკოსი ნერსე იმპერატორთან ერთად გამგზავრებულა კონსტანტინოპოლში და დაბრუნდა უკან ტაოში და იქ დარჩა თეოდოსოს რმტუნის გარდაცვალებამდე.

6 წლიანი დევნის შემდეგ ქართველებისა და იმპერატორის შეწევნით ნერსესი კვლავ ავიდა სომხეთის საპატრიარქო ტახტზე და დაამთავრა ზვარტნოცის ქალკედონიტური ტაძრის მშენებლობა, რომლის კურთხევასაც იმპერატორი დაესწრო („ისტორია ეპისკოპოს სებეოსისა“ (რუსულ ენაზე), ერევანი, 1939, გვ. 119-127). სომეხ მონოფიზიტებს ეს ტაძარი უცხოოდ, არაეროვნულად მიაჩნდათ.

მაშასადამე, ნერსე ტაოელს მტრობდნენ სომეხი დიდებულები და ის იმჟამინდელი სომხეთის ქართველების მხარდაჭერით სარგებლობდა. მის დროს სომხეთის მრავალმა ეთნიკურმა ქართველმა აღიარა ქალკედონიტობა ტაოს გარეთაც.

როგორც ითქვა, ტაოში ნერსეს, კერძოდ იშხანში, ეპისკოპოსობისას VII ს-ის 30-იან წლებში აუგია იშხნის იმჟამად მრგვალი ტაძარი (ბანასა და ზვარტნოცის ტიპისა).

საერთოდ, როგორც ავანის, ისე ზვარტნოცის ქალკედონიტური და სხვა ქალკედონიტური ტაძრები სომხეთის ქართველთა თავშესაფარს, მათი ეთნოიდენტობის სადგურებს წარმოადგენდნენ. სომხურ ეკლესიაში თავიანთი ყოფნის დროს ქართველები ცდილობდნენ საეკლესიო არქიტექტურითაც განსხვავებული ყოფილიყვნენ ეთნიკური სომხებისაგან.

ქალკედონიტური ტაძრები ავანისა და ზვარტნოცისა წარმოადგენდნენ სომხეთში მცხოვრები ქართველების საეკლესიო თვითგამოყოფის, ეთნოიდენტობის წარმოჩინების ნიშან-ტაძრებს, ამიტომაც უწოდებდნენ ზვარტნოცის მშენებელ ნერსეს ქართველები „წმიდას“.

ნერსეს გარდა ქალკედონიტური სარწმუნოება სომხეთის სხვა კათალიკოსებსაც ჰქონდათ, მაგრამ ქართველ მამებს ისინი

ნმიდათა რიგში არ შეუყვანიათ, მათგან ნერსესი გამორჩეული იყო თავისი ეთნიკური წარმომავლობით, ის ქართველი იყო ტაოელთა მსგავსად და ამიტომაც მუდამ დაცული და პატივცემული თანამემამულეების (ე.ი. სომხეთში მცხოვრები ქართველების) მიერ.

სომეხ-ქართველთა დავის ეპოქაში მცხოვრები არსენ საფარელი, გიორგი მერჩულე, დავით და ტარიჭანის ცხოვრების აღმწერი და სხვები, წმიდას და „ღვთის კაცს“ არ უწოდებდნენ სომეხთა არაქართველ კათალიკოსს.

არსენ საფარელის ცნობით, საკათალიკოსო ტახტზე ნერსე „ღვთის ნებით“ ავიდა, ის იყო „ღირსი და მართლმორწმუნე“, ხოლო გიორგი მერჩულე მას „ნეტარს“ უწოდებს. უფრო მეტად განადიდებს მათ დავით და ტარიჭანის ცხოვრების აღმწერი და უწოდებს „ჩვენს წმიდა მამას“.

სომხეთში, როგორც აღინიშნა IV-VIII საუკუნეებში მრავალი ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა. მათ შორის, ჩვენთვის ცნობილია კირიონ კათალიკოსი - სომხეთის ცენტრალური ნაწილის, აირარატის ეპისკოპოსი, მოსე გუგარქელ ქართველთა ეპისკოპოსი (თუმცა მონოფიზიტი), წმიდა გრიგორის ცხოვრების არაბულად მთარგმნელი და ალბათ სხვებიც, რომელთაც მომავალი მკვლევარები გამოავლენენ.

სომხურ ეკლესიაში, შემდგომშიც, კერძოდ XVII-XVIII საუკუნეებშიც, უამრავი ქართველი მონოფიზიტი სასულიერო პირი მოღვაწეობდა, რაც ჩანს მატენადარანში დაცული მათი ქართულენოვანი წერილებიდან, ზოგიერთის ქართული გვარიც ცნობილია. ერთ-ერთი ასეთია სომხურ ეკლესიაში დროებით მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი ცნობილი არქიმანდრიტი იოანე ხელაშვილი. იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“ აღწერილი აქვს ასეთი ამბავი: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით ანუ ქართველთა უმოქმედობითა და უთავბოლოობით ისე

აღშფოთდა იოანე ხელაშვილი, რომ მან დატოვა ქართული ეკლესია და გადავიდა სომხურ ეკლესიაში. მაშინვე, ერთ-ერთ სომხურ მონასტერში მას გაუჩინეს ულუფა და მისცეს თავისი სენაკი, სადაც მის ლოცვას აღწერს კიდეც მწერალი (იოანე ბატონიშვილი), შემდგომ იოანე ხელაშვილი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ეკლესიას. ასე, რომ **ქართველები IV ს-დან XIX ს-ის ჩათვლით მრავლად იღწოდნენ სომხურ ეკლესიაში.**

როგორც ითქვა, VII-VIII საუკუნეებში სომხურ ეკლესიაში გაერთიანებულნი იყო რამდენიმე ქართული თემი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ტაოა. მხოლოდ ქართველთა თვითშემეცნების გამოღვიძების შემდეგ დაუბრუნდა ეს მხარე დედასამშობლოს ეკლესიურადაც.

ვფიქრობ, არზრუმ-ლაზისტანის ქართველთა ეთნიკური თვითგამოღვიძების პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა, კერძოდ, ქრისტიანი ლაზები XVI-XIX სს-ში შეერივნენ „ურუმებსა“ და „რომეოსებს“ (ბერძნებს), ხოლო მაჰმადიანი ლაზები – ოსმალთურქებს. შესაძლოა მათი თვითშემეცნების გამოღვიძების შემთხვევაში ისინი კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ ეთნოიდენტობას.

გუგარქელი, ცაფლი, ჯანანდელი და აზნაურელი აზნაურები სომხური ეკლესიის წინააღმდეგ

მკვიდრი მოსახლეობის თვალსაზრისსა და ნებას, როგორც ნესი, შუა საუკუნეებში გამოხატავდა მოსახლეობის თავისუფალი ფენა, ანუ აზნაურები. დაბალი ფენა – გლეხები უფლები და ძირითადად უიდენტონი იყვნენ. აზნაურები – მეპატრონენი იყვნენ და ქვეყნის ეთნიკურ სახესაც წარმოაჩენდნენ.

საბედნიეროდ, გუგარქეში სომხური ეკლესიის გაძლიერებისას, მის აგრესიულ სურვილს თავის მრევლად გადაექცია ქართული მოსახლეობა, წინ აღუდგა მკვიდრი აზნაურობა ანუ **გუგარქელმა აზნაურებმა ქართულ ეკლესიას დაუჭირეს მხარი კირიონ კათალიკოსის დროს** (იხ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II).

თუ არა მათი (მკვიდრი აზნაურების) მხარდაჭერა, სომხური ეკლესიის შემოტევას იმუამად დასუსტებული ქართული ეკლესია ვერ დაუპირისპირდებოდა.

ქართული ეკლესიის დასუსტება კი გამოიწვია ჩვენი ქვეყნის დამპყრობელი სპარსეთის შაჰების პროსომხურმა მიკერძოებამ, კერძოდ, მათმა მონოფიზიტურმა საეკლესიო ორიენტაციამ.

სპარსელები ქართული ეკლესიის დიოფიზიტიზმს პრობიზანტიურ ორიენტაციად მიიჩნევდნენ და დევნიდნენ.

როცა მავრიკე კეისარმა შეძლო ბიზანტია-სპარსეთის საზღვრის თბილისამდე მოტანა, ამით ზურგამაგრებულმა კირიონმა გაბედა და ნაბიჯი გადადგა გუგარქის მკვიდრ ქართველებსათვის წირვა-ლოცვის ქართულენოვნების ასაღორძინებლად, რამაც სასტიკად გააღიზიანა სომხური ეკლესია.

გუგარქი – კირიონის სამწყსო იყო. ამ **ქვეყნის ნამდვილი მფლობელები კი, როგორც ითქვა მკვიდრი აზნაურობა იყო**, ამი-

ტომაც სომეხთა კათალიკოსმა საგანგებო ეპისტოლით მიმართა გუგარქის აზნაურებს მხარი დაეჭირათ სომხური ეკლესიისათვის კირიონის ნების საწინააღმდეგოდ იქაური მოსე კვლავ ეპისკოპოსად დაებრუნებინათ, ის იმჟამად თავს სომხეთს აფარებდა. სწორედ ამ **გადამწყვეტ მომენტში გუგარქელმა აზნაურებმა მხარი დაუჭირეს ქართულ ეკლესიას**, რითაც ძლიერ განაწყენდა სომეხი კათალიკოსი. „ჩვენ ეს სარწმუნოებაც გვაქვს და ეგეც, თუ უნდა მოსე ეპისკოპოსს, მოვიდეს და კირიონს დაემორჩილოს“ ასეთი იყო გუგარქელ აზნაურთა პასუხი. აქედან კარგად ჩანს მათი ეთნიკური ვინაობა - ისინი საეკლესიო მთლიანობას ანუ ქართული ეკლესიის გაუზარველობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე სომეხი კათალიკოსის მოწოდებას.

ლასტივერტეცის თანახმად, არზრუმელმა, ტაოელმა და ბასიანელმა აზნაურებმა გუგარქელ აზნაურთა მსგავსად დაუჭირეს მხარი ქართულ ეკლესიას (**ა. ლასტივერტეცი, ისტორია, 1974, გვ. 44**).

აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ ეთნიკურ სომხურ ოლქებში აზნაურები მხარს სომხურ ეკლესიას უჭერდნენ. მაგალითად, „ეპისტოლეთა წიგნში“ კარგად ჩანს, რომ ვრკანის მარზპანი დევნიდა ქართულ ეკლესიას და მხარს უჭერდა სომხურს.

ხოლო ეთნიკურ ქართულ რეგიონებში აზნაურები, როგორც ითქვა, მხარს ქართულ ეკლესიას უჭერდნენ, ამ ფაქტის კარგი გამოხატულებაა მაგალითი ტაოელ-ვანანდელ-კარელი დიდებულებისა: ბაკურიანისძეებისა, ჩორდვანელებისა, ვანანდელი აზნაურებისა, თორნიკე ერისთავისა და მისი თანამოსაგრე ქართველი დიდებულებისა – ისინი იყვნენ ერთგული მრევლი ქართული ეკლესიისა.

გუგარქელმა, ტაოელმა, ვანანდელმა და არზრუმელმა აზნაურებმა კარგად იცოდნენ, რომ **თუ ისინი მხარს დაუჭერდნენ**

ქართულ ეკლესიას ქვეყანა შეინარჩუნებდა ქართველობას, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში კი გასომხდებოდა.

დამატება

**„იბერიელი“ იოანე ბაგარანელის (კოგოვიტელის) დელეგა-
ცია ანტიოქიაში და მისი ტაძარი ავანში, „იბერიელი“ იოანე
ბაგარანელის დელეგაცია ანტიოქიაში და მისი ტაძარი ავანში**

არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, მის ეპოქაში, ოლქი
სახელწოდებით – „ივერია“, მდებარეობდა არა ანისის ჩრდილო-
ეთით, არამედ მის დასავლეთით, რადგანაც, როგორც აღინი-
შნა, მისი პერიოდის სომხურ საისტორიო გეოგრაფიაში „ივე-
რია“ ძირითადად ერქვა ტაოსა და ბასიანს, მდებარეთ ანისის
დასავლეთით.

VI ს-ში „ივერთა მთავარი“ ტაოს მფლობელს ერქვა.

რაც შეეხება შიდა ქართლისა და ანისის ჩრდილოეთის რე-
გიონს, VII-X სს-ში, არაბთა შემოსევების შემდეგ, ანისის ჩრდი-
ლოეთით მდებარე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს ოფიციალ-
ურად ეწოდებოდა არა „ივერია“ არამედ თბილისის საამირო და
ტაშირ-ძორაკერტის სამეფო, ხოლო შიდა ქართლი სადავო ქვეყ-
ნად იყო აფხაზეთის, კახეთის, სომხეთისა და თბილისის სა-
ამირო-სამთავროთა შორის.

**ამ დროსაც სახელი „ივერია“ ძველებურადვე ერქვა ტაოს
მინა-წყალს (ბასიანთან ერთად) და ტაოს მომიჯნავე მხარეებსაც,
ანისის დასავლეთით.**

ამ მიზეზის გამო, როგორც აღინიშნა, XI ს-ში, იმიერ ტაოს
სამეფოს მინა-წყალს ბიზანტიელებმა მისი დაპყრობის შემდეგ,
„ივერიის თემი“ უწოდეს და მასში ანისიც შეიყვანეს.

ბიზანტიელები „ივერიას“ კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქამდეც უწოდებდნენ ტაოს ოლქსა და მის მომიჯნავე მხარეებს.

X ს-ში აღნიშნული იმპერატორის ცნობით ივერიელებს არაქსის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები ეკუთვნოდა.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ბევრს საუბრობს ამის შესახებ.

მაშასადამე, არაქსის დასავლეთ სანაპიროს ქვეყნები, სადაც მდებარეობდნენ თვით დედაქალაქებიც კი სომხური ადმინისტრაციული ერთეულებისა, მაინც „ივერიად“ იწოდებოდა და ეს წოდება (ივერია) ამ მხარეებისათვის არ იყო უსაფუძვლო:

ამის მიზეზი იყო ის, რომ როგორც მრავალგზის აღნიშნა, ისტორიულადაც ივერიელებით დასახლებული მიწები, ძვ.წ. II საუკუნისათვის, სტრაბონის ცნობით, არმენიამ მიიტაცა. სტრაბონის ხორძენა სწორედ ამ მხარეებში უნდა ვეძიოთ.

სომხური ეკლესიის ჩამოყალიბების შემდეგ, აღნიშნულ მხარეების არმენიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ არ იყო ყოვლისმომცველი.

ჩანს, ამ მიზეზის გამო, ავანის საკათალიკოსო გამოეყო სომხური ეკლესიის მთავარ ცენტრს – დვინს.

ამ გამოყოფის მიზეზად მიიჩნევა სარწმუნოებრივი მომენტი, მაგრამ მას უფრო მეტად ეთნიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა.

კერძოდ, **588 წლიდან (სხვა აზრით 591 წლიდან) ძველ სოფელ ავანში (თანამედროვე ერევნის ჩრდილო-აღმოსავლეთით) რეზიდენცია დაიდო არმენიის მართლმადიდებელმა (ქალკედონიტმა) პატრიარქმა.**

მიიჩნევა, რომ ამას საფუძველი დაუდო იმპერატორ მავრიკეს (582-602) საზავო ხელშეკრულებამ სპარსეთთან, რის შედაგადაც ავანი და ტაო ბიზანტიის იმპერიაში მოექცა.

ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო საფუძველი (და არა მიზეზი), რამაც გააბედინა ადგილობრივ, მეტწილად ქართული წარ-

მოშობის ტაოელ-ბასიანელ და ავანელ მოსახლეობასა და სამღვდლოებას მიეღოთ იმ სარწმუნოებრივი მიმართულების საპირისპირო აღმსარებლობა, რომელსაც დვინის სომხური საკათალიკოსო აღიარებდა.

ცნობილი კანონისტი კარტაშევი, თავის წიგნში „საეკლესიო კრებები“ (პარიზი, 1963, რუს. ენაზე), წერს, რომ VI ს-ში ეგვიპტელებმა, სირიელებმა და სომხებმა მონოფიზიტური აღმსარებლობა ძირითადად მიიღეს არა სარწმუნოებრივი, არამედ ეთნიკური ნიშნის გამო. კერძოდ, მათ **სურდათ ბიზანტიის ცენტრისაგან თავიანთი ეთნიკური განსხვავებულობის სარწმუნოებრივი სახითაც გამოხატვა. ამიტომაც როცა ბიზანტიის ცენტრმა მტკიცედ დაუჭირა მხარი ქალკედონიტობას, პერიფერიებმა მის საპირისპიროდ – მონოფიზიტობა აღიარეს.**

თუ კარტაშევის ამ მოსაზრებას მივუსადაგებთ ეთნიკურად ისეთ რთულ რეგიონს, როგორიც იყო ტაო-ბასიან-ავანის მხარეები, შეიძლება მსგავსი სურათი დავინახოთ.

ტაო და ბასიანი იყო არასომხური მხარეები, მისი მოსახლეობა „ივერებად“ ძველთაგანვე იწოდებოდა, თუმცა კი სომხური საეკლესიო და ადმინისტრაციული უღელის ქვეშ. აირარატის პროვინციაშიც მრავალი მკვიდრი ქართველი ცხოვრობდა და სომეხთა იქ დამკვიდრებამდე ძველი ტომის – ალაროდიელების სამშობლოდ იწოდება. ქსენოფონტეს ცნობით, აქ ცხოვრობდნენ ფასიანები, ხალიბები და ტაოხები, ქართული ტომები, ალაროდიელები ქართველთა ერთ-ერთი ტომი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში აირარატის პროვინციაშიც VII ს. დასწყისში უამრავი ქალკედონიტი ცხოვრობდა, რომელნიც მიემხრნენ ავანის ქალკედონის კათალიკოსს. ამის შესახებ მიუთითებს არსენ საფარელიც თავის თხზულებაში „განყოფისათვის სომეხთა და ქართველთა“. ის წერს:

„უბრძანა ბერძენთა მეფემ სომხეთის კათალიკოს მოსე ელივარდელს (574-604) და მის ეპისკოპოსებს, რათა მისულიყვნენ

კონსტანტინოპოლში და კვლავ გამონვლილვით გამოეძიათ სარწმუნოებრივი სიმართლე, მართალი კი დაემტკიცებინათ. ხოლო მოსე კათალიკოსი არ დაემორჩილა და არ წავიდა, არამედ უთხრა ბერძენთა მოციქულებს: არ გადავალ მდინარე აზატზე, რომელიც საზღვარია სპარსთა და ბერძენთა შორის, არ შევჭამ ბერძენთა ფურნიდს და არ შევსვამ ბერძენთა თერმონს (ფურნიდს აფუებულ პურს ეწოდება, თერმონს ნყლით გაზავებულ ღვინოს), ასევე უპასუხეს ვასპურაგანის ეპისკოპოსებმაც, რომელიც სპარსთა სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ. არც მათ იწებეს წასვლა. ხოლო ტაოს ეპისკოპოსი და სხვა ბერძენთა მორჩილი სომეხი ეპისკოპოსები სასწრაფოდ ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში. კვლავ გამოიძიეს და მეორედ დაამტკიცეს ქალკედონის კრების სისწორე მავრიკ მეფის წინაშე. ყველამ ერთობით აღიარა ქრისტეს ჭეშმარიტი ორი ბუნება. დაწერეს ფიცი ბერძნებთან ერთობის შესახებ და წამოვიდნენ. როცა სომხეთში მოვიდნენ, მათი სარწმუნოება არ შეინყნარა მოსე კათალიკოსმა და მისმა სხვა ეპისკოპოსებმა, რომელიც სპარსთა მიერ დაპყრობილ ნაწილში ცხოვრობდნენ. გაიყო სომხეთი სარწმუნოებრივად. ქალკედონიტებმა დაიდგინეს კათალიკოსად **იოანე კოგოვიტელი (590-611)**. ქართველმა კათალიკოსმა კირიონ მცხეთელმა და ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა იხილეს, რომ სომხური ეკლესია კვლავ დვინის იმ კრების ერთგულია, რომელმაც წმიდა მსოფლიო საყოველთაო კათოლიკე ეკლესიას ჩამოაცილა სომხური ეკლესია. როცა ასეთი პრაქტიკა კვლავ აღორძინებული იხილეს კირიონ კათალიკოსმა (591-615), ჰერთა კათალიკოსმა აბაზმა (552-596) და სივნიეთის ეპისკოპოსმა გრიგორმა, შეიქნა დიდი დავა სომხეთსა და ქართლს შორის. ამ მხილების შემდეგ სომხებმა ქართლი დააბეზლეს სპარსთა მეფესთან, რომ ქართველებს რომაელთა (საბერძენეთის) სარწმუნოება აქეთო. ასეთივე დავა იყო ქართველთა და სომეხთა შორის ნერსე II-ის

დროსაც. ასევე იყო მის საკათალიკოსო ტახტზე მჯდომ აბრაამის დროსაც. ამ დროს განდევნა ქართლის კათალიკოსმა კირიონმა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი ეპარქიიდან, რომელიც წმიდა შუშანიკის საფლავზე იყო. თხოვა აბრაამმა კირიონს ეს ეპარქია, ხოლო მან არ მისცა. და გადიდა მათ შორის ცილობა. მოუხმო აბრაამმა **არარატის პროვინციის სამღვდლოებას და უთხრა მათ: ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ**“ (არსენ საფარელი, განყოფისათვის...).

არსენ საფარელის თხზულებიდან ჩანს, რომ ავანის კათალიკოსის იურისდიქციაში ტაოსთან ერთად **აირარატიც** შედიოდა, ამიტომაც სპარსელთა მხარდაჭერით დვინის კათალიკოსმა აბრაამმა **აირარატის** ქალკედონიტი სამღვდლოებაც დასაჯა, ამიტომაც მოუხმო აბრაამმა **არარატის პროვინციის სამღვდლოებას და უთხრა მათ: „ან შეაჩვენეთ ქალკედონის კრება, ან გადით ჩვენი სამკვიდრებელიდან. ზოგიერთი დაემორჩილა და შეაჩვენეს წმიდა კრება, ზოგიერთი კი არ დაემორჩილა და განიდევნენ**“.

აირარატის პროვინცია, ჩანს, მიუხედავად მისი ღრმა არმენიზაციისა, მაინც განსხვავებულ ოლქად დარჩენილა, ეს უნდა ყოფილიყო ნაკვალევი იმისა, რომ სულ რამდენიმე საუკუნის წინ ის იბერთა მიწას წარმოადგენდა. ჩანს, მას (აირარატს) სტრაბონი ხორძენას უწოდებდა.

სტრაბონის ცნობით, ხორძენა, პარიადრესა და გოგარენასთან ერთად, არმენიის მეფეებმა ძვ.წ. II საუკუნეში იბერებს წაართვეს და არმენიას შეუერთეს. რადგანაც გოგარენას სტრაბონი ათავსებდა „მტკვრის იქით“, ანუ მარცხენა სანაპიროზე, ამიტომაც ხორძენა მდებარეობდა პარიადრედან ვიდრე მტკვრამდე, ანუ შემდეგდროინდელი **აირარატი** სტრაბონის ეპოქაში

ხორძენად იწოდებოდა. მისი მოსახლეობა, მიუხედავად თითქმის 500 წლოვანი არმენიზაციისა, ჩანს კვლავ გრძნობდა თავის თავში იბერიულ საწყისებს, ამიტომაც, მის რეალიზებას ცდილობდა სარწმუნოებრივ სფეროში, მიჯნავდა თავისთავს დვინის სომხურნაციონალური ეკლესიიდან და ცდილობდა დაახლოებოდა მცხეთის ქართულ ეკლესიას. **ტაო-ბასიან-აირარატ-მა** ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის დადგომისთანავე, ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერით, მყისვე შექმნეს დვინის საწინააღმდეგოდ საეკლესიო ცენტრი ავანში, ქალკედონიტური საკათალიკოსოს სახით, **მკვეთრად გამოხატული ქართული არქიტექტურით** აგებული ეკლესიებითა და ჩანს, ასევე სხვა მრავალი ქართული ნიშნით.

ვ. არუთინოვა-ფიდანიანი რა თქმა უნდა, ავანის არქიტექტურას არ აკავშირებს ქართულთან და მიიჩნევს, რომ „მას აქვს ერშიაძინის, ბიზანტიური მარტირიუმების და კონსტანტინოპოლის სოფიის ტაძრის“ გავლენა („პრავოსლავნაია ენციკლოპედია“, ტ. 1, მოსკოვი, 2000, გვ. 74). ავანის „არქიტექტურული ანსამბლი სომხური არქიტექტურის ერთ-ერთი პირველი მიღწევაა, მის გვერდით მდებარე სასახლესთან ერთად აგებულია 588-597 წლებში კათოლიკოს იოანეს მიერ“ (იქვე გვ. 74).

თითქოსდა, ჯერ ის აუგიათ და შემდეგ მისი გეგმით მცხეთის ჯვარი, მაგრამ როგორც აღინიშნა, ქართულ ნყაროებში ნათლად ჩანს, თუ როგორ მიიღო საუკუნეთა მანძილზე მცხეთის ჯვარმა თავისი ჩამოყალიბებული საბოლოო სახე, ავანის აგების შესახებ ასეთი ცნობები არ არსებობს.

კერძოდ, მცხეთის ბორცვზე წმინდა ნინოს მიერ ჯერ აღმართა დიდი ზომის ჯვარი, შემდეგ კი ეს ჯვარი გუმბათით გადაახურინა რევ მეფემ IV ს-ის ბოლოს, ამავე დროს ჯვარს გარშემო გაუკეთეს „კუბო“. ანუ ის შემოსაზღვრეს კედლებით. ე.ი. მას ჰქონდა კედლებიც და სახურავიც (გუმბათი).

ჯვრის ტაძრის გუმბათის სიმაღლე განსაზღვრა იმ ხემ, რომელიც მოკვეთეს წმინდა ნინოს დროს და რომლისგანაც შეამზადეს ჯვარი.

მატიანეში მოთხრობილია: „**ვითარცა ნათელ იღეს მეფემან და ... ყოველმან ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ადგილსა ერთსა... აუნყეს ეპისკოპოსსა ხისა მისთვის, ხოლო ეპისკოპოსმან თქვა... „მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანი სცეს ყოველმა სიმრავლემან ქართლისამან... მოჰკვეთეს ხე იგი... მოაქვნდა ათსა ათეულსა კაცსა... სასწაულითა ზეცისათა ჩვენებით ჯვარი პატიოსანი მცხეთას იპყრეს ხელითა კაცობრივითა და მივედით ბორცვსა მას ქვეშე... ხოლო ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა... მუნ აღიმართა ჯვარი იგი დიდებითა მეფეთაგან და მოდრკა ერი იგი ურიცხვი და თაყვანი სცეს ჯვარს... რაოდენისამე დღისა შემდგომად, მარტვილისა უკან, იხილეს სასწაული დიდი... სვეტი ნათლისა, სახედ ჯვარისა დგა ჯვარსა მას ზედა და თორმეტნი იგი ვარსკვლავნი სახედ გვირგვინისა, გარემოს მისა, ხოლო ბორცვი იგი კუმოდა სახედ სულნელად და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი და მრავალნი უღმრთოთაგანნი მოიქცეს... მერე კუალად იხილნეს სხვა სასწაული ჯვარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისა, შვიდ წილად მზისა უბრწყინვალესი ზედა დაადგრა მას და, ვითარცა სახუმილისა ნაბერწყალნი აღავლენ, ეგრესახედ ანგელოზნი ღვთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა, ხოლო ბორცვი იგი იძვროდა ძლიერად... იქმნებოდეს სასწაული იგი წლითი წლად და ყოველი ერი... მოვიდოდეს თაყვანისმცემად გულსმოდგინედ. და მას ჟამსა რევის ძესა მეფისასა, ესვა ყმანვილი მცირე და იყო სნეულ და მიწვეწულ იყო სიკვდილად ... და მოილო და დადგა იგი წინაშე ჯვარისა და ცრემლით იტყოდა: „უკუეთუ მიბოძო ყმა ესე ცოცხალი აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა“ და მუნქვესვე განიკურნა ყრმა იგი... მოვიდა (რევი) აღნათქვამისა აღმასრულებლად... და გულმ-**

ოდგინებით აღაშენა კუბო ჯვარისა მცხეთისა რევ, ძემან მეფისა-
მან... გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენ-
თასა... ამან იწყო ეკლესია ჯვარისა პატიოსნისა და აქამომდე
ჯვარი ველსა ზედა იყო და ქმნა ეკლესია წელიამდის ოდენ...
გუარამ კურაპალატსა ესხნეს ძენი... სტეფანოზ და დემეტრე. ...ძმა
სტეფანოზისი სახელით დემეტრე აღაშენებდა ეკლესიასა ჯვარისა
პატიოსნისა, რამეთუ სენიცა იყო მის თანა და ავერ შემძლებელ
იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა“ (ქ.ც., I, გვ. 120-140).

სტეფანოზი და დემეტრე ბაგრატიონები ჰერაკლე კეისარმა
პროსპარსული ორიენტაციისათვის ტახტიდან გადააყენა, მის
ნაცვლად ქართლის ტახტი მისცა ადარნასე ხოსროიანს „...მა-
შინ მოუწოდა კეისარმა ძესა ბაკურისასა, ქართველთა მეფისასა
ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერისთაობდა
კახეთს, რომელსა ერქვა ადარნასე“.

მატიანედან ჩანს, რომ მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლო-
ბა დაიწყო IV ს-ის ბოლოს რევ მეფემ, მან „კუბო“ ანუ კედლები
და სახურავი (გუმბათი) აუშენა ჯვარს, მის გვერდით სხვა ეკ-
ლესიის მშენებლობა გუარამ კურაპალატის დროს VI ს-ის ბო-
ლოს დაიწყო.

ჩანს, რომ რევ მეფის მიერ აშენებული „კუბოს“ ფორმა იმ-
ეორებდა ჯვრის ფრთების ფორმას.

ჯვრის ეკლესიას უკვე მეოთხე საუკუნის ბოლოსვე ექნებო-
და ჯვრის ორი ფრთის შესატყვისი კედელი, რომელმაც საბ-
ოლოოდ ტეტრაკონქის სახე მიიღო ანუ ტეტრაკონქის მშე-
ნებლობა განსაზღვრა ტაძრის ცენტრში აღმართულმა ჯვრის
ფორმამ.

იმდენად მისაღები ყოფილა ქართული ეკლესიისათვის ჯვრის
ტაძრის ფორმა, რომ უკვე VI ს-ის შუა წლებში მის შესაბამისად
ააგეს **ნინოწმიდის** ეკლესია. VI ს-ის ბოლოს კვლავ აღსდგა
ჯვრის ტაძრის მშენებლობა მაგრამ არა ნებისმიერი არქიტექ-

ტურით, არამედ იმ ფორმით, რომელიც ახსოვდა მოსახლეობას და ბორცვზე აღმართული ამ ჯვრისათვის უკვე ტრადიციული იყო. VII ს-ის ჯვრის ტაძრის არქიტექტურა გაიმეორეს **ჭყონდიღში**.

ასე, რომ მცხეთის ჯვრის ტაძარი საუკუნეთა მანძილზე შენდებოდა და მან თავისი არქიტექტურული სახე თანდათანობით მიიღო, ხოლო გუმბათის ფორმა ქართული ხალხური არქიტექტურისაგანაა გადმოღებული.

სოფლის სახლებში მცხეთის ჯვრის გუმბათის მსგავს გუმბათებს XX ს-ის დასაწყისშიც კი აგებდნენ. მაგალითად ის (გუმბათი) გამოყენებულია ლეჩხუმში სოფელ საირმის საცხოვრებელი სახლების გადახურვის სისტემაში.

აქედან გამომდინარე IV-VI სს-ში ჩამოყალიბდა ჯვრის ტაძრის არქიტექტურა, რომელიც გაიმეორეს ავანის არქიტექტორებმა, რადგანაც ქართულ-ეთნიკური წარმომავლობის გამო ცდილობდნენ ავანის არქიტექტურაშიც ქართული ელემენტები შეეტანათ.

როგორც ითქვა – **ტაო-ბასიანს და მის მიმდებარე მიწებს – სომხებიც და ბიზანტიელებიც „ივერიას“ უწოდებდნენ**.

ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ამ რეგიონის მომცველი ავანის ქალკედონური საკათალიკოსო – „**ივერიის ეკლესიად**“ იწოდებოდა საერთაშორისო-საეკლესიო წრეებში.

ჩანს ანტიოქიის საპატრიარქო ავანის საკათალიკოსოს და მის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს – „**ივერიის ეკლესიას**“ უწოდებდა.

საქმე ისაა, რომ თეოდოსიოპოლის-არზრუმის რეგიონში ანტიოქიის იურისდიქციის ქვეშ იყო რამდენიმე ქალკედონური საეპისკოპოსო, საერთოდ, ეს მიწა-წყალი – ანტიოქიას თავისი საპატრიარქო იურისდიქციად მიაჩნდა. ამიტომაც, შესაძლოა ავანის ანუ „**იბერიის საკათალიკოსო**“ მას შემდეგ, რაც განშორდა დვინს, თავდაცვის მიზნით შეუერთდა ძლიერი ანტიო-

ქიის საპატრიარქოს იურისდიქციას (ანდა ის რომელიმე სხვა ეკლესიას უნდა მიკედლებოდა ავტოკეფალიის საერთაშორისო დადასტურებამდე).

არაბების შემოსევების შემდეგ კავშირი ანტიოქიასა და ავანის მემკვიდრე ქალკედონურ ეპარქიებს შორის განწყვეტილა, შემდეგ კი ჩანს ანტიოქიაში კვლავ განუხილავთ ამ ე.წ. მეორე „ივერიის ეკლესიის“ საკითხი.

საქმე ისაა, რომ მართალია ავანის ერთადერთი კათალიკოსის იოანე ბაგარანელის (+609/10) შემდეგ გაუქმდა ავანის კათედრა, მაგრამ მისი ქალკედონური მემკვიდრეოდა მიიღო ტაომ, სადაც VII ს-ში ქალკედონური საეპისკოპოსო ცენტრი იშხნისა და სხვა ჩამოყალიბდა.

სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში უკანვე შეიერთა ქალკედონური კათედრები, რითიც ჩანს ანტიოქიაც გაანაწყენა. ანტიოქიას მიწა-წყალი არზრუმამდე თავის იურისდიქციაში შემავალ „იბერიად“ მიაჩნდა.

სომხური ეკლესია VII ს-ში თავის საეკლესიო მთლიანობას იმით ინარჩუნებდა რომ გარკვეულ კომპრომისზე მიდიოდა და საერთო სომხურ საეკლესიო ტახტზე ქალკედონიტ კათალიკოსებსაც სვამდა, რჩეული მათ შორის **ნერსე III ტაოელი, ჩანს, ეთნიკური ქართველი იყო, ისევე, როგორც, ვთქვათ, იქამდე სომხურ ეკლესიაში მოღვაწე აირარატის ქორეპისკოპოსი კირიონი.**

726 წელს მანასკერტის მონოფიზიტური კრების შემდეგ ქალკედონური ტაო-ბასანიი განშორდა სომხურ ეკლესიას. ამ დროს, ჩანს, აქ, ანუ „ივერიაში“, კვლავ, გაიხსენეს ანტიოქიის ეკლესია და მისგან მოითხოვეს ავტოკეფალია, საეკლესიო თავისთავადობის საერთაშორისო დასტური. ამ დროს არა მხოლოდ ტაო-ბასიანში. არამედ მის გარეთაც ქართველი ქალკედონიტები აარსებდნენ თავიანთ კათედრებს, მაგალითად ვალაშკერტში.

ვალაშკერტის მღვდელთმთავრის წოდება „მამათმთავარი“ შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ის ერთ პერიოდში იქცა „ივერიის ქალკედონური“ ეკლესიის მემკვიდრედ, რომელსაც სათავე, ჩანს, ასევე ქართული წარმოშობის, იოანე ბაგარანელმა დაუდო.

ე.წ. ანტიოქიური ქრონიკების ნაწყვეტები იძლევა კიდევ ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საფუძველს – „ქართლის ცხოვრების“ ცნობილი ჩანართი უნდა ეხებოდეს ავანის ანუ ივერიელთა (ქართველთა) ქალკედონურ ეკლესიასა და ანტიოქიას შორის ურთიერთობას და არა მცხეთისა და ანტიოქიისა:

„და წარგზავნეს ანტიოქიას მონაზონი ერთი საკურთხეველად, რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა და ვერლარავის ხელენიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა... ხოლო დღეთა თეოფილაქტე ანტიოქიელ პატრიარქისა წარავლინეს მოციქულნი.. და მიუთხრეს... დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითგან ნეტარისა ანასტასი მღვდელმონაშამისათა (VII ს-ის დასაწყისი) არა კურთხეულ არს სიძნელისათვის გზათასა. ხოლო მან ჰყო კრება და განაჩინა... რათა შეკრებოდნენ ეპისკოპოსნი სიმრავლისა მისისანი და აკურთხევდნენ კათალიკოსსა ჟამითი-ჟამად ... ხელდასხმულ ჰყო... ერთი მოვლინებულთა მონაზონთაგანი, სახელით იოანე... ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა“ (ქ.ც. I, გვ. 226)

„ქართლის ცხოვრების“ ამ ჩანართის შესახებ ჯერ კიდევ 1906 წელს გამოთქვა თავისი მოსაზრება კირიონ II კათალიკოსმა, რომ ეს მონათხრობი ეხებოდა სამხრეთ საქართველოს ტაო-ბასიანის მხარეების საეკლესიო მონწყობას, ვ. გოილაძის აზრით კი, აქ, გადმოცემულია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების ცნობა. მისგან განსხვავებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების შესახებ ცნობას გვანვდის ქართლის ცხოვრების სხვა ჩანართი – „ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“ (IX ს-ში).

ე.ი ზემოთ აღნიშნული პირველი ჩანართი ქართლის ცხოვრების მიხედვით არ უკავშირდება აფხაზეთს, ამიტომაც სწორი უნდა იყოს კირიონ II, რომ ეს ჩანართი უკავშირდებოდა ტაო-ბასიანის (შესაბამისად ავანის) საეკლესიო მონყობის საკითხს.

ჩანართში ნახსენებია „ქრისტიანენი, მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი“ (ქ.ც., I, გვ. 226).

„ქართველთა“ პროვინცია ერქვა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტაო-ბასიანის მხარეებს და მის ირგვლივ ტერიტორიას, რომელიც დროებით, არმენიაში მდებარეობდა.

ამ ჩანართში ამიტომაც განმარტავს ანტიოქიის პატრიარქი, რომ საქმე შეეხება „ქართველთა სოფლების მკვიდრთ“.

ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიურადაც უფრო დალაგებულია მსჯელობა: ანასტასი ანტიოქიელი პატრიარქი თითქმის თანამედროვე იყო ავანის ქალკედონიტი კათალიკოსის იოანე ბაგარანელისა, რომელიც 609 თუ 610 წელს გარდაიცვალა.

ამის შემდგომ, არაბობის შემოსევების გამო, რთული იქნებოდა ანტიოქიისა და ტაო-ავანის საეკლესიო ურთიერთობა.

ავანის კათედრა მართლაც უმღვდელთმთავროდ დარჩა და ქალკედონიტი ეპისკოპოსები შეიერთა სომხურმა ეკლესიამ VII ს-ში, მაგრამ ეს მდგომარეობა, ანუ ეთნიკური მღვდელთმთავრის გარეშე ყოფნა, არ აკმაყოფილებდა ტაო-ბასიანის ქართული ქალკედონიტური სოფლების მრევლს.

მათ ჩანს, სურდათ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებით გამოეხსნათ თავიანთი თავი სომხური ეკლესიისაგან.

მაგალითად, მოღწეულია იშხანის ტაძრის მინაწერი, სადაც ადგილობრივი მღვდელთმთავარი ტრაპეზუნტში ჩავიდა, რათა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაესხა მისთვის ხელი. ამით იშხნის მღვდელთმთავარს სურდა თავის დახსნა სომხური იურის-დიქციისაგან.

არზრუმ-თეოდოსიოპოლი ტრადიციულად ანტიოქიელი პატრიარქის სამწყსოს განეკუთვნებოდა და იქვე მდებარეობდა კიდევ ავანის მემკვიდრე ტაო-ბასიანის ქალკედონიტური ვრცელი ქართული სამრევლო.

იბერიის ეკლესიის პირველიერარქად ანტიოქიამ დანიშნა ქართველი მონაზონი სახელით იოანე. ასევე, იოანე ერქვა VIII ს-ში აღდგენილ ივერიის ავტოკეფალური პირველი ეკლესიის მეთაურსაც.

ეს ნიშნულია, რადგანაც ავანის პირველ კათალიკოსსაც იოანე ერქვა.

ასე, რომ ავანის ქალკედონიტური კათედრის წარმოშობის მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ეთნიკური განსხვავებულობის გამო ქართული მრევლის გამოყოფა სომხური ეკლესიისგან და დამოუკიდებელ საკათალიკოსოდ ჩამოყალიბება.

ასეთ თვალსაზრისამდე მივალთ თუკი აღნიშნულ ჩანართს დავეუკავშირებთ სამხრეთ საქართველოს – ტაო-ბასიანის მხარეებს.

სამხრეთ ტაოს სამეფო კარზე – დავით III კურაპალატის ეპოქაში, მრავალი უცხოელი ავტორი ახსენებს ქართველ კათალიკოსს თუ ქართველ პატრიარქს. შესაძლოა სამხრეთ საქართველოს ამ საეკლესიო ერთეულს მართლაც მიანიჭა ანტიოქიამ ავტოკეფალია, შემდეგ ათასწლეულში კი ეს ცნობები მცხეთის ეკლესიას დაუკავშირეს და მიიჩნიეს მცხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელ დოკუმენტად.

ტაოს (იბერიის) სამეფოს ადგილზე დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაუფლების შემდეგ, როგორც ითქვა, ბიზანტიამ ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული ერთეული – „იბერიის თემის“ სახელწოდებით – XI ს-ს დასაწყისში.

მაშასადამე, შესაძლებელია, ავანის საკათალიკოსო უცხოელთათვის, კერძოდ კი ანტიოქიის ქალკედონიტებისათვის

ნარმოადგენდა არა სომხურ, არამედ ქართველთა, ანუ „ივერიელთა“ ეკლესიას. მიზეზი ამისა იყო მისი მრევლის უმეტესი ნაწილის (ტაო-ბასიანის) ქართულობა.

როგორც ითქვა, იოანე ბაგარანელის დროს, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას გამოეყო ქალკედონიტური ფრთა, რომელმაც დამოუკიდებელი საკათალიკოსო დაარსა. ისმის კითხვა: ეცდებოდა თუ არა ეს ეკლესია თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას, ანდა დაკავშირებას უცხოეთის სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებთან, როგორც თავისთავადი ეკლესია?

ჩანს, ასეთი ურთიერთობა მათ დაუმყარებიათ ანტიოქიის საპატრიარქოსთან ნეტარი ანასტასი მღვდელმონაშის ზეობისას, მაგრამ შემდეგ ავანის ეკლესიის თავისთავადობა გაუქმდა. ტაო-ბასიანის ივერიელმა მოსახლეობამ მოითხოვა კვლავ ეძებნათ თავისთავადი ეკლესიის ჩამოყალიბების გზები და მისი საერთაშორისო აღიარება.

ეს მოუხერხებიათ ანტიოქიის პატრიარქ ნეტარი თეოფილაქტეს დროს – შესაბამისად, ჩამოყალიბდა ტაო-ბასიანის, ანუ დავით კურაპალატის სამეფოს საეკლესიო სამამამთავრო, უკვე ქართული საეკლესიო ერთეული.

ამით იქამდე სომხურენოვანმა ავანის საკათალიკოსოს მემკვიდე ეპარქიებმა აღადგინეს ქართულენოვანება.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ III მსოფლიო კრებაში (431 წ.) მონაწილე იბერიელი (ურჭაელი) ქართველი ეპისკოპოსი იერემია უნდა ყოფილიყო ისტორიული არიან ქართლის მიწაზე მცხოვრები იბერიელების ეპისკოპოსი, ანუ ის შედიოდა არა მცხეთის (ქართლის) ეკლესიის იურისდიქციაში, არამედ ე.წ. სპარსული ქართლის საეპისკოპოსოთა იურისდიქციაში. ეს ე.წ. სპარსული ქართლი მდებარეობდა ძირითადად არაქსისი ხეობასა და ვანის ტბისაკენ მიმართულ მიწა-წყალზე. ეს იყო ქართველთა ისტორიული საცხოვრისი.

431 წელს ეფესოს III მსოფლიო საეკლესიო კრების მომზადებაში მონაწილე ქართლის ე.წ. „სპარსული ნაწილის“ ეპისკოპოსი იერემია (ვ. გოილაძე, ქართლის სამეფო. ავტორეფერატი დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, 1998 წ., გვ. 20). როგორც მას უწოდებენ, „იბერიელი იერემია“ ყოფილა ნესტორიანელთა წინააღმდეგ მებრძოლი (კ. კეკელიძე, ეტიუდები I. 51, 62). წმ. გრიგოლ ფერაძის ცნობით, კონსტანტინოპოლში ყოფილა „დიდაქეს“, ანუ „12 მოციქულთა მოძღვრების“ კანონიკური მწერლობის ერთ-ერთი ადრინდელი ძეგლის – თარგმანი, გადაღებული 1923 წელს, ვინმე ფეიქრიშვილის მიერ. ფერაძის აზრით, იგი გადათარგმნილია ბერძნულიდან ქართულ ენაზე V ს-ში, იერემია იბერიელის მიერ. ეს იერემია თავის თავს ასე უწოდებს: „იერემია ურჰაელი ქართველი მართლმადიდებელი, ყარბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული“ (კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი ანტინესტორიანელი მოღვაწე V საუკუნისა, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, №9, 1928 წ. გვ. 187, 198).

„სპარსული იბერიიდან“ წარმოშობილი იერემია ქ. ურჰაში იყო გადასული სამოღვაწეოდ.

შესაძლოა, იერემია იბერიელის სამშობლო „სპარსული იბერია“ ის ტერიტორიაა, სადაც შემდგომ ავანის საკათალიკოსოს იურისდიქცია განივრცო, როგორც ვთქვით, ეს იყო იბერიელები ის საცხოვრისი. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ ავლნიშნავთ, რომ აქ, მრავლად ცხოვრობდნენ იბერიელები, რომელთა გამაღებელი არმენიზაცია მიმდინარეობდა IV-V სს-ში, მას შემდგომ, რაც ამ მიწა-წყალზე მძლავრი სომხური ეკლესია ჩამოყალიბდა. სომხეთში მცხოვრები იბერიელები მუდამ ცდილობდნენ ეკლესიურად როგორმე გამოყოფოდნენ სომხურ ეკლესიას, რაც მხოლოდ VI ს-ის შემდგომ, საბოლოოდ კი VIII ს-დან გახდა შესაძლებელი.

დასკვნა

კირიონ I-ით იამაყებდა ნებისმიერი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ეკლესია მას იქ რომ ელვანა.

ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო მისი ხსენება თითქმის არ შემოინახა ქართულმა წყაროებმა, მაგრამ მის შესახებ ვრცელი ცნობებია დაცული უცხოურში. საფიქრებელია, რომ სომხურ ეკლესიისაგან ე.წ. „განყოფამ“ იმდენად მწარე მოგონებები დატოვა, რომ მათიანეებიდან გააქრეს ამ ურთიერთობის დამადასტურებელი ცნობებიც კი. ალბათ, ხსენება ამ ურთიერთობის დამადასტურებელი უმთავრესი პირისა, კირიონისა, გულმოდგინედ ამოიფხიკა მათიანეებიდან.

VII-VIII სს-ში, სპარსთა და არაბთაგან ქვეყნის დაპყრობისას გაქრა და დავიწყებას მიეცა ალბანელი ერი და მისი შესანიშნავი კულტურა სომხური ეკლესიის მიერ მისი შთანთქმის შედეგად, რასაც კარგად აღწერს მოვსეს კალანკატუაცი. ასეთივე ბედი ელოდა ჩვენი ერის მნიშვნელოვან ნაწილს, თუ არა **კირიონ დიდი კათალიკოსის** ღვაწლი, როცა მან ნაწილობრივ არმენიზებულ ქართველებს **გუგარქში** აღუდგინა ქართულენოვანი ლიტურგია, და უფრო მეტიც, მან დაიწყო პროცესი სომხურ-ქართული ეკლესიების ურთიერთდაშორებისა, რამაც, როგორც ითქვა, ასიმილაციისაგან იხსნა ქართველი ერი.

VI ს-ში ქართველები მტკიცე ქალკედონიტები იყვნენ, ამიტომაც ბიზანტიასთან მებრძოლი სპარსეთი ებრძოდა ქართულ ეკლესიასაც, შესაბამისად, ის საქართველოს დაპყრობილ ნაწილში, გუგარქში, სომხური ეკლესიების ინტერესებს აკმაყოფილებდა. ამ დროისათვის, გუგარქში გავრცელდა სომხურენოვანი ლიტურგია ანუ, როგორც ეპისტოლეთა წიგნი უწოდებს, „**სომხურენოვნება**“. სომხური ეკლესიის ეს უმსგავსო პროზელტიზმი მოშალა კირიონ დიდმა, როგორც კი პოლიტიკური ვი-

თარება გაუმჯობესდა მან გუგარქელებს საეკლესიო ქართულენოვნება, ანუ ლიტურგია, აღუდგინა. რამაც ძალზე აღაშფოთა სომხური საეკლესიო მხარე.

კირიონის ღვწლმა უდიდესი შედეგი გამოიღო უცხოეთშიც, კერძოდ კი გამოაფხიზლა იმჟამინდელი საქართველოს გარეთ, არმენიის ვრცელ ქვეყანაში მცხოვრები ქართველობა, მათ, თითქმის არმენიზებულებმა, თანდათანობით აღიდგინეს თავიანთი ქართულ-ეროვნული იდენტობა და, ისინი შედგომში, ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ დაბრუნებოდნენ ეროვნული ანუ ქართული ეკლესიის წიაღს.

როგორც ითქვა, კირიონის მიერ დაწყებული სომხურენოვანი წირვა-ლოცვისაგან გათავისუფლების მოღვაწეობა ხმამ, ექო და გამოძახილი ჰპოვა სომხეთის ქართველთა შორის. ამ ხმამ გააღვიძა იქამდე, თითქოსდა, ჩაძინებული სამხრეთ ტაოს, ბასიანის, ბაგრევანდის, შირაკის, კარინისა თუ ვანანდის ქართველობა, ისინი, ზოგნი ძალზე ღრმად არმენიზებულები, ნაწილი კი ნაკლებად, იბრუნებდნენ ქართულენოვან ღვთისმსახურებას, რამაც უფრო დიდი შედეგებიც გამოიღო – ეკლესიურად გამოღვიძებულმა, იდენტობა აღდგენილმა ქართველებმა ქართული სახელმწიფოებრიობაც კი აღიდგინეს, და მათ X საუკუნეში შექმნეს სამხრეთ ტაოს ვრცელი „ქართველთა სამეფო“ დავით კურაპალატის დროს.

Кирион I (Кирион) (груз. ჰობიონ, ჰობიონ) католикос Картли (Мцхетский) (ок. 599-614/6) Грузинской Православной Церкви (ГПЦ). Имя К. отсутствует в груз. источниках, содержащих сведения о Предстоятелях ГПЦ,— в частности, в груз. летописи «Мокцеваи Картლისай» («Обращение Картли»), где помимо других данных приведены списки груз. католикосов. Поэтому долгое время он не был включен ГПЦ в официальные списки ее Предстоятелей, где под Кирионом I подразумевался Кирион II, под Кирионом II - Кирион III (Садзаглишвили).

Сведения о К. содержатся в основном в арм. источниках (соч. арм. историка Ухтанеса «История Армении», «Книга Посланий», соч. Мовсеса Каланкатуаци «История страны Алуанк», соч. Ованнеса Драсханакертци «История Армении»), а также в антимонафизитском трактате груз. церк. деятеля Арсения Сапарского (Сапарели) «О разделении Грузии и Армении» и соч. груз. царевича Вахушти Багратиони «История царства Грузинского». В последнем К. назван также Симеоном (Вахушти Багратиони. История царства Грузинского // КЦ. 1973. Т. 4. С. 120. Прим. 2).

Согласно сведениям Ухтанеса, К., по происхождению грузин, был родом из села Скутри (Сакудрия) (близ совр. Ахалкалаки) в южногруз. исторической пров. Джавахети. В юношеские годы он «пришел в страну Ромейскую», т. е. в Византию, в Никополе, в провинции Колония близ Трапезунда. Владея арм. и груз. языками, К. в совершенстве изучил здесь греч. язык и «их злое [халкидонское.— Авт.] учение» (Ухтанес. 1975. С. 21). Грузины составляли основную часть населения также и соседних провинций Тао (арм. Тайк) и Басиани (арм. Басен) по направлению к Двину, поэтому К., как видно, решил остаться в этом регионе и переехал после получения образования в Двин. Поскольку Тао и

Басиани в тот период входили в состав Армении, они относились к юрисдикции Армянской Апостольской Церкви (ААЦ), между ней и ГПЦ существовало каноническое общение и этнические грузины этих областей составляли паству и клир ААЦ. По сведениям Ухтанеса, К. принял хиротонию, занял кафедру Айраратского епископа ААЦ и стал настоятелем кафедрального мон-ря в Двине. Через 5 лет он вернулся на родину и был избран католикосом Картли (Ухтанес. 1975. С. 21-23). По сведениям арм. историка католикоса Ованнеса Драсханакертци, в к. VI в. К., «согласно прежним законам», был возведен в сан католикоса «иверов, гугаров и эгров [лазов в визант. источках.— Авт.]» (Ованнес Драсханакертци «История Армении», Ереван, 1984. Перевод с древнеармянского М.О. Дарбинян-Меликян. Глава XVI, ст. 55),

По мнению груз. историка И. А. Джавахишвили, эта дефиниция позволяет определить границы юрисдикции Картлийской Церкви (древней ГПЦ) не только при К., но и в более раннее время: «Гугарети принадлежала пастве католикоса Картлийского. Упоминание Кириона католикосом мегрельским означало, что паства Картли, т. е. католикоса Мцхетского, была в Западной Грузии, и границы Католикосата были расширены в Лихт-Имерети [т. е. доходили до границ Чёрного м.— Авт.]. Политическому объединению Западной и Восточной Грузии предшествовал и готовил почву начавшийся намного раньше процесс объединения Церкви» (Джавахишвили. 1960. Т. 1. С. 341-342).

К. управлял ГПЦ в период обострения борьбы между Ираном и Византией, в церк. сфере это выражалось в противостоянии монофизитства, поддерживаемого персами, и диофизитства. К. выражал приверженность решениям Халкидонского Собора 451

г., проводил национальную религиозную политику и сыграл важную роль в вопросе политической ориентации Грузии на Византию. Взойдя на престол Предстоятеля ГПЦ К. всячески содействовал возвращению представителей разных конфессий в православие (халкидонство). Он отправил посла в Иерусалим и Рим, чтобы узнать мнение Глав этих Церквей о необходимости вторичного крещения несториан, желающих воссоединиться с православием (халкидонством). Сохранилось ответное письмо папы Римского Григория I (*Epistola S Gregorii I Quirino vel Quirico Episcopo et ceteris episcopis in Hiberia catholicis* // Тамарашвили. 1902. С. 24-26, 575-577). Следуя рекомендациям папы, К. принял в православие (халкидонство) покаявшихся сирийцев-несториан и даже хиротонисал нек-рых во архиереи. Тесную связь поддерживал К. с Иерусалимом особенно во время прений с монофизитами.

Политика К. спровоцировала раскол ГПЦ и ААЦ, эпоха его правления в контексте истории отделения ААЦ от Православных Церквей передана в трактате «О разделении Грузии и Армении». На Двинском Соборе 554-555 гг., созванном арм. католикосом Нерсесом II Багревандци (548-557), ААЦ решительно отвергла решения Халкидонского Собора (подробнее см. в ст.: Двинские Соборы Армянской Апостольской Церкви (VI-VIII вв.)). Как указано в источнике, «в связи с этим вся Картли и четвертая часть Армении отделились от рукоположения армянским духовенством. А эры и сивнийцы одно время отделились, но потом опять воссоединились с ними» (Арсений Сапарели. 1980. с. 27).

Как считает часть историков (Митрополит Анания Джапаридзе, «грузино-армянские церковные отношения», Тбилиси, 2011, на груз. яз. ст. 122.), под «всей Картли» подразумеваются исторические провинции Тао, Басиани и

